უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

# ბიზნესი და კანონმდებლობა

Journal DOI: https://doi.org/10.52340/bal

N2. 2024




N2. 2024

www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge

ISSN 2960-9801 (online)

# Business & Law

# ბიზნესი და კანონმდებლობა




## საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar

რეცენზირებადი და რეფერირებადია 2008 წლიდან



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

# Business & Law



## INTERNATIONAL SCIENTIFIC-ANALYTICAL JOURNAL

Indexed in the Google schoral international search system

Recensented and Referenced since 2008



The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

## გამომცემელი

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

## ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საბჭო

**ზაურ ნაჭყებია, იური პაპასქუა, დავით ჯალაღონია, ირმა დიხამინჯია, ილონა ადამია**

## სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

**აბულაძე კოტე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ბედიანაშვილი გივი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ბოლქვაძე ბესიკ** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **გახოკიძე ჯემალ** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **გრიგალაშვილი ლევანი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **დიხამინჯია ირმა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ელიავა ლია** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **თაკალანძე ლარისა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კაკაშვილი ნატო** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კვარაცხელია დემნა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **კვაშილავა კახა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ლიპარტია ზურაბ** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მამუკა თავხელიძე** - გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მექვაბიშვილი ელგუჯა** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპავა ვლადიმერ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპასქუა იური** - მთავარი რედაქტორი, საქართელოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **სილაგაძე ავთანდილ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **საბაური ლევანი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ფუტკარაძე სულიკო** - წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო; **ღავთაძე გიორგი** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **შონია ნანა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჩიხლაძე ნიკოლოზ** - ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო; **ცინარიძე რამინ** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ქითანავა ნოდარ** - საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ჭიჭინაძე ბორის** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ხომერიკი თემურ** - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისია, საქრთველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯალაღონია დავით** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯიბუტი მიხეილ** - თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, საქართველო.

## სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

**გრიგოროოი ლილია** - მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, მოლდოვეთი; **დიომედა ფედერიკო** - ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ბრიუსელი, ბელგია; **დნესი ვ. ანტონი** - ნორტცენტრალის უნივერსიტეტი, არიზონა, აშშ; **იარვერსი რობინ** - ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია, დიდი ბრიტანეთი; **კარმანსკა ანნა** - ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლა, პოლონეთი; **მაკგი ვ. რობერტ** - აშშ ფაეტევილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ; **რიაშენკო ვიქტორია,** გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ISMA), ეკონომიკის დოქტორი, პროფ., ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერტი, ლატვია; **ნოვრუზოვი ვაჰიდ ტაპდიგი** - აზერბაიჯანის რესპუბლიკის აუდიტორთა პალატა, აზერბაიჯანი, **ჯონსონი რ. ვინსეტ** - სანტ-მარის უნივერსიტეტი, სანტ-ანტონიო, ტეხასი, აშშ.

PUBLISHER

The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia

## ORGANIZATIONAL-ADMINISTRATIVE COUNCIL

**Zaur Nachkibia, Yuri Papasqua, Davit Jalaghonia, Irma Dikhaminjia, Ilona Adamia**

## SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

**Abuladze Kote** - Technical University of Georgia, Georgia; **Bedianashvili Givi** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Bolkvadze Besik** - Batumi Shota Rustaveli State University, Georgia; **Ghakhokidze Jemal** - Technical University of Georgia, Georgia; **Grigalashvili Levan** - Technical University of Georgia, Georgia; **Dikhaminjia Irma** - Sukhumi State University, Georgia; **Eliava Lia** - National University of Georgia, Georgia; **Takalandze Larisa** - Sukhumi State University, Georgia; **Kakahvili Nato** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Kvaratskhelia Demna** - Technical University of Georgia, Georgia; **Kvashilava Kakha** - Sukhumi State University, Georgia; **Lipartia Zurab** - Sukhumi State University, Georgia; **Mamuka Tavkhelidze** - Grigol Robadzidze State University, Georgia; **Mekvabishvili Elguja** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Yuri Papasqua** - Editor-in-Chief, Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Sakartelo, Sukhumi State University, Georgia; **Silagadze Avtandil** National Academy of Sciences of Georgia, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Sabauri Levan** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Putkaradze Suliko** - St. Tbel Abuseridze University of Education, Georgia; **Ghavtadze Giorgi** - National University of Georgia, Georgia; **Shonia Nana** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Chikhladze Nikoloz** - Kutaisi University, Georgia; **Tsinaridze Ramin** - Batumi Shota Rustaveli State University, Georgia; **Chitanava Nodar** - Georgian Academy of Agriculture, Technical University of Georgia, Georgia; **Chichinadze Boris** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Khomeriki Temur** - Energy and Water Supply Commission of Georgia, National University of Georgia, Georgia; **Jalaghonia Davit** - Sokhumi State University; **Djibouti Mikheil** - Chairman, National Academy of Sciences of Georgia, Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia.

## FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

**Grigoroi Lilia -** Moldovan Academy of Economic Sciences, Moldova; **Diomeda Federico** - European Federation of Accountants and Auditors, Brussels, Belgium; **Dnesi V. Anthony** - Northcentral University, Arizona, USA; **Yarvers Robin** - Association of Chartered Accountants of England and Wales, Great Britain; **Karmanska Anna** -Warsaw School of Commerce, Poland; **Mcgee v. Robert** - USA Fayetteville State University, USA; **Riashchenko Viktoriia,** University of Applied Sciences (ISMA), Doctor of Economics, Prof., Expert of the Latvian Academy of Sciences, Latvia. **Novrupjv Vahid Tapdig** - Chamber of Auditors of the Republic of Azerbaijan, Azerbaijan; **Johnson R. Vincent** - Sainte-Marie University, USA.

# შინაარსი CONTENT

ნოდარ ჭითანავა
სივრცითი დაგეგმვა და სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა) ----------- 7

Nodar Chitanava
SPATIAL PLANNING AND PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF RURAL AREAS IN GEORGIA (CONCEPTUAL-METHODOLOGICAL APPROACH) ----------------- 7

იური პაპასქუა, ანა ოსიყმიშვილი
მცირე აუდიტორულ კომპანიებში აუდიტის ხარისხის მდგომარეობის განმაპირობებელი ფაქტორები ----------------------------------- 24

Iuri Papaskua, Ana Osiqmishvili
FACTORS DETERMINING THE STATE OF AUDIT QUALITY IN SMALL AUDIT FIRMS--------------- 24

Тулаходжаева Миновар, Ходжаева Мутабар
ЭКОЛОГИЧЕСКИЙ АУДИТ: МИРОВОЙ ОПЫТ И ПРАКТИКА В УЗБЕКИСТАНЕ------------------ 28

გურამ აბესაძე, ნოდარ აბესაძე
პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გარანტი ----------------------------------- 32

Guram Abesadze, Nodar Abesadze
STABILITY OF THE POLITICAL SYSTEM IS THE GUARANTEE OF BUILDING MODERN GEORGIAN STATEHOOD ------------------------------------------------------ 32

ნონა გელიტაშვილი
ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა შრომის ბაზარზე ------------------------------------- 38

Nona Gelitashvili
THE IMPACT OF DIGITAL TRANSFORMATION ON THE LABOR MARKET --------------------------- 38

ბესარიონ ნაყოფია
კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკების მართვა ------------------------------------------ 42

Besarion Nakopia
CREDIT RISK MANAGEMENT IN COMMERCIAL BANKS ------------------------------------------------- 42

ნასყიდა დარბუაშვილი
ეკონომიკის მოდელი, რომელიც ანგრევს და ანადგურებს ქვეყნებს ---------------------- 48

Naskhida Darbuashvili
AN ECONOMIC MODEL THAT DESTROYS AND DESTROYS COUNTRIES ------------------------------- 48

ანა ზუბაშვილი, თამარ აბაშიძე, ირინა ჟვანია
სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების კითხვარის ფაქტორული სტრუქტურის შეფასება ახალგაზრდების შერჩევაზე ---------------------- 61

Ana Zubashvili, Tamar Abashidze, Irina Zhvania
EVALUATION OF THE FACTORAL STRUCTURE OF THE PROBLEMATIC SOCIAL MEDIA USE SCALE AMONG GEORGIAN YOUTH------------------- 61

ლეონარდო ხვედელიძე, ბორის ჭიჭინაძე
ინოვაციები მედიცინაში და მათი სამომავლო ეკონომიკური ეფექტიანობა ---------- 74

Leonardo Khvedelidze, Boris Chichinadze
INNOVATIONS IN MEDICINE AND THEIR FUTURE ECONOMIC EFFECTIVENESS------------------- 74

კესო სუმბაძე, ნინო თავბერიძე
ხელოვნური ინტელექტი (AI) ადამიანური რესურსების მართვის (არმ) პროცესებში --- 79

Keso Sumbadze, Nino Tavberidze
ARTIFICIAL INTELLIGENCE (AI) IN HUMAN RESOURCE MANAGEMENT (HRM) PROCESSES--- 79

თამარ კაჭარავა
მოზარდების გაძლიერება: პროფორიენტაცია და კარიერული
კონსულტირება სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან----------------------------- 84

Tamar Kacharava
EMPOWERING ADOLESCENTS: PROFESSIONAL ORIENTATION
AND CAREER COUNSELING FOR HIGH SCHOOL STUDENTS ---------------------------------------------- 84

Beka Skhirtladze
EFFECTS OF SOCIAL MEDIA USE ON PSYCHOLOGICAL WELL-BEING ----------------------------------- 89

ბექა სხირტლაძე
სოციალური მედიის გამოყენების ეფექტი ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე--------- 89

ნათია გოგატიშვილი, ილია სოსელია
თბილისში გასაქირავებელი ბინების ეკონომეტრიკული ანალიზი-------------------------- 94

Natia Gogatishvili, Ilia Soselia
ECONOMETRIC ANALYSIS OF APARTMENTS FOR RENT IN TBILISI ------------------------------------- 94

ნანი დესპოტაშვილი
პოლიტიკური გარემო და მისი შედეგები საქართველოს ეკონომიკაში ------------------- 98

Nani Despotashvili
POLITICAL ENVIRONMENT AND ITS CONSEQUENCES FOR THE GEORGIAN ECONOMY --------- 98

თორნიკე ბიჭიაშვილი, ალექსანდრე ეგეტაშვილი
საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში
სამართალდამცავი ორგანოების ფორმირების ისტორიისათვის -------------------------- 102

Tornike Bitchiashvili, Aleqsander Egetashvili
FOR THE HISTORY OF THE FORMATION OF LAW ENFORCEMENT
AGENCIES IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA---------------------------------------------- 102

დაუვიწყარ დღეთა ქრონიკები---------------------------------------------------------------------- 105
CHRONICLES OF UNFORGETTABLE DAYS---------------------------------------------------------------- 105

ABOUT THE CONFERENCE IN BAKU ON SEPTEMBER 16-17------------------------------------------- 106
ABOUT THE CONFERENCE IN TASHKENT ON DECEMBER 9 ------------------------------------------ 114

ჟურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ! -------------------- 118
ATTENTION JOURNAL READERS AND POTENTIAL AUTHORS! ---------------------------------------- 119

# სივრცითი დაგეგმვა და სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში
## (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა)

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.01



**ნოდარ ჭითანავა**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი,
სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს
საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების
შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თანამშრომელი
https://orcid.org/0009-0004-5716-0694
E-mail: chitanavanodar@gmail.com

**ანოტაცია**

სტატიაში განხილულია საქართველოს სასოფლო ტერიტორიების განვითარების თანამედროვე პრობლემები. ყველა ქვეყანას განვითარების ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების, შრომითი ტრადიციების, დარგობრივი სტრუქტურების და სხვ. თავისებურებები და ტენდენციები გააჩნია. აღნიშნული და სხვა პრობლემების თეორიულად გააზრება, მით უფრო პერსპექტივაში მათი განვითარების კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა ურთულესი ამოცანაა. მით უფრო საქართველოში, რომლის ტერიტორია მოიცავს უნიკალურ ბუნებრივ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ისტორიულ-კულტურულ პოტენციალს, რომელიც თანამედროვე პირობებში შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომებით უნდა იქნეს შესწავლილი და შეფასებული.

ნაშრომში გაანალიზებულია გარდამავალ პერიოდში საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების რთული პროცესების შედეგები, ახალი გამოწვევების მიზეზები. კერძოდ, როგორ მოიშალა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ორგანიზაციულ-მმართველობითი მექანიზმი, რამ გამოიწვია ეკონომიკური და სოციალური სფეროს განვითარების ერთიანი პროცესიდან ამოვარდა, მიგრაციული პროცესების გაძლიერება, სოფლად მთავარ საბაზრო სუბიექტებად წვრილი ოჯახური მეურნეობების ჩამოყალიბება, ნიადაგის დეგრადაციის გაღრმავება, კვალიფიციური კადრების დეფიციტი, სარწყავი ფართობების მკვეთრად შემცირება და სხვა.

ქვეყანაში დაფიქსირდა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კლების ტენდენცია, ასევე რეგიონების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობის კლების დონის განსხვავება. მაღალია შიდა მიგრაციისა და ემიგრაციის დონე. სოფლის ტერიტორიიდან მიგრაციის ძირითადი მიზეზი ზოგადად უმუშევრობა და სიღარიბეა. ამასთანავე ქვეყნის რეგიონები (მხარეები) განსხვავდება მოსახლეობის სიმჭიდროვით, დასახლებების სიდიდით, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპებით.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, როგორც კომპლექსური პროცესი ინტეგრირებული უნდა იყოს ტერიტორიის განვითარების ყველა მიმართულებასთან, რათა დაბალანსდეს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პრიორიტეტები. რაც გულისხმობს ტერიტორიაზე არსებული სუბიექტების ინტერესების შეთანხმებას. ამ შემთხვევაში უფრო მოხერხდება სტრატეგიული (სამოქმედო) გეგმების, პროგრამების, პროექტების რეალიზაცია, ეკონომიკური განვითარების პროცესების დაბალანსება და ტექნოლოგიური წყობების ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა. ამით მომზადდება ტერიტორიის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პირობები.

ნაშრომში დასაბუთებულია მუნიციპალიტეტის (როგორც ტერიტორიის) განვითარების ინდიკატიურ დაგეგმვაზე გადაყვანის აუცილებლობა, რომ ტერიტორიის მდგრადი განვითარების დაგეგმვისას არა მხოლოდ ორიენტირები განისაზღვრება, არამედ ამასთან ერთად – მეთოდებიც, რომ დასახული მიზანი მიღწეული იყოს. ინდიკატიური დაგეგმვის უპირატესობა ისაა, რომ დაგეგმვა იწყება „ქვევიდან“, ეფუძნება კონსულტაციების, შეთანხმებების პრინციპს და ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ინტერესებს, ამასთან ასრულებს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას.

სტატიაში წარმოდგენილი დასკვნები, რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების მომზადებასა და შემდგომ სრულყოფას.

**საკვანძო სიტყვები:** სივრცითი დაგეგმვა, გენერალური გეგმა; განაშენიანების გეგმა;
ინდიკატიური დაგეგმვა, პროგრამულ-მიზნობრივ მიდგომა.

# SPATIAL PLANNING AND PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF RURAL AREAS IN GEORGIA (CONCEPTUAL-METHODOLOGICAL APPROACH)

**Nodar Chitanava**
Doctor of Economic Sciences,
Academician of the Academy of Agricultural Sciences,
Chief Researcher of the I. Zhordania Georgian
Productive Forces and Natural Resources Study Center
https://orcid.org/0009-0004-5716-0694
E-mail: chitanavanodar@gmail.com

**ABSTRACT**

The article discusses the modern problems of the development of rural areas of Georgia. All countries have different natural-industrial, economic and social spheres of development, labor traditions, sectoral structures, etc. features and trends. Theoretical understanding of these and other problems, especially determining specific directions of their development in the future, is a very difficult task. Especially in Georgia, whose territory includes a unique natural, demographic, economic, social, historical and cultural potential, which in modern conditions should be studied and evaluated using appropriate methodological approaches.

The paper analyzes the results of the complex processes of economic transformation in Georgia during the transitional period, the causes of new challenges. In particular, how the material and technical base and organizational and managerial mechanism of agriculture were destroyed, what caused the economic and social spheres to fall out of the unified process of development, the strengthening of migration processes, the formation of small family farms as the main market entities in rural areas, the deepening of soil degradation, the shortage of qualified personnel, the sharp reduction of irrigated areas, etc.

A trend of decreasing population living in rural areas has been observed in the country, as well as differences in the level of population decline by region. The level of internal migration and emigration is high. The main reason for migration from rural areas is generally unemployment and poverty. In addition, the regions (counties) of the country differ in population density, the size of settlements, and the types of urban and rural settlements.

Local economic development, as a complex process, should be integrated with all directions of territorial development in order to balance economic, ecological and social priorities. This implies the agreement of the interests of the subjects existing in the territory. In this case, it will be more possible to implement strategic (action) plans, programs, projects, balance economic development processes and ensure the interaction of technological systems. This will prepare conditions conducive to the sustainable development of the territory.

The paper substantiates the necessity of transitioning the development of the municipality (as a territory) to indicative planning, so that when planning the sustainable development of the territory, not only orientations are determined, but also methods to achieve the set goal. The advantage of indicative planning is that planning starts "from the bottom up", is based on the principle of consultations and agreements, and takes into account the interests of different layers of society (regardless of the form of ownership), while also performing the function of providing information to the public.

The conclusions and recommendations presented in the article will contribute to the preparation and further improvement of the theoretical and methodological foundations of sustainable development of rural areas

**Keywords**: spatial planning, master plan; development plan; indicative planning, program-targeted approach.

## სივრცითი დაგეგმვა, არსი, მიზანი, ამოცანები, პრინციპები

საქართველოს ტერიტორია მოიცავს უნიკალურ ბუნებრივ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ისტორიულ-კულტურულ პოტენციალს, რომლის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზეა არსებითად დამოკიდებული მდგრადი განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გაძლიერდა ყურადღება სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი, სასოფლო ტერიტორიების განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა შექმნის პროცესშია.

არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასოფლო ტერიტორიების განვითარების პროცესი მართებულია განვიხილოთ, როგორც ინტეგრირებული სისტემა, რაც მოგვცემს საშუალებას პროცესის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები) წარმოვიდგინოთ, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ურთიერთგანპირობებულობის დონის (ხარისხის) თვალსაზრისითაც. ამ კონტექსტში მიზანშეწონილია სასოფლო ტერიტორიების ფუნქციონირების ობიექტური ანალიზი-შეფასება დავიწყოთ „სივრცითი დაგეგმვის" (მოწყობის) როლის

განსაზღვრით.

„სივრცითი მოწყობა“ მოიცავს სივრცით დაგეგმვას, მიწათსარგებლობის დაგეგმვას, მონიტორინგს, განხილვის პროცესებს და ზოგადად ეხება საჯარო სექტორის მიერ გამოყენებულ მეთოდებსა და მიდგომებს, რათა გავლენა მოახდინოს მოსახლეობის საქმიანობის განაწილებაზე სხვადასხვა მასშტაბის ტერიტორიაზე. სივრცითი დაგეგმვა შეიძლება განისაზღვროს, როგორც პრაქტიკისა და რეგულაციების კოორდინაცია, რომელიც გავლენას ახდენს სივრცით მოწყობაზე (განვითარებაზე).

დაგეგმვა აუცილებელია მუნიციპალიტეტის მომავლის განჭვრეტისათვის, რადგან იგი უდიდეს გავლენას ახდენს იქ მცხოვრებ ადამიანებზე, უფრო მეტიც, სივრცითი დაგეგმვა არის ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სექტორისა და მიწათსარგებლობის პროცესის ინტეგრაცია, ასევე საზოგადოებაში ინტერესთა თანხვედრა, რაც სივრცით დაგეგმვას საკვანძო ინსტრუმენტად გადააქცევს ქვეყნის (რეგიონის), თემის საზოგადოებრივი კეთილდღეობის უკეთესი სასიცოცხლო სივრცეებისა და ჯანსაღი გარემოს შექმნაში [1, გვ. 13].

სივრცითი დაგეგმვის პროცესი საქართველოში დაიწყო საქართველოს კანონის „სივრცითი მოწყობისა“ და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ (2005წ.) შესაბამისად. იგი შემდგომში ჩაანაცვლა - საქართველოს კანონმა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ (მიღებული იქნა 2018 წელს) და ძალაში შევიდა 2019 წლის 3 ივნისიდან. აღსანიშნავია, რომ კოდექსში შეიცვალა კანონით განსაზღვრული ტერმინი „სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვა“ „სივრცის დაგეგმარებით“, ასევე „მიწათსარგებლობის დაგეგმვა“ – „ქალაქმშენებლობითი დაგეგმვით“, „სივრცითი მოწყობის (გენერალური) სქემა“ – „სივრცის დაგეგმარების გეგმით“, „მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“ – „გენერალური გეგმით“. „ტრანსმუნიციპალური/მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა“ – „მულტიმუნიციპალური/მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმით“, „განაშენიანების რეგულირების გეგმა“ „განაშენიანების გეგმით“, „კვალიფიციური განაშენიანების რეგულირების გეგმა“ – „განაშენიანების დეტალური გეგმით“ [2, ტომი 3, გვ. 30].

პრინციპული მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კოდექსის 141 მუხლით (4 ნაწილი) ჩანაწერს: ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია 2028 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შესაბამისი სივრცითი გეგმების შემუშავება [3, გვ.79].

კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრულია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების სისტემა, მათი იერარქია და თავსებადობა. იერარქია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ა) სივრცის დაგეგმარების გეგმები: მათ მიეკუთვნება:

ა.ა) საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა;

ა.ბ) ავტონომიური რესპუბლიკის სივრცის დაგეგმარების გეგმა;

ა.გ) მუნიციპალური (მუნიციპალიტეტის) სივრცის დაგეგმარების გეგმა;

ბ) ქალაქთმშენებლობითი გეგმები. მათ მიეკუთვნება:

ბ.ა) გენერალური გეგმა;

ბ.ბ) განაშენიანების გეგმა;

ბ.გ) განაშენიანების დეტალური გეგმა.

როგორც ჩანს ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გეგმებით ხორციელდება ტერიტორიების სივრცითი განვითარება, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით - განაშენიანების მართვა.

სივრცითი დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იერარქიულად ქვემდგომი გეგმების ზემდგომ გეგმებთან თავსებადობა. ამასთან გათვალისწინებულია, რომ იერარქიულად ზემდგომი გეგმის ცალკეული ნაწილების არ არსებობა არ აფერხებს იერარქიულად ქვემდგომი გეგმის შემუშავებას. ამ ნიუანსს პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული გეგმები მიჩნეულია, როგორც ინტეგრირებული გეგმები. ინტეგრირებული გეგმა კი აერთიანებს სივრცის დაგეგმარების ყველა ძირითად საკითხს (კომპლექსურობის პრინციპი) და აყალიბებს სივრცითი განვითარების ძირითად მიმართულებებს შესაბამისი ტერიტორიისათვის.

ასევე კოდექსით განსაზღვრულია ინტეგრირებულ გეგმებთან დარგობრივი გეგმიური თავსებადობის აუცილებლობა. განმარტებულია, რომ დარგობრივი გეგმა (გარემოს დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ენერგეტიკის განვითარების, სოფლის მეურნეობის განვითარების, სატრანსპორტო სისტემის განვითარების და სხვა) არის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტი, რომლის შინაარსთან, შემუშავებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება შესაბამისი სფეროს კანონმდებლობით და რომელიც რელევანტურია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობის გეგმებისათვის. დარგობრივი გეგმების ძირითადი ასპექტები შეტანილი და ჰარმონიზებული უნდა იქნეს საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების სისტემაში. თუ როგორ უნდა იყოს თავსებადი დარგობრივი გეგმა ინტეგრალურ გეგმასთან განსაზღვრულია კოდექსის მე-7 მუხლით: **დარგობრივი გეგმა უნდა შესაბამებოდეს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების მოთხოვნებს** [3].

კოდექსის 8 პუნქტი განმარტავს, რომ დაგეგმვა ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისის ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების თავსებადობას საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირებისა და გარემოს-დაცვით მოთხოვნებთან. დაგეგმვა, როგორც წესი ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით: როგორც დასახლებულ ტერიტორიაზე ისე დაუსახლებელ ტერიტორიაზე ადამიანისთვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნა და შენარჩუნება სოციალურ ეკონომიკის მიზნის მიღწევისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ფუნქციების შესრულებაც (სრულად მოცემულია მე – 8 მუხლში). განმარტებულია ისიც, რომ გეგმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტუ-

რული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (მუხლი 14) შესაბამისად შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო (შემდგომში სააგენტო). მისი მიზნებია:

ა) სივრცითი დაგეგმვის და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმარების პოლიტიკის განსაზღვრა და გატარება;

ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის მიმართულებით ღონისძიებების გატარება.

შესაბამისად განსაზღვრულია სააგენტოს [4, გვ.2] ფუნქციებიც.

როგორია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის ამოცანები? მათ განსაზღვრავს კოდექსის მე-4 მუხლი „საქართველოს მთელი ტერიტორიის და მისი ნაწილების, დასახლებების მოწესრიგება, განვითარება და სათანადო უზრუნველყოფა, განსხვავებული დარგობრივი ინტერესების შეჯერება და დაგეგმვის სხვადასხვა დონეს შორის შესაძლო წინააღმდეგობების დაძლევა, ადამიანის საარსებო გარემოს ჰარმონიული განვითარებისათვის პირობების შექმნა. ამასთან საქართველოს ტერიტორიის ცალკეული ნაწილების განვითარება უნდა შეესაბამებოდეს სივრცის დაგეგმარების ძირითად პრინციპებს, ხოლო საქართველოს მთელი ტერიტორიის სივრცის დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ცალკეული ნაწილების განვითარების ძირითადი მოთხოვნები. აქვე განმარტებულია, რომ საქართველოს სივრცის დაგეგმარების ძირითადი მიზნები ხელს უნდა უწყობდეს მის სრულფასოვან ინტეგრაციას ევროპული და საერთაშორისო განვითარების ძირითად მოთხოვნებთან.

ამრიგად, ქვეყნისა და მისი კონსტიტუციური ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობა (განვითარება) ხორციელდება 3 დონიანი სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის სისტემით, ე.ი. **ქვეყნის სივრცითი მოწყობა; ავტონომიური რესპუბლიკების/ დაგეგმარებითი რეგიონების სივრცითი მოწყობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობა.** ეს იმას ნიშნავს, რომ სივრცითი მოწყობის დაგეგმვას გააჩნია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჰარმონიზაციის (თავსებადობის) პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონების განვითარების პროგრამის (2018-2021წწ.) მე-4 პრიორიტეტი მიეძღვნა ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკას, რომელშიც იგულისხმება სივრცითი დაგეგმვის სტიმულირებაც (მხარდაჭერა) [5].

ამჟამად ქვეყანაში არ არის შედგენილი სივრცითი მოწყობის გეგმა. რაც შეეხება რეგიონებს, მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს შემუშავებული სათანადო დოკუმენტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მოწყობის სქემა (2013 წ.), რომელიც აღიარებულია ფუნდამენტურ დოკუმენტად [2, ტომი 2, გვ.43]. ექსპერტების აზრით ამ დოკუმენტის ღირსებად მიჩნეულია, რომ იგი ხშირად დადის მუნიციპალურ დონეზე, რაც დიდად უწყობს ხელს დაინტერესებული მუნიციპალიტეტების სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმების შესრულებას. ეს კარგი მაგალითია მომავალში რეგიონული სქემების დამუშავების პროცესში გათვალისწინებისათვის, რაც შეეხება ცალკეული მუნიციპალიტეტების ძირითადად, თვითმმართველ ქალაქებს, და სათემო მუნიციპალიტეტებში მათი სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის საკმაოდ კარგი მაგალითები გვაქვს.

ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია (2018-2022) შემუშავდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (EWPARD II) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პროექტის: „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტის“ ფარგლებში.

სტრატეგია უზრუნველყოფს კონცეპტუალურ სქემას მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. საერთო მიზანია – ხელი შეეწყოს სიღარიბის დაძლევას. კერძოდ, მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის გზით [6]. სტრატეგია ხელს უწყობს ადგილობრივი თემების დაინტერესებას, ჩართვას, მათთვის რესურსებისა და საშუალებების უზრუნველყოფასა და უფლებამოსილების მინიჭებას, რომ თავის თავზე აიღონ საკუთარი ტერიტორიის (ადგილობრივი) განვითარება. ამ მიზნის მიღწევისათვის ევროკავშირის ინიციატივით გამოიყენება მიდგომა (მეთოდი) – LEADER, რაც აღნიშნავს კავშირს სოფლის ეკონომიკის განვითარების მიზნით დაგეგმილ ქმედებებს შორის [6, გვ.7]. ეს მეთოდი გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები უფრო ეფექტურია და ქმედითი, თუ დაგეგმილია და ხორციელდება ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივი მოთამაშეების მიერ.

ეს პრინციპი საფუძვლად უნდა დაედოს სასოფლო ტერიტორიების კომპლექსური განვითარების პროგრამას.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს შორის არის „მუნიციპალიტეტის სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამისი სფეროს ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის დასახელებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების [7] დამტკიცება“.

## ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სასოფლო ტერიტორიების განვითარებაში

2014 წლის კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით თვითმმართველობას ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქებსა და თვითმმართველ თემებში. თვითმმართველ ქალაქებად მოიაზრება ქალაქის კატეგორიის ის დასახელებები, რომელთაც ამ კოდექსის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. 2017 წელს თვითმმართველი ქალაქის სტა-

ტუსი ჰქონდა 5 ქალაქს. თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. ამჟამად მუნიციპალიტეტის სტატუსი მინიჭებული აქვს 64 ერთეულს. კოდექსის მიხედვით დადგენილია მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეულის და ადმინისტრაციული ერთეულის ცნებები. პირველადი ტერიტორიულ ერთეულად ითვლება დასახლების შემდეგი კატეგორიები: სოფელი, დაბა, ქალაქი. მათ აქვთ სახელწოდება, ადმინისტრაციულ საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა.

დადგენილია დასახლების კატეგორიებიც:

ა) სოფელი-დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) დაბა-დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები, ან/და სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები და, რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა.

გ) ქალაქი-დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები, ტურისტულ-სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეობათა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა, ან/და ამ კანონის მიხედვით განსაზღვრულია, როგორც თვითმმართველი ქალაქი.

დადგენილია, რომ მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად. თვითმმართველ თემში ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია ერთი ან რამდენიმე დასახლების ტეროტორიას ემთხვევა. თვითმმართველ ქალაქში ადმინისტრაციული ერთეული დასახლების ნაწილია. აქვე აღვნიშნავთ, რომ კოდექსის მოთხოვნები სოფლების ადმინისტრაციული საზღვრების ნაწილში დღესაც შესრულებული არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლების გარკვეული ნაწილი ამოვარდნილია სამართლებრივი სივრციდან. ეს მნიშვნელოვანწილად აფერხებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, კერძოდ მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმების, გენერალური გეგმებისა და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავებას და დამტკიცებას [7].

საქართველოში რეგიონულ დონეზე არსებობს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელსაც აქვს საკონსულტაციო საბჭო. იგი არ ჩაითვლება მართვის სრულფასოვან დონედ, რადგან არ არის იურიდიული პირი, არ ყავს არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო, არ გააჩნია საკუთარი შემოსავლები [2, ტომი 3, გვ.43].

### სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ტენდენციები და პერსპექტივა

ქართული სოფელი სისტემურ კრიზისშია: დემოგრაფიული სიტუაცია გამწვავდა, დაქვეითდა ცხოვრების დონე, უმუშევრობა სახეზეა, სილარიბე მწვავე პრობლემად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გაძლიერდა ყურადღება სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი, ტერიტორიის, როგორც ზემოთ აღინიშნა მდგრადი განვითარების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ბაზა შექმნილიც არ არის. სოფელს (თემს) სტატუსიც არა აქვს. ამასთან მოქალაქეთა ინიციატივაზე დაფუძნებული თვითრეგულირების ფორმები (მექანიზმი) განუვითარებელია.

ღრმად გაანალიზებული არ არის სოფლის (ტერიტორიის) ბუნებრივ-საწარმოო და სოციალურ-დემოგრაფიული პირობების დიფერენციაციის პროცესები და მათი განვითარების შესაძლებლობები. ფაქტობრივად სოფლის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა ხდება სპონტანურად (შესაბამისი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომების (ბაზის) გარეშე), ცხოვრება ადასტურებს, რომ ასე მუშაობის გაგრძელება კონტრპროდუქტიულია.

გარდამავალ პერიოდში, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ქვეყნის ტერიტორიის (რეგიონი, სოფელი) განვითარების პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა. ამიტომ ახლებურად გააზრებას მოითხოვს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასოფლო ტერიტორიების განვითარების საკითხი. ტერიტორიის განვითარების პროცესი უნდა განვიხილოთ როგორც ინტეგრირებული სისტემა, რომლის მდგრადი კომპონენტებია: მოსახლეობა (საზოგადოება), მეურნეობა (ეკონომიკა), ტერიტორია (გარემოს დაცვა). განვითარება უნდა წარიმართოს ეკონომიკურად, სოციალურად და ეკოლოგიურად დასაბუთებული, სოციალურად ორიენტირებული აღწარმოების პრინციპებით. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა აფართოებს მმართველობით ზემოქმედებას, გამოყავს პროცესი უწყებრივი (დარგობრივი) მიდგომებიდან და წარმოადგენს საფუძველს ტერიტორიის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის.

ტერიტორიის წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია მისი მდგრადობა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება სტაბილურად ფუნქციონირებს და

ადაპტირებადია გამოწვევების მიმართ, რაც არსებითია, პოტენციალის აღწარმოება ფართოვდება, კერძოდ, ნიადაგის ნაყოფიერება იზრდება, წარმოების საშუალებები ეფექტიანად გამოიყენება, მოსახლეობა მრავლდება და ა.შ. განვითარების ასეთ პროცესს გარედან მხარდაჭერა სჭირდება. მთავარი როლი ამ საქმეში ეკისრება სახელმწიფოს, რომელიც შესაბამისი ღონისძიებათა სისტემის (პოლიტიკის) განხორციელებით უზრუნველყოფს ქვეყნის (მთელის) და მისი ნაწილის (რეგიონის, სოფლის) მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას. ტერიტორიის განვითარების ინტეგრაციული ხასიათი თავად განსაზღვრავს იმის აუცილებლობას, რომ გამოყენებულ იქნას ამ სფეროში არსებული გამოცდილება და ადგილობრივ პირობებთან შეჯერებით განისაზღვროს მიდგომათა მთლიანობითი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების გადაწყვეტას, ცენტრისა და ქვეყნის ტერიტორიის ნაწილების ორგანულ ერთიანობას.

პრაქტიკაში „სასოფლო ტერიტორიის" განვითარების პრობლემების განხილვისას დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ყურადღება გადატანილია ძირითად სასურსათო პროდუქციის წარმოებაზე. ამიტომ ტერმინ „სასოფლო ტერიტორიას" მნიშვნელოვანწილად უკავშირებენ მხოლოდ იმ ადგილს, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა უპირატესად განვითარებული (აგრარულის პრიორიტეტი). თანამედროვე პირობებში გლობალურ პროცესებთან რეგიონული თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე ტერიტორიის მდგრადი განვითარების სტრატეგიამ არ უნდა გამორიცხოს აგრარული სფეროს გარდა სხვა დარგების განვითარება (ეს პროცესი რეალურად მიმდინარეობს). უფრო მეტი, დღის წესრიგში დგას ტერიტორიის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების საკითხი.

„სასოფლო ტერიტორიის" განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას ამოსავალი არ უნდა იყოს მხოლოდ აგრარული რაკურსით მიდგომა. სასოფლო ტერიტორიაზე (სივრცეში) მოსახლეობა არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშია დასაქმებული, არამედ, რესურსების მოპოვებაში, ტურიზმში, მომსახურების სფეროში, მრეწველობაში, მშენებლობაში და ა.შ.

შესაბამისი მაგალითების დასახელება შეგვიძლია სოციალისტური მეურნეობრიობის პრაქტიკიდანაც. მაგალითად, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ზესტაფონის, ტყიბულის, ტყვარჩელის და სხვა ქალაქების, ასევე რაიონული ცენტრების მცხოვრებთა ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა სოფლად, გააჩნდა საკარმიდამო მეურნეობა (აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას), სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში და სხვ. მაღალი თანრიგის პროფესიონალები იყვნენ.

ამჟამადაც, სასოფლო ტერიტორია ადგილობრივი პირობების მიხედვით ასრულებს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის, ტყის, თევზისა და სამონადირეო რეწვის და სხვა არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფის, სოციალურ-დემოგრაფიულ (ქვეყნის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების პოტრნციალის შევსების, კულტურული ტრადიციების (ხელოვნების, სამხატვრო სარეწების შენარჩუნების), ბუნება-დაცვითი (ეკოლოგიური წონასწორობის, ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნების, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების მოვლის), რეკრეაციული (მოსახლეობის ჯანმრთელობის, გაჯანსაღების, დასვენების უზრუნველყოფის) და სხვა ფუნქციებს.

აქედან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოება არ არის სასოფლო ტერიტორიის ერთმნიშვნელოვნად განმსაზღვრელი ტერმინი. იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპლექსურია, რაც უფრო სრულად გამოჩნდა გარდამავალ პერიოდში. სასოფლო ტერიტორიის განვითარება უფრო მრავალვექტორული გახდა: იზრდება არა აგრარული პროფილის სასოფლო დასახლებები, რომლებიც დაკავშირებული არიან მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციასთან, ტურიზმთან, სპორტთან. მათ შორის ერთ-ერთი მიმართულებაა შერეული ტიპის დასახლებები (აგროსამრეწველო, აგრარულ-რეკრეაციული ობიექტები და ა.შ.), მაგალითად, ენგურჰესისა და სხვა მსგავსი ობიექტების დასახლებები.

ამიტომ მომავალში პრიორიტეტი მიეცემა მრავალფუნქციონალურ (ლიტერატურაში მას პოლიფუნქციონალურსაც ეძახიან და გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის (შესრულებას) მიდგომას. ეს ლოგიკურია რიგი გარემოებების გამო: **პირველი** – მრავალფუნქციონალური განვითარება ხელს უწყობს უფრო სრულად ათვისებულ იქნას ბუნებრივ-რესურსული, სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პოტენციალი და ა.შ. და შესაბამისად ოპტიმალური გახდეს ტერიტორიის სტრუქტურა. **მეორე** – ტერიტორიის განვითარების ფუნქციები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული (ფაქტობრივად ინტეგრირებული სისტემაა). ამიტომ მათი ურთიერთკავშირების სისტემური ანალიზი-შეფასებაც აუცილებელია. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს რესურსულ ფუნქციას (მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები, ადამიანები), როცა იგი შეერწყმება ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის ფუნქციას და ორიენტირებული იქნება მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებით მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ე.ი. ასრულებს სოფლის განვითარების რესურსული ბაზის სტაბილური აღწარმოების ფუნქციას.

ანგარიშგასაწევია შემდეგი თავისებურებაც – ფუნქციები გაერთიანებულია ჯგუფებში: ეკონომიკური, სოციალური, გარემოშემქმნელი, რომლებიც წარმოადგენს ბაზისს ტერიტორიული სტრუქტურის ოპტიმიზაციის მექანიზმის შექმნისათვის. რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საშუალებით გამონთავისუფლდება შრომითი რესურსები, რომლებსაც არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმის ახალი შესაძლებლობები ექნებათ (არ დასჭირდებათ საცხოვრებლის შეცვლა).

ამჟამადაც, სასოფლო ტერიტორიების მართვას უდგებიან რეგიონული დიფერენციაციის კონტექსტში (პოზიციებიდან), რომელიც ვერ მოიცავს სასოფლო ადგილების მთელ მრავალფეროვნებას, მის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ ასპექტებს, შრომით ტრადიციებს და ა.შ. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტისათვის რიგ ქვეყნებში გამოიყენება ტიპოლოგია, რომლის განსაზღვრის საფუძველია პრობლემური

მიდგომა, ე.ი. დაჯგუფება მოხდეს პრობლემების მიხედვით და შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნას პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა. ამასთან იგულისხმება, რომ განისაზღვროს ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, ინტენსიფიკაცია, პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარება, დემოგრაფიული განვითარება, სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვ. გასათვალისწინებელია, რომ თითოეული ტერიტორიული ერთეული არაერთგვაროვანია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით და პოტენციალით. ეს საქართველოს ბუნებრივ-საწარმოო პირობებით აიხსნება. ამიტომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ზონალური სპეციალიზაციის სქემა [8, გვ.11] დაედება საფუძვლად პროგრამულ მიდგომებს და ამის შესაბამისად განისაზღვრება მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობის მიმართ სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმებიც.

ისე, როგორც სხვაგან, საქართველოშიც სოფლის სოციალურ სფეროში კრიზისის შეჩერება ვერ ხერხდება. წლების განმავლობაში შექმნილი სოციალური პოტენციალი ფაქტობრივად მილევადია. საბჭოთა პერიოდში სოფლად აშენებულმა კულტურის სახლებმა, ბიბლიოთეკებმა, საბავშვო დაწესებულებებმა, რომლებიც ადგილობრივ ორგანოებს გადაეცათ, ფაქტობრივად შეწყვიტეს ფუნქციონირება.

ამიტომ საბაზრო ურთიერთობების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა სოციალური პრობლემები. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს, რომ საბაზრო სისტემა ავტომატურად ვერ წყვეტს სოციალურ პრობლემებს, იგი ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას, ხოლო მათი განაწილების მექანიზმი ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას განეკუთვნება, რომელიც უპირატესად ეყრდნობა ეკონომიკური პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებს.

საქართველოს ტერიტორიის განვითარების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღევანდელი სოფელი (ტრანსფორმაციის შედეგად) ფაქტობრივად წარმოადგენს დეპრესიულ სოციალურ გარემოს, რომლის განმსაზღვრელი არის მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა და სიღარიბე.

სასოფლო ტერიტორიის განვითარების მიმართულებათა განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მუნიციპალიტეტები (სოფლები) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან – მოსახლეობის სიმჭიდროვით, ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, საკადრო პოტენციალით და სხვ.

ეს თავისებურება მოითხოვს სოფლების (ტერიტორიების) განვითარების ვარიანტული მიდგომების გამოყენებას (ზოგიერთი მაჩვენებლის ტიპიზაცია). აუცილებელია საქართველოს სოფლების (როგორც ტერიტორიების) კომპლექსური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტისათვის:

– დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღება და ქალაქიდან სოფლის დასახლებებში გადასვლის (დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში რურალიზაციის პრაქტიკა) სტიმულირება. მნიშვნელოვან წილად უნდა შეიზღუდოს ურბანიზაციის პროცესი. ქართულ სოფელს (თემს) განესაზღვროს პოლიტიკური სტატუსი, სოფელს (თემს) უნდა გადაეცეს მუდმივ სარგებლობაში ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი (საძოვარი, სათიბი, წყლის ფონდი, ტყის ფონდი და სხვ.).

– განხორციელდეს სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია და სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის წყაროების გაფართოება (ეკოლოგიური პროდუქციის წარმოებასთან ერთად სამკურნალო მცენარეების მოშენება, დეკორატიული მცენარეულობის განვითარების, ტყის ნობათის წარმოების, ტრადიციული სარეწეების (ხის დამუშავება, მეთუნეობა, კალათების წარმოება, ავეჯის წარმოება, საოჯახო ინვენტარის წარმოება), სასოფლო და სამრეწველო ნედლეულის გადამუშავება (ხორცისა და რძის პროდუქციის, ღვინის, არყის, მცენარეული ზეთის, თევზის, ხილის წარმოება და ა.შ.), სერვისული მომსახურების (მექანიზაციის, ზოოვეტ და მცენარეთა დაცვის საშუალებებით) გაფართოება. ფართოდ დაინერგოს დასახლებულ ტერიტორიაზე მიწის დამუშავების, აგროტექნიკური სამუშაოების, მცენარეთა და ცხოველთა დაცვის და სხვა სახის მომსახურების გაწევის პრაქტიკა.

– სოფლად თანამედროვე სოციალური, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა.

– სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ძირითად ინსტრუმენტებად უნდა იყოს გამოყენებული სოფლის (ტერიტორიის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მონიტორინგი და მიზნობრივი პროგრამა. შესაბამისად უნდა განისაზღვროს მდგრადი განვითარების ინდიკატორები, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ინსტიტუციონალური ინდიკატორები.

– სასოფლო ტერიტორიის (მუნიციპალიტეტის) კომპლექსური განვითარების პროგრამაში უნდა აისახოს არსებული ეკონომიკური, სოციალური, საკადრო, ბუნებრივ-კლიმატური პოტენციალის ამოქმედების დასახული მიზნები და ეტაპობრივი ამოცანები, დაფინანსების წყაროები და მართვის მექანიზმები. იგულისხმება, რომ პროგრამა უნდა დაეფუძნოს ტერიტორიაზე მიწის ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ მიწათმოწყობის სქემას.

– გასათვალისწინებელია რიგი სხვა ტიპის თავისებურებებიც. კერძოდ, სასოფლო ტერიტორია გეოგრაფიულ კონტექსტში გარკვეულ წილად მოწყვეტილია ქალაქს, რაც სოფლის ცხოვრების წესსა და შესაბამისად ფუნქციებზე აისახება. თანამედროვე პირობებში სოფლის ტერიტორიები წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რესურსულ ბაზას, ბუნებრივი პოტენციალის ძირითად მოსარგებლეს, ამავდროულად სამუშაო ძალას აწვდის ქალაქს. ამასთან, სოფლად მცხოვრებთა მზარდი სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოთხოვნათა (განათლება, კულტურა, მედიცინა, სპორტი და ა.შ.) დაკმაყოფილების ხელშემწყობი გარემოს შექმნა – აუცილებელი პირობაა განვითარებისათვის. ეს მხოლოდ მხარდაჭერის ტრადიციული ფორმების გამოყენებით ვერ მიიღწევა. სოციალური ინფრასტრუქტურა თანამედროვე მატერიალურ და ორგანიზაციულ

საფუძველზე უნდა ფუნქციონირებდეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფას. მწვავედ დგას ეს საკითხი განსაკუთრებით მთის ზონაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნიშნავს, რომ სახელმწიფომ დღევანდელ ეტაპზე თავის თავზე უნდა აიღოს სასოფლო ტერიტორიების მიზნობრივი პროგრამებით კომპლექსური განვითარების მხარდაჭერის ფუნქცია. მხარდაჭერის ფორმების (მექანიზმის) გამოყენება განისაზღვრება სასოფლო ტერიტორიების განვითარების თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გავეცნოთ სასოფლო ტერიტორიების განვითარების ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას.

## სოფლის (ტერიტორიის) განვითარების ევროკავშირისდა სხვა ქვეყნების გამოცდილება

უკანასკნელ პერიოდში სოფლის, როგორც ტერიტორიის განვითარების მიმართ ევროკავშირის ქვეყნებში სამი კონცეფციაა ცნობილი. **პირველი** კონცეფციის მიხედვით სოფლის განვითარების უმთავრეს პირობად მიჩნეულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდერნიზაცია. ასეთი მიდგომის (პოლიტიკის) მიზანია საწარმოო სტრუქტურების კონკურენტუნარიანობის ზრდა, განსაკუთრებით წარმოების გაფართოების გზით. ასეთ მოდელში იგულისხმება, რომ მამოძრავებელ როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო საწარმო, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდა დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან. ამიტომ მას მუდმივად საკრედიტო რესურსების დეფიციტი უჩნდება. სწორედ ამ დროს სჭირდება მას გარედან მხარდაჭერა (იგულისხმება სახელმწიფო). ეს მიდგომა დომინირებადი იყო 1980-იანი წლების პირველ ნახევარში.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში იგი ვრცელდება მხოლოდ აგროსამრეწველო კომპლექსზე. ხოლო სოფლის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც აგროსამრეწველო კომპლექსში არ მუშაობს, ბუნებრივია, შესაბამისი მხარდაჭერით ვერ ისარგებლებს. ამ მოდელის გამართლებისათვის გამოიყენებოდა შემდეგი არგუმენტები: სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა ევროკავშირის ტერიტორიის 80%; სოფლის მეურნეობა არა მხოლოდ საწარმოო ფუნქციას, არამედ გარემოს დაცვის, ტერიტორიის ლანდშაფტის გამოყენების და სხვა ფუნქციასაც ასრულებს; სოფლის მეურნეობა განიცდის საერთაშორისო სცენარების გავლენას და ამიტომ საჭიროებს სტრუქტურულ ადაპტაციას. ამასთან, ამ მოდელს მხარს უჭერენ დარგობრივი კავშირები, ასოციაციები, როგორც ევროპულ, ასევე ნაციონალურ და რეგიონულ დონეზე.

აღნიშნულთან ერთად ევროკავშირის ქვეყნებში გამოიყენება მექანიზმი, რომელიც ცნობილია **გადანაწილებითი მოდელის** სახით. ეს მოდელი სოფლის (ტერიტორიის) განვითარებას განიხილავს, როგორც უფრო ჩამორჩენილი სოფლის რაიონებისა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის გარღვევის დაძლევის (თუ შემცირების) ხერხს. მოდელის მიხედვით სოფლის განვითარება ორი პოზიციიდან ხასიათდება:

**პირველი.** სოფლის რაიონები (ტერიტორიები) უფრო მეტად სუსტად განვითარებული არიან. ისინი სტრუქტურულად ჩამორჩებიან განვითარებულ ქალაქებს (რაიონებს) არახელსაყრელი ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების არსებობის გამო. ამიტომ ასეთი ტერიტორიები საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფოსგან. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აღნიშნული მოდელის ძირითადი მიზანია მიღებულ იქნას გადანაწილების მექანიზმის ეფექტი, როგორც პირდაპირი კომპენსაციების, ასევე სტრუქტურული მხარდაჭერის ფორმით.

**მეორე.** სოფლის მეურნეობა არ არის ერთადერთი ბერკეტი, რომ განვითარების დონეებს შორის გარღვევა დაძლეულ იქნას. აღნიშნულ მოდელს ის ახსნა აქვს, რომ იგი ძირითადად ეხება მთის რაიონების განვითარებას და მათ მოთხოვნილებებს. ეს მოდელი უპირატესად 1970-1980-იან წლებში გამოიყენებოდა და აისახა კონცეფციაში „სოფლის მომავალი განვითარება“ (1988, ევროპული კომისია) და სხვადასხვა პროგრამებში. დარგობრივი მოდელისაგან განსხვავებით, ეს მოდელი ითვალისწინებს მხარდაჭერას პირველადი ტერიტორიებისადმი.

ასევე გამოიყენება **ტერიტორიული მოდელი,** რომელიც გულისხმობს სოფლის განვითარებას, როგორც ლოკალური ეკონომიკის შიდა ურთიერთკავშირების ფორმირებას. მოდელი განიხილავს ტერიტორიას, როგორც ერთობლიობას და არა აგრარული სექტორის, როგორც სოფლის განვითარების ერთადერთ მიმართულებას.

ნორვეგიაში ხელისუფლება აბსოლუტურ ფასეულობად თვლის სოფლის მცხოვრებს. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკით გლეხობას განიხილავს როგორც „ერის ძირეულ სისტემას“. შვედეთში სოფლის მეურნეობის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია კოოპერატივებთან.

საფრანგეთის აგრარული მოდელის საფუძველი ოჯახური მეურნეობებია. ე.ი. გლეხური მეურნეობა, რომელიც ეფუძნება საოჯახო შრომას. აგრარული კოოპერატივები – სოფლის მეურნეობის საფუძველია. ფერმერები კოოპერატივის წევრები არიან, ისინი გავლენას ახდენენ განაწილებაზე და ფასწარმოქმნაზე.

ახალზელანდიაში ფერმერები გაერთიანებული არიან კოოპერატივებში. განვითარებულ ქვეყნებში დაფიქსირდა ტენდენცია, როცა აგრარული სექტორის რესტრუქტურიზაციის დროს აქტიურად ინერგება აგროტურიზმი. ეს იძლევა საშუალებას შრომითი რესურსები გადაიყვანონ წარმოების ალტერნატიულ სექტორში და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. დიდ ბრიტანეთში მიღებულია სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების (განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, ფოსტა და სხვ.) სტანდარტი. როცა იგი დაცული არ არის, სოფლის მცხოვრებს უფლება აქვს მთავრობას უჩივლოს სასამართლოში [9, გვ.18-19].

მსოფლიოში სასოფლო ტერიტორიების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ორი კონცეპტუალური მოდელი გამოიყენება. პირველი მოდელის მიხედვით (ევროკავშირი, რუსეთის ფედერაცია, კანადა, თურქეთი) მხარდაჭერის პირობები და მექანიზმი განსაზღვრულია ერთიანი საკანონმდებლო აქტით. მეორე მოდელის მიხედვით მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა პროგრამებით, რომელთა რეალიზაცია ხშირად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხდება [10]. ასეთი მო-

დელი გამოიყენება აშშ, მექსიკაში, ახალზელანდიაში (პირობითად მათი ანალოგიურია საქართველოში გამოყენებული რეგიონული და დარგიბრივი განვითარების სტრატეგიები). მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასოფლო ტერიტორიების განვითარების მხარდაჭერის ძირითადი ფორმებია:

– სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ოპტიმალური პირობების შექმნა და მწარმოებელთა შემოსავლების მხარდაჭერა (სუბსიდები, დოტაციები, ფასების პირდაპირი რეგულირება, გირაოსთან დაკავშირებული ოპერაციები);
– რისკების შემცირების მხარდაჭერა დაზღვევის, კრედიტებისა და გადასახადების საშუალებით;
– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საგარეო ბაზარზე გასვლა;
– ისეთი მექანიზმების გამოყენება, რომლებიც მთავრობას უქმნის შესაბამის პირობებს განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობით შესყიდვა და გადანაწილება სასურსათო ბაზარზე ფასების რეგულირების მიზნით;
– სასოფლო ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის მრავალფეროვანი სახეების სტიმულირება;
– ნიადაგის დაცვისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება და სხვ.

ყოველივე აღნიშნული უშუალოდ ეხება სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის განვითარების სტიმულირებას, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, ინოვაციური მიდგომებით მის მოდერნიზაციას. სასოფლო ტერიტორიის გარდა ზემოთ აღნიშნული ფორმებისა გამოიყენება სხვა ფორმებიც. მაგალითად, გზების და კომუნიკაციების, კულტურის სფეროს, ისტორიული ძეგლების დაცვის, განათლების, ტურიზმის და სხვა მიმართულებებით.

ჩინეთის გამოცდილების მიხედვით, დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ინფრასტრუქტურული პროექტები მოიცავს წყალმომარაგებას, ელექტრომომარაგებას, ირიგაციას, ტრანსპორტს, ტელეკომუნიკაციების სისტემას. სიღარიბესთან ბრძოლის მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე გამოიყენება პროგრამები: სასოფლო და სამრეწველო საქმიანობის განვითარება; ღარიბი ოჯახების შემოსავლების ზრდა ეკოლოგიური კომპენსაციის მეშვეობით; საბაზო სოციალური პირობების (განათლება, ჯანდაცვა, საცხოვრებელი) უზრუნველყოფა; პარტნიორული ურთიერთოებების განვითარება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან [11].

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლად სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარება არის სოფლის განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

ამრიგად, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასოფლო ტერიტორიების განვითარებაში ძირითადად გამოიყენება შემდეგი პრიორიტეტები: სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება; ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის, სოფლის ტერიტორიებსა და სხვა ეკონომიკის დარგებს შორის განსხვავების გამოთანაბრება; ტერიტორიული განვითარება და ადგილობრივი რესურსების გამოყენება.

**როგორც ჩანს, სასოფლო ტერიტორიების მხარდაჭერის ფორმები შინაარსით (მიზნებით, განხორციელების ინსტრუმენტებით) ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ადასტურებს, რომ სოფელსა და სოფლის მეურნეობას (საერთოდ სასოფლო ტერიტორიას) ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფოსაგან აქტიური მხარდაჭერა სჭირდება. ეს საყოველთაო ისტორიული ტრადიციაა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ბუნებრივ-საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით არის განპირობებული.**

ამასთან ტერიტორიების განვითარების კომპლექსურ პროგრამაში გასათვალისწინებელია ის შესაძლებლობები (პოტენციური), რომელიც შეიქმნა ღია ეკონომიკის პირობებში გლობალური განვითარების პროცესების განვითარების ტენდენციებით. მხედველობაშია მისაღები, რომ ბუნების მიერ ბოძებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებით სასოფლო ტერიტორიებს ექმნებათ საშუალება (პოტენციალი) ქვეყნის ან მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრდნენ.

სასოფლო ტერიტორიების განვითარება მკაფიოდ უნდა აისახოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე. საერთაშორისო გამოცდილებიდან ჩანს, რომ დეცენტრალიზაციის **3 გზა** შეიძლება იქნას განხილული. **პირველი** – სახელმწიფო სერვისების განხორციელებაში ადგილობრივი ხელისუფლების როლის ზრდა. **მეორე** – კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სათემო ორგანიზაციების მიერ სერვისების გაწევა, **მესამე** – მოქალაქეების, სხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართვა ტერიტორიის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე გამოიყენება შერეული მიდგომაც (თითოეული ტერიტორიის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით).

სასოფლო ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას ბუნებრივია წამოიჭრება ადგილობრივი, რეგიონული და ქვეყნის განვითარების ინტერესების გადაკვეთა. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

**გვმართებს სწორი დასკვნები გავაკეთოთ ახლო წარსულში დაშვებული შეცდომებიდან. მხედველობაში გვაქვს 90-იანი წლების ნეგატიური მოვლენები, რაც გამოიხატა იმაში, რომ საზოგადოებრივი განვითარების (შრომის საზოგადოებრივი დანაწილების) ერთიანი პროცესის ეკონომიკური და სოციალური შემადგენლები ერთმანეთს მოწყდა (უფრო სწორად, მათი მიზნების დაპირისპირებამ განსაკუთრებული შინაარსი შეიძინა). საერთოდ, ეკონომიკური გარდაქმნების (ფორმითა და შინაარსით სრულიად ახალი ისტორიული მოვლენა-პროცესის) სტიქიურად წარმართვამ ეროვნული ეკონომიკა ღრმა კრიზისში შეიყვანა და დააჩქარა ქვეყნის საწარმოო და არასაწარმოო სფეროების გათიშვის პროცესი. საბოლოოდ, სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები მოიშალა, განვითარების ეკონომიკური და სოციალური მიზნები ერთმანეთს დაუპირისპირა (ეს ტენდენცია განსაკუთრებით სახელმწიფო საკუთრების საყოველთაო დატაცების შედეგებში გამოიხატა). ასეთ პირობებში, პოლიტიკური არასტაბილურობისა და სხვა ნეგატიურ ფაქტორთა გავლენით სახელმწიფომ (ცენტრმა) ქვეყნის**

**(მისი შემადგენელი ტერიტორიის) არამც თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, არამედ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მართვაც ვერ უზრუნველყო. ამიტომ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები მკვეთრად გაუარესდა. სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული ადგილობრივი თავისებურებანი, მეურნეობრიობის ტრადიციები, ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურა, შრომითი რესურსების მდგომარეობა. ამასთან ზოგიერთი რეგიონი (მხარე) იჩენდა თვითნებობას, ყველაზე მეტად ეს გამოჩნდა საგადასახადო პოლიტიკაში.**

შექმნილი მდგომარეობის ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ცენტრმა უნდა შექმნას სათანადო პოლიტიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული საფუძვლები მისი ნაწილის (მხარის, მუნიციპალიტეტის, სოფლის თემის) ინტერესების დასაცავად. ეროვნული ეკონომიკა ქვეყნის რეგიონების (მხარეების, მუნიციპალიტეტების) ეკონომიკის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია, მათი თავისებურებების, ტენდენციების, კანონზომიერებათა, სამეურნეო-ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობაა. ამიტომ აუცილებელია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირობების, ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა სრულად გათვალისწინება. თითოეულ რეგიონს (მხარეს) აქვს თავისი სოციალური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური ინტერესი. მათი საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან ოპტიმალური შეხამებით ყალიბდება ორმხრივი ინტერესების ერთიანი პროცესით საერთო-ეროვნული მიზნების განხორციელების პირობები. **ამრიგად, ორივე მოქმედებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიით, ქვეყნის და მისი ტერიტორიული ერთეულების ინტერესების შეხამებით და ერთიანი პოლიტიკური სქემით: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარება წარიმართოს ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში.**

სამეცნიერო ლიტერატურაში სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

– ეკოლოგიური – ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, ეკონომიკურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება, სურსათის უსაფრთხოება.

– აღწარმოების პროცესების მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, სოფლის მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთმოქმედების/თანამშრომლობის გაუმჯობესება, მეწარმეობის განვითარება, მომიჯნავე დარგების ინტეგრაცია.

– ტერიტორიის თვითგანვითარების მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების მომზადება. ამ მიზნით მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ინტეგრაცია მცირე მეწარმეობის სუბიექტებთან, მათ შორის წვრილ ოჯახურ მეურნეობებთან. სასოფლო ტურიზმის და სხვა **სოფელწარმომქმნელი დარგების** განვითარების სტიმულირება.

– ტერიტორიის რეკრეაციული რესურსების (საკურორტო მეურნეობა, სასოფლო ტურიზმი და სხვა) რაციონალური გამოყენება ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციების, ტერიტორიის თვითმყოფადობის შენარჩუნებას და სხვა არამატერიალურ ფასეულობათა დაცვას, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომიჯნავე დარგების (ინფრასტრუქტურა) განვითარებას. რაც არსებითია განვითარების მასშტაბი გამოიწვევს სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდით დაინტერესებას.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, როგორც კომპლექსური პროცესი ინტეგრირებული უნდა იყოს ტერიტორიის განვითარების ყველა მიმართულებასთან, რათა დაბალანსდეს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პრიორიტეტები. ამით უფრო გაფართოვდება დროის ჰორიზონტი და პროცესი მაქსიმალურად ინტეგრირებული გახდება სახელმწიფოს გრძელვადიან სტრატეგიასთან. უფრო მოხერხდება სტრატეგიული (სამოქმედო) გეგმების, პროგრამების, პროექტების კონცენტრაცია და რეალიზაცია, ეკონომიკური განვითარების პროცესების დაბალანსება და ტექნოლოგიური წყობების ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ტერიტორიის მდგრადი განვითარების პირობების მომზადებას.

უნდა გავითვალისწინოთ მწარე გამოცდილების შედეგებიც. კერძოდ, საქართველოში ეკონომიკური რეფორმები, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა (იგულისხმება საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდი). ეკონომიკის ტრანსფორმაციას ახალი მიდგომები დასჭირდა. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხო პროგნოზირებასა და სტრატეგიულ დაგეგმვას. გასაგები მიზეზებით იგი „სოციალიზმის გადმონაშთად" მიიღო საზოგადოებამ, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა საბაზრო ეკონომიკაზე. იმძლავრა პრიმიტიულმა შეხედულებამ: **რომ საბაზრო ეკონომიკა – თავისუფლებაა და იგი დაგეგმვას არ ექვემდებარება.** ასეთი „შეხედულების" ფონზე წარიმართა რადიკალური რეფორმები. მძიმე შედეგებიც მივიღეთ. დაგეგმვის იგნორირებამ ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და პრივატიზაციის პირობებში, გამოიწვია შიდასამეურნეო კავშირების რღვევა, პროცესების სტიქიურად განვითარება, რამაც, ბუნებრივია, ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების კატასტროფულ დაცემას, კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემის მოშლას, სამეცნიერო სიახლეთა დანერგვის უგულებელყოფას, სამუშაო ძალის მიგრაციას, სოფლად ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემას და სხვ.

### სასოფლო ტერიტორიების განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის სისტემის ფორმირების საკითხები

თანამედროვე პირობებში, როცა საბაზრო სისტემა ჩამოყალიბებულია სოფლის მეურნეობის დეპრესიული მდგომარეობის შეცვლის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მიმართულებას წარმოადგენს ტერიტორიის განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის სისტემის ფორმირება (მოიცავს პროგნოზირებას, მიზნობრივი პროგრამების დამუშავება-განხორციელებას და ა.შ.).

ეს განპირობებულია თანამედროვე პირობებში

ეკონომიკური დაგეგმვის როლის უფრო ზრდის აუცილებლობით. ამასთან თვისებრივად შეცვლილია სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური დაგეგმვის მიზანი და ამოცანებიც, ფორმები და მეთოდებიც, საგეგმო გადაწყვეტილებების მიღების კატეგორიებიც. ეროვნულ ეკონომიკაში ფორმირებადი მრავალწყობიანობის (წვრილი სასაქონლო წყობა, კერძო, სახელმწიფო, შერეული და ა.შ.), ე.ი. პლურალიზმის პირობებში ეკონომიკური დაგეგმვა განიხილება, როგორც ერთი მხრივ, სახელმწიფოს მეორე მხრივ, პროდუქციის (მომსახურების) მწარმოებლების და მესამე მხრივ, ტერიტორიის კომპლექსური განვითარების ინტერესების კოორდინაციის მექანიზმი. დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია **მიზნობრივი პროგრამა,** რომელშიც კონცენტრირებულად იქნება წარმოდგენილი მატერიალური, ფინანსური, შრომითი რესურსები, მათი ეფექტიანად გამოყენების მექანიზმი.

**ინდიკატიური დაგეგმვის არსი ისაა, რომ განისაზღვროს განვითარების მიზნობრივი და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ორიენტირები, სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალის კონსოლიდაციით მიღწეულ იქნას სასურველი შედეგები. ინდიკატიურ დაგეგმვაში პრიორიტეტები განისაზღვრება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივებში.**

იმისათვის, რომ დაინერგოს სასოფლო ტერიტორიების (მუნიციპალური) განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის პრინციპები (სისტემა), აუცილებელია: **პირველი** – მოსამზადებელ ეტაპზე სამართლებრივი ბაზის ფორმირება, მეთოდური რეკომენდაციების და ინდიკატორთა სისტემის დამუშავება და მონიტორინგი. **მეორე** – ინდიკატიური დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება (მოიცავს პროგნოზირებას, ბიუჯეტური და ინვესტიციური პროცესების მართვას, სახელმწიფო დაკვეთას, მიზნობრივი პროგრამების ფორმირებას და ინდიკატიური გეგმის შემუშავებას). **მესამე** – ინდიკატიური მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს ტერიტორიის განვითარების მართვის ყველა ციკლს.

**აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერიტორიის განვითარების დაგეგმვა-მართვის თანამედროვე ფუნქცია – არა მხოლოდ ორიენტირებს ადგენს, არამედ ამასთან ერთად განსაზღვრავს მეთოდებს, რომ დასახული მიზანი მიღწეული იყოს. მოკლედ რომ ვთქვათ, ინდიკატიური გეგმა – განვითარების კომპასის ფუნქციას ასრულებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მუნიციპალიტეტებს, როგორც ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს უნდა ჰქონდეთ ინდიკატური დაგეგმვისა და მართვის სისტემა, რომელსაც აქვს ინფორმაციულ-საორიენტაციო ხასიათი (და არა დირექტიული).**

მოცემული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ინდიკატიურ გეგმაში მკაფიოდ უნდა აისახოს გარდამავალი პერიოდის თავისებურება – ექსტენსიური და ინტენსიური მეთოდების შეხამების აუცილებლობა. ექსტენსიური განვითარება დაკავშირებულია არსებული რესურსების გამოყენებასთან, რაც დასაქმების პრობლემების კომპლექსურად განხილვას საჭიროებს. რაც შეეხება განვითარების ინტენსიურ გზას – იგი განიხილება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება-დიფერენციაციის კონტექსტში და გულისხმობს სპეციალიზაციის დონის ამაღლებას და შესაბამისად სამეურნეო კავშირების კომპლექსურობას. ამიტომ აუცილებელია განვითარება წარიმართოს ექსტენსიური და ინტენსიური მეთოდების ერთიანობით. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტორი მუდმივმოქმედი არ არის. იგი კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში ადეკვატურად გამოვლინდება, განსაკუთრებით განვითარების გარდამავალ ეტაპზე. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებრივ წარმოებასა და გეოგრაფიულ გარემოს შორის ჩამოყალიბებული რთული ურთიერთკავშირები სიტუაციის შესაბამისად დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი ყურადღება გადატანილი იქნება ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების ინკლუზიურ გეგმაში უნდა განისაზღვროს ადგილზე არსებული რესურსული პოტენციალის (ბუნებრივი, შრომითი, საწარმოო, რეგიონთაშორისი კოოპერაცია, საგარეო-ეკონომიკური კავშირები, კვალიფიკაციის დონე და სხვ.) ამოქმედების ღონისძიებანი.

**თანამედროვე პირობებში ინდიკატიური დაგეგმვის უპირატესობა ისაა, რომ განვითარების პროცესის დაგეგმვა ხდება „ქვევიდან", ეფუძნება კონსულტაციების, შეთანხმების პრინციპს და ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ინტერესებს, ამასთან ასრულებს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას.**

სასოფლო ტერიტორიების განვითარების ინდიკატური დაგეგმვის ამოცანაა ხელი შეუწყოს მთავრობის მიმდინარე და საშუალო ვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, პრიორიტეტების და მათი მიღწევის გზების ძიებას, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, დარგისა და სოციალური ჯგუფის ინტერესების კოორდინაციას.

**აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პარლამენტმა 2006 წელს გააუქმა „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ" კანონი, რამაც გააღრმავა და დააჩქარა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებიდან სახელმწიფოს თანდათანობით ჩამოცილების პროცესი.**

აღნიშნული კანონი გაუქმდა „რეფორმატორთა" სუბიექტური მოსაზრებების გავლენით, როგორც „სოციალიზმის გადმონაშთი", მაშინ, როცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამ სტრიქონების ავტორის უშუალო მონაწილეობით) მიერ მომზადებული საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის მეთოდიკა 2003 წელს დაამტკიცა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ. მეთოდიკით, რომელიც პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში, ინდიკატიური დაგეგმვა განისაზღვრა განსაკუთრებულ, წინასწარ დაგეგმილი წესით კოორდინირებულ მეცნიერულ-ანალიტიკურ და პროგნოზული დამუშავების სისტემად. მისი მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამის რეალურ მისაღწევ ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) ჩამოყალიბება და მათი უზრუნველყოფისათვის საჭირო

ღონისძიებათა შემუშავება. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ აღნიშნული კანონის გაუქმებამ ქვეყანაში სტრატეგიული დაგეგმვის იგნორირება გამოიწვია. ეს მაშინ, როცა მსოფლიო გამოცდილება, ასევე საქართველოს და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტრანსფორმაციული პროცესების თანმდევი ტენდენციები ადასტურებს, რომ ეკონომიკური დაგეგმვა განვითარების ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო იერარქიის ყველა დონეზე აქტიური ინსტრუმენტია. ფორმითა და შინაარსით კოორდინაციის ყოვლისმომცველი მექანიზმია. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ისიც ცხადია, რომ საბაზრო სუბიექტები უნდა იცნობდნენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივ ორიენტირებს, რათა ობიექტურად განსაზღვრონ საკუთარი საქმიანობა, კონკრეტული გარემოს მოთხოვნები და მის შესაბამისად მოსალოდნელ სიტუაციებთან ადაპტირების პირობები.

**განვლილ პერიოდში ინდიკატიური გეგმის განსაკუთრებული ფუნქციაც გამოვლინდა: სახელმწიფო და საზოგადოება მუდმივად გრძნობს ქვეყნის განვითარების მაჯისცემას და ამასთან დაგეგმილ პროცესში დროულად შესაბამისი კორექტივების შეტანის საშუალება აქვს. ამასთან ეკონომიკური დაგეგმვა თვითმიზანი არ არის. იგი სტრატეგიული მიზნის – მთელი საზოგადოების მზარდი მატერიალური და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ერთ-ერთი, მაგრამ ჩაუნაცვლებელი საშუალებაა (ინსტრუმენტი). თანამედროვე სახელმწიფოს ექსკლუზიური ფუნქციაც სწორედ ეს არის.**

ამრიგად, ინდიკატიური დაგეგმვა არის გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის ერთიან სივრცეში შერეული ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტური პროცესი, ეყრდნობა საკუთრების ფორმებისა და კოორდინაციის მექანიზმების შეთანწყობილ მოქმედებას, ეკონომიკის განვითარების პროგნოზებს, მრავალვარიანტულობას, განსაზღვრავს მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელთა სისტემის ინდიკატორებს, ინტეგრაციული პროცესების მიმართულებებს, პროპორციებს, ტემპებს. ინდიკატიური გეგმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის მაორგანიზებელი, მაკოორდინირებელი მექანიზმია ინტერესების სისტემის: (პიროვნება-კოლექტივი-საზოგადოება-სახელმწიფო) უკეთ შეხამებისა და მაკროეკონომიკური წონასწორობისათვის განსაზღვრულ დროში ეკონომიკის სასურველ მდგომარეობამდე მიყვანისათვის. ამასთან ინდიკატიური გეგმა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების საფუძველია.

იმათ საყურადღებოდ, ვინც უგულებელყოფს სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობას (საბაბით, რომ იგი თითქოს დირექტიულია) შევახსენებთ, რომ გეგმის, პროგნოზის, პროგრამის პროექტები, ანუ დაგეგმვის შედეგად წარმოებული პროდუქცია არ ყალიბდება, როგორც დირექტიული. ამ სტატუსს (საჭიროებისამებრ) მას ანიჭებს შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილება.

**გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური დაგეგმვის ამოსავალი საწყისი (ორიენტირი) უნდა იყოს „სამუშაო ადგილი“ და ბაზარი (წარმოებითი ურთიერთობების მექანიზმი) კონკურენტუნარიანობის გარემო („უხილავი ხელი“), როცა ეკონომიკური პროცესის მოქმედების სივრცე განისაზღვრება „ხილული ხელის“ (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) მონაწილეობით და მათ შორის კოორდინაციის ფუნქციები სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის (საბაზრო ლოგიკა) საფუძველზეა განაწილებული.**

შერეულ ეკონომიკაში, ასევე ბაზრების გლობალიზაციის პირობებში ინდიკატიური დაგეგმვის ტრანსფორმირება ხდება სტრატეგიულ ფორმაში, რაც მოითხოვს სუბიექტების ინტერესების შეთანხმებას. ყველაზე გაშლილ და სრულყოფილ ფორმად მიჩნეულია ინდიკატიური დაგეგმვის სტრუქტურული ფორმა, რაც გულისხმობს დაგეგმვის პრინციპების გავრცელებას განვითარების ყველა დონეზე – საწარმო (დარგი), მუნიციპალიტეტი, რეგიონი (ტერიტორია), სახელმწიფო (ტერიტორია).

დღეს მთავარია ინდიკატიური დაგეგმვის რეგიონული (მუნიციპალიტეტების) მოდელის ჩამოყალიბება, მისი მეთოდოლოგიური, მეთოდური და ინფორმაციული უზრუნველყოფა.

## დასკვნები და რეკომენდაციები

- სასოფლო ტერიტორია ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სივრცე-რესურსია, რომლის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებაზეა არსებითად დამოკიდებული მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება (ეროვნული უსაფრთხოების ჩაუნაცვლებელი ნაწილი), ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა (აუცილებელი პირობა საზოგადოების განვითარებისათვის), ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება. ამიტომაა, რომ სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ამოცანა.
- **ცნება „მდგრადი განვითარება“ დამკვიდრდა 1992 წლიდან და გულისხმობს ეკონომიკის ისეთ განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას როგორც მოკლე, ასევე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. იგი ეფუძნება აღიარებულ პრინციპს, რომლის შესაბამისად საზოგადოების დღევანდელი მოთხოვნილებები ისე უნდა დაკმაყოფილდეს, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს ინოვაციურ მიდგომებს. მდგრადი განვითარების პრინციპი პრიორიტეტს ანიჭებს ღარიბებს, მათი შესაძლებლობების გაფართოებას. უფრო მეტიც, სიღარიბის აღმოფხვრა აღიარებულია მდგრადი განვითარების აუცილებელ პირობად.**
- **საერთო აღიარებით, სასოფლო ტერიტორია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთიან ტერიტორიულ სივრცეს (კომპლექსს), რომელიც ასრულებს საწარმოო-ეკონომიკურ, სოციალურ-დემოგრაფიულ, კულტურულ, ბუნება დამცველ, რეკრეაციულ და სხვა ეროვნულ (სახელმწიფოებრივ) ფუნქციებს. ამრიგად იგი (ტერიტორია) რთული ბუნებრივ-სამეურნეო ინტეგრირებული სისტემაა, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ქვესისტემებით ასრუ-**

**ლებს შესაბამის ფუნქციებს. კერძოდ, საწარმოო – იგულისხმება საზოგადოების სურსათით დაკმაყოფილება და ეკონომიკის სხვა დარგებისათვის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდება; დემოგრაფიული – სოფლის მოსახლეობის აღწარმოება; სოციალური – სასოფლო წყობის, სოფლის (თემის) ცხოვრების წესის შენარჩუნება; ბუნება-დაცვითი (ეკოლოგიური) – ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა; კულტურულ-ეთნიკური – კულტურის ტრადიციების დაცვა, ნაკრძალების, პარკების, ლანდშაფტების მოვლა-პატრონობა; სივრცითი კომუნიკაციები – გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, კავშირგაბმულობის, წყალსადენებისა და სხვა საინჟინრო კომუნიკაციების მოვლა. რეკრეაციული – დასვენების, სპორტის, ჯანმრთელობის პირობების შექმნა; ზნეობრივი – ზნეობრივი პოტენციალის შენარჩუნება და განმტკიცება და სხვ.**

- ტერიტორიის სივრცითი დაგეგმვა ემყარება მდგრადი განვითარების აღიარებულ პრინციპებს და ხორციელდება სამ დონიანი სივრცითი დაგეგმვის სისტემით **(ქვეყნის სივრცითი მოწყობა, ავტონომიური რესპუბლიკების რეგიონების სივრცითი მოწყობა, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობა).** იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის სივრცითი მოწყობის გეგმის შედგენა მომავალში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერიოდამდე გადადებულია, უნდა დაჩქარდეს მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმის ფორმირების პროცესი. ეს პრინციპული საკითხია და დაკავშირებულია სასოფლო ტერიტორიების მდგრად განვითარებასთან და ითხოვს სახელმწიფოს ადეკვატური რეგიონული პოლიტიკის განხორციელებას. ამისათვის საჭიროა სასოფლო ტერიტორიების (მუნიციპალიტეტების მიხედვით) განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ობიექტური შეფასება, განვითარების ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრის საფუძველზე სპეციალიზებული მაღალ-ტექნოლოგიური წარმოების ფორმირება, რეგიონთა შორის გაცვლის (რეგიონთაშორისი კოოპერაცია, ფრანჩაიზინგის სისტემა, ერთობლივი საწარმოები და სხვ.), სრულყოფილი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება და სხვ.
- აუცილებელია სასოფლო ტერიტორიების განვითარების პროგრამების სინქრონიზაცია. იგულისხმება სახელმწიფო, დარგობრივი, მუნიციპალური, ინვესტიციური (ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების პროგრამები, გზების, გაზსადენების, წყალმომარაგების ქსელების მშენებლობის პროექტები და სხვა). სახელმწიფო პროგრამაში სასოფლო ტერიტორიების კომპლექსური მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების გამოყოფა ტელეკომუნიკაციების, ინფორმაციის გადამცემი ხაზების მშენებლობისათვის .
- დღემდე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ „სასოფლო ტერიტორიას“ მნიშვნელოვანწილად უკავშირებენ მხოლოდ იმ ადგილს, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა განვითარებული (აგრარული სექტორი სისტემა შემქმნელი ფაქტორი). თანამედროვე პირობებში, როცა გლობალური პროცესები მასშტაბურად და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სწრაფად ვითარდება, სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების სტრატეგიამ არ უნდა გამორიცხოს აგრარული სფეროს გარდა სხვა დარგების განვითარება. კერძოდ, დღის წესრიგში დგას ტერიტორიის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების საკითხი. ანალიზით მტკიცდება, რომ ტერიტორიის განვითარებას უნდა მივუდგეთ კომპლექსურად, განვიხილოთ, როგორც ინტეგრირებული სისტემა, მისი ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური ქვესისტემებით. მომავალში პრიორიტეტი მიეცემა მრავალფუნქციურ მიდგომას. რაც ხელს შეუწყობს უფრო სრულად იქნეს ათვისებული ბუნებრივ-რესურსული, სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პოტენციალი და შესაბამისად ოპტიმალური გახდეს ტერიტორიის მართვის სისტემა, ამასთან უფრო მოხერხდება ტერიტორიის რესურსული ბაზის სტაბილური აღწარმოება.
- პრინციპული მნიშვნელობა აქვს ტერიტორიის განვითარების ინდიკატორების შერჩევას. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის წარმოება, დემოგრაფიული განვითარება, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა და ა.შ.
- საბაზრო ურთიერთობების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სოფლად ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სოციალური პრობლემებია. დღევანდელი სოფელი ფაქტობრივად წარმოადგენს დეპრესიულ სოციალურ გარემოს, რომელსაც არსებულად მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა და სიღარიბე განსაზღვრავს. ამიტომ სასოფლო ტერიტორიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება უნდა მოხდეს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტისათვის:
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება და ქალაქიდან სოფლის დასახლებებში გადასვლის (დასავლეთის ქვეყნებში ამ პროცესს რურალიზაციას ეძახიან) მატერიალური და მორალური სტიმულირება. შესაბამისი კანონმდებლობით, უნდა შეიზღუდოს ურბანიზაციის პროცესი. სოფელს (თემს) ადგილობრივი პირობების შესაბამისად უნდა განესაზღვროს სტატუსი. მას უნდა გადაეცეს პირველ ეტაპზე მუდმივ სარგებლობაში ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი (საძოვარი, სათიბი, წყლის ფონდი, ტყის ფონდი).
- მიზნობრივად განხორციელდეს ეკონომიკის დივერსიფიკაცია, თანამედროვე სოციალური, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვ. ტერიტორიის (მუნიციპალიტეტის) კომპლექსური განვითარების პროგრამაში უნდა აისახოს ეკონომიკური, სოციალური, ბუნებრივ-კლიმატური, საკადრო პოტენციალის ამოქმედების მიზნები და ეტაპობრივი ამოცანები, დაფინანსების წყაროები და მართვის მექანიზმები. სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების მხარდაჭერის ფუნქცია.
- ტერიტორიების კომპლექსური განვითარების პროგრამის კონცეპტუალური საწყისი უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპი, ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა. ამიტომ თვისებრივად განსხვავებული მიდგომაა საჭირო

რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ბაზის განსაზღვრისადმი. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტების ტერიტორიის განვითარების პროცესი განვიხილოთ როგორც ინტეგრირებული სისტემა, რომლის მდგრადი კომპონენტებია: მოსახლეობა (საზოგადოება), მეურნეობა (ეკონომიკა), ტერიტორია (გარემო). მათი განვითარება უნდა წარიმართოს ერთიან კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე. ამით მიიღწევა ტერიტორიაზე მმართველობითი ზემოქმედების ეფექტიანობა, რომელიც დააჩქარებს მდგრადი განვითარების გარემოს შექმნას.

- სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია ტერიტორიის განვითარების მონიტორინგი და მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც შესაბამისი ინდიკატორები, როგორც მიზანი და ამოცანები განსაზღვრულია. ასეთი პროგრამის ფორმირება უნდა მოხდეს ტერიტორიის სივრცის დაგეგმარების გეგმისა და მიწის ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული მიწათმოწყობის სქემის საფუძველზე. საქართველოს სივრცის დაგეგმარების „არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141 მუხლით (4 ნაწილი) განსაზღვრულია, რომ ყველა მუნიციპალიტეტს 2028 წლის 1 იანვრამდე უნდა ჰქონდეს ტერიტორიის სივრცის გეგმა (კოდექსი, გვ.79). რაც შეეხება მიწების ინვენტარიზაციას, მის ჩატარებას საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებში რატომღაც მიზანშეწონილად არ თვლიან. ხშირად არგუმენტად მოჰყავთ მიწის რეფგისტრაციის შედეგების საკმარის ინფორმაციულ წყაროდ აღიარება. ზოგიერთის აზრით, მისი ჩატარება მიზანშეუწონელია იმის გამო, რომ დიდ მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ქვეყნის განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიწის სრული ინვენტარიზაცია და მის საფუძველზე მიწათსარგებლობის სქემის შედგენა აუცილებელია. **ჯერ ერთი,** თანამედროვე პირობებში საგანგებო ყურადღება სჭირდება მიწის ნაკვეთების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციას, კონსოლიდაციას, რაც გულისხმობს ახალი მიწების ათვისებას, დარღვეული მიწების რეკულტივაციას, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას, დაჭაობებული მიწების დაშრობას, მიწების გასარწყავებას, სავარგულების ინტენსიფიკაციას, ცალკეულ კულტურათა გაადგილებას და სხვ. ეს ნიშნავს იმას, რომ მიწათმოწყობის სამუშაოებს მრავალფუნქციური მნიშვნელობა აქვს. **მეორე**, ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა სოფლებისა და დასახლებების საზღვრების დადგენა, სასაზღვრო დავების გადაწყვეტა. არასრული ინფორმაციით ქვეყანაში მიწის ნაკვეთების რაოდენობა მრავალჯერ გაიზარდა (მიახლოებით 3-3,5 მლნ ნაკვეთს შეადგენს). თითოეულ მათგანს შესაბამისი დოკუმენტის შედგენა სჭირდება. ეს და სხვა გარემოებებიც ადასტურებს იმას, რომ მიწის ინვენტარიზაცია, რომლის მიზანია მოამზადოს მიწის რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველი, გარდაუვალია (ცნობისათვის, 1990 წლის შემდეგ საქართველოში მიწის ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა). ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ მიწათსარგებლობაში მოუგვარებელია აღრიცხვა, მიწის დეგრადაციის პროცესი ღრმავდება, მიწის კატეგორიების შეცვლის გამოყენებული წესი ასტიმულირებს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების არა დანიშნულებისამებრ გამოყენებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მიწათმოწყობის ერთიანი სამსახურიც არ არსებობს (აშშ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილია მიწათმოწყობის ბიურო, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ატარებს მიწის ინვენტარიზაციას). მიზანშეწონილია 2028 წლამდე მუნიციპალიტეტების ტერიტორიის სივრცის დაგეგმარების გეგმის შედგენასთან ერთად მომზადდეს საფუძველი სახელმწიფო მიწის ფონდის სრული ინვენტარიზაციის ჩასატარებლად.

- სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. თუმცა დღეს ამ პროცესის მართვის ერთიანი სისტემური მიდგომა არ გამოიყენება. სახელმწიფო, რეგიონული, დარგობრივი სტრატეგიები (რაც რეფორმებში წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს) უფრო მეტად დეკლარაციული ხასიათისაა. დასახული მიზნები და ამოცანები არ ემყარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით შემოთავაზებულ სიახლეებს (ეს უფრო მეტად ეხება მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას), ასევე ეკონომიკის დივერსიფიკაციის, საწარმოო და შრომითი რესურსების აღწარმოების, ცხოვრების დონის (ხარისხის) ამაღლების საკითხებს. ეს იმიტომ ხდება, რომ „სტრატეგიები“ მოწყვეტილია რეალობას, არ მოიცავს მექანიზმებს, რომელთა გამოყენებით განვითარების პროცესი მიზნობრივად უნდა წარიმართოს. ამჟამად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა რთულ კვანძებად ფორმირებულ პრობლემათა ერთობლიობაა, რომელთა გადაწყვეტა მოკლე პერიოდში შეუძლებელია. იგი ეტაპობრივად და კომპლექსურად მოითხოვს ქვეყნის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ამოქმედებას. ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ პრობლემების გადაწყვეტას მარტო ვერ შევძლებთ, აუცილებელია მსოფლიო თანამეგობრობის (მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების) მხარდაჭერა, ინვესტიციები, პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, ზოგად საკაცობრიო ფასეულობებთან ეროვნული ფენომენის თავსებადობა, რაც მთავარია, ყოველივე ამის ფონზე საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვის უნარი უნდა გვქონდეს. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ რთული პროცესების მართვა მხოლოდ პროგრამული მიდგომებით არის შესაძლებელი. ეკონომიკური დაგეგმვისა (პროგრამების) და საბაზრო მექანიზმების თანაარსებობა აუცილებელია. ისინი ანტიპოდები არ არიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ამით (ურთიერთზემოქმედებით) აღწევენ ეფექტიანობას.

- პროგრამულ-მიზნობრივ მიდგომას ის უპირატესობა აქვს, რომ მასში აისახება ლოგიკური კავშირი დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის რესურსულ და პოლიტიკურ-ორგანიზაციულ ფაქტორებს შორის, რეალურად განისაზღვრება ადგილობრივი, ბუნებრივი და საწარმოო პირობების, ფაქტორების, რეზერვების კომპლექსურად გამოყენების გზები და საშუალებები, რაც ხელს უწყობს რესურსების მიზნობრივ კონცენტრაციას.

როგორც წესი, ტერიტორიის მდგრადი განვითარების

პროგრამაში სამ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

**პირველი** – ტერიტორია (ჩვენს შემთხვევაში სასოფლო მუნიციპალიტეტი) განვითარების რომელ საფეხურზეა, როგორია მისი ფუნქციონირების ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური თავისებურებები, ტენდენციები. ეს გვჭირდება იმისათვის, რომ ვიცოდეთ როგორია განვითარების სასტარტო ბაზა, საზოგადოების ქცევის მოტივაცია, გლობალურ პროცესებთან ადაპტირების დონე, ინტეგრაციული პროცესების განვითარების ხარისხი, სივრცობრივი ასპექტები, ცხოვრების დონე და ა.შ., რაც საფუძვლად უნდა დაედოს განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის პროგნოზირებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად და ერთიან კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომებით შეფასდეს არსებული მდგომარეობა.

**მეორე** – როგორია ტერიტორიის განვითარების სტრატეგიული მიზანი. ამ შემთხვევაში საკმარისი არ იქნება ვიცოდეთ მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობები, აუცილებელია გარემო და სხვათა ინტერესების (მომიჯნავე ტერიტორიების) შესწავლა-შეფასება, მათი თანხვედრის, თუ დაპირისპირების, მოსალოდნელი გამოწვევების პროგნოზირება (ეს ძირითადად ეხება ბუნებრივი რესურსული პოტენციალის გამოყენებას), რათა განვითარების ოპტიმალური მიმართულებები განისაზღვროს.

**მესამე** – როგორ, რომელი რესურსებით (ნიადაგი, წყალი, წიაღისეული, შრომითი და სხვა) და რა პერიოდში ვგეგმავთ დასახული სტრატეგიული მიზნის მიღწევას. ამისათვის საჭიროა სწორად განისაზღვროს განვითარების ადეკვატური ფორმები და მექანიზმები, დაფინანსების წყაროები. ასეთი მიდგომებით შედგენილი პროგრამის პროექტს იხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. მისი განხორციელებისათვის განისაზღვრება მონიტორინგის შესაბამისი ფორმა.

**სასოფლო ტერიტორიის განვითარების პროგრამის ძირითადი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:**

– ქვეყნის, კერძოდ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება-მოდერნიზაცია ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორია. იგი არა მხოლოდ ექსკლუზიური როლით (ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფა) განისაზღვრება, არამედ იმითაც, რომ მისი განვითარების მასშტაბებსა და ეფექტიანობაზეა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის ახალი (საბაზრო პრინციპებზე) დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაც. სასოფლო წარმოება ამოსავალი საბაზრო საწყისია მომიჯნავე დარგების განვითარებისათვის, კერძოდ ნედლეულის გადამამუშავებელი, ქიმიური, სასოფლო მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგების განვითარებისათვის.

– გეოეკონომიკის, როგორც განვითარების სტრატეგიული რესურსის ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის პროცესში აქტიური როლის შესრულებაში. გაიზრდება მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, ახალ ტექნოლოგიებზე, კვალიფიციურ მუშახელზე და ა.შ. ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებით გაძლიერდება წვდომა რესურსებზე, კაპიტალის, პროდუქციისა და სამუშაო ძალის უფრო ეფექტიანად გამოყენებაზე.

– სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში განსაკუთრებული როლი აკისრია მიწათმოწყობას. მისი ახალი სისტემის შექმნის რთული ამოცანა მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს, კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის, მართვის ორგანიზაციული სისტემის, ეკონომიკური მექანიზმის ახალ პრინციპებზე ფორმირებას. მწვავედ დგას მიწების კონსოლიდაციის საკითხი. სოფლების, მუნიციპალიტეტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიწის ნაკვეთების, საძოვრების, განსაკუთრებით სახელმწიფო საზღვრების პრობლემა გადაწყვეტილი არ არის. გასათვალისიწნებელია ის თავისებურებაც, რომ მიწათმოწყობა, როგორც მიწის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩამოყალიბებული სამართლებრივი, ეკონომიკური, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სამუშაოთა თანმიმდევრული და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სისტემა, ქვეყნის მიწის რესურსების (მიწის სახელმწიფო ფონდის) მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენების მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას უზრუნველყოს მიწის რესურსების გამოყენების და დაცვის სისტემური მართვა. ამიტომაა, რომ მიწათმოწყობა სახელმწიფო მართვის მეთოდად (ინსტრუმენტად) არის მიჩნეული და სახელმწიფო პოლიტიკით ხორციელდება. მიწათმოწყობის ჩანაცვლება სხვა მეთოდებით გამორიცხულია. ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს მიწათმოწყობის ერთიანი (დარგთაშორისი ფუნქციებით) სამსახური. დღევანდელ პირობებში მიზანშეწონილია მისი ფუნქციონირება მიწის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციულ სისტემაში.

– სასოფლო ტერიტორიის კომპლექსურ განვითარებაში ფაქტობრივად არ მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. ფერმერები ნდობით არ ეკიდებიან კოოპერატივის შექმნის იდეას (იგი ასოცირდება საბჭოთა კოლმეურნეობებთან). საპილოტე კოოპერატივები ქვეყანაში არ შექმნილა. მიწის ფართობების სიმცირე (საოჯახო მეურნეობებზე მოდის 1.3 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი) მნიშვნელოვნად ზღუდავს მასშტაბის ეფექტს. პრობლემებს ქმნის კვალიფიციური ცოდნის დიდი დეფიციტი და ნაჩქარევად ჩამოყალიბებული კოოპერატივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონე. კოოპერაციას სახელმწიფო ორგანოებიდან საჭირო მხარდაჭერა არა აქვს.

– **სასოფლო ტერიტორიის განვითარებაში კოოპერაციის როლის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია: სპეციალური პროგრამით განხორციელდეს ღონისძიებანი კოოპერაციის უპირატესობის პოპულარიზაციისათვის, გათვალისწინებულ იქნეს ინვესტიციების ზრდა, ჩამოყალიბდეს კვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, უპირატესობა მიეცეს მეორე დონის კოოპერატივებს, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას, ვერტიკალური ინტეგრაციის შემდგომ გაღრმავებას. კოოპერატივების განვითარება წარიმართოს მიზნობრივი პროგრამებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერაციის საქმიანობის**

**ინსტიტუციური მოწყობა მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კოოპერაციული მოძრაობის მიზანმიმართულად რეგულირებისათვის მიზანშეწონილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების სააგენტო, შემდგომში მისი გარდაქმნით წევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირად. კოოპერაციის განვითარების დაჩქარების მიზნით მიზანშეწონილია შეიქმნას კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკი.**

– **სასოფლო ტერიტორიების მდგრად განვითარებაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის როლის განსაზღვრას.** FAO-ს მიერ მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვა აღიარებულია მდგრადი განვითარების მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ქვეყანაში მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით აუცილებელია: ქვეყნის ტერიტორიის განვითარების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებების (ვერტიკალური ზონალობა, ნიადაგის ტიპების მრავალფეროვნება, დარგობრივი სპეციალიზაციის დონე და სხვ.) გათვალისწინებით განისაზღვროს გრძელვადიანი პერსპექტივა. იგულისხმება მიწაზე ყველა დარგის მოთხოვნილებათა გაცნობიერება, მიწის კატეგორიების შესაბამისად დაბალანსების ოპტიმალური სქემის შედგენა, მიწის იმ ფართობების გამოვლენა, რომლებიც მომავალში შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (ათვისება, არსებულის გაუმჯობესება, მელიორაცია და სხვ.). მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა გეგმა განხორციელდება მიზნობრივი პროგრამებით (პროექტებით).

– პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტია ტერიტორიის მიწის ფონდი (მიუხედავად საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმისა). პირველ ეტაპზე უნდა შეფასდეს მიწის რესურსების გამოყენების დონე (მისი სამეურნეო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციულ-მმართველობითი ასპექტები) და ამის შესაბამისად პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით გაკეთდეს მაჩვენებელთა პროგნოზული გაანგარიშებები. მხედველობაში უნდა მივიღოთ მიწის რესურსების ისეთი თავისებურებები, როგორიცაა – მრავალფეროვნება, რომელიც ინდივიდუალურ მიდგომებს მოითხოვს. როგორც წესი, დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს კომპლექსურობა. განისაზღვროს დაგეგმვის იერარქიული დონეც. იგი უნდა იყოს ორ საფეხურიანი – ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის დონეზე. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროგნოზირებისა და დაგეგმვის სამსახური დღევანდელ ეტაპზე მიზანშეწონილია ფუნქციონირებდეს მიწის მართვის ცენტრალურ ორგანოში (ამჟამად მიწის მართვის სააგენტოში).

– როგორც წესი, ტერიტორიის განვითარების პროგრამაში უნდა განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო მიწის რეზერვიც (სახელმწიფო მარაგი). ის, რომ ტერიტორიის განვითარებაში უპირატესობა ენიჭება მიწის სასოფლო-სამეურნეო ათვისებას, არ ნიშნავს იმას, რომ სხვა (არასასოფლო კატეგორიის მიწების) ფართობების გამოყენება მიზნობრივად არ განისაზღვროს. მაგალითად, რეკრეაციული რესურსების, მრეწველობის და სხვა დარგების განვითარების შესაძლებლობები. ასეთი მიდგომა გვაძლევს მყარ საფუძველს განისაზღვროს მიწის რეზერვი (სახელმწიფო მარაგი).

– სასოფლო ტერიტორიის განვითარების უპირობო პრიორიტეტად კვლავაც დარჩება სასოფლო-სამეურნეო ათვისება, რომ მისი მდგომარეობა პასუხობდეს მდგრადი განვითარების მოთხოვნებს. ეს რთული ამოცანაა იმ პირობებში, როცა ჯერ კიდევ მოუგვარებელია მიწის აღრიცხვაც, დაბალ დონეზეა თესლის წარმოება, სანაშენო საქმის ორგანიზაცია, თანმიმდევრულად არ ხორციელდება ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, კვალიფიციური კადრების დიდი დეფიციტია. მთავარ საბაზრო სუბიექტებს წვრილი ოჯახური მეურნეობები წარმოადგენენ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტია. ასეთ პირობებში საჭიროა საგანგებო ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელება. გარდამავალ ეტაპზე დაშვებული შეცდომებით გამოწვეული ჩამორჩენის დაძლევისათვის დიდი ძალისხმევაა საჭირო. განვითარების კომპლექსურ პროგრამაში უნდა აისახოს სახელმწიფო მხარდაჭერის კონკრეტული ფორმები და მეთოდები (მათ შორის არაორდინალურიც). აგრარული სექტორის კომპლექსური განვითარების უზრუნველსაყოფად რეალურად მიგვაჩნია „გარღვევის სტრატეგიის – მობილიზაციური მოდელის" გამოყენება. იგი ეფუძნება განვითარების სტრატეგიული მიზნისა და მისი მიღწევის ძირითადი საშუალების (რგოლის) შერჩევის პრინციპს, რაც გულისხმობს რგოლის ამოწევით მთლიანი ჯაჭვის ამოწევის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას.

– **მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პრობლემა არსებითად წყდება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიულ საზღვრებში. სწორედ აქ უნდა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ბუნებრივი რესურსების თანამედროვე ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების გამოყენებისათვის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ტერიტორიაზე არსებული „ნივთებისა და ძალების კომბინაციით" (რასაც ი. შუმპეტერი ინოვაციას უწოდებს) განვითარების პერსპექტივის განსაზღვრა.**

– **ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის ფორმირების საფუძველია შემდეგი პრინციპები: მიზნობრივი ორიენტაციის პრინციპი, ფუნქციების ჰორიზონტალური დანაწილების პრინციპი, ფუნქციების ვერტიკალური დანაწილების პრინციპი, კომპლექსურობის პრინციპი. ადგილობრივი მმართველობის მართვის საგანია მის ტერიტორიაზე მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პროცესების ფორმირება და მიზნობრივად და ეტაპობრივად რეგულირება.**

– **ადგილობრივი მმართველობის სუბიექტებია: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, შიდამეურნეობრივი მართვის – მიწის ნაკვეთების მესაკუთრენი, მიწათმოსარგებლეები, არენდატორები.**

მუნიციპალური წარმონაქმნი, რომელიც რთული ინტეგრირებული სისტემაა, როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ფაქტორების არსებით გავლენას განიცდის

და დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკური განვითარების კონიუნქტურაზე. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების „საქმიანობა“ იმის ნათელი მაგალითი იყო, რომ მათ, თვითრეგულირების რეჟიმში ფუნქციონირების უნარი არ აღმოაჩნდა. ეს გამოცდილება იმას გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განვითარება არსებითად დამოკიდებულია ზემდგომი ორგანოების საქმიანობაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიის მართვის სისტემაზე ერთდროულად მოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საბაზრო, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორები.

– ადგილობრივი თვითმმართველობა მიზანშეწონილია ორ დონიანი იყოს: სოფელი, როცა მას საზღვრებით, მოსახლეობით, რესურსებით ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობები გააჩნია და თემი, რომელიც მოიცავს რამდენიმე დასახლებას. თვითმმართველობის პირველ საფეხურზე მართვის ორგანოს შექმნის ორი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ. პირველი – მოსახლეობა კრებაზე ან ყრილობაზე ირჩევს გამგეობას, რომლის შემადგენლობიდან აირჩევა გამგებელი (მამასახლისი) და მდივანი. ან როცა სოფლის მოსახლეობა პირდაპირი და დახურული კენჭისყრით ირჩევს სასოფლო (სათემო) საბჭოს (პროპორციული ან მაჟორიტარული წესით), რომელიც ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს. პირველი საფეხურის თვითმმართველობას გადაეცემა მუდმივ სარგებლობაში ამჟამად სახელმწიფო (რეგიონულ) საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი (სათიბი, საძოვარი, ტყე, წყლის ფონდის მიწა და სხვ.). ასეთი სისტემა ხელს შეუწყობს ტერიტორიის კომპლექსურ განვითარებას. სოფელს (თემს) უნდა ჰქონდეს განვითარების გეგმა (მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის ნაწილი), რომელშიც ჩამოყალიბდება პრიორიტეტები (მოსახლეობის უშუალო ჩართულობით), განისაზღვრება განვითარების ფონდი, რომელშიც აკუმულირებული იქნება როგორც შიდა წყაროებიდან (მიწის (ქონების) გადასახადის, ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საწარმოების, ვაჭრობის ობიექტების და სხვა ორგანიზაციების შემოსავლების გარკვეული ნაწილი (საბიუჯეტო ფედერალიზმის პრინციპების გათვალისწინებით), ასევე სხვადასხვა დონიანი ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთის რეგიონების (მუნიციპალიტეტების), სოფლების (თემების) მდგრად განვითარებას. ამჟამად მოქმედი კანონი ვერ უზრუნველყოფს მთის მწვავე პრობლემების გადაწყვეტას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმვის სახელმძღვანელო. ტ. I ძირითადი გზამკვლევი;
2. საქართველოს მუნიციპალიტეტების სივრცითი დაგეგმვის სახელმძღვანელო, ტომი 1, 2, 3. თბილისი 2019 წელი;
3. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი;
4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დებულება;
5. საქართველოს რეგიონების განვითარების პროგრამა 2018-2021 წლები;
6. ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018-2022. თბილისი, 5 ივნისი, 2018 წელი;
7. საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
8. ო.ქეშელაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული ზონალური სქემა. თბილისი, 2009 წელი;
9. Развитие сельских територий. Иновации, диверсификация. Калуга, ЗАО «Типография флагман», 2011 г.;
10. Развитие сельских территорий: зарубежный опыт;
11. Зарубежный опыт развития социальной инфраструктуры села. Журнал “Russian Journal of Management”. Том II, N4, 2023 г.

ბიზნესი და კანონმდებლობა
https://doi.org/10.52340/bal N2. 2024
WWW.B-K.GE WWW.OJS.B-K.GE

# მცირე აუდიტორულ კომპანიებში აუდიტის ხარისხის მდგომარეობის განმაპირობებელი ფაქტორები

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.02





**იური პაპასქუა**
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
https://orcid.org/0000-0002-7849-2426
E-mail: papaskuaiuri@gmail.com

**ანა ოსიყმიშვილი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტი
https://orcid.org/0000-0003-0427-0537
Email: ana.osiqmishvili@gmail.com

**ანოტაცია**

ნაშრომში წარმოდგენილია მცირე აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის პრაქტიკაში არსებული პრობლემები და სისტემის ფორმირებასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევის პერსპექტივა - გამოყოფილია და გაანალიზებულია ხარისხის კონტროლის სისტემის გამართვაზე მოქმედი ფაქტორები; მათი ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრებები მცირე აუდიტორული კომპანიების ბაზრიდან შესაძლო გარიყვისა და მათში დასაქმებული აუდიტორების შენარჩუნების შესახებ; მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს აუდიტორული კომპანიის მიერ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას.

**საკვანძო სიტყვები:** აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა; ხარისხის კონტროლის სისტემის გამართვაზე მოქმედი ფაქტორები; შიდა კონტროლის პროცესები აუდიტორულ კომპანიაში; ხარისხის მართვა ფირმის დონეზე.

# FACTORS DETERMINING THE STATE OF AUDIT QUALITY IN SMALL AUDIT FIRMS

**Iuri Papaskua**
Academic Doctor of Economic Sciences, Professor, Sokhumi State University
https://orcid.org/0000-0002-7849-2426
E-mail: papaskuaiuri@gmail.com

**Ana Osiqmishvili**
PhD student in Business Administration at Sukhumi State University
https://orcid.org/0000-0003-0427-0537
Email: ana.osiqmishvili@gmail.com

**ABSTRACT**

The paper presents the problems in the practice of quality control in small audit firms and the prospects for overcoming the challenges related to the formation of the system - the factors affecting the functioning of the quality control system are identified and analyzed; based on their analysis, opinions are expressed about the possible exclusion of small audit firms from the market and the retention of auditors employed in them; recommendations are given, the consideration of which will contribute to the provision of high-quality services by the audit firm.

**Keywords:** Audit quality control system; Factors affecting the quality control system; Internal control processes in an audit firm; Quality management at the firm level.

## ძირითადი ტექსტი

ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სოციალისტური მოდელის ტრანსფორმაცია, შემდგომ კი ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის, აგრეთვე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებებისისა და აუდიტის დამკვიდრება, ფაქტობრივად, ერთნაირად, მეტ-ნაკლები წარმატებით წარიმართა. ამ პროცეს შემოჰყვა და ახლად შექმნილი ბაზრის ძირითადი სეგმენტი დაიპყრო „დიდი ოთხეულის" და საერთაშორისო ქსელის აუდიტორულმა კომპანიებმა. მსხვილ, საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს და სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული სხვა სამეწარმეო საზოგადოებებს, ცალკეული გამონაკლისის გარდა, მთლიანად ისინი უწევენ მომსახურებას. მათთან უმწვავესი კონკურენციის პირისპირ აღმოჩნდნენ ამ ქვეყნების მკვიდრი მცირე და საშუალო აუდიტორული კომპანიები, რომელთათვისაც მომსახურების არეალი მესამე კატეგორიის საწარმოებს ვერ სცილდება. ასეთ მოცემულობაში, სრულიად საფუძვლიანია, რომ მომხმარებლების მოთხოვნები და დაკვეთების უმეტესობა ყოველთვის მომსახურის მაღალი ხარისხის მომწოდებლებისკენ გადაიხრება. მცირე აუდიტორული კომპანიები „დიდი ოთხეულის" და საერთაშორისო ქსელის კომპანიებს ვერ უწევენ კონკურენციას. მომსახურების ხარისხი აღმოსავლეთის პარტნიორობისა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშის მცირე აუდიტორულ კომპანიებში დაბალია. ფაქტობრივად, ყველგან მცირე აუდიტორული კომპანიები მომსახურების მაღალი ხარისხით არ გამოირჩევიან. ასეთ საერთო ფორმატში გამოიკვეთა ადგილობრივი კომპანიების ბაზრიდან განდევნის საფრთხე. ამასთან, შეინიშნება მათში დასაქმებული აუდიტორების კვალიფიკაციის შეცვლის ტენდენციაც, რაც უდავოდ, ადგილობრივი აუდიტორთა კორპუსის შენარჩუნების, ახალი თაობის კადრებით ჩანაცვლების, პროფესიის განვითარების შემაფერხებელ გარემოებებზე მიუთითებს. გლობალური გამოწვევა, რომლის წინაშეც მცირე აუდიტორული კომპანიები დგანან, ბაზარზე მათი პოზიციის განმტკიცების, ხარისხის კონტროლის სისტემისა და მართვის არსებითი გაუმჯობესების აუცილებლობაა.

ხარისხის კონტროლის სისტემის გამართვის აუცილებლობა მოტივირებულია იმით, რომ შეიმნას აუდიტის ან აუდიტთან დაკავშირებული მომსახურების საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად შესრულების გარანტია.

სავსებით ლოგიკურია და გასაგები, რომ აუდიტორის დასკვნაზეა დამოკიდებული ინფორმაციის მომხმარებლის მიერ მიღებული (მისაღები) გადაწყვეტილების შედეგი. მესაკუთრეები, ინვესტორები, კრედიტორები თუ ინფორმაციის სხვა ნებისმიერი მომხმარებელი მოელის და დარწმუნებულიც უნდა იყოს, რომ მისთვის ანაზღაურების სანაცვლოდ მიწოდებული ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. ამიტომაც აუდიტორის მოსაზრება უნდა იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური და მომხმარებელს დაეხმაროს გადაწყვეტილების მიღებაში. შემსრულებელთა და მომხმარებელთა ფართო წრისათვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ საინფორმაციო რისკების შემცირება შესაძლებელია მხოლოდ აუდიტორის პროფესიონალიზმისა და პროცედურული მოთხოვნების განუხრელი დაცვის პირობებში. მომხმარებელთა ნდობის ამაღლების უზრუნველყოფა ხდება არა სხვაგან, არამედ აუდიტორულ კომპანიაში და მიღწევადია მხოლოდ გარიგების გუნდის მიერ აუდიტორული მომსახურების კვალიფიციურად ჩატარებისა და ამ პროცესზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ეფექტიანი ხარისხის კონტროლის სისტემის არსებობის შემთხვევაში. მცირე აუდიტორულ კომპანიებში კი ხარისხის სრულფასოვანი კონტროლის სისტემის გამართვა ვერ ხერხდება, ან უკეთეს შემთხვევაში, მათ მხოლოდ მისი ელემენტების ნაწილობრივი გამოყენება შეუძლიათ.

საგულისხმოა ისიც, რომ აუდიტის ხარისხი კომპლექსური ცნებაა. ამჟამად არ არსებობს ამ ტერმინის ზუსტი განმარტება ან ანალიზი, რომელიც საყოველთაოდ იქნებოდა აღიარებული. მსოფლიო აუდიტორულ პრაქტიკაში, აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის უნივერსალური, ცალსახად ჩამოყალიბებული მიდგომაც არ იძებნება. მარეგულირებელ აქტებსა და შესაბამის სტანდარტებში ბევრია ფორმალური, გაფორმებითი პროცედურები, რომლებსაც საბოლოო შედეგებთან უშუალო კავშირი არც აქვს. მათში რეგლამენტირებულია მხოლოდ ზოგადი ფარგლები, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ჩატარებული აუდიტორული მომსახურების პროცესი. კონკრეტულის გაზომვადი მაჩვენებელი ან ხარისხის სანიმუშო შაბლონი ჯერ არ შექმნილა. ეს ცალკე პრობლემაა და მის გადაწყვეტაზე - რა უნდა ჩაითვალოს ჩატარებული აუდიტის ხარისხად, მოსაზრებების შეჯერება აუცილებელია.

აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ეფექტიანი კონტროლი, ყველაზე გავრცელებული სახით, ორდონიანია და მოიცავს აუდიტის განმახორციელებელ პირზე **გარე დაკვირვებას** (რომელსაც, როგორც წესი, სახელმწიფო ზედამხედველი ორგანო ან თვითრეგულირებადი აუდიტორული გაერთიანებები ახორციელებენ) და **ფირმის დონეზე ხარისხის მართვას** - აუდიტორული კომპანიის ფარგლებში. ისინი ერთმანეთს ავსებენ, აძლიერებენ და მთლიანობაში ქმნიან ინფორმაციის სანდოობის გარანტიების მაღალ, მაგრამ არა აბსოლიტურ დონეს.

ხარისხის კონტროლზე გარე დაკვირვების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები და გადაწყვეტილებების სახეები, რომელიც კონტროლის განმახორციელებელის არსენალშია, აწ უკვე საჭიროებს გადახედვას. გასათვალისწინებელია დაგროვილი გამოცდილება და ახალი რეალობები. ამ საკითხებზეც საჭიროა დისკუსიის გამართვა და მოსაზრებების შეჯერება. თუმცა მანამდე, უფრო მნიშვნელოვანია, საკუთრივ, აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემის მდგომარეობაზე აქცენტირება, მათთვის ხელშეწყობა და საერთო ცნობიერების ამაღლებისთვის საჭირო პრაქტიკული მასალების მიწოდება.

https://doi.org/10.52340/bal N2. 2024
WWW.B-K.GE WWW.OJS.B-K.GE

მართალია, აუდიტის ხარისხის სისტემის გამართვასა და გაუმჯობესებაზე გავლენა აქვს მომხმარებელთა მოთხოვნებს, აგრეთვე ზედამხედველობის სამსახურის დამოკიდებულებას, მის მიერ დადგენილი სანქციები იძულებულს ხდიან კომპანიებს, რომ იზრუნონ სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე. მაგრამ, ამ ფაქტორთა და მოტივაციათა მიუხედავად, აუდიტის ხარისხი, სინამდვილეში, იქმნება აუდიტორულ კომპანიაში და ის ამ კომპანიის მომსახურების კულტურის, დამკვეთთან დამოკიდებულებისა და კომპეტენციის განუყოფელი ნაწილია. უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ მცირე აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემა და ფირმის დონეზე ხარისხის მართვა გამოირჩევა ხარვეზებითა და არაშესაბამისობით. სწორედ აქ კონცენტრირდება პრობლემათა კვანძი და მისი გახსნის პერსპექტივა აქვე უნდა მოინახოს. ამისთვის, უპირველესად, უნდა გავიაზროთ თუ რა წარმოშობს ამ პრობლემებს.

დარგში ხანგრძლივი მუშაობის პრაქტიკისა და კვლევითი დაკვირვების შედეგად, გაქვს დასაბუთებული ვარაუდები მასზე, რომ მცირე აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემის გაუმართაობას განაპირობებს:

- **ფინანსური შეზღუდვები.** დაკვეთების სიმცირე, შემოსავლების ნაკლებობა და აქედან გამომდინარე, მწირი ბიუჯეტი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ მცირე აუდიტორულმა კომპანიებმა შეიძინონ თანამედროვე ტექნოლოგიები, ხარისხის კონტროლის სისტემის გამართვაზე გამოიყოს საკმარისი სახსრები;
- **ადამიანური რესურსების ნაკლებობა.** მცირე ფინანსური რესურსების პირობებში ვერ ხერხდება მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პერსონალის მოზიდვა, მათი გადამზადება, დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის სრულყოფილი დაცვა. მცირე კომპანიებში ერთსა და იმავე პირს აკისრია როგორც მენეჯერული, ასევე ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებლობა, რაც კომპეტენციასა და ობიექტურობასთან არათავსებადია;
- **ზოგადი მენეჯერული სირთულეები.** წინა ორი ფაქტორის გამო, მენეჯერისა და ლიდერის ფუნქციების გამიჯვნა ვერ ხერხდება და შედეგები ნეგატიურად აისახება ხარისხის კონტროლზე.
- **არასრულყოფილი შიდა პროცედურები და ხარისხის კონტროლის არასათანადო პოლიტიკა** – მცირე კომპანიებში, ხშირად, დოკუმენტურად არაა გაფორმებული და სტრუქტურულად განსაზღვრული შიდა პროცედურები, რაც უკვე ნიშნავს იმას, რომ მათში ხარისხის კონტროლის სისტემა არ მოქმედებს;
- **შიდა სწავლებების და პროფესიული განვითარების პროგრამების არარსებობა** – იმის მანიშნებელია, რომ ხარისხის კონტროლის სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი ელემენტი - თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება არ ხორციელდება;
- **საქართველოშიც და სხვა იურისდიქციებშიც მცირე აუდიტორული კომპანიები, ფაქტობრივად, დაკომპლექტებულია ერთი გარიგების პარტნიორით და სხვა რამდენიმე შემსრულებელი თანამშრომელით.** ასეთი ბაზა არ იძლევა შესაძლებლობას კომპანიაში ხარისხის კონტროლის სრულფასოვანი სისტემა გაიმართოს.

აუდიტის საბოლოო მიზანი ხომ მოსაზრების ჩამოყალიბებაა იმაზე, არის თუ არა აუდიტს დაქვემდებარებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და არსებითი ასპექტების გათვალისწინებით, შეიცავს თუ არა ის უზუსტობებს. მცირე აუდიტორული კომპანიის აუდიტორები მხოლოდ რამდენიმე ტესტის ჩატარების და დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე იქმნიან წარმოდგენას კომპანიის საქმიანობასა და ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეზე. მაგრამ ეს არ არის საკმარისი ჩატარებული აუდიტის ხარისხის უზრუნველსაყოფად. აუდიტის ხარისხი, სტანდარტული პროცედურების დაცვას, მიღებულ გადაწყვეტილებებზე დამატებითი დოკუმენტების შედგენასაც ითვალისწინებს. მათ უფრო გაფორმებითი და აუდიტორის ინტერესების დაცვის დანიშნულება გააჩნიათ. სწორედ, ეს ფორმალური დოკუმენტაციის შედგენა და შიდა პროცედურების წერილობით გაფორმება მცირე აუდიტორული კომპანიებში არ არის პრიორიტეტული, დროის, შესაბამისი კვალიფიკაციის და შემსრულებელ პირთა დეფიციტის გამო, ისინი ვერ ახერხებენ გაფორმებითი დოკუმენტების შედგენას. მცირე ფირმები ხშირად უგულებელყოფენ პროცედურებზე სათანადო დოკუმენტების გაფორმებას და რეგულაციებს, რაც იწვევს ჩატარებული სამუშაოების ნაკლებად კონტროლირებადობას.

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემა, მასზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორების და შესაბამისი რესურსების არ არსებობის გამო, ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი, ვერ იქნება სრულად გამართული. ამ მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ნაწილობრივაა შესაძლებელი.

საუკეთესო პრაქტიკასა და დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მცირე აუდიტორულ კომპანიაში, სადაც ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსები შეზღუდულია, ხარისხის კონტროლის სისტემის ასაწყობად საჭიროა მოქნილი მიდგომა. პირველ რიგში უნდა აითვისონ ეფექტიანი, მაგრამ ადვილად განსახორციელებელი ისეთ პროცესები, რომელთა შესრულება არ გაუჭირდება მცირე გუნდს, მათ შორის, მცირე კომპანიებმა უნდა შექმნან მარტივი, მაგრამ მკაფიო სახელმძღვანელოები აუდიტორული პროცესებისთვის. ეს სახელმძღვანელოები შეიძლება იყოს მცირე მოცულობის დოკუმენტები, რომლებშიც აღიწერება ძირითადი პროცესების შესრულების წესები. მცირე აუდიტორულმა ფირმამ უნდა გამოიყენონ გარე რესურსები, მიიღონ კონსულტაციები პროფესიული ორგანიზაციებისგან, ჩაერთონ მათ მიერ ორგანიზებულ სწავლებებსა თუ მიმოხილვების სერვისებში.

თუ აუდიტორულ კომპანიაში დაინერგება ხარისხის კონტროლის ელემენტარული სტანდარტული პროცესები, რომლებიც მოიცავენ სწავლებებს, შიდა მიმო-

ხილვებს და გარე აუდიტორების შეფასებებს, მაშინ აუდიტის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და ეს დადებითად აისახება კომპანიის რეპუტაციაზეც, შედეგებს მალე მომხმარებლებიც შენიშნავენ. მაგრამ ეს პრობლემის მხოლოდ დროებითი და ფასადური გადაწყვეტა იქნება. მდგომარეობის უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი გაუმჯობესება შესაძლებელია მცირე აუდიტორული კომპანიების გამსხვილებით, უპირველესად, შიდა რესურსების მობილიზების, ახალი კაპიტალური დაბანდების ხარჯზე. კომპანიების გამსხვილება შესაძლებელია შეერთების, შერწყმის ან გაერთიანებათა სხვა ფორმების გამოყენებით. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი ახალი სტრუქტურების შექმნა და ჩართვა გამჭოლი კონტროლის პროცესში. ოღონდაც განსხვავებული ხედვების, რეპუტაციის, ცნობადობის კომპანიების გაერთიანება რთულია, ვერ ხერხდება შეთანხმებები ფუნქციათა და ფინანსური შედეგების განაწილებასზე, თუმცა ნაბიჯი ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი შევჯერდეთ მასზე, რომ მცირე აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემაში არსებული პრობლემები გლობალური გამოწვევაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა გადაუდებელი და აუცილებელი საქმეა. პროცესში უნდა ჩაერთონ პროფესიაში დასაქმებული და პროფესიის განვითარებაზე პასაუხისმგებელი ყველა პირი თუ ინსტიტუცია.

ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი და საუკეთესო გამოცდილება ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ მცირე აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემის გაუმჯობესება მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი ცალკეული სტანდარტული მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში. საუკეთესო გამოსავალი კი მცირე კომპანიების გამსხვილება და გაერთიანებაა.

### გამოყენებული წყაროები:


1. **IFAC (International Federation of Accountants).** (2018). *Quality Control for Firms that Perform Audits and Reviews of Financial Statements, and Other Assurance and Related Services Engagements* (ISQC 1). New York: IFAC;
2. **საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.** (2018). *ISQC 1 სტანდარტის სახელმძღვანელო: აუდიტორული ფირმებისთვის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC 1).* თბილისი: GPBAF;
3. **IFAC (International Federation of Accountants).** (2020). *ISQM 1 - ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი აუდიტორული და სხვა გარანტიების მომსახურების შესრულებისთვის.* ნიუ-იორკი: IFAC;
4. **ქარჩავა, ზ.** (2017). *აუდიტის მეთოდოლოგია და სტანდარტები. თბილისი:* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
5. **ესებუა, თ.** (2019). *აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემები საქართველოში.* ჟურნალში ეკონომიკა და ბიზნესი, 45(3), 101-115;
6. **IAASB (International Auditing and Assurance Standards Board).** (2018). *ISQC 1 - Quality Control for Firms that Perform Audits and Reviews of Financial Statements, and Other Assurance and Related Services Engagements.* ნიუ-იორკი: IAASB.

# ЭКОЛОГИЧЕСКИЙ АУДИТ: МИРОВОЙ ОПЫТ И ПРАКТИКА В УЗБЕКИСТАНЕ

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.03





**Тулаходжаева Миновар**
д.э.н., профессор
Председатель Совета Национальной Ассоциации бухгалтеров и аудиторов Узбекистана
https://orcid.org/0009-0005-5346-6052
E-mail: naaa.uz@mail.ru

**Ходжаева Мутабар**
к.э.н., доцент Ташкентского государственного экономического университета
ORCID:0000-0003-0374-1456

## ანოტაცია

სტატია მიმოიხილავს ეკოლოგიური აუდიტის მეთოდოლოგიურ პრობლემებს და მის როლს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დაძლევაში. ყურადღება გამახვილებულია ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებასა და გამოყენების სწორ მეთოდებზე, განსაკუთრებით უზბეკეთის რესპუბლიკაში. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო გამოცდილება და უზბეკეთში მიმდინარე ეკოლოგიური აუდიტის პრაქტიკა.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოლოგიური აუდიტი, აუდიტორის ამოცანები, ეკოლოგიური უსაფრთხოება.

## АННОТАЦИЯ

В статье рассматриваются методологические проблемы экологического аудита, его роль в устранении последствий глобальных экологических нарушений, а также сохранении и рациональном использовании природных ресурсов в Республике Узбекистан. Особое внимание уделено международному опыту и практике внедрения экологического аудита в различных странах.

**Ключевые слова:** экологический аудит, задачи экологического аудита, экологический аудитор, природоохранная деятельность.

## ОСНОВНОЙ ТЕКСТ

На новом этапе развития национальной экономики особое значение приобретает аудиторская деятельность, в том числе экологический аудит. В Узбекистане экологический аудит развивается динамичными темпами, способствуя обеспечению экологической безопасности и развитию социальной инфраструктуры. Для решения задач, предусмотренных в Стратегии действий по пяти приоритетным направлениям развития Республики Узбекистан на 2017-2021 годы, приняты важные нормативные акты. Среди них - Указ Президента Республики Узбекистан „О совершенствовании системы государственного управления в сфере экологии и охраны окружающей среды", постановления Президента Республики Узбекистан «О мерах по обеспечению организации деятельности Государственного комитета Республики Узбекистан по экологии и охране окружающей среды» и „О мерах по кардинальному совершенствованию и развитию системы обращения с отходами на 2017-2021 годы", Постановление Президента Республики Узбекистан, от 30.12.2021 г. № ПП-76 „О мерах по охране окружающей среды и организации деятельности государственных органов в сфере экологического контроля"[1].

Перспективы экономического развития страны нельзя рассматривать в отрыве от экологических проблем, антропогенного воздействия на окружающую среду. При этом результативность природоохранной деятельности не всегда адекватна затрачиваемым усилиям. В структурных изменениях, происходящих в экономике Узбекистана, существенное внимание уделено степени использования природных ресурсов и уровню загрязнения окружающей природной среды. В связи с этим в настоящее время особое значение приобретают экономические аспекты принятия экологических решений, то есть интеграция экологической и экономической политики. Интеграция Узбекистана в систему международной экологической безопасности, усиление требований законодательства в области охраны окружающей среды и рационального природопользования выдвигают на первый план задачу развития нового направления в аудиторской деятельности – экологического аудита, который становится одним из основных инструментов обеспечения устойчивого экономического развития страны. Экологический аудит, являясь инструментом повышения инвестиционной привлекательности и эффективности как для предприятий, так и всего реального сектора экономики, по мнению специалистов, позволит решать государственные задачи в области экологической безопасности страны. В условиях либерализации экономики все сильнее ощущается необходимость решения экологических проблем на национальном уровне.

В современных условиях хозяйствования рациональное природопользование – это гарант обеспечения будущих потребностей общества за счет комплексного, экономически эффективного использования природных ресурсов с обязательным соблюдением требований по охране окружающей среды. Среди многочисленных проблем социально-экономического развития государства особую актуальность приобрела проблема сохранения благоприятной окружающей среды природно-ресурсного потенциала в целях удовлетворения потребностей ныне живущих и будущих поколений людей. Чрезвычайно неприемлемым для экологической и экономической безопасности Узбекистана является сохранение тенденций техногенного и природоемкого развития, перспектива которого видится в удорожании валового национального продукта из-за дополнительных экологических затрат.

Из общего объема выбросов в атмосферу от стационарных источников на:

1. Топливно-энергетический комплекс страны приходится 34%;
2. Нефтегазодобывающую и перерабатывающую промышленность – 34%:
3. Цветную металлургию – 15%;
4. строительную индустрию – 4%;
5. Химическую промышленность – 2%;
6. рочие сферы – 11% [2].

**Рис. 1.**
**Доля отраслей промышленности в загрязнении атмосферного воздуха Республики Узбекистан**




За годы независимости в республике наметилась тенденция к сокращению объемов выбросов загрязняющих веществ как от стационарных источников, так и от всех видов транспорта. Это обусловлено внедрением экологоёмких производств и необходимых природоохранных мер в структуру промышленных предприятий. На совещании Государственного комитета Республики Узбекистан по экологии и охране окружающей среды 2 февраля 2018 г. под председательством Президента Республики [3] рассмотрена работа по улучшению в стране экологической ситуации и охраны окружающей среды. На Государственный комитет Республики Узбекистан по экологии и охране окружающей среды [4] возложены широкие задачи по улучшению экологической ситуации в регионах страны, сбору, хранению, транспортировке, утилизации и переработке бытовых отходов. Принята комплексная программа по коренному улучшению обращения с бытовыми отходами на 2017-2021 годы с конкретным определением источников финансирования её реализации.

Задача интеграции Узбекистана в систему международной экологической безопасности, усиление требований законодательства в области охраны окружающей среды и рационального природопользования выдвигают на первый план развитие нового направления в аудиторской деятельности – экологического аудита, который становится одним из основных инструментов обеспечения устойчивого развития экономики.

**Экологический аудит -** независимая экологическая экспертиза деятельности действующих предприятий и других объектов, оказывающих негативное влияние на состояние окружающей среды, проводимая аудиторами (аудиторскими организациями) в порядке и на условиях, установленных Законом Республики Узбекистан «Об экологической экспертизе», Положением об экологическом аудите и другими актами законодательства. Задачами экологического аудита являются:

- обеспечение экологической безопасности организации;

- оценка природоохранной деятельности организации;
- определение путей и способов уменьшения риска вредного воздействия на окружающую среду хозяйственной и иной деятельности;
- определение правильности исчисления и уплаты экологических платежей организацией;
- определение необходимости совершенствования природоохранной деятельности организации;
- определение соответствия экологическим требованиям осуществляемой производственно-хозяйственной и иной деятельности;
- определение необходимости применения новых технологий производства и оборудования.

Экологический аудит получил распространение в Канаде, Великобритании, Швеции, США, Нидерландах и др. промышленно развитых странах. Так, в 1984 г. Национальным Агентством по охране окружающей среды США была разработана концепция аудирования для федеральных агентств, на основе которой несколько десятков федеральных агентств разработали собственные программы экологического аудита. В 1985 г. управление по экоаудиту и законодательству Министерства энергетики США провело аудирование своих основных объектов. При этом, например, NASA привлекал внешних консультантов. После крупнейших аварий на химических предприятиях в Великобритании (1974 г.) и Италии (1976 г.) была принята директива ЕЭС (1982 г.) об экологическом аудировании. Введение экологического аудита во Франции преследовало цели проверки безопасности производства и оказание помощи властям в принятии мер по изучению рисков и обеспечению безопасности. В Норвегии целью аудита стало усиление экологической деятельности в государственном и частном секторах в дополнение к традиционным инспекционным проверкам промышленных предприятий. Экологический аудит стали проводить при приобретении или передаче недвижимости. В США экологический аудит начали осуществлять в случаях возникновения конфликтов между предприятием (компанией)-нарушителем и Национальным Агентством по охране окружающей среды при осуществлении экологической программы на предприятии или несоответствия ее экологическому законодательству. При повторном нарушении законодательства применяется обязательное аудирование. Специализированный экологический аудит проводится по проблемам оценки опасности производимого продукта, минимизации отходов, вопросам профессиональных заболеваний, промышленной гигиены, контроля загрязнения конкретных природных сред и др. **Health, safety and environment audit** – аудирование по вопросам здоровья, безопасности и окружающей среды – также имеет широкое распространение [5]. Оценка и управление экологическими и социальными рисками и воздействиями является частью более широкого общего набора процедур, используемых клиентом для управления своими проектами. Они имеют важное значение для успешного и устойчивого исполнения этих проектов. В Стандарте деятельности 1 подчеркивается важность управления экологической и социальной результативностью деятельности (в том числе, в области труда, здоровья и безопасности) в течение всего срока инвестиции. Эффективная система оценки и управления позволяет постоянно повышать экологические и социальные показатели деятельности и может привести к улучшению экономических, финансовых, социальных и экологических результатов [6].

В Узбекистане Закон „Об экологическом аудите" Принят Законодательной палатой 26 декабря 2020 года, одобрен Сенатом 12 марта 2021 года. Экологический аудит - систематическая, документированная, независимая оценка хозяйственной и иной деятельности субъекта экологического аудита, проводимая экологической аудиторской организацией на предмет соблюдения требований нормативных документов в области технического регулирования и нормативно-правовых актов в области охраны окружающей среды и рационального использования природных ресурсов.

Экологический аудит может проводиться в добровольной или обязательной форме.

Экологический аудит в отношении деятельности субъектов экологического аудита с низким или незначительным (локальным воздействием) риском воздействия на окружающую среду проводится в добровольном порядке.

Субъекты экологического аудита, относящиеся к высокому и среднему риску воздействия на окружающую среду, подлежат обязательному ежегодному экологическому аудиту.

**Перечень видов деятельности по степени риска воздействия** на окружающую среду устанавливается Кабинетом Министров Республики Узбекистан.

**Добровольный экологический аудит** проводится по инициативе заказчика экологического аудита.

**Обязательный экологический аудит проводится** в отношении всей деятельности субъекта экологического аудита в области охраны окружающей среды и рационального использования природных ресурсов.

Экологические аудиторские организации подлежат государственной регистрации в Агентстве государственных услуг при Министерстве юстиции Республики Узбекистан.

Договор об оказании экологических аудиторских услуг заключается исключительно при наличии полиса страхования гражданской ответственности экологической аудиторской организации.

Экологический аудит проводится по решению собственника объекта хозяйственной и иной деятельности. Экологический аудит проводится за счет средств заказчика. Основанием для проведения экологического аудита являются решение (приказ или распоряжение) заказчика о проведении экологического аудита, а также договор, заключенный между заказчиком и экологической аудиторской организацией. В решении о проведении экологического аудита указываются причины,

период его проведения, перечень вопросов, связанных с деятельностью организации по охране окружающей среды и природопользованию, необходимость создания соответствующих условий для организации и проведения экологического аудита, размеры и условия оплаты за аудиторские услуги, ответственные лица и другие вопросы.

Срок проведения экологического аудита определяется договором, заключенным между заказчиком и экологической аудиторской организацией.

В установленный договором срок должно быть обеспечено проведение полного анализа объекта экологического аудита и представление заказчику объективного и всестороннего заключения (отчета).

Работа по комплексному обследованию объектов экологического аудита заказчика осуществляется экологическим аудитором экологической аудиторской организации. После заключения договора экологическая аудиторская организация разрабатывает и согласовывает с заказчиком план проведения экологического аудита, содержащий этапы его проведения, с указанием необходимых мероприятий.

Экологические аудиторские организации при проведении экологического аудита в соответствии с договором могут применять международные стандарты аудита. Аудиторскими организациями в рамках экологического аудита определяется:

- соблюдение требований законодательства и нормативных документов в области технического регулирования в сфере охраны природы и рационального использования природных ресурсов в комплексах, цехах, участках, агрегатах и иных объектах хозяйствующего субъекта;
- выполнение государственных и иных экологических программ, направленных на рациональное использование природных ресурсов, охрану окружающей среды и обеспечение экологической безопасности;
- ситуации, которые могут привести к загрязнению окружающей среды, нерациональному использованию предоставленных природных ресурсов и создавать угрозу жизни и здоровью граждан;
- наличие утвержденных экологических нормативов и их соответствие законодательству, нормативным документам в области технического регулирования в сфере охраны окружающей среды и рационального использования природных ресурсов;
- соблюдение норм, установленных в разрешительных документах в сфере природопользования и недропользования, а также экологических нормативах воздействия на окружающую среду;
- наличие, точность и эффективность работы измерительных приборов, устройств, оборудования и сооружений по очистке выбросов и сбросов в окружающую среду от загрязняющих веществ;
- достоверность данных мониторинга, учета, составления установленной отчетности по вопросам охраны окружающей среды и природопользования и внесения компенсационных выплат.

Аудиторская организация может изучать и другие материалы, касающиеся природоохранной деятельности объекта экологического аудита, для представления заказчику объективного и всестороннего заключения (отчета). Аудиторская организация осуществляет замеры, отбор и анализ проб, необходимых для определения соответствия деятельности объекта экологическим требованиям. Замеры, отбор и анализ проб должны быть проведены в соответствии с методиками и нормативами, установленными специально уполномоченными органами в области экологического контроля. Аудиторская организация осуществляет оценку воздействия объекта на окружающую среду в соответствии с требованиями, установленными для государственной экологической экспертизы. По результатам экологического аудита оформляется отчет в форме заключения.

Результаты исследования показали, что в нормативных документах и специальной литературе вопросы теории и методологии экологического аудита недостаточно изложены.

По результатам проведённого исследования нами разработаны следующие предложения и рекомендации по организации и проведению экологического аудита:

- научно обосновать объекты и критерии экологического аудита в целом по различным отраслям экономики;
- пересмотреть имеющиеся и разработать недостающие Национальные стандарты проведения экологического аудита, способы и приёмы экологического аудита;
- в учебной литературе и практических пособиях предусмотреть разделы экологического аудита.

## СПИСОК ИСПОЛЬЗОВАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ

1. Указ Президента Республики Узбекистан Шавката Мирзиёев „О стратегии действий по дальнейшему развитию Республики Узбекистан“ (Собрание законодательства Республики Узбекистан, 2017 г., № 6, ст. 70) г. Ташкент,7 февраля 2017 г., № УП-4947, ПП-76 от 30.12.2021;

2. Д. Джалалова, И. Маматрахимов „Экологический аудит как фактор снижения экологических рисков“. Журнал „BIZNES – ЭКСПЕРТ“ 30.06.2018 №6 (126);

3. Совещание Государственного комитета Республики Узбекистан по экологии и охране окружающей среды 2 февраля 2018 г. под председательством Президента Республики www.norma.uz;

4. О совершенствовании системы государственного управления в сфере. Указ Президента Республики Узбекистан от 21 апреля 2017 года №УП-5024 „О совершенствовании системы государственного управления в сфере экологии и охраны окружающей среды“;

***5.*** Т.А. Трифонова. Экологический менеджмент. Учебное пособие / ВГУ, Владимир. – 291 с. 2003 г;

6. МФК (Международная финансовая корпорация) [IFC (International Finance Corporation)]; 2021. Environmental, Health, and Safety General Guidelines. Вашингтон (округ-Колумбия): МФК [Washington, DC: IFC]. http://www.ifc.org/ehsguidelines/

# პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გარანტი

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.04





**გურამ აბესაძე**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-0215-4639
guramabesaze@yahoo.com

**ნოდარ აბესაძე**
სოციალური მეცნიერებების დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი
https://orcid.org/0000-0002-8747-5150
nodarabesadze007@gmail.com

## რეზიუმე

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემა დემოკრატიული ტრანზიციის პროცესშია, რომელიც თავისი რაციონალური და ირაციონალური თავისებურებებით ხასიათდება. პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები განსაზღვრავს მის სტაბილურობას. ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პრიორიტეტები პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული სტაბილურობით განისაზღვრება. პოლიტიკური სისტემის ირაციონალურ პროცესს წარმოადგენს მისი ინსტიტუციური არამდგრადობა, რომელიც მუდმივი პოლარიზების მიზეზი ხდება. თანამედროვე პოლიტიკური სისტემა ძალზე პოლარიზებულია, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობის მშენებლობას; განსაკუთრებით თავისი დესტრუქციულობით გამოირჩევა პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც არ ითვალისწინებს პოლიტიკურ რეალობასა და ეროვნულ პრაგმატიზმს; მისი მოქმედებები სახელმწიფოთმშენებლობის პროცესს აფერხებს და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიჰყავს. წინა პლანზე დადგა საყოველთაო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის აუცილებლობა. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები „ქართული ოცნების" გამარჯვებით დასრულდა, რომელიც პოლიტიკური ოპოზიციის მიერ უნდა იყოს აღიარებული. საპარლამენტო თანამშრომლობა პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის გარანტიებს იძლევა. ქართული სახელმწიფოებრიობის მომავალი და მისი სუვერენიტეტის დაცვა მხოლოდ ევროპულ ინტეგრაციაშია, რაც კონსტიტუციურად არის განსაზღვრული. საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაღვრისას საჭიროა თანამედროვე გეოპოლიტიკური ტრანზიციების გათვალისწინება. უმნიშვნელოვანესი მიზანია ქართველი ერის პოლიტიკურ ერად ჩამოყალიბება, რამაც უნდა შექმნას ერთიანი სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო იდენტობის საფუძვლები. ეროვნული იდენტობის ფორმირება და მისი პოლიტიკური ტრანზიცია თანამედროვე პოლიტიკური სოციალიზაციის პრიორიტეტს წარმოადგენს. პოლიტიკური სისტემა ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს და საჭიროებს კულტურულ-იდეოლოგიურ და ინტელექტუალურ გარდაქმნას. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდობის განათლების დონის ამაღლებას, რაც ეროვნულ იდენტობაზე უნდა იყოს აგებული. განათლების სისტემაში უნდა აღმოიფხვრას ფსევდოლიბერალური მიდგომები. პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა ყველა პოლიტიკური აქტორის კონსოლიდაციასა და აქტიურობას მოითხოვს. მნიშვნელოვანია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი სახელმწიფოთმშენებლობის პრიორიტეტების განსაზღვრასა და პოლიტიკური სივრცის სტაბილურობაში.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური სტაბილურობა, ეროვნული იდენტობა, პოლიტიკური ერი, პოლიტიკური სოციალიზაცია, გეოპოლიტიკური ტრანზიციები, პოლიტიკური აქტორები, პოლარიზაცია, ევროკავშირი.

ბიზნესი და კანონმდებლობა
N2. 2024 https://doi.org/10.52340/bal
WWW.OJS.B-K.GE WWW.B-K.GE

# STABILITY OF THE POLITICAL SYSTEM IS THE GUARANTEE OF BUILDING MODERN GEORGIAN STATEHOOD

**Guram Abesadze**
Doctor of Political Science, Professor at Sokhumi State University, Head of Policy Science
https://orcid.org/0000-0003-0215-4639
guramabesaze@yahoo.com

**Nodar Abesadze**
Doctor of Social Sciences, guest lecturer of Sukhumi State University
https://orcid.org/0000-0002-8747-5150
nodarabesadze007@gmail.com

**SUMMARY**

The modern Georgian political system is in the process of democratic transition, which is characterized by its rational and irrational features. The structural-functional features of the political system determine its stability. The priorities of building Georgian statehood are determined by the democratic stability of the political system. The irrational process of the political system is its institutional instability, which causes constant polarization. The modern political system is highly polarized, which poses a threat to the construction of statehood; the political opposition, which does not take into account political reality and national pragmatism, is especially destructive; its actions hinder the state-building process and lead the country to civil conflict. The need to achieve a universal political consensus has come to the fore. The 2024 parliamentary elections ended with the victory of the Georgian Dream, which must be recognized by the political opposition. Parliamentary cooperation provides guarantees for the stability of the political system. The future of Georgian statehood and the protection of its sovereignty lies only in European integration, which is constitutionally defined. When determining foreign policy priorities, it is necessary to take into account modern geopolitical transitions. The most important goal is to form the Georgian nation into a political nation, which should create the foundations of a unified state and civil identity. The formation of national identity and its political transition are priorities of modern political socialization. The political system cannot meet the requirements of the time and requires cultural-ideological and intellectual transformation. Significant attention should be paid to raising the level of education of youth, which should be built on national identity. Pseudoliberal approaches should be eliminated in the education system. The stability of the political system requires the consolidation and activity of all political actors. The role of the Georgian Orthodox Church in determining state-building priorities and in the stability of the political space is important.

**Key words:** Political stability, national identity, political nation, political socialization, geopolitical transitions, political actors, polarization, European Union.

## შესავალი

თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში მწვავედ დადგა პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის საკითხი. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ვერ მოხერხდა პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, რასაც ხელს უშლის მისი ინსტიტუციური და ღირებულებითი გარდაქმნის არათანმიმდევრობა. მუდმივი სინდრომი გახდა დესტრუქციულობა, გადატრიალებები და რევოლუციურობა, რაც ერთიანად ანგრევს ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ინტერესებს; პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ერი ვერ გარდაიქმნა პოლიტიკურ ერად, რომელსაც გაცნობიერებული ექნება თავისი სახელმწიფოებრივი იდენტობის პრიორიტეტები; ყველაზე მთავარი კრიზისი, ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ სუსტია ერის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კულტურულ-ღირებულებით და ინტელექტუალურ მოთხოვნებს. ყოველივე ამას ემატება პოლიტიკური ელიტის არაპროფესიონალური და სიტუაციური აზროვნების უუნარობა, რომელიც დომინანტური ინსტიტუციური ძალებით არის გამოწვეული; შედეგი სახეზეა, ციკლური პერიოდულობით ავტორიტარიზმი და ავტოკრატია, რომელიც პოლიტიკურ სპექტრში დაპირისპირების მიზეზები ხდება. ძალაუფლების მონოპოლიზება პოლიტიკური ინსტიტუციების მიზანი გახდა, რადგანაც ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება ერთმანეთთან მტკიცედ არის დაკავშირებული. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა ეროვნული პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც თავისი პატრიოტული სულისკვეთებით გამორჩეული იქნებოდა; ავანტიურიზმი და დესტრუქციულობა იქცა ზოგიერთი მათგანის პოზიციად, რაც ანგრევს სახელმწიფოებრივი მშენებლობის სტაბილურობას; მოძველებული პოლიტი-

კური პორტრეტები ვერ აკმაყოფილებენ დროის მოთხოვნებს; მათ მხოლოდ თავიანთი კლანური ინტერესები ამოძრავებთ და დესტრუქციაზე აგებენ მოქმედების სტილს. იცვლება გეოპოლიტიკური სიტუაცია მსოფლიოში, რასაც ახალი აზროვნება სჭირდება; პოლიტიკური ოპოზიციის კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალი ნამდვილად ჩამორჩება ამ ახალი აზროვნების მოთხოვნებს. ყოველივე ეს ხდება მიზეზი პოლიტიკური სისტემის დესტრუქციულობისა და პოლარიზების, რაც პოლიტიკურ კრიზისებს ციკლური პერიოდულობით იწვევს. თანამედროვე სიტუაციაში კიდევ ერთხელ გვინდა მოვიშველიოთ **ილია ჭავჭავაძის** გაფრთხილება: **„არ ვიცით - რანი ვყოფილვათ, არ ვხედავთ - რანი ვართ, ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზირი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან - და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად“ [1].**

### ძირითადი ტექსტი

თანამედროვე საქართველოს ტრანზიტული პოლიტიკური სისტემა თავისი მკვეთრი გამოწვევებით ხასიათდება, რაც სახელმწიფოებრივი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი გახდა. ქართულმა პოლიტიკურმა სისტემამ თავისი განხორციელებული რეფორმებით ვერ მიაღწია სახელმწიფოებრივი განვითარების სტაბილურობას. პოლიტიკური სისტემის ეფექტური ფუნქციონრება ორი ძირითადი ფაქტორით შეიძლება განისაზღვროს:

1. პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციური მოწყობა და მათი ფუნქციების დემოკრატიულ წესრიგზე დამყარება;
2. პოლიტიკურ-ღირებულებითი ტრანზიცია, რომელიც ეროვნულ იდენტობაზე იქნება დამყარებული.

სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური ტრანზიციის ორივე ამ პროცესმა ირაციონალური ტენდენციები უფრო გამოავლინა. ერი ვერ აღმოჩნდა მზად სახელმწიფოებრივი გარდაქმნისათვის, რადგანაც მისი პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი ქართული იდენტობისაგან გაუცხოებული აღმოჩნდა.

საქართველოს პოლიტიკური სისტემის არასტაბილურობის ყველაზე მთავარ მიზეზად მისი ინსტიტუციური არამდგრადობა უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც დემოკრატიული ტრანზიციის ფასადურობაც მიანიშნებს. ქართული პოლიტიკური სივრცე ინსტიტუციურად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, რაც ქაოსურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ინსტიტუციური პლურალიზმი დემოკრატიული ტრანზიტის აუცილებელი პროცესია, მაგრამ მისი გადაჭარბებული მრავალრიცხოვნობა და იდეოლოგიური ცვალებადობა ყოველთვის სარგებელს არ იძლევა. საქართველოში ვერ ვიტყვით, რომ მყარი ინსტიტუციური წესრიგი შეიქმნა, რომელიც პოლიტიკური არასტაბილურობის კლიმატს ქმნის. პოლიტიკური პარტიები თავისი ინსტიტუციური სტრუქტურითა და ინტელექტუალური პოტენციალით არ გამოირჩევიან, რაც მათი კრიზისის მიზეზი ხდება; პირველ რიგში ვგულისხმობთ მათ იდეოლოგიურ კონცეფციებს, რომელიც ზოგჯერ ვერ აკმაყოფილებს სიტუაციურ და ეროვნულ მოთხოვნებს; ამიტომაც არის, რომ მათი პოზიცია ხშირად იცვლება, რადგანაც საზოგადოების დემოკრატიული ტრანზიციის პროცესს ირაციონალური მეთოდებით გამოხატავენ; მოქმედების უფრო მისაღებ ფორმად კონსენსუნსი კი აღარ მიაჩნიათ, არამედ დესტრუქციული მოქმედებები, რომელიც პოლარიზებისა და რადიკალიზაციის მიზეზი ხდება. ეს პროცესები პოლიტიკურმა სისტემამ ციკლური პერიოდულობით ვერ აიცილა თავიდან; პირველ რიგში, ვგულისხმობთ დომინანტი პარტიის სინდრომს, რომელსაც განუსაზღვრელად მიაქვს მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება. სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ერთ პარტიასთან შერწყმა ძალიან ცუდი სინდრომია სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ერთპარტიული მმართველობით გარანტირებული არის სტაბილური განვითარება და დემოკრატიაზე გადასვლა; ვფიქრობთ, რომ ეს არასწორი მიდგომაა, რადგანაც პოლიტიკური ტრანზიციის პირობებში აუცილებელია საყოველთაო კონსენსუსი, რომლის მიღწევა მხოლოდ ყველა ინსტიტუციასთან თანამშრომლობით შეიძლება; საქართველოში კი ერთ პარტიას აქვს მთელი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება მონოპოლიზებული, რაც, გარკვეული პერიოდის შემდეგ, კლანურ ავტორიტარიზმში გადადის და იწვევს პოლიტიკურ ოპოზიციასთან რადიკალურ დაპირისპირებას. ამიტომაც არის ქართული პოლიტიკის დამახასიათებელი ავტორიტარული მმართველობა, რომელიც კლანურ სისტემასთან არის შერწყმული. კლანი - ეს არის პოლიტიკური ძალაუფლებით გამყარებული ერთობლიობა, რომელიც თავის სარგებლიანობაზე მუშაობს ავტორიტარული მეთოდების გამოყენებით; ასეთი გადაგვარება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რაც დაპირისპირების მიზეზი ხდება.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური ხელისუფლებისა და ოპოზიციის იდეოლოგიური პოლარიზების პარადიგმა ძირითადად ორი მიმართულებით გამოიკვეთა: 1. ეს არის პოლიტიკური სივრცის აქტორული სისუსტე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიული ტრანზიტის რაციონალურობას; 2. საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა, რომელიც ყოველთვის არ არის აგებული მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ტრანზიციის გათვალისწინებაზე. ორივე ამ პროცესმა პოლიტიკური ოპოზიციის დესტრუქციულობის კურსი კიდევ უფრო გამოკვეთა, რაც სერიოზულ საფრთხეს შეიცავს ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

პოლარიზების მნიშვნელოვან ელემენტად იქცა პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის საკითხი, რომელიც ყოველი ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში დგას. 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ახალი ტექნოლოგიური სისტემით ჩატარდა, რომლითაც კვლავ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა „ქართულმა ოცნებამ“; ამ პოლიტიკურმა პარტიამ რამდენიმე წელიწადია სახელმწიფოებრიობის მშვიდობიანი მშენებლობის კურსი აიღო და ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს; ეს პარტია პოლიტიკურ რეალობას ითვალისწინებს, რაც გამორიცხავს ავანტიურისტულ და ირაციონალურ მიდგომებს. პოლიტიკურ ოპოზიციას, რომელიც დიფერენცირებულია და მუდმივ ცვალებადობას განიცდის, არ აკმაყოფილებს მიღწეული და დესტრუქციულობის სულისკვეთებით ცდილობს მიზნის მიღწევას. ოპოზიციამ სწორი შეფასება

დაიმსახურა პოლიტიკური სპექტრისაგან - „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა", რომელიც წარსულის რევოლუციურ სინდრომსა და ქუჩის აქციებზე აგებს თავის მოქმედებებს; ისინი ცდილობენ თავი მოუყარონ რადიკალურ და ექსტრემისტულ ჯგუფებს, რომლებიც დესტრუქციულობაში სარგებელს ეძებენ. შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკური ოპოზიციის დესტრუქციულობა და ავანტიურიზმი რამდენიმე მიმართულებით გამოიკვეთა: **პირველი** - პოლიტიკური ოპოზიცია ძალიან ეროზირებულია, რომელთაც სხვადასხვა ინტერესი ამოძრავებთ; ეს ინტერესები მიმართულია მხოლოდ ძალაუფლების მოპოვებაზე, რისი მიღწევაც დესტრუქციულობისა და ძალადობის გზით სურთ; **მეორე** - გამოიკვეთა ძველი ნაციონალური მოძრაობის მოღვაწეობითი სტილი, რომელიც ავანტიურისტული ელემენტებით სარგებლობდა; გარკვეული ჯგუფები შეეცადნენ, გამიჯვნოდნენ ძველ ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ არ გამოუვიდათ; კვლავ სახეზეა „კმარასეული" იდეოლოგიური ექსტრემიზმი, რომელიც უფრო ნეობოლშევკურ სტილს წააგავს და აცდენილია სახელმწიფოებრივ პრაგმატიზმს; **მესამე** - ყველაზე მთავარი ის არის, რომ პოლიტიკური ოპოზიცია ემყარება ძველ პორტრეტებს, რომლებიც უკვე მოძველებულია თანამედროვე ქართული პოლიტიკისათვის; მათი პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალი და პოლიტიკური კულტურა ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს; პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერები ვერ სარგებლობენ საზოგადოებაში ავტორიტეტით და ამიტომ ცდილობენ ექსტრემისტულ ძალებში იპოვონ დასაყრდენი; მათ ერთმანეთთან კონსენსუსის მიღწევის უნარიც კი არ გააჩნიათ, რაც სამომავლოდ აუცილებლად გამოიწვევს დაპირისპირებას; **მეოთხე** - მსოფლიოში სიტუაცია ძალიან სწრაფად იცვლება, რაც მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ-პრაგმატულ მიდგომებს საჭიროებს; პოლიტიკური ოპოზიცია მხოლოდ თავის კლანურ ინტერესებზე ზრუნავს, რომელიც გლობალურ საფრთხეებსა და რისკებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკური რეალიზმის პოზიციიდან ვერ ხედავს; **მეხუთე** - პოლიტიკურ ოპოზიციაში, რაც ყველაზე მთავარია, არ ჩანს გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც სოციუმის მხარდაჭერით სარგებლობს; ეს სერიოზული ნაკლია, რადგანაც ქვეყანა გარდამავალი პერიოდის თავისებურებებით ხასიათდება და საჭიროებს ავტორიტეტს, რომელსაც შეეძლება სიტუაციის ანალიზი და პოლიტიკური პროცესების პროგნოზირება. ვფიქრობთ, ამ მიზეზების გამო პოლიტიკური ოპოზიციის კრიზისი გარდაუვალია, რაც გამოიხატება იმი, რომ იგი თანდათანობით დაკარგავს სოციუმში მხარდამჭერებს.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში ინსტიტუციურ აქტორებს შორის პოლარიზების ერთ-ერთი მიზეზი გახდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა; ეს საკითხი დიდი ხანია კონსტიტუციურად გარკვეულია და გულისხმობს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას; ქართული სახელმწიფოებრიობის მომავალი მხოლოდ ევროკავშირის წევრობაა, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების დაცვისა და სუვერენიტეტის მაქსიმალურ დაცვას. გაურკვევლობა გამოიწვია იმან, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გამოცხადებული იქნა ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე მოლაპარაკის დაწყების დროდ 2028 წლის ბოლო, რითაც სურდა პოლარიზების კიდევ უფრო გაღრმავების შეჩერება; ვფიქრობთ, საკითხს უფრო მეტი განმარტება უნდა მისცემოდა, იგი თავისი რიტორიკით მთლად არ იყო გამართლებული; ეს უნდა სცოდნოდათ, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ გამონათქვამს ვერ გაიგებდა და დაპირისპირება უფრო გაღრმავდებოდა.

პოლიტიკურ სისტემის პოლარიზების მიზეზად პოლიტიკურ აქტორებში პოლიტიკური რეალიზმისა და პრაგმატიზმის უუნარობა უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც ვერ ხედავენ იმ გეოპოლიტიკურ ტრანზიციებს, რომლებიც მსოფლიოში ხდება; მიმდინარეობს ქვეყნების გადაჯგუფება ახალ გაერთიანებებში, იცვლება ძალთა ბალანსი მსოფლიოში, რომელიც ახალი წესრიგის საფუძველი ხდება; ასეთი სიტუაცია ახალ მიდგომებს საჭიროებს, რომელიც რაციონალიზმსა და ეროვნულ პრაგამტულობას უნდა ემყარებოდეს. საქართველო ამ გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების პირობებში მწვავე გამოწვევებისა და რისკების წინაშე დგას, რაც მეტად გაწონასწორებული პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. გაუმართლებლად მიგვაჩნია პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილის რიტორიკა იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკური სპექტრი დაიყოს „მედასავლეთეებად" და „რუსეთუმეებად", რაც სახელმწიფოსათვის საფრთხეს შეიცავს; საქართველოს თავისი გამორჩეული გეოპოლიტიკური ფუნქცები გააჩნია, შეასრულოს ტრანზიტის როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; ამიტომ, ევროპული ინტეგრაცია სრულებითაც არ ზღუდავს ჩვენს ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან - ჩინეთთან, ცენტრაული აზიის ქვეყნებთან, ირანთან და ა.შ. ჩინეთი თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რომელიც მხარს უჭერს საქრთველოს ტერიტორიულ მთლიანობას; ვფიქრობთ, ამ ქვეყანასთან ჩვენი ურთიერთობების განვითარება, მიუხედავად მისი პოლიტიკური რეჟიმისა, პოლიტიკური ხელისუფლების მიერ სწორი გადაწყვეტილება იყო. სამწუხარო ფაქტია ის, რომ შეჩერდა აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც 2009 წელს გაფორმდა; იმედია, რომ ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან და ახლადარჩეულ პრეზიდენტთან **დ. ტრამპთან** ბევრი რამ გაირკვევა და როგორც პოლიტიკური ხელისუფლება გვპირდება, გადატვირთვის პოლიტიკა განხორციელდება. თვითონ დ. ტრამპი გამოირჩევა თავისი ინდივიდუალური თვისებებით, რომელიც გულისხმობს ეროვნული იდენტობის, ოჯახის სიწმინდის, მიგრაციული პროცესების შეჩერებისა და სხვ. საკითხების მოგვარებას; ასევე პოლიტიკური ხელისუფლება ფიქრობს, რომ აუცილებელია გადატვირთვის პოლიტიკის გატარება ევროკავშირთან, რომელთანაც ასოცირების ხელშეკრულებაზე გვაქვს ხელი მოწერილი და მიღებული გვაქვს წევრობის კანდიდატის სტატუსი. სხვანაირად შეუძლებელი იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრება და მისი ტრანზიტული ფუნქციების გაძლიერება. ამასთან, არ უნდა დაგვაწყდეს, რომ საქართველო იმყოფება ცივილიზაციათა გასაყარზე, რომელიც ბალანსირებული პოლიტიკის გატარებას მოითხოვს; ამიტომაც არის, რომ პოლიტიკური ხელისუფლება ნაკლებად იყენებს აგრესიულ რიტორიკას, რადგანაც

https://doi.org/10.52340/bal N2. 2024
WWW.B-K.GE WWW.OJS.B-K.GE

ჩვენი ვალია თავიდან ავიცილოთ ახალი პროვოკაციები რუსეთის ფედერაციისაგან და სამხრეთ კავკასიაში ხელი შევუწყოთ მშვიდობიან თანაცხოვრებას. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკოსისა და პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილის მოთხოვნა იყო საქართველოში გახსნილიყო მეორე ფრონტი, რომელიც სრული კატასტროფით დამთავრდებოდა ქართული სახელმწიფოსათვის; ასეთი პროვოკაცია სერიოზულ საფრთხეს შეიცავდა, რომელიც პოლიტიკურმა ხელისუფლებამ თავისი ეროვნულ-პრაგამატული მიდგომებით თავიდან აიცილა.

საქართველოს პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება პოლიტიკური ერის ფორმირების საკითხი, რომელიც მულტიეთნიკურ სივრცეს ემყარება და ინტეგრაციული პროცესების თავისებურებებით გამოირჩევა. პოლიტიკური ერი სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისა და სტაბილური პოლიტიკური სივრცის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ერი პოლიტიკურ თვითმყოფად განვითარებასა და სრულყოფილ ინტეგრაციას პოლიტიკურ სივრცეში აღწევს, რომლის ინსტიტუციური და ღირებულებითი გამოხატულებაა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ეროვნული პოლიტიკური იდენტობის გააზრება. პოლიტიკური ერის უპირველესი ნიშანია პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალი დონე და პოლიტიკური საზოგადოების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიის სტაბილურ ფუნქციონირებას და სახელმწიფოებრიობის მშვიდობიან აღმშენებლობას.

პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური პოლარიზების დაძლევა და სტაბილურობა სახელმწიფოებრივი ერის ერთ-ერთი ნიშანია, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური ერის თვითრეალიზაციის ფორმებს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ერი ფორმირების პროცესშია, რაც გარკვეულ პოლიტიკურ წესრიგს ემყარება; ეს წესრიგი კი ინსტიტუციურად არამდგრადია და არასტაბილურობის ელემენტებს პერიოდული ციკლურობით ავლენს; სამწუხაროდ, პოლიტიკური სისტემა, რომელიც ინსტიტუციურად და კულტურულ-იდეოლოგიურად სუსტია, პოლიტიკური გაუცხოების პერმანენტულ საშიშროებას წარმოშობს; ასეთი არასტაბილურობის საშიშროების სინდრომი თანამედროვე პოლიტიკური ერის ფორმირებას ხელს უშლის და აფერხებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესი თავისთავად დაკავშირებულია პოლიტიკური საზოგადოების არსებობასთან, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ჯერჯერობით სუსტია. პოლიტიკური საზოგადოება - ეს არის ინსტიტუციურად მდგრადი და სახელმწიფოებრივად ინტეგრირებულ ადამიანთა ერთობა, რომელიც თავის პოლიტიკურ მისწრაფებებს რაციონალურობასა და პრაგმატიზმზე აგებს და პოლტიკური დემოკრატიის ძირითად პრინციპად პლურალიზმი და სახელმწიფოებრივი ინტერესები მიაჩნია. პოლიტიკური საზოგადოების ფორმირება პოლიტიკური თანაცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს და ერის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების დიდ გამოცდილებას ეფუძნება. ქართულ სინამდვილეში მისი სისუსტე გამოვლინდება ირაციონალურობასა და პოლარიზებაში, რომელმაც მუდმივი სინდრომის სახე მიიღო. ჩვენი განმარტებით, **პოლიტიკური ერი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მქონე ერთობას, რომელსაც ახასიათებს პოლიტიკური საზოგადოებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების მაღალი დონე და პოლიტიკური კულტურის რაციონალურ-აქტივისტური ფორმები; პოლიტიკური ერი სამოქალაქო რაციონალურობის მქონე პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანებაა, რომელიც ფართოდ იყენებს პოლიტიკური ინტეგრაციის მდგრად ინსტიტუციურ ფორმებს და უზრუნველყოფს ლეგიტიმურ პოლიტიკურ წესრიგსა და დემოკრატიის სტაბილურ ფუნქციონირებას პოლიტიკურ სივრცეში [2].**

პოლიტიკური ერის ფორმირების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერის პოლიტიკური სოციალიზაციის პრობლემასთან, რომელიც ნამდვილად კრიზისულ სიტუაციაშია. უპირველესად ვგულისხმობთ პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტების სისუსტეს, რომელიც ვერ უმკლავდება დროის მოთხოვნებს. დროის მოთხოვნა კი არის ერის ახალი იდენტობის ფორმირება; პოლიტიკური ხელისუფლების მიერ გააზრებულად იქნა წინა პლანზე წამოწეული ეროვნული იდენტობის, ქართული ტრადიციების, ოჯახის სიწმინდის, ეროვნული მემკვიდრეობისა და ა.შ. პრობლემები. გეოპოლიტიკურმა ტრანზიციებმა წინა პლანზე დააყენა ეროვნული იდენტობის პრობლემა, რომელიც მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი აქტუალური თემა გახდა; ამიტომ, თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიცია მხოლოდ პოლიტიკური სოციალიზაციის ახალ მოდელს შეუძლია. უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს განათლების სისტემის რეფორმას, რომელმაც წინა პლანზე უნდა დააყენოს ეროვნული იდენტობის პრობლემების შესწავლა; სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩატარებულმა საგანმანათლებლო რეფორმამ არ გაამართლა, იგი ფსევდოლიბერალური მიდგომებით გამოირჩეოდა და ზედმეტი ტრანსპლანტაციით აცდენილი იყო ეროვნულ მოთხოვნებს. დღესაც მდგომარეობა კრიზისულია, რაც კვლავ გამოწვეულია ფსევდოლიბერალური ნარჩენებით, რომლებიც განათლების სფეროში კვლავ წამყვან პოზიციებს ინარჩუნებენ; ამიტომაც არის, რომ ახალგაზრდობის ნაწილი არ არის აქტიური პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში, რაც მათ ექსტრემისტულ მიდგომებში ვლინდება. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური სოციალიზაციის ახალი მოდელის ძიებას, რომელიც ინტერაქტიურ სწავლებას უნდა ემყარებოდეს და პოლიტიკური დროის რეალური აღქმით განისაზღვრებოდეს; ამ მიმართულებით, დიდი როლი აკისრია სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სწავლების გაძლიერებას, რომელმაც ახალგაზრდობას უნდა შეუქმნას პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური პირობები პრიორიტეტებისა და ღირებულებების სწორ გააზრებაში. **შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკური სოციალიზაცია - ეს არის ახალი ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესი, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ-ინსტიტუციურ და კულტურულ-იდეოლოგიურ ტრანზიციას ემყარება და მიზნად ისახავს პოლიტიკური ერის ფორმირებას. ე.ი. პოლიტიკური სოციალიზაცია ერის პოლიტიკურ-კულტურულ ტრანზიციას წარმოადგენს, რომლის აგენტები არსებული**

**პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურით განისაზღვრება [3].**

ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და ახლებური გააზრების მიზნით, პრინციპულად დგება საკითხი ღირებულებითი პრიორიტეტების სწორად განსაზღვრისა და რაციონალური შეფასებისათვის. გლობალური და რეგიონალური რთული გამოწვევები ეროვნული პრაგმატული პოლიტიკის გატარებას მოითხოვს, რაც მყარ იდეოლოგიურ ღირებულებით სისტემასა და პრიორიტეტების სწორად გააზრებას უნდა ემყარებოდეს. იდეოლოგია ერის გამაერთიანებელი მყარი ღირებულებითი სისტემაა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ერი და ფორმას აძლევს მის პოლიტიკურ იდენტობას. ქართული სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისა და თვითშემეცნების იდეოლოგიური ელემენტი ყოველთვის მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო; იგი გარკვეულ სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ ღირებულებათა სისტემას ქმნიდა და ზოგადეროვნული ცნობიერებისა და თანაცხოვრების საფუძველს წარმოადგენდა. მან ქართველი ერი თავისი გენეტიკური თანაცხოვრებით ერთიან სულიერ ფენომენად აქცია და ერთგვარად, ეროვნული თვითგადარჩენის მისიაც შეასრულა; ამ თვალსაზრისით, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, გარკვეულწილად, პოლიტიკური მისიის ერთგვარი შემსრულებელი და ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელი მოძღვრება გახდა. დღეს, როდესაც საზოგადოებაში მწვავედ მოიკიდა ფეხი დაპირისპირებამ, საპატრიარქომ და პირადად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II** შემრიგებლური პოზიცია დაიკავა და მხარეებს კონსენსუსის მიღწევისაკენ მოუწოდა. საპატრიარქომ აღიარა საპარლამენტო არჩევნების შედეგები და „ქართულ ოცნებას" გამარჯვება მიულოცა და უსურვა მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. **უწმინდესმა და უნეტარესმა აღნიშნა, რომ „დასრულდა ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების გამოვლენის პროცესი, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა „ქართული ოცნების" ხმების დიდი უმრავლესობით გამარჯვება. გულითადად ვულოცავთ მათ ამ წარმატებას. მართალია, ოპოზიცია არჩევნების შედეგებს აპროტესტებს და წინააღმდეგობის გაგრძელებას გეგმავს, მაგრამ გამოვთქვამთ იმედს, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც შეძლებენ შემდგომი წლები მაქსიმალურად გამოიყენონ ქვეყნის წინსვლისა და კეთილდღეობისთვის" [4].**

## დ ა ს კ ვ ნ ა

თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა რთული საშინაო და საგარეო გამოწვევებისა და რისკების წინაშე დგას, რომელიც მეტად გაწონასწორებული და ეროვნულ-პრაგმატული პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა და დემოკრატიული ტრანზიციის რაციონალურად განხორციელება სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ინსტიტუციურ და კულტურულ-ღირებულებით საფუძველს წარმოადგენს. სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემა მეტად პოლარიზებულია, რომელიც მისი ფორმირების დამახასიათებელი ირაციონალური პროცესი გახდა. სტაბილურობას ინსტიტუციური მდგრადობა განაპირობებს, რომელიც, ჯერჯერობით, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ძალზე სუსტია; ამიტომაც, მივიღეთ მუდმივი დესტრუქციულობისა და რევოლუციურობის სინდრომი. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ვერ ჩამოყალიბდა კონსტრუქციული პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც სახელმწიფოებრივ აზროვნებას გამოავლენდა. ამასთანავე, პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს და მხოლოდ ძალაუფლების მოპოვებაზე ზრუნავს. დესტრუქციულობის მისაღწევად ცდილობენ პროვოკაციებისა და ავანტიურისტული მეთოდების გამოყენებას, რაც სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს ქმნის. პოლიტიკური სისტემის არასტაბილურობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ქართველი ერი, ჯერჯერობით, ვერ ჩამოყალიბდა პოლიტიკურ ერად; პოლიტიკური ერის ფორმირებას კი პოლიტიკური სოციალიზაციის ახალი მოდელი სჭირდება, რომელიც ეროვნულ იდენტობას აკმაყოფილებს. პრობლემად რჩება ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიციის საკითხი, რომელმაც უნდა შექმნას ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო იდენტობა; ქართული სახელმწიფოებრივი იდენტობა მულტიეთნიკური თავისებურებებით გამოირჩევა, რომელიც მეტ პრაგმატულ მიდგომას საჭიროებს. სტაბილურობისა და მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის საჭიროა პოლიტიკური კონსენსუსის მოძებნა პოლიტიკურ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის; განსაკუთრებული როლი აკისრია მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც პოლიტიკური სისტემის ყველაზე მდგრადი და გავლენიანი ინსტიტუტია. თანამედროვე გეოპოლიტიკური ტრანზიციების პირობებში პოლიტიკური რეალიზმი და ახალი ეროვნულ-პოლიტიკური პრაგმატიზმი პოლიტიკური დროის მოთხოვნა გახდა. თანამედროვე ქართულ სახელმწიფოებრიობას, თავისი გეოპოლიტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, სტაბილურობა და მშვიდობიანი აღმშენებლობა სჭირდება, რომ გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? რჩ. Nნაწ. ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987;

2. სრულიად საქართველოს კატოლიკოს-პატრიარქის ილია II -ის განცხადება საპარლამეტო არჩევნებთან დაკავშირებით. https://rb.gy/43p2xi;

3. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. პოლიტიკური სოციალიზაცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა". იანვარი-ივნისი, N1, 2022, გვ. 31-39. ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში Google scholar. www.b-k.ge https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/740/704/;

4. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა და პოლიტიკური ერის ფორმირება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. ტ.XIX. 2020-2021 წელი, თბ. 2023, გვ.668-680. DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.43;

5. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. სოციალიზაცია და პოლიტიკური ერის ფორმირება საქართველოში. „ფილოსოფიური ძიებანი" /კრებული ოცდამერვე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2024, გვ.115-123 .

ბიზნესი და კანონმდებლობა
https://doi.org/10.52340/bal N2. 2024
WWW.B-K.GE WWW.OJS.B-K.GE

# ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა შრომის ბაზარზე

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.05



**ნონა გელიტაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-4592-2976
E-mail: ngelitashvili@thu.edu.ge

**აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე; დიგიტალიზაციის ეპოქაში ციფრული ტრანსფორმაციის უნარი გადამწყვეტი კონკურენტული უპირატესობა ხდება. კომპანიებს, რომლებიც წარმატებით დაეუფლებიან ამ ცვლილებას, შეუძლიათ არა მხოლოდ გაზარდონ თავიანთი ეფექტიანობა და პროდუქტიულობა, არამედ გახსნან ახალი ბიზნეს შესაძლებლობები და გააძლიერონ თავიანთი პოზიცია ბაზარზე. სტატიაში წარმოდგენილია მოსაზრებები ციფრული ტრანსფორმაციის მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტებთან დაკავშირებით. სამეცნიერო დასკვნები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ტექნოლოგიური ცვლილების გავლენა იყოს აღქმული, როგორც უარყოფითი საერთო დასაქმების ეფექტი, ან თუნდაც ტექნოლოგიური მასობრივი უმუშევრობა. ციფრული ტრანსფორმაციის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს უნარი, გახადოს კომპანიები მომავლისთვის შესაფერისი და მისცეს მათ მოქნილად რეაგირების უნარი ბაზრის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, შრომის ბაზარი, რუტინაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური ცვლილება.

**J.E.L. კლასიფიკაციის შესაბამისი კოდი:** ტექნოლოგიური ცვლილება და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა (O3).

# THE IMPACT OF DIGITAL TRANSFORMATION ON THE LABOR MARKET

**Nona Gelitashvili**
Doctor of Economics
Professor of Tbilisi Humanitarian University
https://orcid.org/0000-0003-4592-2976
E-mail: ngelitashvili@thu.edu.ge

**ABSTRACT**

This article examines the labor market changes driven by digital transformation, highlighting how the ability to adapt to digitalization is becoming a critical competitive advantage. Companies that successfully navigate this transformation can not only enhance their efficiency and productivity but also unlock new business opportunities and strengthen their market position. The article discusses perspectives on the anticipated economic effects of digital transformation. Scientific findings do not support the notion of technological change leading to a negative overall employment impact or widespread technological unemployment. The importance of digital transformation lies in its capacity to future-proof companies and enable them to respond flexibly to ever-changing market demands.

Keywords: digital transformation, digital technologies, artificial intelligence, labor market, routine-based technological change.

J.E.L. Classification code: Technological change and the knowledge-based economy (O3)

### ძირითადი ტექსტი:

ციფრული ტრანსფორმაცია ერთ-ერთი საკვანძო ტერმინია თანამედროვე ბიზნეს სამყაროში და აღწერს ყოვლისმომცველ ცვლილებას, რომელსაც კომპანიები და ორგანიზაციები განიცდიან ციფრული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური პროცესების გამოყენებით. ციფრული ტრანსფორმაცია სცილდება მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობას და მოიცავს ფუნდამენტურ ცვლილებებს ბიზნეს მოდელებში, ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და კორპორატიულ კულტურაში; გულისხმობს ბიზნეს მოდელების, ბიზნეს-პროცესებისა და კორპორატიული კულტურის ადაპტაციას ციფრული ეპოქის მოთხოვნებთან. დიგიტალიზაციის ეპოქაში ციფრული ტრანსფორმაციის უნარი გადამწყვეტი კონკურენტული უპირატესობა ხდება. კომპანიებს, რომლებიც წარმატებით დაეუფლებიან ამ ცვლილებას, შეუძლიათ არა მხოლოდ გაზარდონ თავიანთი ეფექტიანობა და პროდუქტიულობა, არამედ გახსნან ახალი ბიზნეს შესაძლებლობები და გააძლიერონ თავიანთი პოზიცია ბაზარზე. ციფრული ტრანსფორმაციის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს უნარი, გახადოს კომპანიები მომავლისთვის შესაფერისი და მისცეს მათ მოქნილად რეაგირების უნარი ბაზრის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებზე.

ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანის შრომის მუდმივი ჩანაცვლება ხდებოდა, ამგვარი ცვლილებები დასაქმებულთა სხვადასხვა ჯგუფების ადაპტაციის უნარის და კომპანიების მოქნილობის ზრდას უწყობდა ხელს. მოკლევადიან პერსპექტივაში, წარმოების სექტორში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, როგორიცაა სამრეწველო რობოტების გაზრდილი გამოყენება 1990-იანი წლებიდან, მოჰყვა მტკივნეული სტრუქტურული რღვევები. დროთა განმავლობაში გაქრა მთელი პროფესიები, მანამდე ადამიანების მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცვალა მანქანებით. თუმცა, ახალი ტექნოლოგიების შესავსებად საქმიანობის ახალი სფეროები კვლავ გაჩნდა. სამუშაოზე მთლიანი მოთხოვნა არ აჩვენებდა ტექნოლოგიურ მიკერძოებას - კლების ტენდენციას. პირიქით, შრომის პროდუქტიულობის ზრდა გამოიხატებოდა რეალური ხელფასების და ცხოვრების დონის გრძელვადიან ზრდაში. მაგალითისთვის, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გერმანია ამ დრომდე წარმატებით ახერხებს შრომის ბაზარზე რობოტების ტექნოლოგიის დანერგვით გამოწვეული შეფერხებების შემსუბუქებას, ან მათ თავიდან აცილებას. [3; 2]. დაუთის [5] და სხვა მკვლევრების თანახმად, რობოტების გამოყენებამ არ გამოიწვია ინდუსტრიული მუშაკებისთვის უმუშევრობის ინდივიდუალური რისკის ზრდა.

ტექნიკური პროგრესი არსებობდა დიგიტალიზაციამდეც და ის ყოველთვის ახდენდა გავლენას შრომის ბაზარზე. ციფრული ტრანსფორმაციის ჰეტეროგენული მექანიზმები მომავალშიც გამოიწვევს მასიურ ცვლილებებს და ზედმეტს გახდის ადამიანის გარკვეულ საქმიანობასა თუ პროფესიებს. ის ფაქტი, რომ ახალი ციფრული ტექნოლოგიების გამო, მალე ნაკლები მოთხოვნა იქნება ადამიანის გარკვეულ აქტივობებზე, აისახება ჩანაცვლების პოტენციალის რაოდენობრივი მაჩვენებლების ცვლილებაზე [6; 4]. ექსპერტების შეფასებით, ეს მიუთითებს, თუ რომელი პროფესიები შეიძლება იყოს სრულად ან ნაწილობრივ ავტომატიზებული, ტექნოლოგიების ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით.

სამრეწველო რობოტიკა არის დამკვიდრებული ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ათწლეულების განმავლობაში. ამის საპირისპიროდ, უახლესი ციფრული ტექნოლოგიები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი (AI), მოითხოვს შესადარებელ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას. შრომის ბაზრის ეფექტების იდენტიფიცირება ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პირველადი შესაბამისი კვლევები [1], ძირითადი აქცენტი კეთდება კომპანიის კვლევებზე, დასაქმების დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით [4; 7]. პროგნოზები, რომლებიც ამის საფუძველზე კეთდება, ექვემდებარება გაურკვევლობის ბევრად უფრო მაღალ ხარისხს, მაგრამ იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას, შრომის ბაზრის მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, დიგიტალიზაციის ტექნოლოგიური პოტენციალი მკვეთრად გაიზარდა [8]. კომპიუტერები შეიძლება გამოყენებულ იქნას თითქმის ნებისმიერი მიზნისთვის, აქვთ განვითარების მაღალი უნარი და შეუძლიათ გამოიწვიონ ინოვაციები ცხოვრებისა და ეკონომიკის ბევრ სფეროში. ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფმა განვითარებამ მრავალი თვალსაზრისით შეცვალა ყოველდღიური ცხოვრება. მედიცინაში დიაგნოსტიკური ხელსაწყოების, ელექტრონული კომერციის პერსონალიზებული რეკომენდაციების ან თვითმართვადი მანქანების მხარდაჭერით, AI-ზე დაფუძნებული სისტემები აჩვენებენ შთამბეჭდავ პროგრესს, რაც ცვლის ადამიანების მიერ დავალებების შესრულების და ინფორმაციის დამუშავების ხარისხს, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. კერძოდ, ტექსტზე და ხმაზე დაფუძნებული ჩეთბოტების გაჩენით, როგორიცაა ChatGPT ან Google Bard, ხელოვნური ინტელექტის პოტენციალი სულ უფრო მეტად აღიარებულია და განიხილება საჯაროდ. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ეკონომიკაში წარმოების პროცესებში დაახლოებით გაორმაგდა და 10-დან თითქმის 20 პროცენტამდე გაიზარდა ინდუსტრიაში და ინდუსტრიასთან დაკავშირებულ სერვისებში, 2019-დან 2022 წლამდე პერიოდში [10]. ხელოვნურ ინტელექტს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ზოგადი დანიშნულების ტექნოლოგიას“ (general purpose technology - GPT), რომელიც იმდენად მრავალმხრივია, რომ მას შეუძლია შეცვალოს ჩვენი მუშაობისა და ცხოვრების წესი იმ ზომით, რაც წარსულში გააკეთა ორთქლის ძრავის, ელექტროენერგიის ან ინტერნეტის გამოგონებამ.

ხელოვნური ინტელექტის (AI) სფეროში, რომელიც ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრალური საყრდენია, შეიძლება გამოიყოს სისტემების სხვადასხვა ჯგუფი. ხელოვნური ინტელექტი საშუალებას გაძლევთ შექმნათ ძალიან მძლავრი სისტემები - მაგალითად, გამოსახუ-

ლების და მეტყველების ამოსაცნობად, ან ავტონომიური მართვის მხარდაჭერის სისტემებში, რომლებიც დაფუძნებულია დიდი რაოდენობით მონაცემებზე და მძლავრ ღრუბლოვან (cloud) ინფრასტრუქტურაზე. დიგიტალიზაცია იწვევს თანამშრომლების უფრო მაღალ პროდუქტიულობას ბევრ სფეროში. თუმცა, მუდმივად მზარდი ტექნოლოგიური შესაძლებლობების ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ მათ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ადამიანის შრომას.

გადაწყვეტილებების სრული დელეგირება ალგორითმებზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება. უფრო ხშირად ადამიანები იღებენ მხარდაჭერას კომპიუტერიდან, მაგრამ მაინც ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიღებისას. რომელ მათგანს მიენიჭება უპირატესობა - ადამიანს, თუ მისი და კომპიუტერის ურთიერთქმედების შედეგად მიღებულ ადამიანურ გადაწყვეტილებას, ეს დამოკიდებულია არა მარტო კომპიუტერის მწარმოებლურობაზე, არამედ კომპიუტერის შესაძლებლობების გამოყენების უნარებზე.

დისკუსია შედარებითი უპირატესობების შესახებ აისახება სამუშაო სამყაროზე ციფრული ტრანსფორმაციის მოსალოდნელი ეფექტების პროგნოზებში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის Future of Jobs Report 2020 წარმოგვიდგენს მსხვილი კომპანიების მრავალრიცხოვანი გამოკითხვის შედეგებს [7]; ამ ანგარიშში აღწერილია, რომ მენეჯერებს სთხოვდნენ, მიეთითებინათ: ა) რომელ ტექნოლოგიებს დანერგავდნენ თავიანთ კომპანიაში მომდევნო წლებში, ან რომელი არსებული ტექნოლოგიების გაფართოებას ისურვებდნენ და ბ) რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს დასაქმებას, ანუ რა ტიპის სამუშაო ადგილები შემცირდება და რამდენად; ან რა ტიპის სამუშაო ადგილები შეიქმნება. ვინაიდან ეს კვლევები ეხება მომავალზე ორიენტირებულ ეკონომიკურ გეგმებს და არა რეალიზებულ გადაწყვეტილებებს, ასეთი კვლევების შედეგებს, ბუნებრივია, გარკვეული სიფრთხილით უნდა შევხედოთ.

WEF-ის კვლევის საფუძველზე, გამოიკვეთა სამი ძირითადი დასკვნა:

პირველ რიგში, დასკვნა შეეხება იმ ტექნოლოგიების იდენტიფიცირებას, რომლებიც მომავალში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდება. WEF Future of Jobs Report 2020-ის მიხედვით, გამოკითხული კომპანიების 70 პროცენტზე მეტი ამბობს, რომ ისინი სულ უფრო მეტად დაეყრდნობიან მანქანურ ანუ კომპიუტერულ სწავლებას, დიდ მონაცემთა ანალიტიკას და ნივთების (ჩაშენებული მოწყობილობების) ინტერნეტს (machine learning, big data analytics and Internet of things).

მეორე დასკვნა მდგომარეობს შემდეგში: მოსალოდნელია, რომ ტექნოლოგიური ცვლილებები გამოიწვევს სამუშაოს დაკარგვას, განსაკუთრებით იმ პროფესიებში, რომელთა სამუშაო პროფილი დიდწილად შედგება მანუალური ან კოგნიტიური რუტინული აქტივობებისგან. ამის მაგალითებად გამოდგება: საქმის მწარმოებლების, სატვირთო მანქანების მძღოლების, მაგრამ ასევე მოსამართლეების პროფესიები. ეს ნიმუშები შეესაბამება პროფესიების ტექნოლოგიური ჩანაცვლების პოტენციალის კვლევებს და ვრცელ ლიტერატურას, ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეულ შრომის ბაზრის პოლარიზაციის საკითხებზე [6; 3; 1]. მკვლევართა ნაწილი ასევე მიდის დასკვნამდე, რომ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, ე.წ. ჩანაცვლების რისკი ნაკლებად დაემუქრებათ იმ თანამშრომლებს, რომლებიც პირველ რიგში ახორციელებენ შემოქმედებით და/ან არასტანდარტიზებულ პროცესებს სამუშაო ადგილზე. ეს შეიძლება იყოს გარკვეული მაღალკვალიფიციური პერსონალი, მაგრამ ასევე მუშები ფორმალური ტრენინგის გარეშე, თუკი ისინი ჩვეულებრივ აწყდებიან სხვადასხვა სიტუაციებს ყოველდღიურ სამუშაო ცხოვრებაში, რომლებიც არ მიჰყვებიან რუტინას, და მათი საქმიანობა არ მიეკუთვნება ადვილად ავტომატიზებულ სამუშაოთა კატეგორიას.

ამის საპირისპიროდ, არსებობს მაღალი ჩანაცვლების პოტენციალი პროფესიებში, რომლებსაც აქვთ რუტინის მაღალი ხარისხი, რომლებიც ხშირად განლაგებულია კვალიფიკაციისა და სახელფასო სპექტრის შუაში. უფრო კონკრეტულად, კომპანიის გამოკითხვების თანახმად, ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად, ერთი მხრივ, მოსალოდნელია სამუშაო ადგილების შექმნა პროფესიულ სფეროებში, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ შესაბამისი ტექნოლოგიების შემუშავებასა და გამოყენებასთან; ასეთებია, მაგ. პროგრამისტები ან მონაცემთა ანალიზის სპეციალისტები. მეორე მხრირვ კი, გაფართოება მოსალოდნელია სრულიად განსხვავებულ პროფესიებშიც, რომლებშიც სოციალური და კომუნიკაციური უნარების მაღალი დონეა საჭირო. მაგალითად, ეს არის მომხმარებელთა მომსახურების სფეროში ან ჯანდაცვის სექტორში, ანუ იქ, სადაც შედარებითი უპირატესობა მანქანებთან შედარებით ადამიანის შრომას აქვს.

მესამე საკვანძო შედეგი დაკავშირებულია სამუშაო ადგილების შექმნის ან შემცირების საერთო რაოდენობრივ მაჩვენებლებთან. ტიპური სურათი, რომელიც ჩნდება პროგნოზებიდან, ითვალისწინებს საერთო ნეიტრალურ ან თუნდაც ოდნავ დადებით ეფექტს. ამის მიხედვით, დაკარგული სამუშაო ადგილების რაოდენობა მაინც ანაზღაურდება შექმნილი ახალი სამუშაო ადგილებით, თუმცა სრულიად განსხვავებული მახასიათებლებით. თუმცა, ეს პროგნოზი შეიძლება იყოს ძალიან ოპტიმისტური, რადგან მსხვილი კომპანიები, რომლებსაც აქვთ მაღალი დონის ტექნოლოგიები, ხშირად ზედმეტად არიან წარმოდგენილი გამოკითხვებში. თუმცა, სამუშაო ადგილების შემცირება ხდება განსაკუთრებით მცირე კომპანიებში, რომლებიც არ იყენებენ ახალ ციფრულ ტექნოლოგიებს იმავე ზომით და შემდგომში კარგავენ ბაზრის წილს [9]. გარდა ამისა, არ არის გათვალისწინებული ფასებისა და შემოსავლების ცვლილების გამო არაპირდაპირი ეფექტები.

ამჟამად ნაადრევია საიმედო ემპირიული დასკვნების მიწოდება ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ახალი ციფრული ტექნოლოგიების შედეგად წარმოქმნილ დასაქმების ეფექტებზე, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული საჭირო მასშტაბით. თუმცა, ბევრი მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ნაკლებად სავარაუდოა, მთავარი გამოწვევა იყოს უარყოფითი

საერთო დასაქმების ეფექტი ან თუნდაც ტექნოლოგიური მასობრივი უმუშევრობა. პირიქით, შეიძლება წარმოიშვას ორი პრობლემა ციფრული ტრანსფორმაციის შემდგომ ეტაპებზე. ესაა:

1. შეუსაბამობა შრომის ბაზარზე, ანუ მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი;

2. ხელფასების და შემოსავლების უთანასწორობის ზრდა.

შრომის ბაზარზე კომპანიების მოთხოვნა გარკვეული კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებზე აკმაყოფილებს შრომის არაერთგვაროვან მიწოდებას. თუკი შეიცვლება შრომის მიწოდების საკვალიფიკაციო სტრუქტურა, მაგალითად, იმის გამო, რომ შრომის ბაზარზე მეტი განათლებული ადამიანი შემოვა, ეს გავლენას მოახდენს შრომითი შემოსავლის განაწილებაზე. მეტი მაღალკვალიფიციური ადამიანის შესვლა შრომის ბაზარზე შეამცირებს მათ ხელფასებს და გამოიწვევს კომპანიების მხრიდან მაღალკვალიფიციური მუშაკების დასაქმების გაზრდას. ამას შემდგომში მოყვება დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკების პროდუქტიულობის გაზრდა, იმ პირობით, რომ არსებობს კომპლემენტარულობა სამუშაოს სხვადასხვა ტიპებს შორის.

გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს შეუსაბამობა თავისთავად აღმოიფხვრება, დროთა განმავლობაში შრომის ბაზარზე შემოსული ახალგაზრდა თაობის წყალობით და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ამოქმედებით. მაგრამ უკვე მოკლევადიან პერსპექტივაშიც იკვეთება საიმედო ტენდენციები. წარსულში, მაგალითისთვის, გერმანიამ მიაღწია წარმატებას კვალიფიკაციის შეუსაბამობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც წარმოიშვა ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, ინტენსიური ძალისხმევით მუშახელის შემდგომი მომზადებისა და გადამზადების სფეროში. თუმცა, ახალ გამოწვევებთან ბრძოლაში, მაღალკვალიფიციური მუშაკების მოძიება შესაძლოა უფრო რთული აღმოჩნდეს. მაგრამ ისეთი სტრატეგია, რომელიც ეკონომიკურ სტაბილურობას ეყრდნობა, თავის მიზნებს ყოველთვის აღწევს. ამიტომ ბაზარზე ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი უთანაბრობის აღმოსაფხვრელად, რეკომენდაციას უწევენ პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს, როგორც მთავარ სამშენებლო მასალას ციფრული ტრანსფორმაციის შემდგომი განვითარებისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Acemoglu, D. (2021), Harms of AI, MIT Working Paper, Cambridge (Mass.);
2. Acemoglu, D., P. Restrepo (2020), Robots and Jobs: Evidence from US Labor Markets, Journal of Political Economy, 128(6): 2188–2244;
3. Acemoglu, D., P. Restrepo (2018), The Race Between Man and Machine: Implications of Technology for Growth, Factor Shares and Employment, American Economic Review, 108(6): 1488–1542;
4. Arntz, M., T. Gregory, U. Zierahn (2019), Digitalization and the Future of Work: Macroeconomic Consequences, ZEW Discussion Paper No. 19-024;
5. Dauth, W., S. Findeisen, J. Südekum, N. Woessner (2021), The Adjustment of Labor Markets to Robots, Journal of the European Economic Association, 19 (6): 3104–3153;
6. Frey, C., M. Osborne (2017), The Future of Employment: How Susceptible are Jobs to Computerisation?, Technological Forecasting and Social Change, 114: 254–280;
7. WEF (2020), World Economic Forum – Future of Jobs Report 2020, Geneva. http://www3.weforum.org/docs/WEF_Future_of_Jobs_2020.pdf;
8. Knieps, G. (2021), Digitalization Technologies – The evolution of smart networks, in: J.J. Montero, M. Finger (Eds.), A Modern Guide to the Digitization of Infrastructure, Edward Elgar, Cheltenham et al., Chapter 2, 43–58;
9. Smolka, M., M. Koch, I. Manuylov (2021), Robots and Firms, Economic Journal 131(638): 2553–2584;
10. Demary, Vera et al., 2022, KI-Monitor 2022. Künstliche Intelligenz in Deutschland, Gutachten im Auftrag des Bundesverbandes Digitale Wirtschaft (BVDW) e.V., Köln.

ბიზნესი და კანონმდებლობა
https://doi.org/10.52340/bal N2. 2024
WWW.B-K.GE WWW.OJS.B-K.GE

# კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკების მართვა

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.06



**ბესარიონ ნაყოფია**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი
https://orcid.org/0000-0001-9017-3658
besarionakopia@yahoo.com

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკების მართვის თანამედროვე სისტემა და ძირითადი პროცესები, რისკების კონტროლი დაკრედიტების პროცესში, ტიპური პრობლემების ანალიზი, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია საკრედიტო რისკების თანამედროვე მართვის სისტემების დასანერგად.

კომერციულ ბანკებში საკრედიტო ოპერაციები წარმოადგენს საბანკო ბიზნესის საფუძველს, რადგან სწორედ ისინი ბანკის შემოსავლის ძირითადი წყაროა. მაგრამ ეს ოპერაციები დაკავშირებულია საკრედიტო რისკთან, რომლის გავლენასაც დაკრედიტებისას მეტ- ნაკლებად განიცდის ნებისმიერი ბანკი. ბანკის ძირითადი მიზანია „ოქროს შუალედის" მოძებნა, ე.ი. საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობასა და რისკის ხარისხს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს რისკის გონივრული მართვით.

საკრედიტო რისკის მართვის ძირითადი ბერკეტებია: საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია, მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, საკრედიტო პერსონალის კვალიფიკაცია, კრედიტების სტრუქტურირება, კრედიტების რაციონირება, რეზერვების შექმნა სესხებიდან მიღებული შესაძლო დანაკარგების დასაფარავად და სხვ.

საბანკო პრაქტიკაში საკრედიტო რისკის შემცირების ყველაზე გავრცელებული მეთოდია კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასება.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების პრაქტიკული გამოკვლევა და ეროვნულ გამოცდილებათა განზოგადება საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდიკა, რომელიც მოიცავს საკრედიტო პროცესის ყველა ეტაპს.

საკრედიტო რისკის წარმოშობის მიზეზების შესწავლამ აჩვენა, რომ მის წარმოქმნაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებს პერსონალური და ადმინისტრაციული მიზეზები. მნიშვნელოვანია ბანკებში დეპოზიტების დაზღვევის განხორციელება.

თანამედროვე პირობებში კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკის მართვის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზედამხედველო ორგანოების მიერ საბანკო სექტორზე კონტროლის გამკაცრებას. განსაკუთრებით საგულისხმოა ბანკის ადგილზე ინსპექტირების ინსტრუმენტის სრულყოფილად გამოყენება.

# CREDIT RISK MANAGEMENT IN COMMERCIAL BANKS

**Besarion Nakopia**
Doctor of Economic Sciences, Professor
Professor, Tbilisi Humanitarian University
https://orcid.org/0000-0001-9017-3658
besarionakopia@yahoo.com

**RESUME**

It is important to employ contemporary system and main procedures of credit risk management at the commercial banks, as well to carry out risk control during the lending activities and analysis of typical problems the solution of which is of necessity with the view of implementation of the cotemporary systems of credit risk management.

The lending transactions constitute the basis of the banking business activities inasmuch as they are the main source of income for a commercial bank in particular. However these transactions are associated with certain credit risks more or less influencing every bank during the lending process. The main objective of a bank is to find the golden mean i. e. to

reach an optimum ratio between the lending transaction yield and the risk quality, which is feasible to accomplish via risk reasonable management.

The main controls of the credit risk management are as follows: credit portfolio diversification, analysis of creditworthiness and financial standing of borrowers, lending personnel qualification, credit structuring, credit rationing, creation of reserves for paying off probable losses from loans, etc. Assessment of creditworthiness of the customers is the most widely used method of decreasing the credit risks in the banking practice.

Practical research of the credit transactions of the commercial banks of market-economy countries and generalization of their national experiences makes possible to consider suitable credit risk assessment methodology that includes all the stages of the lending process. Studying the reasons of occurrence of a credit risk showed that those of personal and administrational nature gain more importance in such same occurrence.

In the current context, strengthening of control to the banking sector by appropriate supervision agencies becomes more important with the view of improvement of credit risk management at the banks. A sound employment of suitable facilities of inspection of the commercial banks on site is of special significance. In terms of high economic risks the winner is who would be able to precisely forecast, asses and timely minimize the risks.

## ძირითადი ტექსტი

კომერციული ბანკების ფუნქციონირების თეორიული და პრაქტიკული პრობლემის შესწავლას თან სდევს რისკების გამოკვლევა. ცხადია, კომერციული ბანკი მუდმივად უნდა ახდენდეს რისკების შეფასებას, მონიტორინგსა და მართვას. ამდენად, აქტუალურია საბანკო რისკების მართვასთან დაკავშირებული საკითხები. განსაკუთრებით აქტუალურია საკრედიტო რისკის მართვის პრობლემა, რაც მოითხოვს უდიდეს ყურადღებას, მასთანაა დაკავშირებული ბანკების საქმიანობის წარმატება.

საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს აღნიშნული საკითხების კვლევა. ამ პრობლემის შესწავლას ეძღვნება როგორც უცხოელი, ისე ქართველი მკვლევრების ნაშრომები.

საკრედიტო რისკების მართვის შესწავლასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არა მხოლოდ საბანკო, არამედ სადაზღვევო, სატრანსპორტო, სავაჭრო, სახელისუფლებო სტრუქტურებმა, კომპანიებმა, ასოციაციებმა და ა.შ. საკრედიტო რისკების მართვის მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელია იმ მიდგომებისა და მეთოდების ადაპტირება, რომლებიც შემოთავაზებულია რისკ-მენეჯმენტის უცხოელი თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ ადგილობრივი კანონმდებლობისა და პირობებისათვის ბიზნესის მართვის პრინციპებში. ხშირად ცნებას „რისკი" მკვლევრები განიხილავენ სიტუაციების მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობის ფორმაში, რომელშიც შეიძლება წარმოიშვას იგი. რისკი გაუთვალისწინებელი ზარალის წარმოქმნის საფრთხეა ეკონომიკური საქმიანობის პირობების შემთხვევით შეცვლის, მათ შორის, ბაზარზე ფასების საერთო ვარდნის გამო.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნები კომერციული ბანკების რისკ-მენეჯმენტის მიმართულებით ეფუძნება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მდიდარ გამოცდილებასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რე კომენდაციებს. ფაქტობრივად, ამ მოთხოვნებს პასუხობს მთელი საბანკო ზედამხედველობა, რომლის მიზნებია კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების მეშვეობით საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საბანკო სისტემაში სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობის მინიმიზაცია და ამ გზით ბანკების დეპოტიზართა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების მაქსიმალურად დაცვა. საბანკო ზედამხედველობის მართლზომიერების ძირითადი არგუმენტი მეანაბრეთა დანაკარგის რისკის შემცირება და ამ გზით ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეკონომიკური რისკი განისაზღვრება როგორც დანაკარგის წარმოქმნის ალბათობა არახელსაყრელი ფაქტორებისა და სხვა შემთხვევების ზემოქმედებით. საკრედიტო რისკების ანალიზისა და შეფასების მეთოდები იყოფა რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებად. მათში შედის საექსპერტო, რეიტინგული შეფასებები და ა.შ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ანალიზისა და შეფასების კომბინირებული ფორმების გამოყენება.

რისკ-მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რისკების მართვის პრინციპებს, რომელთა შორის გამოიყოფა: კომპლექსურობა; უწყვეტობა; კანონზომიერება; მიზანშეწონილობა; სრულყოფილება და ეკონომიკური განვითარება.

რისკების მართვა მენეჯმენტის დამოუკიდებელი მიმდინარეობაა. ამასთან, რისკ-მენეჯმენტი სხვადასხვა მონაცემით შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც ორგანიზაციის მართვის შემავსებელი ძირითადი პროცესი.

რისკის მართვის სტრატეგია შეიცავს რისკთან დამოკიდებულებასა და მართვიდან მოსალოდნელ შედეგებს. მართვის სტრატეგიაში იგულისხმება არსებული შესაძლებლობების მიმართულებები და მათი გამოყენება დასახული მიზნის მისაღწევად.

სტრატეგია საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ძალისხმევა გადაჭრის გზებზე, რომლებიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ მიზნებს. რისკის მართვის შესაძლო სტრატეგიებია:

- აქტიური ზემოქმედება რისკის ფაქტორებსა და წყაროებზე მათი გავლენის შემცირების მიზნით;
-ადაპტურ-საკუთარი საქმიანობის რისკების არსებულ ფაქტორებთან მიკუთვნების სწრაფვა;
-კონსერვატული, შემოწმებული, კარგად რეკომენდებული ტექნოლოგიების და რისკ-მენეჯმენტის

გამოყენება.

რისკოლოგიისა და რისკ-მენეჯმენტის სფეროების შეჯამებისას შევეცდებით გამოვავლინოთ კომპონენტე-ბის ნაკრები, რომელიც იძლევა ინფორმაციას რისკების მართვის შესახებ. რისკ- მენეჯმენტი ზოგჯერ განიხი-ლება როგორც თავისებური ცოდნა.

ჩვენი აზრით, რისკ-მენეჯმენტი შეიცავს როგორც პრაქტიკული, ისე მეცნიერული საფუძვლების კომ-პლექსს. რისკ-მენეჯმენტის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც დამოუკიდებელ, ისე საყოველთაოდ აღია-რებულ მოქმედ წესებსა და პროცედურებს. ცალკეულ კატეგორიაში გამოიყოფა რისკ-მენეჯმენტის მოწი-ნავე გამოცდილება, რომელიც აერთიანებს ეფექტურ, ნოვატორულ გადაწყვეტილებებს რისკების მართვის სფეროში. მათ სერიოზული შედეგები გვიჩვენეს პრაქტი-კულ გამოყენებაში და თავისებურ ორიენტირს წარმოა-დგენენ რისკის მართვის მეთოდოლოგიის საზოგადოდ გავრცელებული კომპონენტებისათვის.

საკრედიტო რისკში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირი-თადი კომპონენტი:

ა). დეფოლტის ალბათობა;

ბ). დანაკარგები მოცემულ დეფოლტზე;

გ). დეფოლტის მოცულობა. დეფოლტის ალბათობა არის ფულის ის მოცულობა, რომელსაც კარგავს ბანკი მსესხებლის გადახდის უუნარობის დროს. მისი გამო-ანგარიშების რამდენიმე მეთოდი არსებობს, მაგრამ ყველაზე ხშირად იგი გაიანგარიშება როგორც სხვაობა ფაქტობრივ დანაკარგებსა და პოტენციური რისკის მოცულობას შორის. ბანკები დეფოლტის ალბათობას ანგარიშობენ არა ცალკეულ სესხებთან მიმართებაში, არამედ მთლიანად პორტფელის მიხედვით. კომერცი-ული ბანკები საკრედიტო დანახარჯებს ანგარიშობენ გადახდის უუნარობით კრედიტების მიხედვით.

მსესხებლის ფინანსური საიმედოობის მიხედვით სელექციის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მეთოდებად აღიარებულია CART- მეთოდი და Z-მეთოდი.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ერთ-ერთ პრო-ფესიონალურ რისკს საბანკო საქმიანობაში. საბანკო სისტემის დონეზე კარგადაა ჩამოყალიბებული რისკ-მე-ნეჯმენტის საკრედიტო ინსტრუმენტები: ა)კომერცი-ული ბანკები მთლიანობაში ემორჩილებიან კანონმდებ-ლობას სპეციალიზაციის ფუნქციონირებისა და სხვა მონაცემების მიუხედავად; ბ)კომერციული ბანკების პასუხისმგებლობა განხორციელებულ საქმიანობაზე და მასზე კონტროლი სახელმწიფო ორგანოების მიერ წა-რმოდგენილია უფრო მეტად, ვიდრე სხვადასხვა ფორმის საკუთრების ორგანიზაციებისა და წარმოებისათვის; გ) სპეციალიზებული საბანკო კანონმდებლობის სიმკაცრე უფრო მაღალია, ვიდრე სხვა მეურნეობრივი სუბიექტე-ბისა, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა გამოვიდნენ კრედიტორებად.

საკრედიტო რისკი შეიძლება ასევე იყოს გამართლე-ბული და გაუმართლებელი. რისკის გამართლება ან არგამართლება მოცემულ შემთხვევაში კომერციულმა ბანკმა უნდა გადაწყვიტოს იმისდა მიხედვით შეესა-ბამება თუ არა კონკრეტული სესხის პოტენციური რისკის დონე მოსალოდნელ საფინანსო შედეგებს და, მნიშვნელოვანი დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, უარი უნდა თქვას ხელშეკრულების დადებაზე. რისკები მნიშვნელოვნად აქტიურდება საერთო ფინანსური არა-სტაბილურობის დროს, ამასთან, საკრედიტო რისკი არის ერთ-ერთი ის რისკი, რომელიც ტრადიციულად მოსდევს კრიზისებს.

საკრედიტო რისკის დივერსიფიკაცია გულისხმობს საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულების პასუხისმგებლობის განაწილებას რამდენიმე დამოუკი-დებელ სუბიექტს შორის.

მსესხებლის საკრედიტო რისკზე ლიმიტების დაწე-სება იძლევა პოტენციური საკრედიტო რისკის წინასწარ შეზღუდვის საშუალებას. ამასთან, მოცემული მეთოდი ბანკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაი-დან ის გამოიყენება საკრედიტო რისკის წარმოშობის მომენტამდე და ამიტომ ამ მეთოდზე ბევრად არის და-მოკიდებული კონკრეტული ოპერაციის რისკი.

საკრედიტო რისკის დაზღვევის ინსტრუმენტის გა-ნხილვა მიზანშეწონილია როგორც საკრედიტო ოპერა-ციის ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში (გირაო, ქონება), ისე სესხის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვე-ვის პოზიციიდანაც, რაც გამომდინარეობს ნაჩვენები კატეგორიების განსხვავებული შინაარსიდან. დაზღვევა და, ასევე, სესხებზე შესაძლო დანაკარგებთან რეზე-რვების ფორმირება და გამოყენება მიეკუთვნება უკვე რეალიზებული რისკის კომპენსაციის სფეროს. სესხებზე რეზერვების შექმნა არის ნორმატიული დოკუმენტებით დამტკიცებული და საკრედიტო რისკის კომპენსაციის სავალდებულო მექანიზმი, რომელიც გამოიყენება იმ საკრედიტო ორგანიზაციის მდგრადობის შესანარჩუნებ-ლად, რომელსაც პრობლემები აქვს საკრედიტო რისკის რეალიზაციასთან დაკავშირებით.

რისკების განხილული თავისებურებების სა-ფუძველზე წარმოვადგენთ საკრედიტო მართვის პრო-ცესის რიგ სპეციფიკურ მახასიათებლებს:

1. კომერციული ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციები განიხილება როგორც რისკის წყარო;

2. სარისკო ოპერაციებს ბანკი საკუთარი ინიციატი-ვით ასრულებს;

3. კომერციულ ბანკს არა აქვს საშუალება სრული ზემოქმედება მოახდინოს საკრედიტო რისკის იმ ფაქტო-რებზე, რომლებიც მსესხებელთან წარმოიშვება:

4. გამართლებული რისკისას ადგილი აქვს რისკის დონისა და საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ურთიერთკავშირს;

5. რისკის განვითარების დონე სხვადასხვა ქვეყნების საბანკო სისტემაში არაერთგვაროვანია. სხვადასხვა ქვეყანაში ბანკები სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შესაფასებლად. ფართოდ გამოიყენება აშშ-ში აღიარებული მეთოდი 6 „C“. აღნიშნული მეთოდით წარმოებს:

1. საქმიანობის რისკის შეფასება;

2. მენეჯმენტის შეფასება;

3. კოეფიციენტებით კლიენტის ფინანსური სტაბი-ლურობა;

4. ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზი;

5. კლიენტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

6. ადგილზე მისვლით კლიენტის მუშაობაზე დაკვირ-ვება.

ბანკებში საკრედიტო რისკის მართვის ძირითადი მიზნებია:

ა) რისკების პროგნოზირება;

ბ) რისკის შენარჩუნება გარკვეულ დონეზე;

გ). რისკის მინიმიზაცია. საკრედიტო რისკის შეფასებასთან დაკავშირებით თავისებური მიდგომით გამოირჩევა ბაზელის (შვეიცარია) კომიტეტი. არსებობს ორი ძირითადი საბაზისო მეთოდი:

ა) სტანდარტიზებული და

ბ) შიდა რეიტინგული.

საკრედიტო რისკის დაზღვევის მეთოდები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ა) საკრედიტო რისკის დაზღვევა სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით;

ბ). საკრედიტო რისკის დაზღვევა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით;

გ). საფინანსო-საკრედიტო რისკების დაზღვევა დაკრედიტებასთან ირიბად დაკავშირებული რისკების დაზღვევით;

დ). ქონების დაკარგვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევა.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში რისკის მართვის მრავალი ცნობილი მეთოდი არსებობს, რომელთაგან თავისი მნიშვნელობით გამოყოფენ სეკურიზაციას, სტრეს-ტესტებს, VAR – მეთოდოლოგიას, ALM – მოდელს, GAP –ს და სხვ. სწორედ გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში სრულად გამოჩნდა სტრატეგიული რისკ-მენეჯმენტის ეფექტური სისტემის არსებობის მნიშვნელობა და აუცილებლობა. საბანკო რისკების შეფასებისას გამოიყენება რისკის მართვის სხვადასხვა მეთოდი.

საოპერაციო რისკის მართვა შესაძლებელია ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, სასურველია, თუ ბანკის მენეჯმენტი განახორციელებს საოპერაციო რისკით გამოწვეული ზარალის გადაფარვას სპეციალური რეზერვების შექმნით. გარდა ამისა, საოპერაციო რისკების ადეკვატური მართვის გარეშე ბანკის ხელმძღვანელობა მოკლებული იქნება ინფორმაციას კომერციულ ბანკში არსებულ ვითარებას და პრობლემის სიღრმეზე. საოპერაციო რისკის ოპტიმალური მართვა ბანკის მენეჯმენტს ამ რისკით გამოწვეული რაიმე პრობლემის საწყის ეტაპზევე გამოვლენისა და გადაწყვეტის საშუალებას მისცემს, რაც კომერციული ბანკის სტაბილურობისა და ფინანსური მდგრადობის საფუძველია სესხების შესაძლო დანაკარგების დარეზერვების სისტემის ანალოგიურად. ასევე, თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში ფართოდ არის გავრცელებული საბანკო რისკის დაზღვევა. დაზღვევას მეტად უნდა დაექვემდებაროს საოპერაციო რისკით გამოწვეული დანაკარგები.

საკრედიტო რისკების მინიმიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ ტექნიკურ ასპექტს, კერძოდ, კრედიტებზე პროცენტის დარიცხვის მეთოდს. საბანკო პრაქტიკაში განასხვავებენ შემდეგ ძირითად მეთოდებს: წლიური საპროცენტო განაკვეთი; დისკონტირების პროცენტი და ანუიტეტი. საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდიკა მოიცავს საკრედიტო პროცესის ყველა ეტაპს. თანამედროვე პირობებში საკრედიტო რისკის მართვის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია საზედამხედველო ორგანოების მიერ საბანკო სექტორზე კონტროლის გამკაცრება. განსაკუთრებით საგულისხმოა ბანკის ადგილზე ინსპექტირების ინსტრუმენტის სრულყოფილად გამოყენება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის საკრედიტო პორტფელის რისკის რეგულირების სისტემაში უიმედო კრედიტების დარეზერვების მეთოდოლოგია გამოიყენება, სადაც სესხები ხარისხიანობის შემდეგ ჯგუფებად არის კლასიფიცირებული:

ა). სტანდარტული სესხი;

ბ) არასტანდარტული სესხი;

გ). საყურადღებო სესხი;

დ) საეჭვო სესხი;

ე). უიმედო სესხი. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დარღვევის შემთხვევებს შორის ყველაზე ხშირია საკრედიტო საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატივების დარღვევები, რაც უპირველესად განპირობებულია ისეთი მიზეზებით, როგორიცაა ბანკის ინსაიდერების არასწორი იდენტიფიკაცია, საერთო რისკის მქონე სასესხო პროექტების ურთიერთდაკავშირების იგნორირება და ა.შ. სამწუხაროდ, საქართველოს რეალობაში ბანკები ცდილობენ გამოიმუშაონ რაც შეიძლება მეტი სარგებელი და ვერ ან არ ითვალისწინებენ მაღალი რისკის მქონე პროექტების გაზრდილ საშიშროებას. ასევე პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა კომერციულ ბანკს დაწესებული აქვს ეროვნული ბანკის შესაბამის ნორმატივებზე უფრო მკაცრი მოთხოვნები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შეიმჩნევა ნორმატივების მონაცემთა არასწორი გამოთვლა ან მისი ლიმიტის დარღვევა. ასევე, მნიშვნელოვანია პორტფელის ანალიზი ეკონომიკის სექტორებისა და ვალუტის ჭრილში, ვადიანობისა და გირაოს მიხედვით, აგრეთვე მნიშვნელოვანია საკრედიტო პორტფელის რისკის დონის შეფასება ანუ რამდენად ადეკვატურია საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი.

თანამედროვე ბანკის მენეჯმენტი განიხილება როგორც სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ერთმანეთზე ურთიერთმოქმედი დონეების ერთობლიობით.

რისკ-მენეჯმენტი კომერციულ ბანკებში მართვის სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ურთიერთკავშირშია მართვის ყველა დონესთან. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა იძლევა რისკის მართვის დონეების, უფლებამოსილებებისა და ამოცანებისათვის თვალყურის მიდევნების საშუალებას.

კომერციული ბანკის რისკ-მენეჯმენტის სისტემის სტრუქტურა უნდა პასუხობდეს კორპორატიული მართვის ეფექტური გარემოს ფორმირების პრინციპებს. ამასთან, ფუნქციონირებისას მან უნდა დაიცვას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ზედამხედველობის ორგანოების რეკომენდაციები, მოქმედი სტანდარტები და წესები. საბანკო მენეჯმენტის ხარისხის შეფასება საკმაოდ რთულია, ვინაიდან დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათი ურთიერთკავშირი ხშირად დასაბუთებას საჭიროებს. მენეჯმენტის შეფასება, ბანკის მართვის თვალსაზრისით, ხვდება კორპორატიული

მართვის შემადგენლობაში. კორპორატიული მართვა მოიცავს არა მარტო ორგანიზაციის საქმიანობის შიდა მახასიათებლებს, არამედ მისი შედეგების გარე გამოვლინებებსაც. დღევანდელ პრაქტიკაში კორპორატიული მართვის ხარისხი განიხილება არა მარტო ბანკებთან მიმართებაში, როგორც ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელთაგანი, რომელიც ურთიერთკავშირშია კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობასთან, მისი განვითარების პოტენციალთან და სხვ. საბანკო საქმიანობაში კორპორატიული მართვის ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა, იგი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება როგორც ზედამხედველობის ორგანოების ამა თუ იმ საკრედიტო ორგანიზაციის სტაბილურობის კომპონენტი.

საერთოდ, საბანკო სისტემა საჭიროებს ბანკების მენეჯმენტის ხარისხის შეფასების დანერგვასა და განვითარებას. ჩვენი აზრით, საკრედიტო ორგანიზაციების რისკების მართვის სისტემების შეფასებისა და მართვის რეიტინგების მინიჭება წარმოადგენს პოზიტიურ ტენდენციას, რომელიც ასახავს რისკ-მენეჯმენტის გაზრდილ ინტერესს განხორციელებულს საქმიანობის ეფექტიანობისათვის. საბანკო სისტემისათვის შემუშავებული ხარისხის სტანდარტები არის კარგი კომპონენტი, რომელთა საშუალებითაც ხდება ეროვნული საბანკო ბაზრის თანდათანობითი ტრანსფორმაცია და ის გახდება ღია, გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმი. ბანკისათვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სარისკო მოვლენების სწორი იდენტიფიკაცია. თავისი წარმოშობის მომენტში სარისკო მოვლენა შეიძლება დაფიქსირდეს როგორც სარისკო შემთხვევა, რადგან ბანკს თავდაპირველად არა აქვს ინფორმაცია მოცემული რისკის გამოვლინების ხანგრძლივობის შესახებ.

საკრედიტო რისკის რეალიზაცია შესაძლებელია განხილულ იქნეს არა მარტო სარისკო შემთხვევის, არამედ სარისკო მოვლენის კონცეფციის პოზიციიდანაც. ამასთან, სარისკო მოვლენის რეალიზაციის დასაწყისში ხდება კლიენტის დავალიანების პრობლემურად აღიარება.

სარისკო მოვლენის ფორმით წარმოდგენილი საკრედიტო რისკის აღნიშნული თვისებებიდან გამომდინარე, გთავაზობთ სარისკო მოვლენის ოპერატიული მართვის შემდეგ ხერხებს:

ა) მსესხებლის საქმიანობის გამჭვირვალობის ოპერატიული ამაღლება;

ბ). მსესხებლის ბიზნესის შთანთქმისადმი წინააღმდეგობის გაწევა;

გ). მხარდაჭერა მსესხებლისათვის, რომელსაც დროებითი სირთულეები აქვს ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

საბანკო სისტემის მრავალი განსხვავებული ტიპის არსებობის გათვალისწინებით, საკრედიტო ორგანიზაციებში შეიძლება წარმოიშვას კომბინირებული სარისკო შემთხვევები. მათთვის დამახასიათებელია ის ნიშნები, რომლებიც შეესაბამება შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავებულ რამდენიმე რისკს. აუცილებელია ისეთი კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც იძლევა იმის საშუალებას, რომ ბანკის მიერ დაფიქსირებული რისკის გამოვლინება ერთმნიშვნელოვნად მიეკუთვნოს კომბინირებულ ფორმას. კომბინირებული სარისკო შემთხვევის ნიშნებს შორის შეიძლება გამოიყოს:

ა). რისკის წარმოშობის მიზეზები, და- კავშირებული რამდენიმე ფაქტორთან;

ბ) ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკს როგორც ისეთს, რომელიც მიეკუთვნება რამდენიმე განსხვავებულ ფორმას;

გ) კომბინირებული დანაკარგები, მაგალითად, ფინანსური დანაკარგების გარდა ქონების დაკარგვა, ბანკის საქმიანი რეპუტაციის შელახვა და ა.შ.

კიდევ უფრო რთული ამოცანაა კომბინირებული რისკების ადრეული იდენტიფიკაცია. რისკ-მენეჯმენტის თითოეულ მიმართულებას აქვს რისკის გამოვლენის კრიტერიუმების საკუთარი ნაკრები. ამასთან, თუ რისკი დაფიქსირებულია საკრედიტო რისკის ნიშნების საფუძველზე, მაშინ ჩამონათვალები იმ ნიშნებისა, რომლებიც საშუალებას იძლევა. რომ ის შეეფარდებოდეს სამართლებრივ რისკს, შეიძლება არ ამოქმედდეს. კომბინირებული რისკების სწორი იდენტიფიკაციის მიზნით, შესაძლებელია ყველა გამოვლენილი რისკის შესახებ არსებული ინფორმაცია მოთავსდეს ერთიანი ინფორმაციის ბანკში. ჩამოთვლილი ტიპური საბანკო რისკების თვალსაზრისით, შესაძლებელია მენეჯმენტის დამოუკიდებელი მიმართულების გამოყოფა (საკრედიტო რისკის, ლიკვიდობის და ა.შ.). ამასთან, საკრედიტო ორგანიზაციაში შესაძლებელია საკუთარი რისკების დონის შექმნა. რისკ-მენეჯმენტის მექანიზმების ოპტიმიზაციისთვის შესაძლებელია დაინერგოს ურთიერთდაკავშირებული რისკების მართვა. საბანკო პრაქტიკაში საკმაო ხანი ადგილი ჰქონდა ცალკეული რისკების მიმართ მენეჯმენტის სპეციალიზაციას. ოპტიმიზაციის მიზნით მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების პროცესში შესაძლებელია მსესხებლის ბიზნესის სტრუქტურის სირთულის დამახასიათებელი კოეფიციენტის გაანგარიშება. ბანკის მენეჯმენტის ხარისხის შეფასების მიზნებისათვის გამოყენებული უნდა იყოს უნივერსალური მეთოდიკა. რისკ-მენეჯმენტის ხარისხის შეფასების მიხედვით მოცემული მეთოდიკის გამოყენება შეიძლება ბანკის მართვის სტრუქტურის პრაქტიკულად ნებისმიერ ელემენტთან მიმართებაში. მართვის ხარისხის შეფასების მეთოდიკის შემადგენლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ჯგუფები, რომლებიც მოიცავენ სპეციალიზებულ მაჩვენებლებს:

ა) ინტერესთა ადეკვატურობა. ეს მაჩვენებელი ცხადყოფს, თუ რამდენად თანხვედრია მენეჯმენტის ინტერესები მთლიანად ორგანიზაციის ინტერესებთან, მოქმედებს თუ არა მართვის ელემენტი მასზე დაკისრებული ფუნქციების და დასახული ამოცანების შესაბამისად;

ბ) ფორმირებული საინფორმაციო ნაკადების ხარისხი. ეს მაჩვენებელი ახასიათებს მენეჯმენტის ელემენტის შესახებ არსებულ ცოდნას საქმიანობის შედეგების, საკონტროლო სფეროს მდგომარეობის შესახებ და ა.შ.;

გ). მოტივაციის დონე. იგი ასახავს მენეჯმენტის შეფასებული ელემენტის მიმართ გამოყენებული საქმიანობის სტიმულირების მეთოდებს;

დ) პასუხისმგებლობის ხარისხი. ეს მაჩვენებელი ახასიათებს იმ გადახდევინების მექანიზმებს, რომლებიც

გამოიყენება მენეჯმენტის მიერ დასახული ამოცანების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ე). საერთო-ეფექტიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც დაკავშირებულია მენეჯმენტის საქმიანობის ფაქტობრივ შედეგებთან. ჩამოთვლილი მაჩვენებლები ინტეგრალურია. ასე რომ ჩამონათვალი ღია რჩება ოპტიმიზაციისათვის მასში ჩართული კომპონენტების და აგრეთვე ელემენტებში შემავალი თითოეული მაჩვენებლის განსაზღვრის თვალსაზრისით.

საბანკო დივერსიფიკაციის კუთხით სერიოზული მნიშვნელობა აქვს აქტივების მართვას. არსებითად ეს არის აქტივების, კონკრეტული პროდუქტის, ჯგუფის ან პორტფელის ხარისხის მართვა. რიგი თვისებრივი მახასიათებლების შესაბამისად მათ საფუძვლად უდევს აქტივების დივერსიფიკაცია. ამ მახასიათებელთაგან ძირითადს მიეკუთვნება: მოცულობა; ვადები; მიზნები; მსესხებლები; ტერიტორიები; პროცენტების ოდენობა და სახეები; გადახდის საკმარისობა; გაცემის წესი; სანქციები; დაფარვის წესი და სხვ. ჩამოთვლილი საბაზო პრინციპები გვაწვდის საბანკო აქტივების მართვისადმი მიდგომის ფორმებს. ბანკის აქტივების ყოველ სახეობას თავისი სპეციფიკა აქვს.

დივერსიფიკაციის ეფექტის შეფასებისათვის შეიძლება განვიხილოთ ურთიერთკავშირი საბანკო შემოსავლებსა და დივერსიფიკაციას შორის. კერძოდ, განვიხილავთ ბანკების ახალ სექტორში შესვლის შედეგად წარმოშობილ რისკებს. საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდამ განაპირობა რისკების მართვის მექანიზმების შემუშავება, რაც, თავის მხრივ გულისხმობს ბანკის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და პროცედურების აქტიურ ზედამხედველობას, რისკების შეფასებასა და დადგენას.

კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევა მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს საბანკო რისკების ოპტიმალურ მართვას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ბანკებს დაიცავს გაკოტრებისაგან, ხოლო საბანკო სისტემას – კრიზისისაგან.

საბანკო ბიზნესი მაღალი რისკის დარგია და რისკების შემცირების პრობლემების განხილვიდან გამომდინარე მიზანშეწონილია: საწარმოთა ფინანსური პრობლემების მოგვარების მიზნით უნდა შეიქმნას ბიზნეს-რისკების დაზღვევის და გადაზღვევის სისტემა, რომელიც თავის მხრივ, მაქსიმალურად უზრუნველყოფს ყველა სახის რისკ-ფაქტორის გამორიცხვის პირობების შექმნას; საბანკო სისტემის საიმედოობის და მდგრადობის ამაღლების, საბანკო კრედიტისა და ინვესტიციების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ალტერნატიული საფინანსო ინსტრუმენტების შემოღების საფუძველზე დანაზოგების ზრდის წახალისება უნდა განხორციელდეს; ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობის პირობების შექმნა ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერების, კონტროლის ერთიანი მექანიზმის სრულყოფისა და კერძო ბიზნესის რეგულირების მექანიზმების გონივრული მინიმიზაციისა და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის საფუძველი უნდა გახდეს; ქვეყანაში პრაქტიკულად გრძელვადიანი დაკრედიტების განუხორციელებლობის შედეგად და მოგების მოკლე ვადებში მიღების მიზნით ბანკების მიერ მოკლევადიანი სესხების ძირითადად სპეკულაციური გარიგებების ქვეშ გაცემით, ბანკები საკუთარ სადეპოზიტო ბაზას იმცირებენ და ამით პერსპექტივაში, საკუთარი განვითარების პირობებს იზღუდავენ, რაც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობისა და ბანკების მუშაობაში მნიშვნელოვანი ეგზოგენური რისკების ფაქტორის გამომწვევი მიზეზების საფუძველი ხდება. სტაბილური ეკონომიკური ბაზა ბანკების ფინანსური მდგრადობის საფუძველი და განვითარების საძირკველია.

ევროკავშირთან ინტეგრაციისაკენ აღებული კურსი საზოგადოების აშკარა მხარდაჭერით სარგებლობს და ამ მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი მზარდი ინტერესის საგანია. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებულია მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა. სწორედ ეკონომიკური, მათ შორის საბანკო რესურსის შეზღუდულობის პირობებში თითოეული საქონლისა და მომსახურების წარმოება მხოლოდ განსაზღვრული ოდენობით შეიძლება მაშინ, როცა ადამიანთა მოთხოვნილებები მრავალფეროვანია. ამიტომ ადამიანებს ყოველთვის როდი აქვთ ის, რაც სურთ, ამ წინააღმდეგობას მნიშვნელოვნად ამწვავებს ის გარემოებაც, რომ წარმოებრივ შესაძლებლობათა ზრდის ტემპებს წინ უსწრებს მოთხოვნილებათა ზრდის ტემპები. ამ წინააღმდეგობის დაძლევა კი არცერთ ქვეყანას, არცერთ ერს დამოუკიდებლად, იზოლირებულად არ შეუძლია .ამიტომ წარმოიქმნება საგარეო-ეკონომიკური, საბანკო, სავაჭრო კავშირები, იზრდება რესურსების, ვალუტის მოძრაობის მასშტაბები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრის გავლით. ამასთან დაკავშირებით იქმნება საბაჟოებისა და სავალუტო კურსის რეგულირების საჭიროება და სხვ.

ქვეყანამ უდიდესი ყურადღება უნდა დაუთმოს ევროკავშირთან ეკონომიკური, საბანკო-საკრედიტო და სხვ. კავშირების ყოველმხრივ განვითარებას, რადგან ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მნიშვნელოვან ურთიერთეკონომიკურ სარგებლობასთან ერთად არანაკლები, თუ არა, გადამწყვეტი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ირაკლი კოვზანაძე: გოგი კონტრიძე. თანამედროვე საბანკო საქმე. თბილისი. 2017 წელი;

2. ლეილა ლუდუშაური-საოპერაციო რისკის მართვის გამოწვევები და გადაწყვეტის გზები. ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები. თბილისი. 2022 წელი;

3. SilagadzeA., Priorities for the Economy of Post-communist Georgia in the Context of the World Financial Crisis. Problems of Economic Transition, 2013. Vol., 56, N8;

4. Papava V., Georgian Economy – reforms and pseudo-reforms, Tbilisi, 2015;

5. ევროინტეგრაციული ეკონომიკური მექანიზმების ზოგიერთი საკითხის სრულყოფისათვის. თბილისი. 2019 წელი.

# ეკონომიკის მოდელი, რომელიც ანგრევს და ანადგურებს ქვეყნებს

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.07



**ნასყიდა დარბუაშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
https://orcid.org/0009-0001-8583-5773
E. mail: naskida@yandex.ru

**ანოტაცია**

ნაშრომში დაინტერესებული მკითხველი იპოვის პასუხს კითხვებზე: რა იწვევს ეკონომიკურ პრობლემებს? რატომ არის მთელი მსოფლიო მუდმივ ეკონომიკურ კრიზისში? რა განაპირობებს მუდმივ ეკონომიკურ პრობლემებს? სადაა გამოსავალი? მასში განხილულია ავტორის მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კვლევების მიმოხილვა. ყველა ეკონომიკური პრობლემა გამოკვლეული და გახსნილია, დაწვრილებითაა ახსნილი ეკონომიკური პრობლემების და კრიზისების გამომწვები მიზეზები. ასევე ახსნილია არსებული მიზეზების აღმოფხვრის გზები. ეკონომიკური პრობლემების და კრიზისების დაძლევის შესაძლებლობები.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეკონომიკური პრობლემების და კრიზისების მთავარი მიზეზია არსებული ეკონომიკური მოდელი: „თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“ და მისი რადიკალური ფორმა „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“ და ეკონომიკურ თეორიებში და ფორმულებში დაშვებული უხეში შეცდომები, მოყვანილია ამის დამამტკიცებელი ანალიზი, კონკრეტული მაგალითების ჩვენებით. დამტკიცებულია და საფუძვლიანადაა ახსნილი, რომ თავისუფალი ბაზარი ვერ არეგულირებს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, დამტკიცებულია ასევე, რომ არსებული ეკონომიკური მოდელები ვერ არეგულირებენ ეკონომიკურ პროცესებს. ეს მოდელები ქმნიან მძიმე ეკონომიკურ პრობლემებსა და ეკონომიკურ კრიზისებს.

პრობლემების ღრმა ანალიზთან და დასკვნებთან ერთად, ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის მოსაზრებები მდგომარეობიდან გამოსავლის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი, თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა, ეკონომიკური კრიზისები, ინფლაციური პროცესები.

# AN ECONOMIC MODEL THAT DESTROYS AND DESTROYS COUNTRIES

**Naskhida Darbuashvili**
Academic Doctor of Economic Sciences
https://orcid.org/0009-0001-8583-5773
E. mail: naskida@yandex.ru

**ABSTRACT**

In the work, the interested reader will find answers to the questions: What causes economic problems? Why is the whole world in a constant economic crisis? What determines constant economic problems? Where is the solution? It discusses a review of the most important economic studies conducted by the author in recent times. All economic problems are investigated and solved, the causes of economic problems and crises are explained in detail. Ways to eliminate existing causes are also explained. Opportunities for overcoming economic problems and crises.

The author emphasizes that the main cause of economic problems and crises is the existing economic model: “free self-regulating market economy” and its radical form “monetary model of economic development” and gross errors in economic theories and formulas, a convincing analysis is provided, showing specific examples. It has been proven and thoroughly explained that the free market cannot regulate the processes taking place in the economy, and it has also been proven that the existing economic models cannot regulate economic processes. These models create serious economic problems and economic crises.

Along with a deep analysis of the problems and conclusions, the work presents the author’s opinions on a way out of the situation.

**Keywords**: monetary model of economic development, free self-regulating market economy, economic crises, inflationary processes.

### ძირითადი ტექსტი

უკვე დიდიხანია მთელი მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები, ეკონომიკის მეცნიერები, პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოღვაწეები დაეძებენ გამოსავლის გზებს იმ ჩიხური მდგომარეობიდამ, რომელშიც კაცობრიობა აღმოჩნდა. უმუშავრობა, მძიმე სოციალური გარემო, ჯამრთელობის დაცვის ჩავარდნები, მიგრაცია და ა.შ. ყველა ამ დუხჭირ გამოვლინებას, მიუხედავად განსხვავებული თავისებურებებისა, ერთი საერთო აქვთ - მათ იწვევს ეკონომიკური პრობლემები. აქედან იღებს სათავეს ეკონომიკური კრიზისები და ყველა სხვა გართულების დიდი უმრავლესობა. ეკონომიკა და მძიმე ეკონომიკური პრობლემები განაპირობებს: ლოკალურ (ცალკეული ქვეყნების) და გლობალურ (მსოფლიო) ეკონომიკურ კრიზისებს, ომებს, მსოფლიო ომებს, სამოქალაქო ომებს, დაპირისპირებებს, ეთნიკურ კომფლიქტებს და ა.შ. ძირითადად ეკონომიკური პრობლემები განაპირობებენ ინფექციური და სხვა ვირუსულ დაავადებებისგან უმძიმეს შედეგებს. მარტო cowid-19 პანდემიამ 2020-2021 წლებში 7 მილიონზე მეტი ადამიანი შეიწირა.

მსოფლიო საზოგადოება ცდილობს ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას - ამისთვის ტარდება ეკონომიკური ფორუმები, კონფერენციები, სხვა ეკონომიკური ღონისძიებები. ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე მუშაობენ მსოფლიოს მრავალი წამყვანი ეკონომიკური ინსტიტუტები. ყოველწლიურად ტარდება დაოსის (შვეიცარია), სანქპეტერბურგის (რუსეთი), ასტანის (კაზახტანი) მსოფლიო ეკონომიკური ფორუმები, სადაც მსჯელობენ წამყვანი ეკონომისტები და ქვეყნების ლიდერები. წლის განმავლობაში მრავალი ფორუმებისა და ღონისძიებების მიუხედავად, არსებული პრობლემებიდან გამოსავალი ვერ მოიძებნა. ერთადერთი შედეგი რაც დადგა, მდგომარეობს იმაში, რომ უმრავლესობა შეთანხმდა, თუ არ მოიძებნა გამოსავალი არსებული ეკონომიკური პრობლემებიდან და არ დამუშავდა ახალი ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებს ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანს და განავითარებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტების და მეცნიერების პროგნოზებით 2035 წლისთვის ელოდებიან დიდ, მაშტაბურ ეკონომიკურ კრიზის, რომლის დროსაც შიმშილით, ეპიდემიებით და სხვა ეკონომიკური მიზეზებით, სხვადასხვა მონაცემებით, დაიღუპება დედამიწის მოსახლეობის 30-დან 70 პროცენტამდე.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც საბაზო განათლებით ეკონომისტია, 2013 წელს მოაწყო დიდი შეკრება, რომელზეც მიიწვია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მისი მოადგილეები, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ეკონომიკში, რუსეთის წამყვანი მეცნიერები და ექსპერტები ეკონომიკის სფეროში. პრეზიდენტმა პუტინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში სსრკ-ში მოხდა დიდი გარღვევა ეკონომიკაში. მაშინ ეკონომიკაში დიდი ნახტომი გაკეთდა და სსრკ, ერთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან, ერთერთი წამყვანი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანა გახდა მსოფლიოში. მაშინ, იმ მწირი რესურსებით ეს მოხერხდა, რატომ არ შეიძლება იგივეს გაკეთება დღეს, როცა შეუდარებლად უფრო მეტი რესურსები გაგვაჩნია. ვლადიმერ პუტინმა დაავალა მეცნიერებათა აკადემიას გაეკეთებინა „ეკონომიკური გარღვევის პროგრამა“. რამდენიმე თვეში ასეთი პროგრამა რუსეთის პრეზიდენტს წარუდგინეს, თუმცა, გარდა ლოზუნგებისა და სურვილებისა არაფერი მნიშვნელოვანი და ღირებული ამ პროგრამაში არ იყო.

**ეკონომიკური პრობლემები რომ გადავწყვიტოთ, კარგად უნდა გავერკვეთ ამ პრობლემების არსში და მიზეზებში. კარგად უნდა დამუშავდეს გამოვლენილი მიზეზების აღმოფხვრის გზები, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს ახალი ეკონომიკური განვითარების მოდელი.**

25 წელზე მეტია ეკონომიკურ პრობლემებს ვიკვლევ, ამ ხნის განმავლობაში უამრავი საინტერესო და საოცარი რამ აღმოვაჩინე. დავრწმუნდი, რომ **ისეთი დიდი საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერების, როგორებიც იყვნენ სმიტი, მარქსი, ფიშერი, კეინსი, ფრიდმანი, ლაფერი და ა.შ. ეკონომიკურ კვლევებში, მათ თეორიებში და ფორმულებში არის მძიმე, უხეში შეცდომები.** ამ თეორიებს და მცდარ სწავლებას ეფუძვნება ეკონომიკური მოდელები რომლებსაც დღესაც ვიყენებთ. სწორედ ეს შეცდომები და მათზე აგებული ეკონომიკური მოდელები იწვევს იმ ეკონომიკურ პრობლემებს და კრიზისებს, რაც დღევანდელ მსოფლიოშია. **ხოლო, მილტონ ფრიდმანის ემპირიულ კვლევებზე გაკეთებული დასკვნები და მის მიერ დამუშავებული „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“ დიდი უაზრობაა და სხვა არაფერი.** სწორედ ამ მოდელმა შეიყვანა მთელი მსოფლიოს ეკონომიკა ჩიხში, სწორედ ამ მოდელმა გახვია მთელი მსოფლიო ვალებში, რომლის საერთო მოცულობა 100 ტრილიონ დოლარს გადასცდა. ამ მოდელის შემოღებამდე მსოფლიო ვალი მხოლოდ რამდენიმე მილიარდს შეადგენდა. სწორედ, ამ მოდელმა ჩააგდო მთელი მსოფლიო საშინელ სიღარიბეში და სიდუხჭირეში. სწორედ, ამ მოდელის წყალობით მსოფლიო მოსახლეობის ერთი მცირე ნაწილი უსაშველოდ მდიდრდება - ტრილიონერები, მილიარდერები და მილიონერები არიან, მსოფლიო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი საშინელ სიღარიბეში ცხოვრობს. სწორედ, მონეტარული მოდელის წყალობითაა, რომ მდიდრები სულ უფრო მდიდრდებიან და ღარიბები სულ უფრო ღარიბდებიან, სწორედ, ეს მოდელი განაპირობებს დღევანდელ ჩვენს მძიმე ყოფას და ცხოვრებას.

შეცდომები აღმოვაჩინე საყოველთაოდ აღიარებულ ეკონომიკურ დოქტრინებში. მაგალითად, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქვეყნის შველა უცხოურ ინვისტიციებშია, ამიტომ ყველა ქვეყანა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვისტიციების მოზიდვას. კვლევების შედეგად კი დადგინდა, რომ თანამედროვე უცხოური ინვისტიციები ანგრევენ ქვეყნის ეკონომიკას და უკიდურესად აუარესებენ სოციალურ მდგომარეობას. რაც უფრო იზრდება უცხოური ინვისტიციები, მით უფრო

მძიმდება ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. უცხოური ინვისტიციების პრობლემის ანალიზს არ დავიწყებ იგი ბევრგან მაქვს განხილული (მაგ. გამომცემლობა „ივერიონი“, „ყველაზე უჩინარი და ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ქვეყანას ემუქრება“ - https://iverioni.com.ge/16288-yvelaze-uchinari-da-yvelaze-didi-safrthkhe-romelic-qveyanas-emuqreba.html).

კვლევებით ასევე დადგინდა, რომ სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული არასწორი მეთოდოლოგიით დათვლილი ეკონომიკური შედეგები უჩვენებს სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას, რეალობა კი აბსოლუტურად განსხვავდება შედეგებისგან. ამ მცდარ შედეგებს მე უწოდე „ციფრების ეკონომიკა“, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რეალობასთან. ამ მეთოდოლოგიებით არასწორად ითვლიან მთლიან შიდა პროდუქტს, ინფლაციის საერთო დონის მაჩვენებელს და ა.შ.

ეკონომიკური კვლევების შედეგად აღმოჩენილი მრავალი საოცარი და საინტერესო ფაქტების შემდეგ, აღარ მეგონა თუ რამე კიდევ გამაოცებდა და ჩემში სასოწარკვეთას გამოიწვევდა. რამდენიმე წლის წინ ერთმა ჩემმა მეგობარმა მთხოვა ინფლაციის პრობლემები გამომეკვლია და სტატია გამეკეთებინა მისი ჟურნალისთვის. ინფლაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ისედაც დიდიხანია ვიკვლევდი. გავიდა რამდენიმე წელი და ჩემმა მეგობარმა შემახსენა დაპირებული სტატიის შესახებ. ვუთხარი ერთ თვეში კვლევებს დავასრულებდი და სტატიასაც გადავცემდი. სტატიაზე მუშაობის დროს, ინფლაციის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევისას აღმოვაჩინე, რომ არარეალურ ეკონომიკაში ბიუჯეტის თანხების ასიგნებები აძლიერებდა იმფლაციურ პროცესებს. დროის სიმცირის გამო, ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა ვერ შევძელი. სტატია ცოტა ხნის წინ ჟურნალში „ბიზნესი და კანონმდებლობა“ გამოქვეყნდა, მე კი გავაგრძელე კვლევები.

დავინტერესდი, როგორ მოქმედებდა მოგება ინფლაციაზე. ცხადი იყო, რომ დიდი მოგება აძლიერებს ინფლაციურ პროცესებს, მაგრამ, საბაზრო კონკურენცია რატომ ვერ არეგულირებს ამ პროცესებს და რატომ არ დაჰყავს მოგება გარკვეულ მინიმალურ ზღვრამდე. რატომ არის, რომ მოგება ხშირად რამდენჯერმე აღემატება თვითღირებულებას. ამ კუთხით, გადავწყვიტე ვაჭრობის სფერო შემესწავლა და დავიწყე სავაჭრო ციკლების შესწავლა. ამ ციკლების შესწავლის შედეგად, უფრო მძიმე და სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აღმოვაჩინე.

აღმოვაჩინე, რომ ვაჭარი ფულს „ჰაერიდან“ ქმნის. მოდით ვნახოთ ასეა თუ არა? მაგალითად, **ვაჭარი დილით წავიდა და იყიდა 100 ლარის პროდუქცია, დღის განმავლობაში ნაყიდი პროდუქცია 200 ლარად გაყიდა და საღამოს 100 ლარი მოგება დარჩა. ვაჭარს დღის განმავლობაში აბსოლუტურად არაფერი შეუქმნია 100 ლარის მოგება კი მიიღო, ანუ „ჰაერიდან“ ფული შექმნა.**

ცენტრალური ბანკები რომ „ჰაერიდან“ ფულს ქმნიან, ეს ყველამ იცის, თანამედროვე ეკონომიკაში ფულის ემისია სხვა არაფერია თუ არა „ჰაერიდან“ ფულის შექმნა, მაგრამ თუ ასეთი რამ ეკონომიკის სხვა სფეროებშიც ხდება, ძნელად წარმოსადგენია.

გადავწყვიტე არარეალური ეკონომიკის სხვა სფეროებიც შემესწავლა, მაგალითად, ტურიზმი: მცირე მეწარმემ მიიღო ტურისტი, წავიდა ბაზარში, იყიდა პროდუქტები, ტურისტი გამოკვება და მოემსახურა 10 დღე, 10 დღის შემდეგ კი 2000 ლარი გადაახდეინა. მცირე მეწარმემ სხვისი შექმნილი პროდუქცია გამოიყენა და მიღებული ფული ჰაერიდან შექმნა. მსგავსი ვითარებაა ეკონომიკის არარეალური სექტორის სხვა სფეროებში. საერთოდ, ეკონომიკის არარეალურ სექტორში მთლიანად „ჰაერიდან“ იქმნება ფული. ანალოგიური ვითარებაა ტრანსპორტის სფეროში. მგზავრების ან ტვითების ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანის ან გადატანის დროს არაფერი რეალური არ იქმნება და „ჰაერიდან“ ფული კეთდება. ასევე ხდება კავშირგამბულობაში, კავშირგაბმულობის ყველა ოპერატორი და ინტერნეტ პროვაიდერი „ჰაერიდან“ ქმნის ფულს. ენერგეტიკის ყველა კომპანია, გარდა გენერაციისა, „ჰაერიდან“ ქმნის ფულს და არაფერ რეალურ პროდუქტს არ ქმნაინ. ყველა სფეროს და ყველა სახის დისტრიბუციის ყველა კომპანია „ჰაერიდან“ ქმნის ფულს. ბანკები ჰაერიდან ქმნიან ფულს, ფულს ყიდულობენ დაბალ ფასში (დაბალ პროცენტში) ყიდიან მაღალ ფასში (მაღალ პროცენტში) და რჩებათ სოლიდური მოგება, ისე რომ არაფერ რეალურ პროდუქტს არ ქმნიან. სათამაშო ბიზნესი მთლიანათ „ჰაერიდან“ ქმნის ფულს, სამედიცინო დაწესებულებების დიდი უმრავლესობა „ჰაერიდან“ ქმნის ფულს, განათლება მთლიანათ „ჰაერიდან ქმნის ფულს და ა.შ. აქ ჩამოთვლილი კომპანიები და ეკონომიკის სფეროები, მარტო ჩვენ ქვეყანაში, ყოველწლიურად ათობით მილიარდ ლარს „ჰაერიდან“ ქმნიან და ეს თანხები ქვეყნის მშპ-ში აისახება ისე, რომ 1 ლარის რეალური პროდუქტი არ იქმნება. მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად „ჰაერიდან“ ათობით ტრილიონი დოლარი იქმნება.

რა თქმა უნდა, ვაჭარმა როცა პროდუქცია იყიდა და გაყიდა, დახარჯა თავის შრომა და თავისი შრომის შედეგი მოგების სახით მიიღო. მაგრამ, სწორედ აქაა პრობლემა, შრომა დაიხარჯა „ჰაერიდან“ ფულის შექმნაში, ამ შრომით არანაირი რეალური პროდუქტი არ შექმნილა. ასევე ცხადია, რომ ვაჭარი და სხვა სფეროები, სადაც ჰაერიდან იქმნება ფული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას ეწევიან, უფრო მეტიც მათი უმრავლესობის საქმიანობა საჭირო და აუცილებელია.

**მაშინ რაშია პრობლემა?**

**პრობლემა იმაშია, რომ „ჰაერიდან“ შექმნილი მილიარდები ბაზარზე რეალურ პროდუქტს ყიდულობს, რეალურ პროდუქტს კი ძალიან მცირე რაოდენობით ვაწარმოებთ.** დაკვირვებული მკითხველი იკითხავს, კი, მაგრამ არარეალური სექტორის სუბიექტები ერთმანეთსაც ხომ უწევენ მომსახურებას და ანგარიშსწორებას?

კი, ერთმანეთშიც ახდენენ მომსახურებას და ანგარიშსწორებას, მაგრამ აქაც ყოველ ჯერზე ახალი დამატებითი ფული იქმნება „ჰაერიდან“. მაგალითად, ვაჭარი წავიდა დასასვენებლად და ტურიზმში დასაქმებულ ინდმეწარმეს 10 დღე დასვენებაში გადაუხადა 2000 ლარი. ვაჭრის მიერ „ჰაერიდან“ გაკეთებულ 2000 ლარს დაემატა ინდმეწარმის „ჰაერიდან“ შექმნილი 2000

ლარი, ქვეყნის მშპ გაიზარდა 4000 ლარით ისე, რომ რეალური არაფერი, ერთი ლარის პროდუქტი არ შექმნილა. საბოლოოდ, **„ჰაერიდან“ შექმნილი ფული რეალური პროდუქტის შეძენაზე მიდის. თუ რეალური პროდუქტი საკმარისი არ არის, იზრდება ფასები და ვითარდება ინფლაციური პროცესები.**

**როდესაც ეკონომიკის არარეალური სექტორი ვითარდება და ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება, ხოლო რეალური სექტორი არ იზრდება და პირიქით ყოველწლიურად მცირდება, სახეზე გვაქვს ყოველწლიური უწყვეტი ინფლაცია პირველადი მოხმარების, ფართო მოხმარების და ფუფუნების საგნებზე, რაც იწვევს ყველაფრის ფასების ზრდას. იმისათვის, რომ შეინარჩუნონ და გაიუმჯობესონ არსებული ცხოვრების პირობები, რეალურ პროდუქტებზე ფასების ზრდა აიძულებს არარეალურ სექტორის სუბიექტებს გაზარდონ ფასები, ანუ გაზარდონ „ჰაერიდან“ ფულის კეთება. მთელი ეკონომიკა, ფაქტობრივად, ექცევა ინფლაციურ სპირალში, ანუ განიცდის მუდმივი ინფლაციას.**

**საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ინფლაციას იწვევს ფულის ემისია. უნდა შევნიშნოთ, რომ ფულის ემისია ინფლაციის ერთ-ერთი ფაქტორია და არა ერთადერთი როგორც ამას ფრიდმანი, მისი მიმდევრები, ლიბერალები და მონეტარისტები ამტკიცებენ. ასევე აღსანიშნავია, რომ ინფლაციას იწვევს არა ფულის ემისია, არამედ ფულის არასწორი ემისია, ანუ არასწორად გათვლილი და ბრუნვაში შეტანილი ზედმეტი ფული, რომლის დასაქონლებასაც ეკონომიკის რეალური სექტორი ვერ ახდენს.**

**კვლევებით დადგინდა, რომ ინფლაციას აძლიერებს და განაპირობებს მრავალი ეკონომიკური ფაქტორი -** იხილეთ სტატია: მონეტარისტული მოდელის დამანგრეველი შედეგები... რა იწვევს ინფლაციას და რას იწვევს ინფლაცია. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, No. 1 (2024), მაგრამ, **უმთავრესი მიზეზი და უმთავრესი წყარო, რაც მუდმივ ინფლაციას იწვევს, „ჰაერიდან“ ფულის კეთებაა, ანუ არარეალური სექტორის განვითარებაა, როცა არ ვითარდება ეკონომიკის რეალური სექტორი და როცა რეალურ ეკონომიკაში სტაგნაცია, ან რეგრესია. სწორედ, ეს იწვევს, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუდმივ, დაუსრულებელ ეკონომიკურ კრიზისებს.**

კვლევებით დადგინდა, რომ **ეკონომიკის არარეალური სექტორის მუდმივი ზრდა, ეკონომიკის რეალური სექტორის მუდმივი სტაგნაციის პირობებში, არის ყოველწლიური ინფლაციის ყველაზე დიდი წყარო და ფაქტორი.**

**ინფლაციურ პროცესებს მკვეთრად აძლიერებს რეალური ეკონომიკის რეგრესი (უკან სვლა, შემცირება) და სწრაფი ტემპებით ვარდნა.**

**ინფლაციურ პროცესებს (სპირალურ ინფლაციას) მკვეთრად აძლიერებს ეკონომიკის არარეალური სექტორის სწრაფი ტემპებით ზრდა.**

**აქსიომა 1: ეკონომიკის არარეალური სექტორის განვითარება, ეკონომიკის რეალური სექტორის სტაგნაცის ან რეგრესის პირობებში, არის ინფლაციის, ეკონომიკური კრიზისების და მძიმე სოციალური მდგომარეობის მთავარი ეკონომიკური ფაქტორი.**

**„ჰაერიდან“ ფულის კეთებას აძლიერებს მოგების ზრდა. მოგება თავისებური ამორტიზატორია ეკონომიკაში. როგორც ავტომობილის ამორტიზატორი გზის უსწორმასწორობას (მაგალითად დანგრეულ გზას) და გზაზე არსებულ ხარვეზებს „თავის თავზე“ იღებს და ავტომობილის დაზიანების შესაძლებლობას მაქსიმალურად ამცირებს და მრავალჯერ უხანგრძლივებს ავატომობილს არსებობას, ისე მოგება ეკონომიკაში, თავის თავზე იღებს ეკონომიკის ყველანაირ რყევებს და საშუალებას აძლევს ფირმებს და კომპანიებს იარსებონ არასტაბილური ეკონომიკის პირობებში. მოგება არის ფირმების და კომპანიების გაზრდის და გაფართოვების მთავარი წყარო. მოგება არის აღებული კრედიტების გასტუმრების ერთადერთი წყარო. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მოგება „ეკონომიკური ამორტიზატორია“. როცა „ეკონომიკური ამორტიზატორი“, ეკონომიკურ რყევებს ვერ უძლებს, ფირმები და კომპანიები ჩერდება და კოტრდებიან, ქვეყანაში კი ღრმა ეკონომიკური კრიზისი ვითარდება. როგორც აქედან აშკარაა, მოგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში. მის გარეშე ეკონომიკა ვერ იარსებებს.**

**აქსიომა 2: ეკონომიკის არასტაბილურობა ზრდის მოგების მარჟას, ფასებს და აუარესებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას.**

**აქსიომა 3: რაც უფრო დიდია ეკონომიკის არასტაბილურობა და ზარალის მიღების რისკები, მით უფრო მაღალია მოგების მარჟა.**

დაკვირვებულ მკითხველს ალბათ დაებადება კითხვა: მოგება ფულის მეშვეობით საქონლის გაცვლისას რჩება, ბარტერული გაცვლების დროს მოგება არ არის. იყო პერიოდი ისტორიაში, როდესაც სასაქონლო ოპერაციების დიდი ნაწილი ნატურალური გაცვლებით, ბარტერით ხდებოდა და ის ეკონომიკა საუკუნეების მანძილზე არსებობდა. მკითველის იმ ნაწილმა, ვინც არ იცის, განუმარტავ, რომ „ბარტერი“ ორ სუბიექტს შორის, ფულის გარეშე, საქონლის გაცვლას ნიშნავს, ანუ ერთმანეთში ვაჭრობა ფულის გარეშე ხდება და მოგება არ რჩება (არ ჩანს). უნდა აღინიშნოს, რომ ბარტერული გაცვლები ცალკეულ შემთხვევებში XX საუკუნის ბოლომდე გვხვდებოდა.

**ნატურალური გაცვლის დროს გაცვლაში მონაწილე ორივე მხარე მოგებული რჩება,** ანუ მოგებას ღებულობს გაცვლაში მონაწილე ორივე მხარე. ეს როგორ ხდება? და სად ჩანს მოგება?

მოგების არსებობა დავამტკიცოთ მაგალითით: დურგალმა ერთი დღის განმავლობაში სამი სკამი გააკეთა და მეწაღეს შეკერილ ერთ წყვილ ფეხსაცმელში გაუცვალა, რომლის შეკერვასაც მეწაღე ერთ დღეს მოუნდა. **ბარტერი შედგა, მაგრამ სადაა მოგება?**

**დურგალი გაწაფულია სკამების დამზადებაში, ფეხსაცმელი რომ თვითონ შეეკერა რამდენიმე დღე დაჭირდებოდა (პირობითად ვთქვათ 7 დღე) თუ საერთოდ შეძლებდა, თუმცა შეუძლებელი არაფერია. დურგალმა ექვსი დღე მოიგო და 6 დღის განმავლობაში შექმნილი**

**პროდუქციის ექვივალენტი სხვა პროდუქცია. როგორც ვხედავთ ნატურალური (ბარტერული) გაცვლის დროს დურგალი დიდ მოგებაშია, ეს მოგებაა 6 დღე და ამ დროში შექმნილი პროდუქციაა. ანალოგიურად დიდი მოგება დარჩა მეწაღეს.**

განვიხილოთ ასეთი შემთხვევაც: დაუშვათ ვაჭარმა იყიდა ქსოვილი, რაშიც გადაიხადა 10 გრამი ოქრო. ქსოვილი წაიღო სოფელში და გადაცვალა ცხვარში. ჩაიყვანა ცხვარი ქალაქში, ოც გრამ ოქროდ გაყიდა და 10 გრამი ოქრო მოიგო. ქსოვილის ცხვარში ბარტერული გადაცვლის შედეგად ვაჭარმა სერიოზული მოგება ნახა.

**როგორც ჩანს, მოგება ბარტერულ გაცვლებშიც დიდ როლს თამაშობს.**

**აქსიომა 4: ნატურალური (ბარტერული) გაცვლის დროს, გაცვლაში მონაწილე ორივე მხარე მოგებული რჩება. მაგრამ, ერთეულ პროდუქტზე, დიდი მოგება „ჰაერიდან“ ფულის შექმნის წყაროცაა. ამრიგად, არასტაბილური ეკონომიკა, ზრდის „ჰაერიდან“ ფულის შექმნას, ეკონომიკის რეალურ სექტორშიც.**

დაფიქსირებული მაქვს შემთხვევები, როცა მოგება 30 000 პროცენტზე მეტია, ე.ი. ფირმების და კომპანიების ერთი ნაწილი თავიაანთ პროდუქტს 300 - ჯერ უფრო ძვირად ყიდის, ვიდრე ყიდულობს, ანუ, რაშიც ერთი ლარი აქვს გადახდილი 300 ლარად ყიდის.

დღეს მოქმედი **„ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“ და მასთან დაკავშირებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, რომელიც მთელი მსოფლიოს ქვეყნებში დაინერგა იმისთვის, რომ აღმოეფხვრა ინფლაციის დამანგრეველი მოქმედება და მინიმუმამდე შეემცირებინა ფასების ზრდა, სინამდვილეში, მხოლოდ აძლიერებს ინფლაციურ პროცესებს. ბრუნვაში ფულის მასის მკვეთრი შეზღუდვა, რასაც ითვალისწინებს მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, იწვევს ფულის მწვავე დეფიციტს და ფულის გაძვირებას. იმის გამო, რომ წარმოებებს დიდი ოდენობის ფული ჭირდებათ, ფულის დეფიციტის და სიძვირის გამო, მათი მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.** წარმოებას ჭირდება ნედლეული და მასალები, რომელთა მოპოვებაც მოშლილი ეკონომიკური კავშირების პირობებში, ხშირად, შეუძლებელია. წარმოებას ჭირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. თუ ქვეყანაში მოშლილია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პროცესი, წარმოებას სერიოზული პრობლემები ექმნება. წარმოებაზე მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკური რყევები, ასეთ დროს წარმოება ზარალზე რომ არ წავიდეს, ზრდის მოგებას, რაც იწვევს პროდუქციის ფასის ზრდას და რეალიზაციის შემცირებას. წარმოებაზე უარყოფითად მოქმედებს საგადასახადო პოლიტიკა, გადასახადების მუდმივი ზრდა, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის მუდმივი დაქვეითება და ა.შ. ერთი სიტყვით, წარმოების მუშაობა ფულის დეფიციტის და არასტაბილური ეკონომიკის პირობებში, პრაქტიკულად, შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის პირობებში, ბრუნვაში არსებული მთელი ფული ეკონომიკის რეალურ სექტორს ტოვებს და არარეალურ სექტორში გადადის. ანუ, მონეტარიზმის პირობებში ფულის თითქმის მთლიანი მასა „ჰაერიდან“ ფულის შექმნას ემსახურება.

**საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი მკვეთრად ზღუდავს ფულის ემისიას, რამაც უნდა უზრუნველყოს სტაბილური ფასები. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი არამც თუ არ აჩერებს ინფლაციას, იგი ხელს უწყობ და განაპირობებს უწყვეტი ინფლაციის პროცეს.**

დღეისათვის ჩვენთან და მთელ მსოფლიოში ტარდება ინფლაციის თარგეტირების ეკონომიკური პოლიტიკა. ინფლაციის თარგეტირება მონეტარიზმის სახეშეცვლილი ფორმაა. თუ მკაცრი მონეტარული მოდელის პირობებში მხოლოდ 3-5%-ით ფულის ემისია შეიძლებოდა, ახალ მოდელში ფულის მასა შეიძლება მანამდე ზარდო, სანამ ინფლაციის მაჩვენებელი არ მიაღწევს 5%-ს. საქართველოში ინფლაციის თარგეტირება დაინერგა 2009 წელს. ეროვნული ბანკის მაშინდელი მესვეურები გვიმტკიცებდნენ, რომ ამ მოდელის შემოტანიდან 10 წლის შემდეგ ინფლაცია აღარ იქნებოდა, **2020 წელს ინფლაცია ჩვენ აღარ უნდა გვქონოდა. მაგრამ არაფერი მსგავსი არ მოხდა, პირიქით, ამ მოდელის დანერგვის შემდეგ ბრუნვაში არსებული ფულის მასა რამდენჯერმე გაიზარდა, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის არარეალური სექტორის სწრაფ ზრდას ანუ „ჰაერიდან“ ფულის კიდევ უფრო დიდი მაშტაბებით კეთებას და ინფლაციური პროცესების მკვეთრ გაძლიერებას.**

ჩვენი მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ ე.წ. „თავისუფალი, თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“ არაფერს თვითონ არ არეგულირებს. არ არეგულირებს რეალურ ეკონომიკასა და არარეალურ ეკონომიკას შორის ბალანსს, არ არეგულირებს ფასებს. როცა მოგება მრავალჯერ აღემატება თვითღირებულებას, ეს უკვე ნიშნავს, რომ ფასები არ რეგულირდება. არ არეგულირებს ინფლაციურ პროცესებს, არ არეგულირებს სოციალურ პრობლემებს, არ არეგულირებს და პირიქით ხელს უწყობს საზოგადოების ეკონომიკურ დიფერენციაციას. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა არც ბუნებრივი რესურსების სწორ და ეფექტურ ხარჯვას არეგულირებს. არასწორად იყენებს და ფაქტიურად ანადგურებს ამოწურვად ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც ასობით მილიონი წელი იქმნებოდა და ჩვენ შემდგომ კიდევ მრავალი თაობის არსებობა უნდა უზრუნველყოს.

**„ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“, თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის რადიკალური ფორმაა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამ მოდელის პირობებში მდიდრები განუწყვეტლივ სულ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები განუწყვეტლივ სულ უფრო ღარიბდებიან. ამ მოდელმა მთელ მსოფლიოში, მრავალ ქვეყანაში, მთლიანად გაანადგურა მოსახლეობის „საშუალო ფენა“.**

**მოსახლეობის საშუალო ფენის განადგურება ეკონომიკის განადგურებას ნიშნავს!**

**რატომ?**

**მოსახლეობის საშუალო ფენა მსყიდველობით უნარიანია და შემოსავლების დიდ ნაწილს პროდუქციის**

**შეძენაზე ხარჯავს, ანუ წარმოებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს იძენს საშუალო ფენა. მდიდარი ფენა (კაპიტალისტები) მოსახლეობის მცირე პროცენტია და თავიაანთი შემოსავლების მცირე ნაწილს ხარჯავენ საკუთარი კეთილდღეობის მოსაწყობად, ანუ მათი შემოსავლების უდიდესი ნაწილი არ მიდის სამრეწველო პროდუქციის შეძენაზე. პრაქტიკულად მთელი მათი შემოსავლები ან ბანკებში ჩაიდება და დაგროვებაზე მიდის, ან ოქროს ზოდებს აგროვებენ, ან აქციებში დებენ, ან სასახლეებს და ბუნკერებს იშენებენ, ან რაღაც უაზრო კოლექციებს აგროვებენ და ა.შ. მოსახლეობის ღარიბ ფენას, რომელიც მსოფლიო მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენს, პრაქტიკულად, არ გააჩნია მსყიდველობითი უნარი.**

**მაშ როგორ არსებობს ეს ხალხი?**

მათი დიდი ნაწილი დაბალ ანაზღაურებად სამუშაოებზე მუშაობს. ნაწილი მცირე მეწარმეობით ირჩენს თავს, ნაწილი მცირე ფერმერული მეურნეობით, ნაწილი სოციალური დახმარებების ხარჯზე არსებობს, ნაწილი სიბერის შემწეობით (რომელსაც არასწორად პენსიას უწოდებენ) ირჩენს თავს, კიდევ ერთი ნაწილი მათხოვრობს, სხვა ნაწილი ნაგავის ბუნკერებში და ნაგავსაყრელებზე მოპოვებული ნივთების რეალიზაციით და ა.შ. ერთი სიტყვით, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ირჩენს თავს.

XX საუკუნის ბოლოს, გაძლიერდა ჩინეთის ეკონომიკა. სოციალისტური ჩინეთი, მილიარდნახევრიანი ქვეყანა, უშვებს ძალიან იაფ მაღალტექნოლოგიურ, საკმაოდ კარგი ხარისხის სამრეწველო პროდუქციას და აწვდის მთელ მსოფლიოს.

თუ ნატურალური სახით ავიღებთ, ჩინეთი აწარმოებს უფრო მეტ პროდუქციას ვიდრე აშშ და ევროპა ერთად აღებული აწარმოებენ. ციფრებში, ფულის სახით გამოხატულ მთლიანი შიდა პროდუქტით კი ჩინეთი მეორე ადგილზეა აშშ-ს შემდეგ იმიტომ, რომ ჩინური პროდუქცია რამდენჯერმე უფრო იაფია, ვიდრე აშშ-ს და ევროპის ქვეყნების პროდუქცია.

სწორეთ ჩინური იაფი პროდუქციის წყალობით არის, რომ მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობა (მათ შორის, აშშ-ს და ევროპის ღარიბი მოსახლეობა) არსებობას ახერხებს, თანამედროვე ცივილიზაციის სიკეთეებს ფლობენ და იყენებენ. რომ არა ჩინეთის ეკონომიკა, მთელ მსოფლიოში (მათ შორის, აშშ-ში და ევროპაში) ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ჩინური პროდუქციის წყალობით განვითარებული ქვეყნების არარეალური სექტორი მთელ მსოფლიოში „ჰაერიდან" ფულს აკეთებს, ეს კი მრავალი ტრილიონი დოლარია. განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით აშშ-ს მშპ-ს მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ თანხებით იქმნება. ნათქვამში ვინმეს რომ ეჭვი არ შეეპაროს, მოვიყვანოთ მაგალითები: მთელ მსოფლიოში გავრცელებულია ინტერნეტი და სოციალური ქსელები, ეს არის მრავალ ტრილიონიანი ბაზარი. ამ თანხების უდიდესი ნაწილი აშშ-ში მიდის იმიტომ, რომ ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს აშშ-ს კომპანიები ფლობენ. მთელ მსოფლიოში „ჰაერიდან" ფულს აკეთებენ მაგდონალსის კომპანიები, განვითარებული ქვეყნების ენერგო კომპანიები, განვითარებული ქვეყნების ბანკები და ა.შ. ეს არის ათობით ტრილიონი დოლარი.

**როგორ მუშაობს მექანიზმი? მთელ მსოფლიოში იყიდება იაფი ჩინური პროდუქცია და „ჰაერიდან" ტრილიონობით დოლარი კეთდება. ამ ფულით იძინენ ინტერნეტს და სხვა მომსახურებებს და ათობით ტრილიონი მიდის ამერიკასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. უფრო გასაგები რომ იყოს, ამას ძალიან მარტივი მაგალითით ავხსნი. დაუშვათ ვაჭარმა ჩინური პროდუქციის ყიდვა-გაყიდვით დღის განმავლობაში „ჰაერიდან" 100 ლარი გააკეთა, ამ ფულიდან 70 ლარი გადაიხადა ინტერნეტის გამოყენების საფასური, 70 ლარიდან მნიშვნელოვან თანხას დოლარში გადატანილს იღებს ამერიკული კომპანია, რომელიც საქართველოს ინტერნეტ მომსახურებას აწვდის. იგივე ხდება სხვა შემთხვევებში სადაც „ჰაერიდან" კეთდება ფული.**

**აშშ „დოლარს" და ევროკავშირის „ევროს" ჩინეთი უფრო მეტად ამყარებს, ვიდრე აშშ და ევროპა ამყარებს თავიაანთ ვალუტებს.**

ვინმემ შეიძლება იფიქროს, ეს კარგია, „ჰაერიდან" შექმნილი ფული რეალურ პროდუქტს არ ყიდულობს, უცხოეთში გადის და ამით მცირდება ინფლაციის რისკები. ერთი შეხედვით ეს ასე ჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ქვეყნიდან უცხოური ვალუტა გადის. ლარის მასა, რომელსაც უცხოური კომპანიები აკეთებენ, „გადის" ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შესაძენათ. იზრდება უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა, რაც აძვირებს უცხოურ ვალუტას, უცხოური ვალუტის გაძვირება აძვირებს იმპორტირებულ პროდუქციას და იწვევს ინფლაციას.

**რეალური ეკონომიკის გარეშე, არარეალურ ეკონომიკაში „ჰაერიდან" შექმნილი ფული „ჰაერის ბუშტივით იბერება" და საბოლოოდ „სკდება" და ქრება. რაც უფრო მცირდება რეალური ეკონომიკა, მით უფრო იზრდება ფასები, რაც თავის მხრივ, ამცირებს ეკონომიკის არარეალურ სექტორს.**

**რატომ?, რა ხდება?**

**ფასების ზრდის შედეგად ერთიდაიგივე რაოდენობის ფული ნაკლებ ოპერაციებს ემსახურება, რაც იგივეა, რომ ფულის მასა შევამციროთ ბრუნვაში. როდესაც რეალური ეკონომიკა მინიმუმამდე მცირდება, ვითარდება ჰიპერ ინფლაცია ანუ ფასები უზომოდ იზრდება, რაც იწვევს არარეალური სექტორის მკვეთრ შემცირებას, სწრაფი ტემპებით ვარდნას და „ჰაერიდან შექმნილი ეკონომიკა" ჰაერის ბუშტივით „სკდება" და ქრება.**

ამრიგად, მაღალ განვითარებული ქვეყნების არარეალური სექტორის კომპანიები მთელ მსოფლიოში „ჰაერიდან" ფულს აკეთებს, ესაა ათობით ტრილიონი დოლარი. მთელი მსოფლიო კი ძირითადად ჩინური იაფი რეალური პროდუქციით აკეთებს „ჰაერიდან" ფულს, რომლის დიდი ნაწილიც მაღალ განვითარებული ქვეყნების კომპანიებს მიაქვთ. ამასთან ერთად, სწორედ ჩინური იაფი პროდუქცია უქმნის სხვადასხვა ქვეყნების ვალუტებს ადგილობრივ ბაზრებზე მსყიდველობით უნარს და არ აძლევს ჰიპერ ინფლაციას განვითარების

საშუალებას. იმპორტის გამო, ამ ქვეყნების ვალუტების დევალვაციას კი უცხოური ვალების ზრდით აჩერებენ.

დავაკვირდეთ რა ხდება?! აშშ დიდი ოდენობით ბეჭდავს აშშ დოლარს და ამ ფულს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს ვალებში აძლევს, ევროკავშირი დიდი ოდენობით ბეჭდავს ევროს და ამ ფულს ვალებში აძლევს ევროპიის ქვეყნებს. ამ თანხებით შეიძინება ჩინური პროდუქცია, რისი წყალობითაც ეროვნულ ვალუტებს ხელოვნურად ექმნება მსყიდველობითი უნარი, ანუ ვალები და ჩინური პროდუქცია უქმნიან ეროვნულ ვალუტას მსყიდველობით უნარს. კარგად დავაკვირდეთ, რასთან გვაქვს საქმე! აშშ და ევროკავშირი მხოლოდ დიდი ოდენობით ფულს ბეჭდავენ და პრაქტიკულად, სხვას არაფერს აკეთებენ, ჩინელები კი ამყარებენ უხვად დაბეჭდილ აშშ დოლარს და ევროს. ჩინური პროდუქციის მეშვეობით მსოფლიოს ქვეყნებში „ჰაერიდან" ფული კეთდება. ამ ფულის გარკვეული მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკულ და ევროპულ არა რეალურ ეკონომიკაში მოღვაწე ტრანსნაციონალურ კომპანიებს მიაქვთ დოლარის და ევროს სახით ანუ ქვეყნების მიერ აღებული ვალების მნიშვნელოვანი ნაწილი უკან მიაქვთ ტრანსნაციონალურ ევროპულ და ამერიკულ კომპანიებს. მსოფლიოს მოწყობის ეს მანკიერი სისტემა მუდმივად ციკლური ხასიათისაა და მუდმივად ზრდის ვალებს.

ვალების ზრდა და მათი მომსახურება ამძიმებს მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, თავდაცვას და უსაფრთქოებას, აუარესებს განათლების და კულტურის დონეს, ჯანდაცვას და ა.შ. უკიდურესად დამძიმებული სოციალური გარემოს გამო, ამ ქვეყნების მოსახლეობა იღებენ ვალებს, ვალები ყოველწლიურად იზრდება. მევალე ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა არანაირად არ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე, ვინაიდან ვალები და მათი მომსახურება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქვეყნის მშპ.

საბოლოოდ, მოვალე ქვეყნები, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად, მთლიანად დამოკიდებულები ხდებიან მევალე ქვეყნებზე და ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მევალე ქვეყნების მარიონეტები ხდებიან. ეს არის ქვეყნების ეკონომიკური ანექსია - მსოფლიოს ახალი თანამედროვე კოლონიარული სისტემა.

ჩვენ გამოვიკვლიეთ და დავადგინეთ თუ რა იწვევს მძიმე ეკონომიკურ კრიზისებს. ჩვენი კვლევები და ანალიზი კარგად აჩვენებს, რომ ფულის ემისია საერთოდ რომ არ მოხდეს, ინფლაცია და ეკონომიკური კრიზისები ყოველთვის მაინც გვექნება. დავადგინეთ ისიც, რომ ეკონომიკური კრიზისების მთავარი მიზეზი არის დისბალანსი ეკონომიკის რეალურ სექტორსა და არარეალურ სექტორს შორის. ცხადი ხდება ისიც, რომ ვერც თავისუფალი ბაზარი და ვერც ეგრეთწოდებული „უხილავი ხელი", ეკონომიკაში ჩარევის გარეშე, თვითრეგულირებით ეკონომიკურ სექტორებს შორის ბალანსს ვერ დაამყარებს. ასეც ხდებოდა ბოლო 250 წლის მანძილზე და ამიტომაცაა მსოფლიო პრაქტიკულად მუდმივ ეკონომიკურ კრიზისში. ეს პროცესები ხშირად, ყოველ 10-15 წელიწადში მწვავდება (ეკონომიკური მაჩვენებლები მკვეთრ ვარდნას განიცდის). სწორედ, ამას ეძახის კაცობრიობა ეკონომიკურ კრიზის, სხვა დროს კი კრიზისი ფარულად მიმდინარეობს. მის ფარულობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ერთ დღეში ეკონომიკური კრიზისი არ ხდება, ის წლების განმავლობასი ვითარდება და ამ განვითარების პიკს ჩვენ ვეძახით ეკონომიკურ კრიზისს.

ჩვენი კვლევებისა და ანალიზის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ „თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა" და „უხილავი ხელი" დიდი უაზრობაა და სხვა არაფერი. დიდი უაზრობა გამოდის „ლიბერალური ეკონომიკა", რომელიც „თავისუფალ თვითრეგულირებად საბაზრო ეკონომიკას" ეყრდნობა. უაზრობაში გადადის თვით „ლიბერალური იდეოლოგია", ვინაიდან მას ეკონომიკური ბაზისი ეცლება, რაზეც ეს იდეოლოგია დგას. აზრს კარგავს ლიბერალების მთავარი მცნება „თავისუფალი ადამიანი", ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება ეკონომიკური ბაზის გარეშე, ლიბერალური ეკონომიკა ამ ბაზას ვერ ქმნის და ეგრეთ წოდებულ „თავისუფალ ადამიანს" მუდმივ კრიზისში და სოციალურ პრობლემებში ამყოფებს.

**ეკონომიკური ბაზის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს დემოკრატია. პირიქით, ქვეყნების მთავრობები, არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით უკმაყოფილო ხალხში ცდილობენ ხელისუფლების შენარჩუნებას მოტყუებით, მოსყიდვით, არჩევნების გაყალბებით, ამომრჩეველთა ხმების ყიდვით, სხვადასხვა სახის იძულებით და ზეწოლით და ა.შ. ეს უკვე დიქტატურაა და არა დემოკრატია. მსოფლიო ქვეყნების დიდ უმრავლესობას რეჟიმები, დიქტატორები და მარიონეტები მართავენ და არა დემოკრატიულად არჩეული მთავრობები. მყარი ეკონომიკური ბაზისის გარეშე, დემოკრატია ფარსი და პოლიტიკური თამაშია და სხვა არაფერი.**

მკითხველს დაებადება სრულიად ლოგიკური კითხვა: მაშ როგორ ვითარდებოდა კაცობრიობა ბოლო 250 წელი? სწორედ ამ პერიოდში მოხდა უდიდესი გარღვევები და კაცობრიობის განვითარება, უდიდესი აღმოჩენები, კოსმოსში გასვლა, ადამიანის მთვარეზე ასვლა, ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ზრდა, ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარება და ა.შ. სადაა ამ ყველაფერში ლოგიკა, ერთი მხრივ, კაცობრიობის სწრაფი განვითარება, მეორე მხრივ, მუდმივი კრიზისები, ლოკალური ომები, მსოფლიო ომები, სამოქალაქო ომები, რევოლუციები და ა.შ..

ამ პერიოდში უდიდესმა აღმოჩენებმა და ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპებით განვითარებამ განაპირობა ეკონომიკის და ცხოვრების დონის მკვეთრი ზრდა. ტექნიკური პროგრესი და უდიდესი აღმოჩენები პირდაპირ არ იყო დამოკიდებული ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ყველაზე დიდ აღმოჩენებს და გამოგონებებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოსახლეობის საშუალო ფენის წარმომადგენლები აკეთებდნენ. ტექნიკური პროგრესი დამოკიდებული არ იყო ეკონომიკის მდგომარეობაზე, მაშინ როცა ტექნიკური პროგრესის მიღწევები პირდაპირ მოქმედებდა ეკონომიკაზე და სწრაფად ანვითარებდა მას. სწორეთ, ტექნიკური პროგრესის სწრაფმა

ტემპებმა უამრავმა აღმოჩენებმა და გამოგონებებმა, სწრაფი ტემპებით გაზარდა ჯერ ეკონომიკა, მერე ცხოვრების საერთო დონე. **მაგრამ, ტექნიკური პროგრესი თავისი კანონზომიერებებით ვითარდებოდა, ეკონომიკა თავისი კანონზომიერებით.** ტექნიკური პროგრესი თეორიული კვლევების და პრაქტიკული ექსპერიმენტების გზით ვითარდებოდა. თეორიულ კვლევებში დაშვებული შეცდომები პრაქტიკულ ექსპერიმენტებში ვლინდებოდა და სწორდებოდა და ასე ხდებოდა კანონზომიერებების ზუსტი დადგენა და აბსოლუტური სიზუსტის კანონების და თეორიების მიღება. ეკონომიკაში ექსპერიმენტების ჩატარება, პრაქტიკულად, შეუძლებელია და მხოლოდ თეორიული კვლევებით შეიძლება ეკონომიკური კანონების, თეორიების და კანონზომიერებების დადგენა. სწორედ, ეკონომიკურ კანონებში და თეორიებში დაშვებული უხეში შეცდომები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ექსპერიმენტალურად ლაბორატორიებში ვერ მოწმდება, განაპირობებენ მძიმე ეკონომიკურ პრობლემებს. უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერების სხვა სფეროებშიცაა დაშვებული უხეში შეცდომები, სადაც ექსპერიმენტის ჩატარება ძნელი, ან შეუძლებელია. თუმცა, მეცნიერების სხვა სფეროებში არსებული მძიმე შეცდომები ამ სტატიის თემას სცდება, ამიტომ მათ განხილვას არ დავიწყებთ.

დაუბრუნდეთ ჩვენი ძირითადი თემების განხილვას.

ამერიკელი მეცნიერის „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის“ შემქმნელის მილტონ ფრიდმანის მტკიცება იმაზე, რომ ფულის ემისია იწვევს ინფლაციას, ინფლაცია კი ღრმა ეკონომიკურ კრიზისებს, მცდარია. ფრიდმანის მტკიცებიდან გამომდინარე, მონეტარული ეკონომიკა ორ მთავარ საყრდენზე დგას. ესაა:

**1. თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა, ანუ ეკონომიკაში ჩაურევლობის პრინციპი (ეს გახლავთ კლასიკური საბაზრო ეკონომიკა).**

**2. მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, ანუ ფულის წლიური ემისია 3-5 პროცენტის ფარგლებში.**

**ფრიდმანის ყველა ეს მტკიცებულებები მცდარია და რბილად რომ ვთქვათ, მონეტარიზმი თავიდან ბოლომდე ერთი დიდი უაზრობა და სიცრუეა!**

ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ როგორ აძლიერებს „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“ ინფლაციურ პროცესებს. საქართველო 15 წელზე მეტი პერიოდი ატარებდა მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას. **მონეტარული მოდელის გამოყენებამ და მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ მკვეთრად შეზღუდა ფულის ემისია. ამ მოდელის შემოღებამდე უკონტროლოდ ხდებოდა ფულის დიდი მასების ემისია. ასეთმა შეზღუდვამ შეაჩერა ჰიპერ ინფლაციური პროცესები და საწყის ეტაპზე მეტნაკლებად დაასტაბილურა ვითარება. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ტარდებოდა მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, ყოველწლიურად მნიშვნელოვან ინფლაციას ქონდა ადგილი. ფულის პრაქტიკულად მთლიანმა მასამ რეალური სექტორი დატოვა და ეკონომიკის არარეალურ სექტორში გადავიდა. მონეტარულმა მოდელმა მთლიანად გააჩერა ეკონომიკის რეალური სექტრი (ამის მიზეზებზე ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ) და მრავალჯერ გაზარდა ეკონომიკის აარარეალური სექტორი. ეს იწვევდა სწორედ ყოველწლიურ ორნიშნა ინფლაციას. სავალუტო ფონდის არასწორი-მცდარი მეთოდოლოგიის მიხედვით დათვლილი ყოველწლიური ინფლაცია კი 3-5 პროცენტს არ აღემატებოდა.**

რაში გამოიხატება მცდარი მეთოდოლოგიით დათვლილი ინფლაცია?

ინფლაცია ითვლება გარკვეული რაოდენობის საქონელის ფასაების დაჯამებით. სხვადასხვა ქვეყნებში საქონლის რაოდენობა სხვადასხვაა. საქართველოში 400 დასახელების საქონლის ფასების დაჯამება ხდება. მიღებული ჯამი წინა წლის ჯამს ედრება და გამოიყვანება პროცენტული მაჩვენებელი, რამდენი პროცენტითაა გაზრდილი ან შემცირებული ფასები. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ინფლაციის დათვლის ეს მეთოდი აბსოლუტურად აცდენილია რეალობას. ეს რომ დავამტკიცოთ, მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი: პირობითად დაუშვათ, რომ ქვეყანაში სულ ორი საქონელია მობილური ტელეფონი (მაგალითად, ფირმა „სამსუნგის“ სმარტფონი), რომლის ფასი 1000 ლარია და პური, რომლის ფასი 1 ლარია. პირობითად დაუშვათ, რომ პური გაძვირდა და გახდა 10 ლარი, ანუ გაძვირდა 1000%, (ეკონომიკური კრიზისების პირობებში ეს სრულიად რეალურია). ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობის შემოსავლების დიდი ნაწილი წავა პურის შეძენაზე, ამის გამო, მობილური ტელეფონის მწარმოებლებს მკვეთრად შეუმცირდება რეალიზაცია და შემოსავლები და იძულებული გახდებიან დააკლონ ფასი, თუ მოგების მარჟა ამის საშუალებას იძლევა. დაუშვათ, რომ ტელეფონს ფასს დააკლეს 5 % ანუ 50 ლარი. ამ შემთხვევაში, დაახლოვებით 5% დეფლაცია გვაქვს. შევხედოთ რა გამოდის? მოსახლეობას ძირითადი პროდუქტი, პური 10 ჯერ გაუძვირდა და მკვეთრად დამძიმდა სოციალური გარემო, სტატისტიკურად კი დეფლაცია გვაქვს. მართალია, სტატისტიკა ცალკეულ საქონელზეც ითვლის ფასების ცვლილებას, იქ გამოჩნდება პურზე 1000% ფასის მატება, მაგრამ **ეკონომიკურ გათვლებში იყენებენ ფასების საერთო დონის ზრდას ან შემცირებას და არა ცალკეულ საქონელზე ფასის ცვლილებებს.** როგორც ვხედავთ, **სტატისტიკა და რეალობა აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ცხოვრება და სოციალური გარემო შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს და ამ დროს სტატისტიკურად დეფლაცია გვქონდეს, ანუ სტატისტიკა გვიჩვენებდეს ცხოვრების და სოციალური გარემოს გაუმჯობესებას.**

**რა შედეგები დააყენა „ეკონომიკური განვითარების მონეტარულმა მოდელმა“ საქართველოში?**

**ეკონომიკის რეალური სექტრი თითქმის მთლიანი გაჩერება და ეკონომიკის არარეალური სექტორის ყოველწლიური მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობებდა ყოველწლიურ მუდმივ ინფლაციას და მოსახლეობის ყოველწლიურად უფრო და უფრო გაღარიბებას. ეკონომიკაში მძიმე მდგომარეობამ წარმოშვა უმძიმესი პრბლემები: ადგილობრივი სამრეწველო პროდუქცია იმპორტმა ჩანაცვლა; მკვეთრად გაზარდა უმუშევრობა; გააჩინა უმწვავესი სოციალური პრობლემები; გაღარიბდა და გა-**

**ღატაკდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი; მოსახლეობა და მთელი ქვეყანა გახვია ვალებში; შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ვისაც ქვეყანა უნდა გამოეყვანა მძიმე კრიზისიდან გააქცია ქვეყნიდან; გამოიწვია უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა და ა.შ.**

უნდა აღინიშნოს, საქართველოს ყველა ხელისუფალმა მცდელობა არ დააკლო, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოეყვანა, დამუშავდა არა ერთი პროექტი, მაგალითად, შევარდნაძის ხელისუფლებამ უცხოელი ინვისტიციები მთლიანათ გაანთავისუფლა გადასახადებისგან იმ მიზნით, რომ ეკონომიკა სრაფი ტემპებით განვითარებულიყო და ქვეყანას კრიზისი დაეძლია. მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე წელი ბიუჯეტიდან სოლიდურ თანხებს (ასობით მილიონს) გამოყოფდა და ხელოვნურად ქმნიდა სამუშაო ადგილებს. ქართული ოცნების ხელისუფლება რამდენიმე წელი აქტიურად ეხმარებოდა ფერმერებს და მილიარდები დაიხარჯა ამ პროექტში. დამუშავდა მრავალი სხვა პროექტი, მაგრამ, რაიმე ხელშესახები შედეგები არ დადგა და ყოველი მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა იმიტომ, რომ „ეკონომიკური განვითარების მონეტარულ მოდელს“ მხოლოდ ნგრევა და განადგურება შეუძლია, ეს არ არის ეკონომიკური მოდელი რომელსაც შენება, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა და ეკონომიკური განვითარება შეუძლია.

ანალოგიური შედეგებია მსოფლიოს სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, ვინაიდან გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ყველგან „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“ დაინერგა, როგორც ყველაზე უფრო „წარმატებული“ ეკონომიკური მოდელი.

მონეტარიზმის მთელ მსოფლიოში გავრცელებას აქტიურად დაეხმარა, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ს დაშლა. დასავლეთმა, მათივე ხელშეწყობით და აქტიური მონაწილეობთ სსრკ დაშლა, მერე კი შექმნილი ვითარება მთელ მსოფლიოში აქტიური პრობაგანდისთვის გამოიყენა: **აი შეხედეთ, ეკონომიკის დონით მსოფლიოში მეორე ადგილზე მყოფი ზე სახელმწიფო საბჭოთა კავშირი დაიშალა იმის გამო, რომ არასწორ, გეგმიურ ეკონომიკას აშენებდა, თუმცა დასავლეთს არ აუხსნია და კითხვაც არავის გაჩენია, სსრკ ზე სახელმწიფოდ რომელმა ეკონომიკამ აქცია?** ამ „არასწორმა ეკონომიკამ“ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება მოიპოვა და მთელი მსოფლიო ფაშიზმის ბატონობისგან გადაარჩინა. თუმცა, დღეს დასავლეთის პროპაგანდა აქტიურად ამტკიცებს, რომ ომი მათ მოიგეს, ამ დროს შეგნებულად არ იხსენებენ იმას, რომ სსრკ-სთან ომამდე მათი „სწორი-წარმატებული ეკონომიკა“ გერმანიასთან ომში დამარცხდა, როცა ჰიტლერმა რამდენიმე თვეში მთელი ევროპა დაიპყრო.

**აქტიური პროპაგანდის შედეგად მთელმა მსოფლიომ დაიჯერა და ირწმუნა, რომ „გეგმიური ეკონომიკა“ რომელსაც სსრკ აშენებდა სიცოცხლის უუნარო, დასაღუპად განწირული ეკონომიკა იყო და თითქმის მთელი მსოფლიო, რამდენიმე ქვეყნის გარდა, „ეკონომიკური განვითარების მონეტარულ მოდელზე“ გადავიდა.**

**საბჭოთა კავშირის დაშლა ხელოვნურად მოხდა. სსრკ-ს დაშლა გამოიწვია დასავლეთის აქტიური ხელშეწყობით სსრკ-ში განვითარებულმა წინააღმდეგობრივმა პოლიტიკურმა პროცესებმა და არა სუსტმა ეკონომიკამ, როგორც ამას დასავლეთი წარმოაჩენს. პროპაგანდულ ომში დასავლეთის მთავარი იარაღი იყო დისიდენტების მეშვეობით საბჭოთა რესპუბლიკების დარწმუნება იმაში, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში ბევრად უკეთესად იცხოვრებდნენ. დასავლეთის „გადმოგდებულ ანკესზე“ ყველანი წამოვეგეთ, კაი ცხოვრება ისედაც იყო: უფასო განათლება, უფასო ჯანდაცვა, უფასო ბინები, პირველადი მოხმარების საქონელზე მინიმალური, სიმბოლური ფასები, ვისაც მუშაობა უნდოდა ყველა დასაქმებული იყო და ა.შ., ერთი სიტყვით ყოველდღიური ყოფითი პრობლემები, შიმშილი და გაჭირვება არ იყო. მაგრამ, ეს ყველაფერი, „სამოთხეში“ ცხოვრება არ ვიკმარეთ და „სამოთხის ვაშლი“ მოვინდომეთ. სსრკ-ს რესპუბლიკების უმრავლესობაში მასიური გამოსვლები დაიწყო დამოუკიდებლობის მოთხოვნით**

**სსრკ-ს რესპუბლიკების უმრავლესობა ბევრად უფრო განვითარებული იყო ვიდრე ევროპის ქვეყნების დიდი უმრავლესობა, რომ აღარაფერი ვთქვათ მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებზე. სსრკ-ში შემავალი და დღეს ევროკავშირის წევრი ბალტიისპირეთის ქვეყნები ეკონომიკურად სსრკ-ს პერიოდში ბევრად უფრო განვითარებულები იყვნენ, ვიდრე დღეს არიან, უშვებდნენ უამრავ სამრეწველო პროდუქციას, მაგალითად, ლატვია უშვებდა მიკრო ავტობუსებს. დღეს, როგორც ჩვენთან, ბალტიის პირეთის რესპუბლიკების მრეწველობა გაჩერებულია და თითქმის არაფერს არ უშვებს. თუმცა დასავლეთის პროპაგანდა აქტიურად ამტკიცებს საწინააღმდეგო მოსაზრებებს. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა და იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირში შემავალ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებზე.**

მონეტარიზმის მთელ მსოფლიოში გავრცელებას აქტიურად უჭერდა მხარს საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ქვეყნებს, რომლებშიც სავალუტო ფონდის **„რეკომენდაციით“ (მოთხოვნით)** „ეკონომიკის მონეტარული განვითარების მოდელი“ ინერგებოდა, სავალუტო ფონდი აძლევდა დაბალ პროცენტიან მრავალ მილიონიან კრედიტებს. ეხმარებოდა ამ მოდელის დანერგვაში, მთავრობებს რეკომენდაციებს აძლევდა „ქვეყნის მართვაში“ - ქვეყნის ნგრევაში. დიახ, დიახ, ქვეყნის ნგრევაში, იმიტომ, რომ სავალუტო ფონდი კატეგორიულად გვიკრძალავდა მათ მიერ მოცემული ფულის ეკონომიკის რეალურ სექტორში გამოყენებას. უფრო მეტიც, მთავრობას კატეგორიულად უკრძალავდა საბიუჯეტო თანხების რეალურ ეკონომიკაში ასიგნებებს და ეკონომიკურ საქმიანობაში რაიმე სახით ჩარევას. სამაგიეროდ, სავალუტო ფონდი მთავრობას არ უკრძალავდა ეკონომიკის ნგრევას, მაგალითად, გადასახადების ზრდას, ასობით მილიონი ლარის ქონების სიმბოლურ ფასებში გაყიდვას (პრივატიზაციას), ქარხნებისა და ფაბრიკების მანქანა დანადგარების ჯართში ჩაბარებას, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გაფლანგვა-განიავებას. მოითხოვდა სტრატეგიული ობიექტების

და ბუნებრივი რესურსების უცხოელებზე გადაცემას, მიწის უცხოელებზე გაყიდვას და ა.შ. ყველაფერ იმას რაც ქვეყანას ანგრევდა და აპარტახებდა.

კვლევიდან, რომლებიც ამ სტატიაშია აღწერილი კარგად ჩანს, რომ სტაბილური ეკონომიკა და ეკონომიკის სტაბილური განვითარება მხოლოდ და მხოლოდ რეალური ეკონომიკის განვითარებით არის შესაძლებელი. ყველა სხვა შემთხვევა ეკონომიკას ანგრევს და ქვეყანას აპარტახებს. **სავალუტო ფონდია დამნაშავე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და სოციალურ მდგომარეობაში.**

მსოფლიოს ქვეყნების ვალუტები, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, განიცდიან მუდმივ დევალვაციას. ქვეყნების უმრავლესობას სავალუტო ფონდი ეხმარებოდა ეროვნული ვალუტის გამყარებაში სოლიდური ვალების მიცემით. ეროვნული პროდუქციის მწვავე დეფიციტის პირობებში ეს ვალები ძირითადად მიდიოდა იმპორტზე. ამ გზით ხელოვნურად იზრდება ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარი და მძიმე სოციალური პირობების გარკვეულწილად შემსუბუქება. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა, „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის" ეკონომიკა, წლების განმავლობაში გრძელდება და დღესაც გრძელდება. წლების განმავლობაში მონეტარული ეკონომიკის პირობებში, გაჩერებული რეალური ეკონომიკის გამო, არ იქმნება სამრეწველო პროდუქცია და ხდება ინფლაცია და მძიმდება სოციალური გარემო. მდგომარეობის შემსუბუქება ხდება ქვეყანაში იმპორტული პროდუქციის შეტანით. იმპორტის ზრდა იწვევს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას და ეროვნული ვალუტის დევალვაციას. დევალვაცია, თავის მხრივ, განაპირობებს იმპორტის გაძვირებას და ინფლაციას. სავალუტო ბაზარზე ეროვნული ვალუტის დევალვაცია რომ არ მოხდეს, ცენტრალური ბანკი უცხოური ვალუტის დეფიციტს აბალანსებს სავალუტო ფონდისგან აღებული ვალით. შემოტანილი იმპორტული პროდუქცია იჭმევა, ისმევა, ფუჭდება, ინტერევა და მისი დიდი ნაწილი ყოველწლიურად კვლავ შემოსატანია და აქ მოყვანილი ციკლი ანუ სავალუტო ფონდის მიერ ეროვნული ვალუტის გამყარებაში „დახმარება" მრავალი წლის განმავლობაში გრძელდება. საბოლოო შედეგი რა გვაქვს ყოველწლიურად ვალების ზრდა, უიმედო ვალების (ვალები, რომლის გასტუმრება ქვეყანას აღარ შეუძლია და საკუთარი რესურსებით ვერც ვერასოდეს ვეღარ შეძლებს) წარმოშობა და ხდება ქვეყნის ეკონომიკური ანექსია, ანუ ეკონომიკური დაპყრობა. აი, ესაა იმ ეკონომიკური პოლიტიკის მთელი არსი, რასაც სავალუტო ფონდი და მისი „პატრონები" მთელ მსოფლიოში ატარებენ.

დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, იცოდა თუ არა სავალუტო ფონდმა რა შედეგებს მოიტანდა ახალი ეკონომიკური მოდელი და ახალი ეკონომიკური პოლიტიკა - ალბათ იცოდა, ვინაიდან ქვეყნებში ახალი ეკონომიკური მოდელის დანერგვას რაიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები არ მოსდევდა. თუმცა, ადამიანთა ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, როდესაც ელოდები მხოლოდ კარგს, ამჩნევ მხოლოდ კარგს, დადებითს და საერთოდ ვერ ამჩნევ ცუდს, უარყოფითს, მითუმეტეს მაშინ ,როცა დადებითი შედეგები მალევე ჩანს, უარყოფითი და მძიმე შედეგები კი მხოლოდ წლების შემდეგ ვლინდება.

ახალმა ეკონომიკურმა მოდელმა და სავალუტო ფონდის პოლიტიკამ მთელი მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა და მათი მოსახლეობა დიდ ვალებში გახვია, 2023 წლის მდგომარეობით 21 ქვეყანას 1.0 ტრილიონ დოლარზე მეტი ვალი გააჩნია, კიდევ 40 ქვეყანას 100 მილიარდზე მეტი ვალი აქვს, 60 ქვეყანაზე მეტს კი - 10 მილიარდ დოლარზე მეტი ვალი დაუგროვდა. ყველაზე დიდი ვალი აშშ-ს აქვს, მისი ვალი 34,5 ტრილიონი დოლარია, ევროკავშირს - 17,8 ტრლ., დიდი ბრიტანეთს - 9,82 ტრლ., საფრანგეთს - 7,81 ტრლ., გერმანიას - 6,7 ტრლ., ნიდერლანდებს - 4,27 ტრლ., იაპონიას - 4,2 ტრლ., ლიხტენშტეინს - 3,79 ტრლ., ირლანდიას - 3,22 ტრლ., კანადას - 3,06 ტრლ. დოლარი. ასე გამოიყურება ყველაზე დიდი ვალების მქონე ქვეყნების ათეული.

**საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ სავალუტო ფონდის შემოსვლა და ქვეყანაში „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის" დანერგვიდან მოყოლებული დინამიკა შემდეგია: პრაქტიკულად, მთლიანად გაჩერდა მრეწველობა; სოფლის მეურნეობაში უკიდურესად დამძიმდა მდგომარეობა, მხოლოდ მცირე გლეხური მეურნეობები აგრძელებენ მძიმე პირობებში მუშაობას, ისიც იმიტომ, რომ გლეხობას არსებობის სხვა ალტერნატიული წყაროები არ გააჩნიათ და იძულებულები არიან მიწით ირჩინონ თავი. მიწის სავარგულების დიდი ნაწილი არ მუშავდება, დამუშავებული მიწებიდან მიღებული მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ფუჭდება და იყრება, იმის გამო, რომ ქვეყანამ დაკარგა სოფლისმეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ტრადიციული ბაზრები. მათ აღდგენას „დასავლეთი" კატეგორიულად ეწინააღმდეგება. გარდა აღნიშნულისა, სოფლისმეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია ვერ ხერხდება ადგილობრივ ბაზრებზე ქვეყნის მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო. ქვეყნის ბევრ რეგიონში აღარ არსებობს მესაქონლეობა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას აღარ გააჩნია ეკონომიკის რეალური სექტორი. თუ რამე კიდევ მუშაობს, მათი უმრავლესობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, მუდმივად კიდევ ურო მძიმდება და მათი გაჩერება მხოლოდ დროის საკითხია; დამძიმებული სოციალური გარემოს და მასიური უმუშევრობის პირობებში მოსახლეობა სამუშაოს საძებრად და თავის თავის და ოჯახის გადასარჩენად ქვეყნიდან გარბის, ინგრევა ოჯახები, ოჯახების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმალურად, დეიურე არსებობს, ფაქტიურად კი, დანგრეულებია იმის გამო, რომ ცოლი და ქმარი ათასობით კილომეტრის დაცილებით ცალცალკე ცხოვრობენ. პრობლემები ექმნება ბავშვების აღზრდას, მათ ფსიქიკას, ჯამრთელობას, განათლებას და ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებას. ადგილზე დარჩენილი ზრდასრული ახალგაზრდები ოჯახებს არ ქმნიან მძიმე ეკონომიკური და სოციალური გარემოს გამო. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართველი ზრადსრული გოგონები**

**უცხოელებზე თხოვდებიან და ამან მასიური სახე მიიღო. ამ ყველაფრმა აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი დააყენა - უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა, ქართველობა მომაკვდავ ერთა სიაში პირველ ხუთეულშია. ეს არის ერის ეკონომიკური გენოციდი და ამას გვიწყობს ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ იმ პოლიტიკით, რასაც ისინი ჩვენთან ატარებენ.**

**ამავე პერიოდში, დასავლეთის ზეწოლის შედეგად, სიმბოლურ ფასებში გაიყიდა წარმოება-ფაბრიკები, მიწები, ბუნებრივი სიმდიდრეები და უამრავი სხვა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები. ქვეყნის მოსახლეობა, ფაქტობრივად, საარსებო გარემოს გარეშეა დარჩენილი.**

ვინც არ იცის, მათთვის, განსაკუთრებით, ხელისუფლებაში მყოფი ჩინოვნიკებისათვის განვმარტავ: **სტრატეგიული დანიშნულებისაა ობიექტები, რომლებიც ქვეყნის არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ქმნის ქვეყნის არსებობის ბაზას-საფუძველს. ასეთები პირველ რიგშია მიწა, ჰაერი, წიაღისეული და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები. უკვე შემდეგ ერისა და ქვეყნის არსებობისათვის მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელია ჰესები, წყალსაცავები, მელიორაციის სისტემები, გზები, ხიდები, მდინარეები, ტბები, ზღვები, თავდაცვითი ნაგებობები და თავდაცვითი პროფილის წარმოებები, მაგისტრალური სადენები და მაგისტრალური ტრანსპორტი და ა.შ.**

**რა ფასიც არ უნდა გადაიხადონ წიაღისეულ ამოწურვად ბუნებრივ სიმდიდრეებში, ეს ფასი ნებისმიერ შემთხვევაში, სიმბოლური იქნება, ვინაიდან ბუნება ამ სიმდიდრეებს ასობით მილიონი წლის განმავლობაში ქმნიდა.**

**ხელისუფლებაში მყოფი ჩინოვნიკებისათვის განვმარტავ, რომ ამოწურვადია ისეთი ბუნებრივი სიმდიდრეები რომლებიც, გამოყენებისას თანდათან მცირდება და შეუძლებელია მათი განახლება, ეს ადამიანის ძალებს აღემატება. მაგალითად ოქრო, ვერცხლი ნავთობი და ა.შ. ყველა წიაღისეული სიმდიდრე. განახლებადია ისეთი ბუნებრივი სიმდიდრეები, რომელთა განახლება შეიძლება, მაგალითად ტყეები, თევზები ზღვაში და მდინარეებში, ყოველწლიური მიწაზე მოყვანილი მოსავალი, ადამიანური რესურსები და ა.შ.**

**ასევე, ჩინოვნიკებისათვის განვმარტავ, არსებობს ბუნებრივი სიმდიდრეები რომლებიც თუ მოცემულ დროში და მოცემულ მომენტში გამოიყენებ ქვეყანა მდიდრდება და ვითარდება, თუ არ გამოიყენე ქვეყნისთვის არაფერი სიკეთე არ მოაქვს და სამუდამოდ იკარგება. ასეთებია მინერალური წყლები. ეს სიკეთე მიწიდან თვითდინებით ამოდის, თუ ამოსვლის მომენტში ავითვისებთ ქვეყანა მდიდრდება, თუ არ ავითვისებთ, უკვალოდ, ეკონომიკური ეფექტის გარეშე იკარგება. ასეთია, ბუნებრივი აერი („გაზი“), რომელიც თვითდინებით ამოდის. ასეთია ადამიანური რესურსი. თუ ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ შესაძებლობებს გამოვიყენებთ, ქვეყანა მდიდრდება, თუ ადამიანის შესაძლებლობებს მოცემულ დროში და მომენტში არ გამოვიყენებთ ის ეკონომიკური ეფექტის გარეშე სამუდამოდ იკარგება, ანუ ის, რაც დღეს შეეძლო გაეკეთებინა ადამიანს და არ გააკეთა, დღევანდელი დღის შესაძლებლობა უკვალოდ, ეკონომიკური ეფექტის გარეშე დაიკარგა. ასეთია მდინარეების სიმძლავრეები, დაუმუშავებელი მიწები, დაუტვირთავი საწარმოო სიმძლავრეები და ა.შ.**

მცირედი გადახვევის შემდეგ გავაგრძელოთ ჩვენი მსჯელობა. **ქვეყანა და მოსახლეობა ვალებში გაეხვა, ყოველწლიურად იზრდება ქვეყნის საგარეო ვალი, მისმა მოცულობამ 24,5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.** ისეთი მცირე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ვალის ეს მოცულობა ძალიან დიდია და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ისე ფიზიკურ უსაფრთხოებას. საერთაშორისო ნორმებით საგარეო ვალის კრიტიკულ ზღვარად ითვლება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 40%, ეს ის ზღვარია, რომლის შემდეგაც ვალების გასტუმრების პრობლემები დგება, თუ არ მოხდა გასასტუმრებელი ვალების გადავადება (რესტრუქტურიზაცია). საქართველოს საგარეო ვალი (არსებული არასწორი სტატისტიკის პირობებში) მშპ-ს 70%-ზე მეტია, რეალურად კი 100% აღემატება. ამ პირობებში, ჩვენნაირ ქვეყნებში დასავლეთი (აშშ და ევროპა) იწყებს იძულების პოლიტიკის გატარებას, ანუ ვალების გადავადებისა და ახალი ვალის სანაცვლოდ, ჩვენგან მოითხოვენ იმას, რაც მათ აწყობს და რაც ჩვენნაირი ქვეყნებისთვის, ხშირ შემთხვევაში, მიუღებელია, ანუ ერევიან ჩვენ შიდა საქმეებში. ხელისუფლება, ვალების გამო, იძულებულებულა მათ დაემორჩილოს, ფაქტიურად, მარიონეტები ხდებიან და ყველა მათ დავალებას უსიტყვოდ ასრულებენ. თუ ხელისუფლება არ დაემორჩილება დასავლეთის მოთხოვნებს, ხდება მათი გადაყენება და ახლის მოყვანა, ეს ოპერაცია თუ მშვიდობიანად არ გამოდის ახდენენ ხელისუფლების გადატრიალებებს, რევოლუციებს და ა.შ., ანუ ძალადობრივი გზით ახდენენ ხელისუფლების ცვლილებას.

თუ ბოლო წლების მოვლენებს გავაანალიზებთ, დასავლეთი ყველანაირად ცდილობს ჩვენ ქვეყანაზე გავლენის გაძლიერებას. თუ ამას ადრე ფარულად აკეთებდა, ე.წ. რეკომენდაციების სახით, რომლებიც სინამდვილში ბრძანებები და მოთხოვნები იყო, ახლა პირდაპირ მოითხოვენ, ყოველგვარი მორიდების გარეშე.

ყველაფერს აკეთებენ დემოკრატიის სახელით, ჩვენი ქვეყანა რომ უფრო „დემოკრატიული“ გახეს. 35 წელია დასავლეთის დახმარებით „დემოკრატიას“ „ვაშენებთ“ და ვერ ავაშენეთ. ან როგორ ავაშენებთ, როცა დემოკრატია მხოლოდ ფასადია, მის მიღმა კი დიქტატურაა. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ გვჭირდება. ევროკავშირის ბოლო „რეკომენდაციებში“, რომლის შესრულებასაც კატეგორიულად მოითხოვენ, ერთერთი მოთხოვნაა, მივიღოთ კანონი ევროკავშირის კრიტიკის აკრძალვის შესახებ. განა ეს დიქტატურა არ არის. აი, ესაა მათი დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება!

დეკლალირებულად გვეხმარებიან ქვეყნის შენებაში, რეალობაში ყველაფერი დაგვინგრიეს და არაფერი არააშენეს. სსრკ-ს დახმარებით 70 წელში 4300 მსხვილი და წვრილი წარმოება აშენდა, დასავლეთის „დახმარებით“ 35 წელიწადში ერთი წარმოება არაა აშენებული.

აი, ასეთი სავალალო და სახიფათოა ის შედეგები, რაც „ეკონომიკური განვითარების მონეტარულმა მოდელმა“ ქვეყანას მოუტანა. დაკარგული გვაქვს ეკონომიკური უსაფრთხოება, „ხვალ“, რომ სურსათის მომწოდებელმა ქვეყნებმა რაიმე მიზეზით უარი თქვან სურსათის მოწოდებაზე, ქვეყანა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება, იმიტომ რომ ქვეყანა პრაქტიკულად მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული, მეორე უბედურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანას არ გააჩნია სურსათის სტრატეგიული რეზერვები. ამ დროს 800 000 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა გვაქვს და მისი მხოლოდ მცირე ნაწილი მუშავდება, ამის შემდეგ, მიწის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე (მიწიდან დიდი მოგების მიღებაზე) ლაპარაკი უადგილოა და სასაცილოც კია. დარღვეულია და დიდი საფრთხის წინაშეა „ქვეყნის უსაფრთხოება“, „ხვალ“ რომ ქვეყანა ომში აღმოჩნდეს, ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს ომის წარმოებას მცირე დროითაც კი. ქვეყანაში არაფერი კეთდება სამხედრო შეიარაღების და საბრძოლო მასალების წარმოების კუთხით. თუ ქვეყანას არა აქვს საბრძოლო მასალების წარმოება, ასეთი ქვეყნის ომში ჩათრევა ან ამის მცდელობა, წინასწარ მარცხზე გათვლილი დიდი ავანტურაა და სხვა არაფერი.

## დასკვნები და წინადადებები

დასკვნები:

1. ეგრეთ წოდებული „თავისუფალი თითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“ არაფერს თვითონ არ არეგულირებს და ყველაფერს ანგრევს.

2. „თავისუფალი თითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის“ რადიკალური ფორმა „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“ (ლიბერალური ეკონომიკა), რომლის მიხედვითაც მკაცრად უნდა შეიზღუდოს ფულის ემისია, რომ არ მოხდეს ინფლაცია და რომ ეკონომიკა სტაბილურად განვითარდეს, დიდი უაზრობაა და როგორც დავამტკიცეთ, ფულის 1 ლარის ემისიაც კი რომ არ მოდეს, როცა ფული „ჰაერიდან“ იქმნება ინფლაცია მაინც გვექნება.

3. „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“ არამც თუ არ ზღუდავს ინფლაციას, არამედ ხელს უწყობს „ჰაერიდან“ ფულის კეთებას და არარეალური სექტორის განვითარებას, არ აძლევს ეკონომიკის რეალურ სექტორს განვითარების საშუალებას, ხელს უწყობს და აძლიერებს ინფლაციურ პროცესებს.

4. „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“ ხელს უშლის და დამანგრევლად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე და სოციალურ გარემოზე.

5. აზრს კარგავს ლიბერალური იდეოლოგია (ადამიანის უფლებები, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, თავისუფალი არჩევანი, თავისუფალი ადამიანი და ა.შ.), ვინაიდან არ გააჩნია ეკონომიკური ბაზისი - ეკონომიკური საფუძვლები. მხოლოდ ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ადამიანი, გამართული კანონმდებლობის პირობებში შეიძლება იყოს თავისუფალი. გაჭირვებული და მშიერი ადამიანი თავისი „კუჭის“ მონაა, მეორე დიდი პრობლემა რომლის წინაშეც ყოველი ადამიანი ყოველდღე დგას, ესაა ჯამრთელობა. ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ დროს შეიძლება დაუზიანდეს ჯამრთელობა და სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. ადამიანი ყველას დაემონება, ვისაც კუჭის და ჯამრთელობის უსაფრთხოების პრობლემის მოგვარება შეუძლია.

6. ეკონომიკას, რომელსაც 35 წელია ვიყენებთ, მხოლოდ ქვეყნის ნგრევა შეუძლია, ამ ეკონომიკით ქვეყანას ვერ ავაშენებთ და არსებულ კრიზისებს ვერ დავძლევთ.

7. 35 წელია, ჩვენ ქვეყანას შენების მაგივრად, ვანგრევთ და მწვავე პრობლემებს ვაგვარებთ აღებული ვალებით.

8. ლიბერალების და მონეტარისტების შეცვლილი ფიშერის ფორმულა:

ფულის მასა (ფმ) = მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ): :ფულის ბრუნვის სიჩქარე (ფბ)

საიდანაც:
მშპ = ფმ X ფბ

მცდარია და არასწორია. ფორმულის მარცხენა მხარე არ უდრის მარჯვენა მხარეს. ამ ფორმულით დათვლილი მშპ არასწორია. ამ ფორმულის მარჯვენა მხარე ბანკებში გავლილ ფულს, ანუ ტრანსაქციების ჯამს უჩვენებს, მშპ კი ტრანსაქციების ჯამი არ არის დამატებულ ღირებულებათა ჯამია. ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული რამაა, ტრანსაქციების ჯამი ბევრად აღემატება დამატებით ღირებულებების ჯამს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიბერალების და მონეტარისტების მიერ გადაკეთებული ფიშერის ფორმულით დათვლილი მშპ მცდარია და არ შეესაბამება რეალობას, რაც არასწორ წარმოდგენებს გვაძლევს ცხოვრების დონეზე, კეთილდღეობაზე და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

9. არასწორად ვითვლით ინფლაციის მაჩვენებლებს, რაც არასწორ წარმოდგენებს გვაძლევს წლის განმავლობაში ცხოვრების დონის გაუარესებასა ან გაუმჯობესებაზე.

წინადადებები

სადაა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი?

მანამ ეკონომიკური გასაჭირია და მძიმე სოციალური გარემო, უკმაყოფილო და გაჭირვებული მოსახლეობის პირობებში მუდამ გვექნება არეულობა და ქაოსი. გაჭირვებული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველ დაძახილზე ქუჩაში გამოდის იმ იმედით, რომ რაიმე შეიცვლება და უკეთესი ცხოვრება დადგება. არავის იმედზე არ შეიძლება ვიყოთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოსავალია:

1. სასწრაფოდ-დაუყოვნებლივ უარი უნდა ვთქვათ „ეკონომიკური განვითარების თვითრეგულირებად საბაზრო ეკონომიკის“ მოდელზე და მის უკიდურესად რადიკალურ ფორმაზე „ეკონომიკური განვითარების მონეტარულ მოდელზე“;

2. უნდა გადავიდეთ რეგულირებად ეკონომიკაზე - „რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე“;

3. მაქსიმალურად ხელი შეუწყოთ „ეკონომიკის რე-

ალური სექტორის“ განვითარებას;

4. ხელი შეუწყოთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ „ეკონომიკის რეალური სექტორის არსებული სიმძლავრეები და შესაძლებლობები;

5. ხელი შეუწყოთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ სახნავ-სათესი მიწები და სრულად დავამუშაოთ. არ დაუშვათ მოწვეული მოსავლის გადაყრა და ეკონომიკური ეფექტის გარეშე დაკარგვა;

6. განვავითაროთ მესაქონლეობა, ავითვისოთ და ეკონომიკური ეფექტის მიღების გარეშე არ დავტოვოთ საძოვრები;

7. ხელი შეუწყოთ მესაქონლეობის, მეღორეობის და მეფრინველეობის ფერმების შექმნას;

8. შეიქმნას მრეწველობის განვითარების სამინისტრო;

9. აიღწეროს არსებული სამრეწველო შესაძლებლობები, რამდენად შესაძლებელია ყოფილი სამრეწველო წარმოებების, ფაბრიკების და ქარხნების აღდგენა;

10. შევქმნათ ახალი თანამედროვე კონკურენტუნარიანი წარმოებები;

11.შევქმნათ მცირე სამრეწველო საწარმოები ადგილობრევ ბაზარზე ოპერირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მათ ფუნქციონერებას;

12. განსაკუთრებულ კონტროლზე იქნეს აყვანილი ინჟინრების და ტექნოლოგების მომზადების კონტროლი. მოხდეს მათი 100 % სახელმწიფო დაფინანსება, სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფა.

13. განათლების სამინისტროში შეიქმნას „საინჟინრო ტექნიკური და საინჟინრო ტექნოლოგიური სპეციალისტების მომზადების დეპარტამენტი;

14. უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებული დაფინანსებით წახალისდეს საინჟინრო ტექნიკური და საინჟინრო ტექნოლოგიური სპეციალობები. განსაკუთრებულად გაკონტროლდეს სწავლების ხარისხი;

15. უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნას „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ფაკულტეტები“ და სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ამ ფაკულტეტების მაქსიმალური ფინანსური მხარდაჭერა.

16. პარლამენტში უნდა შეიქმნას ცალკე კომიტეტი, რომელიც კომპლექსურად იმუშავებს ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე.

ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, უნდა გადავიდეთ „რეგულირებად საბაზრო ეკონომიკის“ მოდელზე და არა „გეგმიურ ეკონომიკაზე“. ბევრი ამ ორ მცნებას ერთმანეთში ურევს, ამ დროს რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“, მართვის ბერკეტებით (გადასახადები, დოტაცია, სახელმწიფო ასიგნებები, ფულის ემისია, საბანკო პროცენტი, კანონი და ნორმატიული აქტები და ა.შ.) იმართება. გეგმიურ ეკონომიკაში ყველაფერი თავიდან ბოლომდე იგეგმება, თუმცა აქაცაა განშტოებები „ზემოდან ქვემოთ დაგეგმვა“, „ქვემოდან ზემოთ დაგეგმვა“. ეს ორი გეგმიური ეკონომიკის სრულიად განსხვავებული მოდელებია, თუმცა მათ განხილვას არ დავიწყებთ, ეს სრულიად სხვა თემა და ეკონომიკის სრულიად სხვა მიმართულებაა.

# სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების კითხვარის ფაქტორული სტრუქტურის შეფასება ახალგაზრდების შერჩევაზე

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.08

**ანა ზუბაშვილი**
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0005-7045-2859
ana.zubashvili827@pes.tsu.edu.ge

**თამარ აბაშიძე**
ფსიქოლოგიის დოქტორი, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-009-1637-4641
tamar.abashidze@tsu.ge

**ირინა ჟვანია**
ფსიქოლოგიის დოქტორი, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-0009-5818-7166
i.zhvania@gmail.com

**აბსტრაქტი**

სოციალური ქსელების საიტებმა კაცობრიობას უამრავი შესაძლებლობა შეუქმნა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ოცდაათწლიანი პერიოდის მანძილზე ჩატარებულმა უკლებლივ ყველა კვლევამ ისიც ცხადყო, რომ გადაჭარბებული, არაკონტროლირებადი მოხმარება ნეგატიურად აისახება ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე, იწვევს ემოციურ, კოგნიტურ პრობლემებს, სოციალურ თუ პროფესიულ სირთულეებს. უფრო მეტიც, ზოგიერთ პირს შეიძლება ქცევითი ადიქციის მსგავსი სიმპტომებიც განუვითარდეს. 2022 წელს ჩატარებულმა მეტა-ანალიზმა (64 ქვეყანაში მცხოვრები ორ მილიონზე მეტი პირი) აჩვენა, რომ სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 18%-ს აწუხებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. შესაბამისად, ქართველ ფსიქოლოგებს სჭირდებათ ამ პრობლემის შესაფასებელი სანდო საზომი ინსტრუმენტი. კვლევის მიზანი იყო Caplan-ის პრობლემური მოხმარების კითხვარის (GPIUS2) უკვე ადაპტირებული ქართული ვერსიის ფაქტორული სტრუქტურისა და ფსიქომეტრული მაჩვენებლების შემოწმება. კვლევაში ჩართული იყო 1013 პირი, მათ შორის 77% ქალი, საშუალო ასაკი 22.6±6.3. ფაქტორული სტრუქტურა შემოწმდა როგორც კვლევითი, ისე კონფირმატორული ფაქტორული ანალიზით. თეორიული მოდელის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა სტრუქტურული მოდელირება, აგრეთვე მედიაციის ანალიზი. ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა ტესტის ქართული ვერსიის მაღალი სანდოობა და ვალიდურობა. სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების სკალის ქართული ვერსია სანდო და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტია. მისი გამოყენება ახალგაზრდებს შორის შეიძლება როგორც კვლევითი, ისე ფსიქოლოგიური კონსულტირების მიზნებისათვის – პრობლემური მოხმარების რისკის შესაფასებლად. კვლევის ძირითადი შედეგები მნიშვნელოვანია როგორც კლიენტთან მუშაობის, ისე პრევენციის მიზნებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ახალგაზრდებს შორის პრობლემური მოხმარების განვითარების საკვანძო რისკ-ფაქტორია მოხმარება გუნების რეგულირებისათვის – სწორედ ის არის ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინებისა და სოციალური ქსელების მოხმარების არასაკმარისი თვითრეგულაციის საფუძველი. შესაბამისად, მოხმარება გუნების რეგულირებისათვის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პოტენციური სამიზნე ფსიქოლოგიური ჩარევისა – როგორც ფსიქოლოგიური დახმარების, ისე პრევენციის მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარება, ახალგაზრდები, სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების კითხვარის ქართული ვერსია, ტესტის ფაქტორული სტრუქტურა, ტესტის ფსიქომეტრული მაჩვენებლები.

# EVALUATION OF THE FACTORAL STRUCTURE OF THE PROBLEMATIC SOCIAL MEDIA USE SCALE AMONG GEORGIAN YOUTH

**Ana Zubashvili**
Master of Clinical Psychology,
PhD student at I. Javakhishvili
Tbilisi State University
https://orcid.org/0009-0005-7045-2859
ana.zubashvili827@pes.tsu.edu.ge

**Tamar Abashidze**
Doctor of Psychology,
Associate Professor at the Faculty of
Psychology and Educational Sciences,
I. Javakhishvili Tbilisi State University
https://orcid.org/0009-009-1637-4641
tamar.abashidze@tsu.ge

**Irina Zhvania**
Doctor of Psychology,
I. Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor, Faculty of
Psychology and Educational Sciences,
Tbilisi State University
https://orcid.org/0009-0009-5818-7166
i.zhvania@gmail.com

**ABSTRACT**

The development of digital technologies has brought a lot of benefits to humanity, but many studies conducted over the last three decades have revealed that their excessive, uncontrolled use leads to a number of negative consequences - distress, psychopathological symptoms, health problems, social, professional or academic disorders, etc. Sh. Moreover, some individuals may develop behavioral addiction-like symptoms. A meta-analysis conducted in 2022, which included more than two million people living in 64 countries, showed that 17.4% of the world's population is addicted to social networks. Consequently, Georgian psychologists need a reliable measuring tool to assess this problem. The purpose of the study was to check the factor structure and psychometric indicators of the already adapted Georgian version of Caplan's Problematic Use Scale (GPIUS2). 1013 participants were included in the study, including 77% women, average age 22.6±6.3. The factorial structure was tested by both exploratory (EFA) and confirmatory factor analysis (CFA). Structural equation (SEM) modeling and mediation analysis were used to test the theoretical model. The conducted study confirmed the high reliability and validity of the Georgian version of the scale. The Georgian version of the Problematic Social Media use scale can be considered a reliable and valid psychodiagnostic tool. It can be used among young people for both research and psychological counseling purposes - to assess the risk of problematic consumption. The main results of the study are important for both client work and prevention purposes. It can be said that the key risk factor for the development of problematic consumption among Georgian youth is consumption for mood regulation, that is, it is the basis of the preference for online communication and insufficient self-regulation of the use of social networks. Therefore, use for mood regulation can be considered as a potential target for psychological intervention – both for psychological support and prevention.

**Keywords:** Problematic Social Media use, young people, Georgian version of Problematic social media use scale, factorial structure of the scale, psychometric indicators of the scale.

**შესავალი**

სოციალური ქსელების საიტებმა კაცობრიობას უამრავი შესაძლებლობა შეუქმნა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ოცდაათწლიანი პერიოდის მანძილზე ჩატარებულმა უკლებლივ ყველა კვლევამ ისიც ცხადყო, რომ გადაჭარბებული, არაკონტროლირებადი მოხმარება ნეგატიურად აისახება ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე, იწვევს ემოციურ, კოგნიტურ პრობლემებს, სოციალურ თუ პროფესიულ სირთულეებს. უფრო მეტიც, ზოგიერთ პირს გარკვეული პიროვნული მახასიათებლებით შეიძლება ქცევითი ადიქციის მსგავსი სიმპტომებიც განუვითარდეს: პრიორიტეტულობა; გუნება-განწყობილების მოდიფიკაცია; ტოლერანტულობა; აბსტინენცია; რეციდივი და კონფლიქტი (Griffiths, 2005; Andreassen, 2015; Kuss & Lopez-Fernandez, 2016). ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გადაჭარბებული მოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემად ჯერ კიდევ 2014 წელს აღიარა (World Health Organisation, 2014). პრობლემურ მომხმარებელთა რიცხვის სწრაფ ზრდას განსაკუთრებით ხელი შეუწყო როგორც მუდმივი კავშირის უზრუნველმყოფმა სმარტფონებმა/პლანშეტებმა, ისე თავად სოციალური ქსელების სტრუქტურამაც (კომერციული მიზნებიდან გამომდინარე ახალი ფუნქციების შემუშავება საიტზე გატარებული დროის გასაზრდელად, შესვლას შორის დროის ინტერვალის შესამცირებლად, მუდმივი ჩართულობის წასახალისებლად და სხვ. (Aboujaoude & Gega, 2020). ახლახან ჩატარებულმა მეტა-ანალიზმა (64 ქვეყანაში მცხოვრები ორ მილიონზე მეტი პირი) აჩვენა, რომ სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება დაახლოებით 18%-ს აწუხებს (Meng, и др., 2022). ამის კვალობაზე სულ უფრო მეტი პირი მიმართავს მკურნალობას პრობლემური ციფრული ქცევის გამო (Kuss & Lopez-Fernandez, 2016). ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. შესაბამისად, ქართველ ფსიქოლოგებს ესაჭიროებათ ამ პრობლემის შესაფასებელი სანდო საზომი ინსტრუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელების გადაჭარბებულ მოხმარებასთან დაკავშირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები სადავო აღარ არის, კონსენსუსი ამ ფენომენის კონცეპტუალიზაციასა და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით მიღწეულ ვერ იქნა, რის გამოც ის ადიქციად არც DSM-5-სა და არც ICD-11-ს იქნა აღიარებული. ალტერნატიული მიდგომაა პრობლემური მოხმარების თეორია, რომლის ფარგლებში ფენომენი განიხილება არა როგორც პათოლოგია, კლინიკური დარღვევა, არამედ უფრო ნეგატიური შედეგების გამომწვევი ქცევა – თვითრეგულაციის პრობლემა (კოგნიტურ-ქცევითი პარადიგმა). კონსენსუსის არარსებობა, თავის მხრივ, აისახება ამ მოვლენის შესაფასებელი საზომი ინსტრუმენტის სანდოობაზე (Pontes, Caplan, & Griffiths, 2016). სისტემურმა კვლევამ (2000 წლის შემდეგ გამოქვეყნებული 68 ეპიდემიოლოგიური კვლევა შერჩევის მოცულობით არანაკლებ 1000 პირისა) გამოავლინა 21 განსხვავებული ინსტრუმენტი" (Kuss, Griffiths, Karila, & Billieux, 2014). ამ ინსტრუმენტების უმეტესი ნაწილი ეფუძნებოდა არა კონცეპტუალურ მოდელს, არამედ ან „ტრადიციული" ადიქციის (ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე/აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება) შეფასების კრიტერიუმებს, ანდა ინტერნეტში გატარებული დროის თუ წარმოქმნილი პრობლემების კრიტერიუმებს. ეს კი ნიშნავს ქცევითი ადიქციის მსგავსი სიმპტომების მქონე პირთა მიმართ იგივე სტანდარტიზებული მიდგომების გამოყენებას, რაც „ტრადიციული" ადიქციის სამკურნალოდ. ასეთი გამარტივებული, მხოლოდ კრიტერიუმებზე დაფუძნებული, მიდგომის შედეგად უგულებელყოფილია ის საკვანძო ფსიქოლოგიური პროცესები (მოტივაციური, აფექტური, კოგნიტური, ინტერპერსონალური, სოციალური), რომლებიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ქცევაში დისფუნქციურ ჩართულობას (Billieux, Schimmenti, Khazaal, Maurage, & Heeren, 2015). არადა „ტრადიციული" ადიქციისგან განსხვავებით, როცა თერაპიის მიზანია მოხმარების შეწყვეტა, ციფრული ტექნოლოგიების პრობლემური მოხმარების შემთხვევაში მიზანია მოხმარების არა შეწყვეტა, არამედ **კონტროლი.**

არსებულ საზომ ინსტრუმენტთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, კოგნიტურ-ქცევითი მოდელის ფარგლებში Caplan-ის ინტერნეტის პრობლემური მოხმარების სკალა (GPIUS2) ინტეგრირებული კონცეფტუალური მოდელია, რომელიც ეფუძნება Davis-ის თეორიას (Davis & Flett, 2002), LaRose-ის ინტერნეტის არარეგულირებადი მოხმარების სოციალურ-კოგნიტურ მოდელს (LaRose, Lin, & Eastin, 2003), აგრეთვე თავად ავტორის მონაცემებს (Caplan & High, 2007; Caplan, 2010; Caplan & High, 2011). GPIUS2 ფოკუსირებულია სოციალური კომუნიკაციის ფაქტორზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების სოციალური ფუნქციების გათვალისწინებით. GPIUS2 ადაპტირებულია მსოფლიოს ბევრ ენაზე.

## 1. კვლევის მიზანი

ქართული ვერსია (ახალგაზრდებისათვის, არაკლინიკური შერჩევა) ადაპტირებულია ა.ზუბაშვილის მიერ (ზუბაშვილი, 2022). დადასტურდა ტესტის კარგი ფსიქომეტრული მაჩვენებლები, თუმცა აღმოჩნდა, რომ დამატებით შემოწმებას მოითხოვს ტესტის ფაქტორული სტრუქტურა. ტესტის ორიგინალი ხუთ სკალას შეიცავს: 1) ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება, 2) გუნების რეგულირება, 3)გონების შეპყრობა, 4) კომპულსიური მოხმარება და 5) ნეგატიური შედეგები. ამასთანავე, მე-3 და მე-4 სკალები ოპერაციონალიზებულია, როგორც კოგნიტურ და ქცევით სიმპტომებს შორის ურთიერთქმედების ამსახველი უფრო მაღალი რიგის ფაქტორი – არასაკმარისი თვითრეგულაცია (Caplan, 2010).

მაგრამ სხვადასხვა ენაზე ტესტის ადაპტაციის პროცესმა აჩვენა, რომ ეს მოდელი ყოველთვის არ დასტურდება. ასე, გერმანულ ვერსიას ანალოგიური ფაქტორული სტრუქტურა აქვს (Barke, Nyenhuis, & Kröner-Herwig, 2014), თუმცა იტალიური (Fioravanti, Primi, & & Casale, 2013), ფრანგული (Laconi, Kaliszewska-Czeremska, Tricard, & Chabrol, 2018), პორტუგალიური (ამ უკანასკნელის ერთ-ერთი თანაავტორია თავად Caplan) (Pontes, Caplan, & Griffiths, 2016) ვერსიების შემთხვევაში დადასტურდა პირველი რიგის ოთხი ფაქტორისაგან შემდგარი მოდელი, ანუ უფრო მაღალი რიგის ფაქტორის გარეშე. პოლონურ ვერსიას აქვს ხუთფაქტორიანი სტრუქტურა (Probierz, Gałuszka, & Gałuszka, 2020), მაგრამ მეორე რიგის ფაქტორის გარეშე. Caplan და თანაავ. აზრით, ეს ფაქტი აიხსნება კროს-კულტურული განსხვავებით: პორტუგალიური და იტალიური შერჩევა მსგავსია და განსხვავდება Caplan-ის კვლევის შერჩევისაგან (აშშ) (Pontes, Caplan, & Griffiths, 2016).

ქართული ვერსიის ადაპტაციის პროცესში ფაქტორული სტრუქტურის საკითხის ცალსახად გადაწყვეტა ვერ მოხერხდა და გამოიკვეთა დამატებითი კვლევის ჩატარების საჭიროება ტესტის ფაქტორული სტრუქტურის შესაფასებლად. ტესტის ავტორის მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტების შესამოწმებლად ჩამოყალიბებულია შემდეგი ჰიპოთეზები (Caplan, 2010):

H1: ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება არის გუნების რეგულირებისათვის სოციალური ქსელების მოხმარების პირდაპირი დადებითი პრედიქტორი;

H2: ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება არის არასაკმარისი თვითრეგულაციის პირდაპირი დადებითი პრედიქტორი;

H3: გუნების რეგულირებისათვის სოციალური ქსელების მოხმარება არის არასაკმარისი თვითრეგულაციის პირდაპირი დადებითი პრედიქტორი;

H4: არასაკმარისი თვითრეგულაცია არის დისფუნქციური მოხმარების გამო წარმოქმნილი ნეგატიური შედეგების პირდაპირი დადებითი პრედიქტორი;

H5: არსებობს არაპირდაპირი დადებითი კავშირი ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინებასა და არასაკმარის თვითრეგულაციას შორის, რომელიც გაშუალებულია გუნების რეგულირებისათვის სოციალური ქსელების მოხმარებით;

H6: არსებობს არაპირდაპირი დადებითი კავშირი ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინებასა და ნეგატიურ შედეგებს შორის, რომელიც გაშუალებულია არასაკმარისი

თვითრეგულაციით;

H7: არსებობს არაპირდაპირი დადებითი კავშირი გუნების რეგულირებისათვისა და ნეგატიურ შედეგებს შორის, რომელიც გაშუალებულია არასაკმარისი თვითრეგულაციით.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის მიზანი იყო: 1) ტესტის კონსტრუქტის ვალიდურობის (ფაქტორული სტრუქტურის) შემოწმება ფაქტორული ანალიზის როგორც კვლევითი, ისე დამადასტურებელი მეთოდების გამოყენებით; 2) ტესტის სკალებს შორის კავშირების (ავტორის ჰიპოთეზების) შემოწმება სტრუქტურული მოდელის საფუძველზე; შიდა კონვერგენტული და დისკრიმინანტური ვალიდურობის შეფასება.

## 2. მეთოდი

### 2.1. კვლევის პროცედურა და მონაწილეები

ჩატარდა რაოდენობრივი კროს-სექციური კვლევა ეგრეთ წოდებულ „მოსახერხებელ" (convenience) შერჩევაზე, Google Forms გამოყენებით, ანონიმურობის სრული გარანტიით – მონაწილე მხოლოდ სქესსა და ასაკს უთითებდა, კვლევაში მონაწილეობაზე წინასწარი თანხმობით. ჩართვის კრიტერიუმები: ა) სოციალური ქსელის მოხმარება; ბ) 35-მდე წლამდე ასაკი. ყველა კითხვაზე პასუხი სავალდებულო იყო, ამიტომ გამოტოვებულ მონაცემებს შერჩევა არ შეიცავდა. კვლევაში ჩართული იყო 2021-2024 წლებში შეგროვილი სამი შერჩევის მონაცემები: პირველი შერჩევა – 464 პირი, მათ შორის 79% ქალი, საშუალო ასაკი 21.4±5.9; მეორე შერჩევა – 238 პირი, მათ შორის 78% ქალი, საშუალო ასაკი 24.6±6.1; მესამე შერჩევა – 311 პირი, მათ შორის 77% ქალი, საშუალო ასაკი 26.2±8.1. საერთო ჯამში გამოკითხულ იქნა 1013 პირი, მათ შორის 78% ქალი, საშუალო ასაკი 22.6±6.3.

### 2.2. საზომი ინსტრუმენტები

**სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების სკალის ქართული ვერსია.** სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების სკალა (GPIUS2) 15 პუნქტისაგან შედგება, რომლებიც ფასდება ლაიკერტის 7-საფეხურიანი სკალით („სრულიად არ ვეთანხმებიდან" „სრულიად ვეთანხმებამდე"). ტესტის ორიგინალი ხუთ სკალას შეიცავს: 1) ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება (preference for online social interaction), 2) გუნების რეგულირება (mood regulation), 3) გონების შეპყრობა (cognitive preoccupation), 4) კომპულსიური მოხმარება (compulsive use) და 5) ნეგატიური შედეგები (negative outcomes). როგორც ითქვა, ტესტის ორიგინალში მე-3 და მე-4 სკალები ოპერაციონალიზებულია, როგორც კოგნიტურ და ქცევით სიმპტომებს შორის ურთიერთქმედების ამსახველი უფრო მაღალი რიგის ფაქტორი – არასაკმარისი თვითრეგულაცია (deficient self-regulation). გათვალისწინებულია აგრეთვე საერთო მაჩვენებლის გამოთვლა (ყველა პუნქტის საშუალო მაჩვენებელი). ცალკეული სკალების მაჩვენებლები სკალაში შემავალი პუნქტების საშუალო არითმეტიკულია, რაც ნიშნავს, რომ მაჩვენებლის შესაძლო დიაპაზონია 1-დან 7-მდე; უფრო მაღალი მაჩვენებელი უფრო მაღალ გამოხატულებაზე მიუთითებს.

### 2.3. სტატისტიკური ანალიზი

აღწერითი სტატისტიკის მონაცემების გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა მათემატიკური სტატისტიკის პროგრამათა პაკეტი SPSS-27. განაწილება შეფასდა კოლმოგოროვ-სმირნოვისა და შაპირო-უილკის კრიტერიუმებით, აგრეთვე განაწილების მახასიათებლებით (ასიმეტრია და ექსცესი). მრავალგანზომილებიანი ნორმალურობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა Mardia's ტესტები. შიდა ერთგვაროვნების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა კრომბაჰის ალფა, აგრეთვე მაკდონალდის ომეგა (Construct Reliability – CR). ფაქტორული სტრუქტურა შემოწმდა როგორც კვლევითი, ისე კონფირმატორული ფაქტორული ანალიზით – SPSS მოდულის – AMOS-26-ის, აგრეთვე პროგრამა JASP გამოყენებით. მედიაციის ანალიზი ჩატარდა პროგრამა JASP გამოყენებით. შიდა კონვერგენტული ვალიდურობის შესამოწმებლად გამოთვლილ იქნა ამოღებული საშუალო დისპერსია (AVE). შიდა დისკრიმინანტული ვალიდურობა შეფასდა AVE-დან კვადრატული ფესვის სიდიდის შედარებით შესაბამისი ფაქტორის სხვა ფაქტორებთან კორელაციის კოეფიციენტთან შედარების საფუძველზე. კორელაცია გამოთვლილ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტით.

## 3. შედეგები

### 3.1. განაწილების შემოწმება

განაწილების შემოწმებამ აჩვენა, რომ როგორც ტესტის ყველა პუნქტის, ისე ჯამური მაჩვენებლის შემთხვევაში კოლმოგოროვ-სმირნოვისა და შაპირო-უილკის ტესტებით განაწილება ნორმალური არ არის ($p<0.05$). მაგრამ ასევე ყველა პუნქტისათვის ასიმეტრიისა და ექსცესის მაჩვენებლები 1-ზე ნაკლებია, რაც მიუთითებს, რომ ერთგანზომილებიანი ნორმალური განაწილების მოთხოვნა სრულდება (George & Mallery, 2016). მრავალგანზომილებიანი ნორმალურობის შესამოწმებლად გამოყენებულმა Mardia's ტესტებმა აჩვენა, რომ ეს პირობა დარღვეულია. ექსტრემალური შემთხვევების გამოსავლენად გამოთვლილ იქნა ჯამური (საერთო) მაჩვენებლის სტანდარტული მაჩვენებელი z: მაჩვენებელი ექსტრემალურია, თუ მისი მნიშვნელობა ±3,29-ს აღემატებოდა (Field, 2013). ასეთი შემთხვევაში აღმოჩენილ არ იქნა. შესაბამისად, შერჩევის საბოლოო მოცულობა უცვლელი დარჩა (1013 პირი).

### 3.2. კონსტრუქტის ვალიდურობის შემოწმება კვლევითი ფაქტორული ანალიზით

როგორც ცნობილია, კონსტრუქტის ფაქტორული სტრუქტურის შესასწავლად გამოიყენება როგორც კვლევითი (EFA), ისე დამადასტურებელი (CFA) ფაქტორული ანალიზი. პირველის მიზანია სავარაუდო ფაქტორული სტრუქტურის დადგენა, რომელიც შემდეგ მოწმდება დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით. ამასთანავე, ამ ორი ტიპის ანალიზის ჩატარება რეკომენდებულია სხვადასხვა შერჩევაზე (Kline, 2016; Byrne, 2013; Izquierdo, Olea, & Abad, 2014). კვლევითი ფაქტო-

რული ანალიზი ჩატარდა მეორე შერჩევაზე (238 პირი). ამ შერჩევის სიმძლავრე საკმარისია EFA-ს ჩასატარებლად: პრედიქტორების რიცხვისა და შერჩევის მოცულობის თანაფარდობა 16:1 შეადგენს (Kline, 2016). ფაქტორული ანალიზის ჩატარების მართებულობა შემოწმდა Bartlett ტესტით, აგრეთვე შერჩევის ადეკვატურობის საზომით (KMO). ტესტის ყველა პუნქტის, ასევე საერთო მაჩვენებლის შემთხვევაში KMO≥0.80 (დასაშვები მნიშვნელობა ≥0.50). Bartlett ტესტმა დაადასტურა მაღალი სანდოობა: p=0.000.

პირველ ეტაპზე EFA ჩატარდა მთავარი კომპონენტების ანალიზით (PCA), რომელიც გამოიყენება სავარაუდო კომპონენტების რიცხვის დასადგენად. იმის გამო, რომ ტესტის პუნქტებს შორის დასტურდება კორელაცია, ბრუნვისათვის გამოყენებულ იქნა ირიბკუთხა ბრუნვის მეთოდი promax. ფაქტორების რიცხვის განსაზღვრისათვის ჯერ გამოვიყენეთ 1-ზე მაღალი საკუთარი მნიშვნელობის წესი, რის შედეგადაც გამოიყო სამი ფაქტორი, ახსნილი საერთო დისპერსიით 64.3% (ფაქტორული სტრუქტურა წარმოდგენილია პირველ სურათზე).

მეორე ეტაპზე ჩატარდა ზოგადი ფაქტორული ანალიზი. იმის გამო, რომ მრავალგანზომილებიანი ნორმალურობის პირობა დარღვეული იყო, ფაქტორიზაციისათვის გამოყენებულ იქნა არაშეწონილ უმცირეს კვადრატთა მეთოდი (Unweighted Least Squares), ისევ ირიბკუთხა ბრუნვით (promax). 1-ზე მაღალი საკუთარი მნიშვნელობის წესის გამოყენებისას შედეგი იყო ზუსტად ისეთი, როგორც მთავარი კომპონენტების ანალიზისას (იხ. სურ. 1). პირველმა ფაქტორმა გააერთიანა ტესტის სამ სკალაში („გუნების რეგულირება“, „გონების შეპყრობა“ და „კომპულსიური მოხმარება“) შემავალი პუნქტები (ახსნილი დისპერსია – 43%), მეორე ფაქტორი შეესაბამებოდა მეხუთე სკალას – „ნეგატიური შედეგები“ (ახსნილი დისპერსია – 7%), მესამე კი – პირველს – „ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება“ (ახსნილი დისპერსია – 6%). ამ მოდელის ვარგისიანობის მაჩვენებლები ასახულია პირველ ცხრილში.

**ცხრილი 1. კვლევითი ფაქტორული ანალიზი (EFA) – ვარგისიანობის მაჩვენებლები**

| მოდელი | $\chi^2$-ტესტი | CMIN/DF | RMSEA | RMSEA 90% confidence | SRMR | TLI | CFI | BIC |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 ფაქტორი | $\chi^2$ =263.9; p<.001 | 2.602 | 0.116 | 0.102 - 0.131 | 0.040 | 0.825 | 0.896 | -80.800 |
| 4 ფაქტორი | $\chi^2$ =143.2; p<.001 | 2.808 | 0.087 | 0.071 - 0.104 | 0.029 | 0.901 | 0.952 | -135.853 |
| 5 ფაქტორი | $\chi^2$ =76.7; p<.001 | 1.918 | 0.062 | 0.041 - 0.083 | 0.020 | 0.949 | 0.981 | -142.208 |

***შენიშვნა:*** *CMIN/DF – $\chi^2$-ის შეფარდება თავისუფლების ხარისხთან; RMSEA – აპროქსიმაციის საშუალო კვადრატული შეცდომა; SRMR – სტანდარტიზებული ნაშთის საშუალო მაჩვენებელი; TLI – ტაკერ-ლიუისის ინდექსი; CFI – მოდელის შეთანხმებულობის, ვარგისიანობის ინდექსი; BIC – ბაიესის ინფორმაციული კრიტერიუმი*




**სურ. 1. 3-ფაქტორიანი მოდელი**




**სურ. 2. 4-ფაქტორიანი მოდელი**




**სურ. 3. 5-ფაქტორიანი მოდელი**

თუმცა, ბოლო წლებში ჩატარებულმა სიმულაციურმა კვლევებმა აჩვენა, რომ 1-ზე მაღალი საკუთარი მნიშვნელობის წესი ხშირად არასწორ შედეგს იძლევა და ფაქტორების რიცხვის განსაზღვრისათვის რეკომენდებულია მიღებული შედეგის გადამოწმება, მათ შორის თეორიული (კონცეპტუალური) მოდელის საფუძველზე (Fabrigar & Wegener, 2012; Izquierdo, Olea, & Abad, 2014). შესაბამისად, შემოწმდა 4- და 5-ფაქტორიანი მოდელი. ორივე შემთხვევაში გამოყენებულ იქნა არაშეწონილ უმცირეს კვადრატთა მეთოდი ირიბკუთხა ბრუნვით promax (იხ. სურ. 2-3).

4-ფაქტორიანი მოდელისათვის ახსნილი დისპერსიის წილი 70%-ს შეადგენს. პირველმა ფაქტორმა გააერთიანა ტესტის ორი სკალა – „გუნების რეგულირება“ და „გონების შეპყრობა“ (ახსნილი დისპერსია – 43%), მეორე ფაქტორი შეესაბამება მეხუთე სკალას – „ნეგატიური შედეგები“ (ახსნილი დისპერსია – 7.6%), მესამე – პირველს – „ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება“ (ახსნილი დისპერსია – 6.5%), ხოლო მეოთხე – „კომპულსიურ მოხმარებას“ (ახსნილი დისპერსია – 3.4%). შესაბამისად, 4-ფაქტორიანი მოდელი სამიანისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ „კომპულსიური მოხმარება“ ცალკე ფაქტორად გამოიყო. 5-ფაქტორიანი მოდელისათვის ახსნილი დისპერსიის წილმა 75%-ს შეადგინა. მაგრამ მას ისეთივე სტრუქტურა აქვს, როგორც 4-ფაქტორიანს; განსხვავდება მხოლოდ ისაა, რომ „გუნების რეგულირების“ ერთი პუნქტი (მე-12) ცალკე ფაქტორად გამოიყო. ამ ორი მოდელის ვარგისიანობის მაჩვენებლები წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, სამივე მოდელის შემთხვევაში χ2-ტესტით შესამოწმებელი ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ემპირიული მოდელი არ განსხვავდება პოპულაციურისგან, უარყოფილია, ვინაიდან p<0.05. თუმცა, 3-ფაქტორიანი მოდელის შემთხვევაში χ2-ის მნიშვნელობა გაცილებით უფრო მაღალია, რაც მიუთითებს, რომ ბოლო ორი მოდელი უკეთესია. CMIN/DF კრიტერიუმით სამივე მოდელს აქვს დამაკმაყოფილებელი ვარგისიანობა, თუმცა 5-ფაქტორიანი მოდელი უკეთესია (კარგი მნიშვნელობა ≤2; დამაკმაყოფილებელი ≤3). RMSEA-ს (კარგი მნიშვნელობა ≤0,05; დამაკმაყოფილებელი ≤0,08) მიხედვით 3-ფაქტორიანი მოდელის ვარგისიანობა დაბალია. საშუალო კვადრატული შეცდომის სტანდარტიზებული ნაშთის (SRMR) სიდიდე 3-ფაქტორიანი მოდელის შემთხვევაში ყველაზე მაღალია (რაც უფრო ნაკლებია, მით უკეთესია მოდელი). ანალოგიურია შედეგი კიდევ სამი ინდექსით – TLI და CFI (კარგი მნიშვნელობა ≤0.95; დამაკმაყოფილებელი ≤0.90), BIC (რაც უფრო ნაკლებია, მით უკეთესია მოდელი): 3-ფაქტორიანი მოდელის ვარგისიანობა დაბალია, მით უფრო, რომ ის თეორიულ მოდელს არ შეესაბამება. შესაბამისად, დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი ჩატარდა ოთხ- და ხუთ-ფაქტორიანი მოდელების შესამოწმებლად.

### 3.3. კონსტრუქტის ვალიდურობის შემოწმება დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით

დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით (CFA) შემოწმდა სამი მოდელი: ოთხ- და ხუთ-ფაქტორიანი მოდელი მეორე რიგის ფაქტორის გარეშე, აგრეთვე 5-ფაქტორიანი მოდელი მეორე რიგის ფაქტორით, როგორც ტესტის ორიგინალის შემთხვევაში. ორიგინალის მსგავსად, გამოყენებულ იქნა ორსაფეხურიანი მიდგომა: პირველ ეტაპზე ჩატარდა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი – გაზომვის მოდელის შესაფასებლად, შემდეგ კი – სტრუქტურული მოდელირება (SEM) კონსტრუქტებს შორის ჰიპოთეტური კავშირების შესამოწმებლად.

### 3.3.1. კონსტრუქტის ვალიდურობის შემოწმება: პირველი ეტაპი

დამადასტურებელი (კონფირმატორული) ფაქტორული ანალიზი (CFA) ჩატარდა მეორე შერჩევაზე (775 პირი). ამ შერჩევის სიმძლავრე (პრედიქტორების რიცხვისა და შერჩევის მოცულობის თანაფარდობა) 51:1 შეადგენს, ანუ დაწესებულ მაჩვენებელს (20:1) მნიშვნელოვნად აღემატება (Kline, 2016). იმის გამო, რომ მრავალგანზომილებიანი ნორმალური განაწილების პირობა არ სრულდებოდა (კრიტიკული თანაფარდობის ინდექსი C.R.=30.672 5-ზე მეტია), სამივე მოდელის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა maximum likelihood (ML) მეთოდი „ბუტსტრეპის“ (bootstrap) პროცედურასთან ერთად (1000 შერჩევა).

4-ფაქტორიანი მოდელი (მოდელი A) შეიცავს პირველი რიგის ოთხ ფაქტორს: 1) ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება; 2) გუნების რეგულირება, 3) გონების შეპყრობისა და კომპულსიური მოხმარების სკალები გაერთიანებულია ერთ ფაქტორად – არასაკმარისი თვითრეგულაცია; 4)ნეგატიური შედეგები. 5-ფაქტორიანი მოდელი (მოდელი B) შეიცავს პირველი რიგის ხუთ ფაქტორს: 1) ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება; 2) გუნების რეგულირება, 3) გონების შეპყრობა; 4)კომპულსიური მოხმარება; 5) ნეგატიური შედეგები. დაბოლოს, 5-ფაქტორიანი მოდელი მეორე რიგის ფაქტორით (მოდელი C): 1) ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება, 2) გუნების რეგულირება, 3) გონების შეპყრობა, 4) კომპულსიური მოხმარება; 5) ნეგატიური შედეგები. მე-3 და მე-4 სკალები ქმნის მეორე რიგის ფაქტორს – არასაკმარის თვითრეგულაციას. სამივე მოდელით გათვალისწინებულია საერთო მაჩვენებელი. სამივე მოდელის ვარგისიანობის მაჩვენებლები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში, ხოლო თავად მოდელები (მოდიფიცირებული სახით) – სურათებზე 4-6.

**ცხრილი 2. დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი – ვარგისიანობის მაჩვენებლები**

| მოდელი | χ2-ტესტი | CMIN/DF | RMSEA | RMSEA 90% CI | GFI | TLI | CFI | AIC | CAIC | ECVI |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოდელი A | $\chi^2$ =75.4; p=.062 | 1.301 | 0.020 | 0.010 - 0.031 | 0.987 | 0.994 | 0.996 | 199.433 | 549.910 | 0.258 |
| მოდელი B | $\chi^2$ =92.6; p=.003 | 1.570 | 0.027 | 0.016 - 0.037 | 0.984 | 0.988 | 0.993 | 214.630 | 559.455 | 0.310 |
| მოდელი C | $\chi^2$ =102.1; p-.000 | 1.730 | 0.031 | 0.020 - 0.041 | 0.983 | 0.984 | 0.991 | 224.050 | 568.874 | 0.289 |

***შენიშვნა:*** *CMIN/DF – $\chi^2$-ის შეფარდება თავისუფლების ხარისხთან; RMSEA – აპროქსიმაციის საშუალო კვადრატული შეცდომა; GFI – ვარგისიანობის ინდექსი; CFI – შედარებითი შეთანხმებულობის ინდექსი; TLI – ტაკერ-ლიუისის ინდექსი; AIC – Akaike's ინფორმაციული კრიტერიუმი; CAIC – შესწორებული ინფორმაციული კრიტერიუმი; ECVI – მოსალოდნელი ჯვარედინა ვალიდაციის ინდექსი.*







სურ. 4. 4-ფაქტორიანი მოდელი (მოდელი A)

სურ. 5. 5-ფაქტორიანი მოდელი (მოდელი B)







სურ. 6. 5-ფაქტორიანი მოდელი მეორე რიგის ფაქტორით (მოდელი C)

სურ. 7. 4-ფაქტორიანი მოდელი მეორე რიგის ფაქტორით (მოდელი D)

***შენიშვნა:*** *მოდელებზე ასახულია სტანდარტიზებული კოეფიციენტები; POSI – ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება; MR – გუნების რეგულირება; CP – გონების შეპყრობა; CU – კომპულსიური მოხმარება; DSR – არასაკმარისი თვითრეგულაცია; NO – ნეგატიური შედეგები; GPU index – საერთო მაჩვენებელი.*

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, სამივე მოდიფიცირებულ მოდელს ვარგისიანობის კარგი მაჩვენებლები აქვს, მაგრამ χ2-ტესტით ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ემპირიული მოდელი არ განსხვავდება პოპულაციური მოდელისგან, დასტურდება მხოლოდ 4-ფაქტორიანი მოდელის (მოდელი A) შემთხვევაში: p=0.062 (მეტია 0.05-ზე), რაც მიუთითებს, რომ ის B და C მოდელებზე უკეთესია. ამას ადასტურებს ვარგისიანობის ყველა სხვა ინდექსიც. კერძოდ, მართალია, CMIN/DF კრიტერიუმით სამივე მოდელს მაღალი ვარგისიანობა (კარგი მნიშვნელობა ≤2; დამაკმაყოფილებელი ≤3) აქვს, თუმცა A მოდელის შემთხვევაში ის უკეთესია. იგივე ითქმის სხვა ინდექსებზეც: RMSEA (კარგი მნიშვნელობა ≤0,05; დამაკმაყოფილებელი ≤0,08), GFI, TLI და CFI (კარგი მნიშვნელობა ≤0.95; დამაკმაყოფილებელი ≤0.90). A მოდელის ყველაზე მაღალ ვარგისიანობაზე მიუთითებს მოდელების ვარგისიანობის შესადარებლად განკუთვნილი კრიტერიუმებიც – AIC (Akaike's ინფორმაციული კრიტერიუმი), CAIC (შესწორებული ინფორმაციული კრიტერიუმი) და ECVI – მოსალოდნელი ჯვარედინა ვალიდიზაციის ინდექსი: რაც უფრო მცირეა ეს მახასიათებლები, მით უფრო მაღალია ემპირიული მოდელის შესაბამისობა თეორიულთან. მაშასადამე, ყველა ინდექსის მიხედვით A მოდელი ყველაზე უკეთესია. აქედან გამომდინარე, მომდევნო ეტაპზე ტესტის სრული ჰიპოთეტური მოდელი შემოწმდა 4-ფაქტორიან მოდელზე.

### 3.3.2. კონსტრუქტის ვალიდურობის შემოწმება: სრული მოდელი

როგორც ითქვა, ტესტის 4-ფაქტორიან მოდელში ორი სკალა („გონების შეპყრობა" და „კომპულსიური მოხმარება") ქმნის ერთ პირველი რიგის ფაქტორს – „არასაკმარის თვითრეგულაციას". ტესტით გათვალისწინებულია საერთო მაჩვენებლის გამოთვლა, რომელიც გამოხატავს პრობლემური მოხმარების ინტენსიურობას. საერთო მაჩვენებელი მეორე რიგის ფაქტორია. შესაბამისად, ანალიზის ამ ეტაპზე შემოწმდა მეორე რიგის კონფირმატორული მოდელი (მოდელი D). ისევ გამოყენებულ იქნა ML bootstrap მეთოდი (1000 შერჩევა). მოდელის ვარგისიანობის მაჩვენებლები წარმოდგენილია მე-3 ცხრილში, ხოლო საბოლოო მოდიფიცირებული მოდელი – მე-7 სურათებზე.

**ცხრილი 3. დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი – სრული მოდელი**

| მოდელი | χ2-ტესტი | CMIN/DF | RMSEA | RMSEA 90% CI | GFI | TLI | CFI |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოდელი D | $\chi^2$ =117.8; p=.000 | 1.758 | 0.031 | 0.022 - 0.040 | 0.980 | 0.984 | 0.990 |

***შენიშვნა:*** *CMIN/DF – $\chi^2$-ის შეფარდება თავისუფლების ხარისხთან; RMSEA – აპროქსიმაციის საშუალო კვადრატული შეცდომა; GFI – ვარგისიანობის ინდექსი; CFI – შედარებითი შეთანხმებულობის ინდექსი; TLI – ტაკერ-ლიუისის ინდექსი.*

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, 4-ფაქტორიან მოდელს მეორე რიგის ფაქტორით (საერთო მაჩვენებელი) ასევე ძალიან კარგი ვარგისიანობის მაჩვენებლები აქვს. მართალია, χ2-ტესტისათვის სანდოობა p<0.05, მაგრამ ეს მოთხოვნა დიდი მოცულობის შერჩევის შემთხვევაში იშვიათად სრულდება. სწორედ ამის გამო შემუშავებულია უფრო პრაგმატული მიდგომა – CMIN/DF ინდექსი – $\chi^2$-ის შეფარდება თავისუფლების ხარისხთან, რომლის 2-ზე ნაკლები მნიშვნელობა მოდელის კარგ შესაბამისობაზე მიუთითებს (Byrne, 2013). მეორე რიგის მოდელისათვის CMIN/DF=1.758. მიღებული შედეგიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 4-ფაქტორიან მოდელს მეორე რიგის ფაქტორით (საერთო მაჩვენებელი) მაღალი ვარგისიანობის მაჩვენებლები აქვს. მაშასადამე, დადასტურდა სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების ტესტის კონსტრუქტის ვალიდურობა.

### 3.3.3. მეორე ეტაპი: სტრუქტურული მოდელი

სტრუქტურული მოდელი (SEM) იძლევა ფაქტორებს (სკალებს) შორის ჰიპოთეტური კავშირების, ანუ ნომოლოგიური ვალიდურობის, შემოწმების საშუალებას. სტრუქტურული განტოლებებით მოდელირებისათვის (SEM) ისევ გამოყენებულ იქნა ML Bootstrap მეთოდი (1000 შერჩევა). ანალიზი ჩატარდა იგივე შერჩევაზე. საბოლოო (მოდიფიცირებული) მოდელი წარმოდგენილია მე-8 სურათზე, ხოლო მოდელის ვარგისიანობის მაჩვენებლები – მე-4 ცხრილში. როგორც ვხედავთ, სტრუქტურულ მოდელსაც საუკეთესო ვარგისიანობის მახასიათებლები აქვს.

**ცხრილი 4. სტრუქტურული მოდელი**

| მოდელი | χ2-ტესტი | CMIN/DF | RMSEA | RMSEA 90% CI | GFI | TLI | CFI |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4+1 მოდელი | $\chi^2$ =119.8; p=.000 | 1.815 | 0.032 | 0.023 - 0.042 | 0.979 | 0.983 | 0.989 |

***შენიშვნა:*** *CMIN/DF – $\chi^2$-ის შეფარდება თავისუფლების ხარისხთან; RMSEA – აპროქსიმაციის საშუალო კვადრატული შეცდომა; GFI – ვარგისიანობის ინდექსი; CFI – შედარებითი შეთანხმებულობის ინდექსი; TLI – ტაკერ-ლიუისის ინდექსი.*

სტრუქტურული მოდელი იძლევა ტესტის ავტორის მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების შემოწმების საშუალებას (Caplan, 2010, გვ. 1090). როგორც მიღებული შედეგიდან ჩანს, ქართულ შერჩევაზეც დადასტურდა ტესტის ავტორის პირველი ჰიპოთეზა: ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება არის გუნების რეგულირებისათვის სოციალური ქსელების მოხმარების პირდაპირი დადებითი პრედიქტორი: არასტანდარტიზებული კოეფიციენტი B=0.686, p<0,001; სტანდარტიზებული β=0.364; $R^2$=13%. თუმცა, ორიგინალის შემთხვევაში მაჩვენებლები უფრო მაღალია: β=0.52; $R^2$=27%[1]. დადასტურდა მეორე ჰიპოთეზაც: ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება არის არასაკმარისი თვითრეგულაციის პირდაპირი დადებითი პრედიქტორი: B=0.169, p=0,005; β=0.137; $R^2$=1.9%. მაგრამ ეს კავშირი სუსტია, მაშინ როცა ორიგინალის შემთხვევაში β=0.52; $R^2$=27%. მოდელი ადასტურებს მესამე ჰიპოთეზასაც: გუნების რეგულირებისათვის სოციალური ქსელების მოხმარება არის არასაკმარისი თვითრეგულაციის პირდაპირი დადებითი პრედიქტორი: B=0.374, p=0,000; β=0.570; $R^2$=32.5%. ორიგინალის შემთხვევაში კავშირი უფრო სუსტია: β=0.40; $R^2$=16%. დაბოლოს, დადასტურდა მეოთხე ჰიპოთეზაც: არასაკმარისი თვითრეგულაცია არის დისფუნქციური მოხმარების გამო წარმოქმნილი ნეგატიური შედეგების პირდაპირი დადებითი პრედიქტორი: B=0.980, p=0,000; β=0.683; $R^2$=46.7%. ტესტის ორიგინალის შემთხვევაში მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია: β=0.78; $R^2$=61%.




**სურ. 8. სტრუქტურული მოდელი**

***შენიშვნა:*** *POSI – ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება; MR – გუნების რეგულირება; DSR – არასაკმარისი თვითრეგულაცია; NO – ნეგატიური შედეგები; მოდელზე ასახულია სტანდარტიზებული კოეფიციენტები.*

არაპირდაპირი ეფექტის ჰიპოთეზების შესამოწმებლად ჩატარდა მედიაციის ანალიზი (პროგრამა JASP). მიღებული შედეგი წარმოდგენილია მე-5 ცხრილში (სურ. 9-11).

**ცხრილი 5. მედიაციის ანალიზის შედეგები**

| | | | | | 95% Confidence Interval | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **Estimate** | **Std. Error** | **z-value** | **p** | Lower | Upper |
| ***მეხუთე ჰიპოთეზა:*** | | | | | | |
| პირდაპირი ეფექტი: POSI → DR | 0.111 | 0.027 | 4.086 | < .001 | 0.058 | 0.165 |
| არაპირდაპირი ეფექტი: POSI → MR → DR | 0.125 | 0.018 | 7.111 | < .001 | 0.090 | 0.159 |
| საერთო ეფექტი: POSI → DR | 0.236 | 0.031 | 7.698 | < .001 | 0.176 | 0.297 |
| ***მეექვსე ჰიპოთეზა:*** | | | | | | |
| პირდაპირი ეფექტი: POSI → NO | 0.038 | 0.028 | 1.341 | 0.180 | -0.017 | 0.093 |

1 ორიგინალის არასტანდარტიზებული მაჩვენებლებში სტატიაში წარმოდგენილი არ არის.

ბიზნესი და კანონმდებლობა
https://doi.org/10.52340/bal N2. 2024
WWW.B-K.GE WWW.OJS.B-K.GE

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არაპირდაპირი ეფექტი: POSI → DR → NO | 0.121 | 0.017 | 6.940 | < .001 | 0.087 | 0.155 |
| საერთო ეფექტი: POSI → NO | 0.158 | 0.031 | 5.050 | < .001 | 0.097 | 0.220 |
| ***მეშვიდე ჰიპოთეზა:*** | | | | | | |
| პირდაპირი ეფექტი: MR → NO | 0.009 | 0.024 | 0.383 | 0.702 | -0.037 | 0.055 |
| არაპირდაპირი ეფექტი: POSI → DR → NO | 0.182 | 0.016 | 11.141 | < .001 | 0.150 | 0.214 |
| საერთო ეფექტი: MR → NO | 0.191 | 0.022 | 8.702 | < .001 | 0.148 | 0.234 |

***შენიშვნა:*** *POSI – ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება; MR – გუნების რეგულირება; DSR – არასაკმარისი თვითრეგულაცია; NO – ნეგატიური შედეგები.*




სურ. 9. პირველი ჰიპოთეზა




სურ. 10. მეორე ჰიპოთეზა




სურ. 11. მესამე ჰიპოთეზა

როგორც ვხედავთ, სამივე ჰიპოთეზა დადასტურდა. მეხუთე ჰიპოთეზის თანახმად, არსებობს არაპირდაპირი დადებითი კავშირი ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინებასა და არასაკმარის თვითრეგულაციას შორის, რომელიც გაშუალებულია გუნების რეგულირებისათვის სოციალური ქსელების მოხმარებით. ამ შემთხვევაში გამოვლინდა ნაწილობრივი მედიაციის ეფექტი, ვინაიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანია როგორც პირდაპირი, ისე პირდა-პირი ეფექტი. მაგრამ არაპირდაპირი ეფექტი უფრო ძლიერია (0.125), ვიდრე პირდაპირი (0.111). ორიგინალურ სტა-ტიაში არაპირდაპირი ეფექტების სიდიდე მითითებული არ არის.

მეექვსე (არსებობს არაპირდაპირი დადებითი კავშირი ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინებასა და ნეგატიურ შედე-გებს შორის, რომელიც გაშუალებულია არასაკმარისი თვითრეგულაციით) და მეშვიდე (არსებობს არაპირდაპირი დადებითი კავშირი გუნების რეგულირებისათვის მოხმარებასა და ნეგატიურ შედეგებს შორის, გაშუალებული არასაკმარისი თვითრეგულაციით) ჰიპოთეზების შემთხვევაში დადასტურდა სრული მედიაციის ეფექტი – პირ-დაპირი ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა: p=0.180 და p=702 შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ ნეგატიური შედეგების განმაპირობებელია **არასაკმარისი თვითრეგულაცია.**

### 3.4. სანდოობის, შიდა კონვერგენტული და დისკრიმინანტური ვალიდურობის შეფასება

ტესტის ფსიქომეტრული მაჩვენებლები შეფასდა გაერთიანებულ შერჩევაზე (1013 პირი). შიდა სანდოობის (შიდა ერთგვაროვნების) შესაფასებლად გამოყენებულ იქნა კრომბაჰის ალფა, აგრეთვე შემადგენელი სანდოობის კრი-ტერიუმი (CR), იგივე მაკდონალდის ომეგა, რომელიც, პირველისაგან განსხვავებით, არ მოითხოვს ეკვივალენტურ ფაქტორულ დატვირთვას და, შესაბამისად, მიჩნეულია სანდოობის განსაზღვრის უფრო შესაფერის ზომად SEM-ზე დაფუძნებული ანალიზისათვის (Kline, 2016). შემადგენელი სანდოობის მაჩვენებელი 0.7-ზე მაღალი უნდა იყოს.

შიდა კონვერგენტული და დისკრიმინანტული ვალიდურობის განსაზღვრვრისას გამოყენებულ იქნა იქნა Fornell & Larcker მიდგომა (Fornell & Larcker, 1981). ამ მიდგომის თანახმად, თუ სკალაში შემავალი პუნქტები შეთანხმე-ბულია, მაშინ შეცდომის დისპერსია მცირე უნდა იყოს, ანუ მაჩვენებლების ცვალებადობა აიხსნება არა გაზომვის შეცდომით, არამედ სწორედ ფაქტორით. შესაბამისად, ითვლება ამოღებული საშუალო დისპერსია (Average variance extracted – AVE) სკალაში შემავალი ყველა პუნქტის მიხედვით. ამ მაჩვენებლის საფუძველზე განისაზღვრება შიდა კონვერგენტული ვალიდურობა: თუ AVE 0.5-ზე მაღალია, სკალას ადეკვატური კონვერგენტული ვალიდურობა აქვს. ეს ნიშნავს, რომ კონვერგენტული ვალიდურობა დასაბუთებულია მხოლოდ მაშინ, როცა საერთო ნარჩენი დისპერსია არ აღემატება ფაქტორის მიერ ახსნილ დისპერსიას.

შიდა დისკრიმინანტული ვალიდურობა განისაზღვრება AVE-დან კვადრატული ფესვის სიდიდის შედარებით

შესაბამისი ფაქტორის სხვა ფაქტორებთან კორელაციის კოეფიციენტთან შედარების საფუძველზე. სკალაში შემავალ პუნქტებს შორის კავშირის (კვადრატული ფესვი AVE-დან) მაჩვენებელი უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ამ სკალის კორელაცია ტესტის დანარჩენ სკალებთან.

როგორც მე-6 ცხრილიდან ჩანს, ოთხივე სკალის შემთხვევაში როგორც კრომბაჰის ალფა, ისე მაკდონალდის ომეგა, 0.7-ს აღემატება, რაც მიუთითებს ადეკვატურ სანდოობაზე. AVE-ს მნიშვნელობა 0.5-ზე მაღალია, ანუ დასაბუთებულია ტესტის შიდა კონვერგენტული ვალიდურობა. რაც შეეხება დისკრიმინანტულ ვალიდურობას, მე-6 ცხრილის ბოლო სვეტში მუქი დახრილი შრიფტით (კორელაციის კოეფიციენტების ზემოთ) მითითებულია AVE-დან კვადრატული ფესვის მნიშვნელობა, რომელიც, როგორც ვხედავთ, გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე შესაბამისი კორელაციის კოეფიციენტები.

**ცხრილი 6. ქართული ვერსიის სანდოობა, კონვერგენტული და დისკრიმინანტული ვალიდურობა**

| სკალა | კრომბაჰის α | მაკდონალდის ω (CR) | AVE | კორელაცია სკალებს შორის | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | POSI | MR | DSR | NO |
| POSI | 0.733 | 0.727 | 0.573 | ***0.757*** | | | |
| MR | 0.805 | 0.771 | 0.687 | 0.286 | ***0.829*** | | |
| DSR | 0.831 | 0.842 | 0.527 | 0.297 | 0.592 | ***0.726*** | |
| NO | 0.852 | 0.833 | 0.744 | 0.218 | 0.336 | 0.541 | ***0.863*** |
| GPU | 0.868 | 0.863 | | | | | |

***შენიშვნა:*** *POSI – ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება; MR – გუნების რეგულირება; DSR – არასაკმარისი თვითრეგულაცია; NO – ნეგატიური შედეგები.*

რაც შეეხება ტესტის გარე კონვერგენტულ ვალიდურობას, ის დადასტურდა ტესტის ქართული ვერსიის ადაპტაციის პროცესში. კონვერგენტული ვალიდურობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა ბერგენის სკალა, აგრეთვე სიმპტომატური კითხვარის SCL-90 დეპრესიისა და შფოთვის სკალები. შემოწმდა სოციალური სასურველობის ეფექტიც: უმნიშვნელო ეფექტი შეიძლება გამოვლინდეს ორ სკალაზე – გუნების რეგულირება და არასაკმარისი თვითრეგულაცია, აგრეთვე საერთო მაჩვენებლის მიხედვით (ზუბაშვილი, სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების პრედიქტორები ახალგაზრდებს შორის, 2022).

## 4. შედეგების განხილვა

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების ტესტის ქართული ვერსიის ფაქტორული სტრუქტურისა და ამ ფაქტორულ სტრუქტურაზე დაფუძნებული ფსიქომეტრული მაჩვენებლების შეფასება. ამისათვის შედარებულ იქნა ლიტერატურაში არსებული, აგრეთვე წინა კვლევის პროცესში გამოკვეთილი ალტერნატიული მოდელები.

დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ტესტის ქართული ვერსიისათვის ყველაზე შესაფერისია პირველი რიგის 4-ფაქტორიანი მოდელი: 1) ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება, 2) გუნების რეგულირება, 3) არასაკმარისი თვითრეგულაცია, 4) ნეგატიური შედეგები. ამ მოდელში არასაკმარისი თვითრეგულაცია განისაზღვრება, როგორც არა მეორე რიგის ფაქტორი, არამედ ერთიანი ლატენტური ფაქტორი, რომელიც აერთიანებს გონების შეპყრობისა და კომპულსიური მოხმარების ფაქტორებს. შესაბამისად, ქართული ვერსია განსხვავდება ტესტის ორიგინალისაგან და ემთხვევა იტალიურ და პორტუგალიურ ვერსიებს. ასეთი შედეგი ეხმიანება Caplan და თანაავ. ვარაუდს კროს-კულტურული განსხვავების შესახებ (Pontes, Caplan, & Griffiths, 2016, გვ. 830): ქართველი პორტუგალიელსა და იტალიელს უფრო ჰგავს (სამხრეთელები), ვიდრე ამერიკელს (აშშ).

გამოიკვეთა სხვა მსგავსებაც იტალიურ, პორტუგალიურ, ესპანურ და სხვ. ვერსიებთან და განსხვავება ორიგინალისგან. ყველა ვერსიის შემთხვევაში დასტურდება, რომ დისფუნქციური მოხმარების გამო წარმოქმნილი ნეგატიური შედეგების განმაპირობებელია არასაკმარისი თვითრეგულაცია, რომელსაც, თავის მხრივ, იწვევს ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება და მოხმარება გუნების რეგულირებისათვის. ორიგინალის შემთხვევაში საკვანძო ფაქტორია ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება – მისი ფაქტორული დატვირთვა (0.52) უფრო მაღალია, ვიდრე მეორე ფაქტორისა (0.40) (Caplan, 2010, გვ. 1095). მართალია, ქართულ შერჩევაზეც დადასტურდა, რომ ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება არის არასაკმარისი თვითრეგულაციის პირდაპირი დადებითი პრედიქტორი, მაგრამ მისი ფაქტორული დატვირთვა გაცილებით უფრო დაბალია – 0.14, ხოლო მეორე ფაქტორისა (მოხმარება გუნების რეგულირებისათვის) – გაცილებით უფრო მაღალი – 0.57 (სურ. 8). მსგავსი შედეგია მიღებული ესპანურ

– 0.14 და 0.57 (Gámez-Guadix, Orue, & Calvete, 2013, გვ. 299-306), იტალიურ – 0.30 და 0.53 (Moretta & Buodo, 2018, გვ. 222), პორტუგალიურ – 0.35 და 0.49) (Pontes, Caplan, & Griffiths, 2016, გვ. 830; Assunção & Matos, 2017, გვ. 56), მექსიკურ – 0.35 და 0.52 (Gàmez-Guadix, Villa-George, & Calvete, 2012, გვ. 1587), ფრანგულ – 0.30 და 0.33 (Laconi, Kaliszewska-Czeremska, Tricard, & Chabrol, 2018, p. 6) შერჩევებზე ჩატარებულ კვლევებში. სამწუხაროდ, სხვა კვლევებში (მაგალითად, გერმანული, პოლონური და სხვ.) სტრუქტურული მოდელი წარმოდგენილი არ არის. თუმცა, არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამხრეთელთა შემთხვევაში ინტერნეტის/სოციალური ქსელების მოხმარების თვითრეგულაციის დეფიციტი უკავშირდება უფრო მოხმარებას გუნების რეგულირებისათვის, ვიდრე ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინებას. ქართული შერჩევის შემთხვევაში ნათქვამს შეიძლება დაემატოს ისიც, რომ გუნების რეგულირებისათვის მოხმარების კავშირი ნეგატიურ შედეგებთან უფრო ძლიერია, ვიდრე ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინების შემთხვევაში: საერთო ეფექტი 0.191 და 0,158 შეადგენს (ცხრ. 5). ასეთივეა იტალიურ შერჩევაზე ჩატარებული კვლევის ავტორთა დასკვნა.

თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ყველა ზემოთ ხსენებული კვლევა ჩატარებულია ახალგაზრდებზე, მაშინ როცა Caplan კვლევაში მონაწილეთა ასაკია 18 – 70 წელი. ცნობილია, რომ თვითრეგულაციის უნარი ასაკის მატების კვალობაზე იზრდება, რის გამოც გამოვლენილი განსხვავება შეიძლება უკავშირდებოდეს არა კროს-კულტურულ, არამედ ასაკობრივ განსხვავებას. ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

### 5. შეზღუდვები

წინამდებარე კვლევა კროს-სექციულია, ამიტომ შეიძლება მხოლოდ ჰიპოთეტურ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე ლაპარაკი. კვლევაში ჩართული იყო მხოლოდ ახალგაზრდები, ამიტომ მიღებული შედეგების განზოგადება სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე სათანადო შემოწმების გარეშე არ შეიძლება. ორიგინალური ტესტი, აგრეთვე სხვა ადაპტირებული ვერსიები გენდერულად ინვარიანტულია, თუმცა ჩვენი შერჩევა, დიდი მოცულობის მიუხედავად, ამ საკითხის შესწავლის საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან მონაწილეთა 78% ქალია. ამიტომ მომავალი კვლევებით სასურველია ტესტის ქართული ვერსიის გენდერული და ასაკობრივი ინვარიანტულობის შეფასება.

### დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა ტესტის ქართული ვერსიის მაღალი სანდოობა და ვალიდურობა. სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების სკალის ქართული ვერსია სანდო და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტია. მისი გამოყენება ახალგაზრდებს შორის შეიძლება როგორც კვლევითი, ისე ფსიქოლოგიური კონსულტირების მიზნებისათვის – პრობლემური მოხმარების რისკის შესაფასებლად. ტესტი მხოლოდ 15 პუნქტს შეიცავს, ამიტომ ტესტირება რამდენიმე წუთს იკავებს.

კვლევის ძირითადი შედეგები მნიშვნელოვანია როგორც კლიენტთან მუშაობის, ისე პრევენციის მიზნებისთვის. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ახალგაზრდებს შორის პრობლემური მოხმარების განვითარების **საკვანძო რისკ-ფაქტორია მოხმარება გუნების რეგულირებისათვის,** ანუ სწორედ ის არის ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინებისა და სოციალური ქსელების მოხმარების არასაკმარისი თვითრეგულაციის საფუძველი. შესაბამისად, მოხმარება გუნების რეგულირებისათვის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პოტენციური სამიზნე ფსიქოლოგიური ჩარევისა – როგორც დახმარების, ისე პრევენციის მიზნით.

**შენიშვნა:** ტესტის მისაღებად (უსასყიდლოდ) დაუკავშირდით ავტორს.

### ბიბლიოგრაფია:

1. Aboujaoude, E., & Gega, L. (2020). From digital mental health interventions to digital “addiction”: Where the two fields converge. *Frontiers in Psychiatry, 10:1017*, 1-5.

2. Andreassen, C. (2015). Online social network site addiction. A comprehensive review. Curr. Addict. Rep. 2,, 175–184.

3. Assunção, R. S., & Matos, P. M. (2017). The generalized problematic internet use scale 2: Validation and test of the model to Facebook use. *Journal of Adolescence, 54*, 51–59.

4. Barke, A., Nyenhuis, N., & Kröner-Herwig, B. (2014). The German Version of the Generalized Problematic Internet Use Scale 2 (GPIUS2): A Validation Study. *Cyberpsychology, Behavior, and Social Networking*, 1-9.

5. Billieux, J., Schimmenti, A., Khazaal, Y., Maurage, P., & Heeren, A. (2015). Are we overpathologizing everyday life? A tenable blueprint for behavioral addiction research. *Journal of Behavioral Addictions, 4(3)*, 119- 123.

6. Byrne, B. M. (2013). *Structural Equation Modeling with AMOS (2th ed.).* Taylor & Francis.

7. Caplan, S. E. (2010). Theory and measurement of generalized problematic Internet use: A two-step approach. *Computers in Human Behavior, 25*, 1089-1097.

8. Caplan, S. E., & High, A. C. (2007). Beyond excessive use: The interaction between cognitive and behavioral symptoms of problematic Internet use. *Communication Research Reports, 23*, 265-271.

9. Caplan, S. E., & High, A. C. (2011). Online Social Interaction, Psychosocial Well-Being, and Problematic Internet Use. B E. b. Abreu., *Internet addiction: a handbook and guide to evaluation and treatment* (стр. 35-54). Hoboken, New Jersey: John Wiley & Sons, Inc.

10. Davis, R., & Flett, G. (2002). Validation of a new scale for measuring problematic Internet use: Implications for pre employment screening. *Cyberpsychology & Behavior; 5(4)*, 331-345.

11. Fabrigar, L. R., & Wegener, D. T. (2012). *Exploratory factor analysis.* New York: Oxford University Press.

12. Field, A. (2013). *Discovering statistics using IBM SPSS statistics (4th ed.).* . London: SAGE Publications.

13. Fioravanti, G., Primi, C., & & Casale, S. (2013). Psychometric evaluation of the Generalized Problematic Internet Use Scale 2 in an Italian sample. *Cyberpsychology, Behavior, and Social Networking, 10*, 761-766.

14. Fornell, C., & Larcker, D. (1981). Evaluating structural equation models with unobservable variables and measurement error. *Journal of Marketing Research. Vol. 18. № 1.P.*, 39–50.

15. Gámez-Guadix, M., Orue, & Calvete, E. (2013). Evaluation of the cognitive-behavioral model of generalized and problematic Internet use in Spanish adolescents. *Psicothema, Vol. 25, No. 3*, 299-306.

16. George, D., & Mallery, P. (2016). *IBM SPSS Statistics 23 step by step: A simple guide and reference.* New York: NY: Routledge.

17. Izquierdo, I., Olea, J., & Abad, F. J. (2014). Exploratory factor analysis in validation studies: Uses and recommendations. . *Psicothema, 26*, 395-400.

18. Kline, R. B. (2016). *Principles and practice of structural equation modeling (4th ed.).* New York: Guilford Press.

19. Kuss, D. J., & Griffiths, M. D. (2011). Online social networking and addiction: a review of the psychological literature. *International journal of environmental research and public health, 8(9)*, 3528–3552.

20. Kuss, D. J., & Lopez-Fernandez, O. (2016). Internet addiction and problematic Internet use: A systematic review of clinical research. *orld Journal of Psychiatry, 6(1)*, 143–176.

21. Kuss, D., Griffiths, M., Karila, L., & Billieux, J. (2014). Internet addiction: a systematic review of epidemiological research for the last decade. *Current Pharmaceutical Design, 20 (25)*, 4026-4052.

22. Laconi, S., Kaliszewska-Czeremska, K., Tricard, N., & Chabrol, H. K. (2018). The Generalized Problematic Internet Use Scale-2 in a French sample: Psychometric evaluation of the theoretical model. *L'Encéphale, Volume 44, Issue 3*, 192-199.

23. LaRose, R., Lin, C. A., & Eastin, M. S. (2003). Unregulated Internet usage: Addiction, habit, or or deficient self-regulation? *Media Psychology, 5*, 225–253.

24. Meng, S., Cheng, J., Li, Y. Y., Zheng, J., Chang, X., Shi, Y., . . . Shi, J. (2022). Global prevalence of digital addiction in general population: A systematic review and meta-analysis. *Clin Psychol Rev. Mar; 92:102128*.

25. Moretta, T., & Buodo, G. (2018). Modeling Problematic Facebook Use: Highlighting the role of mood regulation and preference for online social interaction. *Addict Behav., 87*, 214-221.

26. Pontes, H. M., Caplan, S. E., & Griffiths, M. D. (2016). Psychometric validation of the Generalized Problematic Internet Use Scale 2 in a Portuguese sample. *Computers in Human Behavior, vol. 63*, 823-833.

27. Probierz, E., Gałuszka, A. I., & Gałuszka, A. (2020). Generalized Problematic Internet Use Scale 2: Results of Validation on Polish Sample. *IEEE Access, Volume 8*, 117615-117622.

28. World Health Organisation. (2014). WHO (2014). Public health implications of excessive use of the Internet, computers, smartphones and similar electronic devices. Tokto, Japan: National Cancer Research Centre.

29. ზუბაშვილი, ა. (2022). *სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების პრედიქტორები ახალგაზრდებს შორის.* კავკასიის უნივერსიტეტი: სამაგისტრო ნაშრომი.

# ინოვაციები მედიცინაში და მათი სამომავლო ეკონომიკური ეფექტიანობა

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.09





**ლეონარდო ხვედელიძე**
საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
https://orcid.org/0000-0002-9555-8108
E-mail: l_xvedelidze@mail.ru

**ბორის ჭიჭინაძე**
ეკონომიკის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის
მოწვეული პროფესორი
https://orcid.org/0000-0002-3179-4750
E-mail:Borkach2020@gmail.com

**აბსტრაქტი**

ნაშრომის მიზანია მეცნიერების ახალი მიმართულების - ნანოტექნოლოგიების მსოფლიოში განვითარების ტენდენციების მიმოხილვა და ამ ახალი მიმართულების განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის მთლიან ეკონომიკურ ზრდაზე. ნაშრომში აღნიშნულია შესაძლო ეკონომიკური სარგებლის შესახებ. აქვე მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და საქართველოში ახალი სამეცნიერო მიმართულების განვითარებას. მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინებისა და დანერგვის შედეგად შესაძლებელი გახდება მრავალი საყოფაცხოვრებო, თუ სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანის გადაჭრა, რაც აუცილებლად ჰპოვებს ასახვას ქვეყნის ეკონომიკურ რეალურ ზრდაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ნანოტექნოლოგიები, ეკონომიკური ზრდა, ნანომედიცინა, მდგრადი განვითარება.

# INNOVATIONS IN MEDICINE AND THEIR FUTURE ECONOMIC EFFECTIVENESS

**Leonardo Khvedelidze**
Academic Doctor of Engineering Sciences
https://orcid.org/0000-0002-9555-8108
E-mail: l_xvedelidze@mail.ru

**Boris Chichinadze**
Doctor of Economics,
Visiting Professor, Department of Economics, Akaki Tsereteli Kutaisi State University
https://orcid.org/0000-0002-3179-4750
E-mail: Borkach2020@gmail.com

## SUMMARY

The article reviews the importance of a new branch of science - nanotechnologies for the economic growth of the country and the well-being of the population. Relevant recommendations are given, the consideration of which will accelerate the further development of the country. The discussed issues will play an even more important role in the economic progress of developing countries. The sooner one of the leading industries of our century can be developed in Georgia, the sooner we will be able to gain economic independence. This will speed up the development of the country and increase the standard of living of the population.

**Keywords:** Nanotechnologies, economic growth, nanomedicine, sustainable development.

## ძირითადი ტექსტი

მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში კაცობრიობა გადავიდა განვითარების ახალ საფეხურზე – პოსტინდუსტრიული საზოგადოების აგების სტადიაზე, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რევოლუციის შედეგია. ცნობილია, რომ ყოველი სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია ეფუძნება საკუთარ სპეციფიკურ ტექნოლოგიებს, საწარმოო და ტექნოლოგიურ სისტემებსა და საწარმოო ურთიერთობებს. პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის ამ როლს, უპირველეს ყოვლისა, ასრულებს ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული სისტემები, მაღალი წარმოების ტექნოლოგიები, რომლებიც არის ახალი ფიზიკური, ტექნიკური და ქიმიურ-ბიოლოგიური პრინციპების შედეგი და მათზე დაფუძნებული ინოვაციური ტექნოლოგიები, ინოვაციური სისტემები და ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ინოვაციური ორგანიზაცია. მისი საბოლოო შედეგი უნდა იყოს ეკონომიკური ორგანიზაციის ახალი ფორმის - ინოვაციური ეკონომიკის შექმნა.

ინოვაციური ეკონომიკა არის საზოგადოებრივი ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია ცოდნაზე, ინოვაციებზე, ახალი იდეების, ახალი მანქანების, სისტემებისა და ტექნოლოგიების შესაძლო აღქმაზე, მათი პრაქტიკული განხორციელების მზადყოფნაზე ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. იგი ხაზს უსვამს ცოდნისა და ინოვაციის განსაკუთრებულ როლს, პირველ რიგში მეცნიერულ ცოდნას.

ნანოტექნოლოგია, ნანომეცნიერება არის კოლოიდური სისტემების მეცნიერება და ტექნოლოგია, ესაა კოლოიდური ქიმია, კოლოიდური ფიზიკა, მოლეკულური ბიოლოგია, მთლიანად მიკროელექტრონიკა. ნანოტექნოლოგია და, კერძოდ, მოლეკულური ტექნოლოგია ახალი, თითქმის შეუსწავლელი დისციპლინაა. ამ სფეროში პროგნოზირებული მთავარი აღმოჩენები ჯერ კიდევ წინაა. მიუხედავად ამისა, მიმდინარე კვლევები უკვე იძლევა პრაქტიკულ შედეგებს. მოწინავე სამეცნიერო მიღწევების გამოყენება ნანოტექნოლოგიაში მნიშვნელოვანს ხდის მას და მიეკუთვნება მაღალ ტექნოლოგიებს [1].

მსოფლიო ეკონომიკის განვითარება დიდწილად ასოცირდება ნანოტექნოლოგიის მიღწევებთან და პერსპექტივასთან, რომელიც უზრუნველყოფს რეკორდული რაოდენობრივი ან ფუნდამენტურად ახალი ხარისხობრივი მახასიათებლების მქონე მასალებისა და სისტემების შექმნას. ასეთი სახის მასალების ფართოდ გამოყენება მიმდინარეობს მრავალ პრაქტიკულ სფეროში, დაწყებული სოფლის მეურნეობით და დამთავრებული მედიცინით.

პირველად ნანომატერიალების კონცეფცია ფორმულირებული იქნა გ. გეიტლერის მიერ [2], რომელმაც შემოიღო თვითონ ტერმინიც (თავდაპირველად მას ნანოკრისტალურ მასალებს უწოდებდენ [2], ხოლო შემდეგ ნანოფაზურს, ნანოკომპოზიტურს და ა. შ.. როგორც მიღებულია თანამედროვე ლიტერატურაში [2,3], ნანომასალების ცნების ქვეშ იგულისხმება ობიექტები სტრუქტურული ელემენტების მახასიათებელი ზომით, ნაკლები 100 ნმ. (1 ნანომეტრი=10-9

მეტრს). ნანოსტრუქტურული (ნანოკრისტალური, ნანოკომპოზიტური, ნანოფაზა, ნანობოჭკოვანი და ა.შ.) მასალები ნიშნავს მასალებს, რომლებშიც ძირითადი სტრუქტურული ელემენტების (კრისტალიტები, ბოჭკოები, შრეები, ფორები) ზომები არ აღემატება 100 ნმ-ს, სულ მცირე, ერთი მიმართულებით. ობიექტები, რომელთა ზომაა 0,1 ნმ (ცალკეული ატომების ზომის რიგი) ≈ 100 ნმ (დიდი მოლეკულების ზომების რიგი) არის ნანოტექნოლოგიის შესწავლის საგანი, რომელიც სწრაფად ვითარდება ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია ნანოტექნოლოგიების მედიცინაში გამოყენების შესაძლებლობები ონკოლოგიური დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობისთვის. დღეისათვის მოწინავე ქვეყნებში ასობით ადამიანი მოღვაწეობს ნანოტექნოლოგიების განვითარებაზე და მის შესაძლო გამოყენებაზე მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში, ასევე სოფლის მეურნეობაში, ეკოლოგიაში, ყოფა-ცხოვრებაში და ა.შ. [4-6].

ნანოტექნოლოგიების და ნანომედიცინის განვითარების დონეზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და მდგრადი განვითარება. ნანოტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენება სამედიცინო სფეროში. სწორედ აქ შეძლეს ნანონაწილაკებმა მრავალი პრობლემის გადაჭრა. უზარმაზარი ჭრილობების საშინელი ოპერაციები წარსულს ჩაბარდა, მოხერხდა მათი ჩანაცვლება მცირე პუნქციებით ან მინიმალური ჭრილობებით. ნანოტექნოლოგიამ უპრეცედენტო წვლილი შეიტანა დიაგნოსტიკაში, ისევე როგორც მედიკამენტების გამოყენებაში, ასევე ფარმაკოლოგიაში. ინექციები უმტკივნეულო გახდა, უზარმაზარი აბები შეიცვალა მცირე ზომის წამლებით. ექიმებს საშუალება მიეცათ წამალი მიემართათ დაავადებული უჯრედების და ქსოვილებისკენ ისე, რომ არ მიაყენოს ზიანი მთლიანად ორგანიზმს.

ნანოტექნოლოგიებს მრავალი ქვეყანა ავითარებს. ყველაზე დიდი ლაბორატორიები კონცენტრირებულია გერმანიაში, კანადაში, რუსეთში, აშშ-სა და იაპონიაში. სხვა ქვეყნებიც ცდილობენ ნანოტექნოლოგიების მაღალ დონეზე შესწავლას, მათ განვითარებაში უზარმაზარ თანხებს დებენ.

ყველა კომპიუტერი, ლეპტოპი, მობილური ტელეფონები, ანდროიდები და სხვა ტექნოლოგიური სასწაულები ნანოტექნოლოგიის პროდუქტია. მეცნიერებმა მოგვცეს მოწყობილობები, რომლებსაც შეუძლიათ ინტერნეტთან წვდომა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ჩვენი ფაილების შენახვა, მაღალსიჩქარიანი და ფუნქციონალური, ყველა ტექნოლოგია, რომელიც ჩვენს ირგვლივ არის დაფუძნებულია ნანოტექნოლოგიაზე. არ არსებობს სახლი ტელევიზორის, ვიდეო პლეერის, პრინტერის, სკანერის და სხვა მოწყობილობების გარეშე. ყველა მათგანი მუშაობს შუქდიოდების და ლაზერების ბაზაზე, რომლებიც გამოიგონეს ზუსტად ნანოტექნოლოგიის წყალობით.

უახლოეს მომავალში მსოფლიოში ყველაფერი ნანონაწილაკებზე იქნება დაფუძნებული. ცხოვრება გახდება სრულიად განსხვავებული, თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური [7].

ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე სამყარო ისეთი მასალის გარეშე, როგორიცაა პლასტიკური მასალები (კერძოდ, პლასტიკატები, პლასტმასი და ა. შ.). ეს მასალა გამოიყენება თითქმის ყველა ინდუსტრიაში. ნანოტექნოლოგიის წყალობით მეცნიერებმა გამოიგონეს ულტრამსუბუქი და მტკიცე პლასტმასი, რომელმაც წარმატებით ჰპოვა გამოყენება სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტში, სხვადასხვა შეფუთვის, აღჭურვილობებსა და კოსმეტიკური სფეროში.

ნებისმიერ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა მკვეთრ ასახავას ჰპოვებს ამ ქვეყნის მოსახლეობაზე. შედეგად, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ასევე მძიმე სოციალური ფონის შემთხვევაში (პირველ რიგში ინფლაციის მაღალი დონის დროს), მკვეთრად იზრდება მოსახლეობაში სხვადასხვა სახის მძიმე დაავადებების რაოდენობა, რაც პირველ რიგში განპირობებულია არასწორი კვებით, დაბალი ხარისხის პროდუქციის მოხმარებით (სიიაფის ან შესყიდვის უუნარობის, სიძვირის გამო), რაც საბოლოო ჯამში აისახება ნებისმიერი ასაკისა და სქესის ადამიანებზე. ასეთი ნეგატიური ზემოქმედება პირველ რიგში აისახება მოზარდებზე, სოციალურად დაუცველებზე და პენსიონრებზე; ქვეითდება იმუნური სისტემა, ორგანიზმი ხდება მოწყვადი სხვადასხვა ვირუსებისადმი, ნერვულ-სტრესული და სხვა მძიმე დაავადებების მიმართ ორგანიზმს უძნელდება შებრძოლება და იზრდება დაავადების განვითარების რისკები.

ყოველივე ზემოთ თქმულს ემატება მსოფლიოში არსებული მძიმე ეკოლოგიური სიტუაცია, რაც ასევე ზრდის სხვადასხვა დაავადებების წარმოშობის რისკებს იმუნიტეტ დაქვეითებულ ადამიანებში. ასე მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის მინიმუმ 30% (საუბარია სოციალურად დაუცველ 630 ათასზე მეტ მოქალაქეზე), პირდაპირ შედის ზემოთ ნახსენებ რისკის ჯგუფში. შესაბამისად, ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთნოთ დაბალი შემოსავლების გამო პენსიონრებიც (დაახლოებით 800 ათასი ადამიანი), რადგან არსებული ინფლაციის დონის შემთხვევაში, რომელიც ფაქტიურად მერყეობს 12-14 %-ის ფარგლებში, ვერანაირად ვერ შეძლებენ სრულფასოვან კვებას და იმუნური სისტემის შენარჩუნებას, რადგან მათი აბსოლუტური უმრავლესობა (თითქმის 80% და მეტი) დამოკიდებულია ექიმზე და წამლებზე, რაც საკმაოდ ძვირი უჯდებათ.

მოყვანილი განხილვიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები:

1) გამომდინარე იქედან, რომ ახლო მომავალში ობიექტური და სუბიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდება არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის მნიშვნელოვანი შეცვლა, ამიტომ ჯერ ერთი, უნდა მოხდეს ნაშრომში განხილული იმ კატეგორიის მოსახლეობის დახმარების, შემწეობებისა და პენსიების ზრდა, რასაც უკვე აკეთებს ხელისუფლება, თუმცა აშკარად ჩამორჩება არსებული ინფლაციის დონეს.

2) უნდა მოხერხდეს სამეცნიერო ჯგუფის შექმნა და

დაევალოს სიღრმისეულად შეისწავლონ განხილული საკითხი. ასეთი მუშა ჯგუფის შექმნა მიზანშეწონილია იყოს უწყებათაშორისი (ეკონომისტები, მედიკოსები, ბიოლოგები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, IT სპეციალისტები, რათა ჩაატარონ მოდელირება, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და სოციალური სამსახურის წარმომადგენლები, ეკოლოგიის სპეციალისტები), რათა შესაძლებელი გახდეს სრული სურათის წარმოდგენა და შეფასდეს შემდგომი პერსპექტივები. მუშა ჯგუფი პირად კონტროლზე და ანგარიშვალდებული უნდა იყოს მთავრობის წინაშე, ასევე პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის წინაშე. ყოველ ექვს თვეში უნდა დაიდოს შესაბამისი რეკომენდაციები და დასკვნები. ასეთი მუშა ჯგუფი მოხსენებებს უნდა აკეთებდეს საქართველოს ეროვნულ აკადემიაში ღია სხდომებზე და უნდა იქმნებოდეს შესაბამისი დარგის წამყვანი მეცნიერების და აკადემიკოსების საექსპერტო დასკვნა, რის საფუძველზეც მოხდება შემდგომი განხილვები მთავრობაში და პარლამენტში.

3) აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ნანოტექნოლოგიების, ბიოტექნოლოგიების, ნანომედიცინის და ბიოსამედიცინო პროფილის კადრების მომზადებას, გადამზადებას, საზღვარგარეთ გაშვებას კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ეს პრობლემა არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების გათვალისწინებით, აუცილებელია ეს საკითხი გადავწყვიტოთ ახლო მომავალში, რათა არ ჩამოვრჩეთ მეზობელ ქვეყნებს მაინც.

4) აუცილებელია საქართველოში დავიწყოთ მუშაობა ნანოტექნოლოგიების ზოგიერთი სახეობების განვითარებაზე და პრაქტიკაში დანერგვაზე, რაც ასევე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის, ასევე მოსახლეობისთვის,

5) მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის ამაღლება, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, არსებითია დღეისათვის განუკურნებელი დაავადებების დასამარცხებლად, რაც ისეთ მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არის მეტად არსებითი. საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ დასკვნიდან გამომდინარე, რომელიც გაერომ დადო ჯერ კიდევ 5 წლის წინ და შეგვიყვანეს მომაკვდავი ერების სიაში.

6) ნანოტექნოლოგიების განვითარების აუცილებლობა კიდევ უფრო აქტიურად დადგა დღის წესრიგში ახლა, მაშინ როცა მსოფლიოში მიმდინარე არაპროგნოზირებადი სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას და არსებობს რეალური საფრთხე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის დაკარგვისა.

ამერიკელების მიერ გაკეთებული პროგნოზების მიხედვით, ნანოტექნოლოგიების პროდუქციის გლობალური ბაზარი 10-15 წლის შემდეგ იქნება დაახლოებით 1 ტრილიონი დოლარი; ნანომასალების წვლილი ამაში მეტად არსებითია (დაახლოებით 340 მილიარდი დოლარი) [8]. ამრიგად, ნანომასალების (შემუშავების) შესრულების უნარიანობის დასაბუთების გამართლება ხდება ნანოსტრუქტურული მასალათმცოდნეობის (მასალათა შესახებ მეცნიერების) ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრობლემა. ამ მხრივ, ჩვენი ცოდნის გაღრმავება ზომითი ეფექტების და თერმული სტაბილობის სფეროში, ე. ი. საკითხების, რომლებიც წარმოადგენენ ზოგადს ყველა სახის ნანომასალებისთვის, იქნება მეტად სასარგებლო.

ავტორები იმედს გამოვთქვამთ, რომ ნაშრომში განხილული საკითხები გახდება მსჯელობის საგანი სამეცნიერო წრეებში და ახლო მომავალში საქართველოს მთავრობა დაინტერესდება განხილული პრობლემით. მოხდება ხსენებული პრობლემატური საკითხების დადებითად გადაწყვეტა, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის არამარტო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განვითარებისთვის და სრულყოფისთვის, არამედ არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიშვნელოვნად განვითარებისთვისაც და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის.

## დასკვნა

ნაშრომში სისტემატიზირებული და შეჯამებულია ნანოტექნოლოგიების და ნანომედიცინის პრობლემები და მიღწევები. ნანომედიცინის როლი, რომელიც ჯერ კიდევ არაა ფართოდ გავრცელებული და ჩანასახის მდგომარეობაშია, თუმცა იგი ვითარდება სწრაფი ტემპებით. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების პროგნოზებით, მედიცინის სწორედ ეს დარგია ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც თავის მხრივ უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის როლზე და შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობის ზრდაზე ამ მეტად მნიშვნელოვანი მიმართულების სწრაფად განვითარების უზრუნველსაყოფად.

ნაშრომში მიმოხილულია მეცნიერების ახალი განხრის - ნანოტექნოლოგიების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის. მოყვანილია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც დააჩქარებს ქვეყნის შემდგომ განვითარებას. განხილული საკითხები კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლაში. რაც უფრო მალე მოხერხდება ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი წამყვანი დარგის განვითარება საქართველოში, მით უფრო მალე მოვახერხებთ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას. ეს კი დააჩქარებს ქვეყნის განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნანოტექნოლოგიები უახლოეს მომავალში ფართოდ დაინერგება მეცნიერების, ტექნიკის და ტექნოლოგიების მრავალ სფეროში. ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და ლაბორატორიები აშკარად ჩამორჩებიან მსოფლიოში არსებულ განვითარების ტემპებს, რასაც აუცილებლად უნდა დაეთმოს სათანადო ყურადღება. მომავალი ბიომედიცინაში ეკუთვნის ნანოტექნოლოგიას. სწორედ ნანოტექნოლოგიების საფუძველზე, უფრო მოსახერხებელი იქნება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ქვეყნის საერთო

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

**გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული წყაროები:**

1 http://nanodigest.ru/content/view/885/51/);

2. Gleiter H. In: Deformation of Polycrystals. Proc. of 2nd RISO Symposium on Metallurgy and Materials Science (Eds. N. Hansen, T. Leffers, H. Lithold). Roskilde, RISO Nat. Lab., 1981, p. 15–21;

3. Gleite r H // Acta Mater. 4 8 1 (2000);

4. Khvedelidze L. - On non-linear spreading of light in dielectric nanocomposite. International Scientific Conference. Vol. 1. 28 December, p 3-5. 2019. Warsaw. Poland;

5. Khvedelidze L. - On the nonlinear light scattering in a dielectric nanocompozite. International Scientific Conference. Science and Innovation 2021: Development Directions and Priorities. Melburnne, Australia. Avgust, p. 188-194. 2021;

6. Khvedelidze L. - Possibility of application of the nanocomposites costisting of quantum dots with the pulsed laser beam radiatuio in nanomedicine. Междуеародный журнал гуманитарных и естественных наук. № 6-4(81), с. 115-119.

7. Андриевски й Р А , Глезер А. М. // ФММ 8 9 91 (2000) [Andrievskii R A , Gleze r A M Phys. Met. Metallogr. 8 9 83 (2000)];

8. Societal Implications of Nanoscience and Nanotechnology. Eds. M. C. Roco, W. S.Bainbridge. Dordrecht: Kluwer Acad. Publ., 2001, 384 p;

9. ჭიჭინაძე ბ., „რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები“., ჟ.ბიზნესი და კანონმდებლობა, თბილისი, 2023 წ.

# ხელოვნური ინტელექტი (AI) ადამიანური რესურსების მართვის (არმ) პროცესებში

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.10



**კესო სუმბაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსისტეტის
ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0000-0001-9776-3415
keso.sumbadze@btu.edu.ge



**ნინო თავბერიძე**
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი,
სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
https://orcid.org/0009-0008-2659-0420

**აბსტრაქტი**

საქართველოს საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმების ფონზე, მნიშვნელოვანი ცვლილებები გვხვდება, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვის პროცესების გაციფრულებას ენიჭება. ნაშრომში განვიხილავთ ადამიანური რესურსების მართვის პროცესებში ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს, რომელთა გამოყენებაც ბევრად ეფექტიანს ხდის ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკებს და ზრდის ორგანიზაციების წარმატების ხარისხს. საკითხი აქტუალურია ვინაიდან ამ მიმართულებით ქართულ რეალობაში მნიშვნელოვანი გამოწვევები გვაქვს, რომელთა მეცნიერული კვლევა და გადაჭრა უმნიშვნელოვანესია.

**საკვანძო სიტყვები:** HRM, AI, საჯარო ორგანიზაციების მართვა.

# ARTIFICIAL INTELLIGENCE (AI) IN HUMAN RESOURCE MANAGEMENT (HRM) PROCESSES

**Keso Sumbadze**
PhD in business administration,
Associate Professor Business and Technologies University
https://orcid.org/0000-0001-9776-3415
keso.sumbadze@btu.edu.ge

**Nino Tavberidze**
Business and Technology University,
PhD student

**ABSTRACT**

Against the background of ongoing reforms in the public sector, there are significant changes, among which digitalization of human resources management processes is of particular importance. In the paper, we discuss the possibilities of digital technologies and artificial intelligence in human resource management processes, the use of which makes human resource management practices much more effective and increases the success rate of organizations. The issue is relevant because in this direction we have significant challenges in the Georgian reality, the scientific research and solution of which are of the utmost importance.

**Keywords:** HRM, AI, management of public organizations.

## ძირითადი ტექსტი

საჯარო ორგანიზაციების წარმატებას ადამიანები ქმნიან, შესაბამისად მნიშვნელოვანია მათი ეფექტიანი მართვა და შედეგების მაქსიმიზაცია. ადამიანური რესურსების მართვის პროცესები მრავალფეროვანი და საპასუხისმგებლოა. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობებშია: ადამიანური რესურსების დაგეგმვა, ტალანტების მოზიდვა და შერჩევა, ადაპტაციის პროცესის დაგეგმვა და მართვა, თანამშრომლების შესრულების ეფექტიანობის შეფასება და მართვა, თანამშრომლების სწავლა და განვითარება, ტალანტების კარიერის მართვა, ანაზღაურების და ბენეფიტების მართვა, ჯანდაცვა და უსაფრთხოება, თანამშრომლების მენტალური, ფიზიკური და ეკონომიკური კეთილდღეობა, hr ადმინისტრირება და სხვა. აღნიშნული ფუნქციების სწრაფად, ზუსტად და ეფექტიანად შესრულებისთვის ციფრული ტექნოლოგიების და AI როლი უმნიშვნელოვანესია.

ციფრული მმართველობის კვალდაკვალ, მეოცე საუკუნიდან მკვიდრდება ტერმინი ხელოვნური ინტელექტი (შემდგომში - AI), რომელსაც ორგანიზაციული პროცესების გაუმჯობესების ამოუწურავი პოტენციალი აქვს. AI-იმ გავლენა იქონია ადამიანური რესურსების მართვის პროცესებსა და როლებზე, შეცვალა მიდგომები და დამოკიდებულებები ინფორმაციისა და მონაცემების მიმართ. არმ-ს ისეთი პროცესები, როგორებიცაა თანამშრომელთა შერჩევა, სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა სწავლება და განვითარება მკვეთრად შეიცვალა ხელოვნური ინტელექტის გავლენით. AI-ის გამოყენება საშუალებას აძლევს კომპანიებს სწრაფად და ზუსტად შეარჩიონ კანდიდატები, შეაფასონ თანამშრომლების პოტენციალი და განსაზღვრონ განვითარებისთვის საჭირო მიმართულებები. AI-ის ინტეგრაცია არმ-ს პროცესებში გარდაუვალია და ის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი ხდება, რომელიც აყალიბებს მომავლის სამუშაო სივრცეს.

AI-ს აქვს პოტენციალი გარდაქმნას არმ-ის პროცესების სხვადასხვა ასპექტები. რეკრუტინგის და განვითარების პროცესში, რეზიუმეების სკრინინგის დროს, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გააანალიზოს რეზიუმე კანდიდატის შერჩევისას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რაც ზოგავს დროს და რეკრუტერის ადამიანურ რესურსს. კანდიდატის შესაბამისობის დადგენისას AI ალგორითმები ემთხვევა კანდიდატის პროფილს სამუშაოსთვის გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რაც ზრდის სწორი კანდიდატის შერჩევის ალბათობას. აპლიკანტთან საწყისი ურთიერთობისთვის უნდა აღინიშნოს ჩატბოტებიც, რომლებიც პასუხობენ მათ შეკითხვებს და აგროვებენ საბაზისო ინფორმაციას შერჩევის დროს.

აღსანიშნავია AI-ს როლი თანამშრომელთა განვითარებისა და ტრენინგების მიმართულებით. AI აანალიზებს შესრულებული სამუშაოს ხარისხის და დონეს, რომ იპოვოს ჩავარდნა და თანამშრომელს შესთავაზოს მის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგი, კონკრეტული უნარის განვითარება თუ რელევანტური კურსი. გარდა ამისა, AI განსაზღვრავს ე.წ. Skill gap-ს ორგანიზაციაში და ეხმარება მათ სასწავლო პროგრამების კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებაში. AI-ს დახმარებით იქმნება ადაპტირებული სასწავლო პლატფორმები, რომელიც

აწვდის ტრენინგის მასალას თითოეულ თანამშრომელს სწავლის სტილისა და ინდივიდუალური პროგრესის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს თანამშრომელთა ჩართულობაც, რომელიც გამოკითხვებით და უკუკავშირის ანალიზით შემოიფარგლება. AI ინსტრუმენტები აანალიზებს თანამშრომელთა გამოკითხვებსა და გამოხმაურებებს, გვაძლევს ინფორმაციას თანამშრომელთა განწყობის და ჩართულობის შესახებ. ხელოვნური ინტელექტი იძლევა პროგნოზირებადი ანალიტიკის შესაძლებლობას. იგი აიდენტიფიცირებს თანამშრომელთა უკმაყოფილების პოტენციურ სფეროებს, რაც გვეხმარება ჩართულობის კონკრეტული მიმართულებით გაძლიერებაში.

გარდა ამისა, AI-ს აქვს ტალანტების მართვის უნარიც, იგი ორგანიზაციას ეხმარება მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლების იდენტიფიცირებაში და ადგენს განვითარების გეგმას ლიდერის პოზიციისთვის. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება რეკრუტინგისა და ტალანტების მართვის პროცესში ხელს უწყობს მრავალფეროვნებას და ინკლუზიას კომპანიაში.

AI ადამიანური რესურსების მართვაში გამოიყენება მსოფლიოს მასშტაბით, სხვადასხვა ქვეყანაში. პირველი ქვეყანა, რომელმაც ფეხი აუწყო ტექნოლოგიის განვითარების ტემპს და საჯარო სექტორის არმ-ში შეიტანა ხელოვნური ინტელექტის ელემენტები იყო ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ფედერალურ და სახელმწიფო სამთავრობო უწყებების დონეზე იყენებს AI-ს რეკრუტინგისა და სამუშაო ძალის ანალიტიკისთვის. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, ისევე როგორც სინგაპურმა, შეიმუშავა ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე შექმნილი აპლიკაციები, რომლებიც თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებისთვის და საერთო ეფექტურობის გაზრდისთვის მუშაობს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მასშტაბით, AI-ის გამოყენებაზე არმ-ში გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის სამთავრობო პოლიტიკა, მარეგულირებელი ჩარჩო, ბიუჯეტის შეზღუდვები და ორგანიზაციული პრიორიტეტები, რაც აფერხებს მის ეფექტიან და დროულ იმპლემენტირების პროცესს.

საკითხის დეტალური შესწავლის მიზნით თვისებრივი კვლევის მეთოდით საქართველოს საჯარო სექტორში ჩატარდა კვლევა და სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში გამოიკითხა 4 ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და 6 HR სპეციალისტი. კვლევაში მონაწილეთა დათანხმება მოხდა ანონიმურობის დაცვის პრინციპით, რის გამოც საკვლევ ორგანიზაციებს არ ვასახელებთ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს მრავალფეროვანი HR პროცესების და პროცედურების განხორციელება უწევთ რომელსაც ფარავენ იმ ყოველდღიური აქტივობებით, რომელიც მათ ფუნქციებშია:

- ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების შექმნა და განხორციელება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შექმნა და დანერგვა;
- ადამიანური რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებული პროცედურების და ინსტრუქციების მომზადება/დანერგვა;
- ადამიანური რესურსების დაგეგმვა;
- კომპანიის დასაქმების ბაზარზე პოზიტიური პოზიციონირების უზრუნველყოფა და დამსაქმებლის ბრენდის გაუმჯობესება;
- კანდიდატის მოზიდვის და შერჩევის პროცესის განხორციელება;
- რეკრუტინგის პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- პერსონალის მოზიდვა, შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და შერჩევის პროცესის უზრუნველყოფა
- ვაკანტური პოზიციებისათვის კანდიდატების მოძიება;
- შემოსული რეზიუმეების გადარჩევა;
- გასაუბრებების/ტესტირებების დაგეგმვა და ჩატარება;
- კანდიდატების სტაჟირების პროცესის მონიტორინგი;
- ღია ვაკანსიების ტექსტების მომზადება და განთავსება ონლაინ არხებზე;
- კანდიდატების მონაცემთა ბაზის წარმოება და ადმინისტრირება;
- ადაპტაციის პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- თანამშრომელთა სწავლების და განვითარების პროცესის მართვა/განხორციელება;
- სწავლის საჭიროებების განსაზღვრა ;
- თანამშრომელთა მოტივაციის პროგრამის შექმნა და განხორციელება;
- თანამშრომელთა მოტივაციის კვლევა;
- თანამშრომელთა კეთილდღეობის პროგრამების შექმნა და განხორციელება;
- ორგანიზაციული კულტურის გაძლიერება;
- თანამშრომელთა შესრულების შეფასების სისტემების დანერგვა;
- თანამშრომელთა შეფასების პროცესის მართვა.
- HR შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- HR ადმინისტრირება - თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებების და გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების დოკუმენტაციის მომზადება; თანამშრომელთა დისციპლინური სახდელის დადებისა და მისი ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ ბრძანების მომზადება; თანამშრომელთა შვებულების, მივლინების, შრომისუუნარობის, დეკრეტული შვებულების, წახალისების შესახებ ბრძანებების მომზადება და სხვ.;
- თანამშრომელთა შვებულებების აღრიცხვა/კონტროლი;
- თანამშრომელთა სამუშაო საათების მონიტორინგი;
- თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკების შედგენა და მართვა.
- თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება/მოწესრიგება აღრიცხვა და ფაილური სისტემის შექმნა.
- საარქივო პირადი საქმეების აღრიცხვა და შესაბამის საცნობარო ბაზის შექმნა;
- HRM პროექტების მომზადება და არსებული დოკუმენტაციის საკანონმდებლო ნორმების დაცვით შენახვა.

• HR მონაცემთა ბაზების წარმოება, კონტროლი, განახლება ;

• შემოსული და გასული კორესპონდენციის, ბრძანებების და სხვა რეესტრების წარმოება;

• მიღებული კორესპონდენციის მართვა/გადამისამართება (პასუხის დროულად უზრუნველყოფა);

• პერსონალის სამუშაო დროის ყოველთვიური ტაბელის წარმოება;

• თანამშრომლებთან კომუნიკაცია და დროული რეაგირება მათგან მიღებულ თხოვნებზე/შეკითხვებზე

• თანამშრომლების დაზღვევის პროცესის წარმართვა;

• რეპორტინგი ხელმძღვანელთან.

• სამუშაო აღწერილობების შექმნა და პერიოდული განახლება ;

• სამუშაო პროცესის მართვის ინსტრუქციების შექმნა ;

• თანამშრომელთა გათავისუფლების, შვებულებების, ბიულეტენების და სხვა ტიპის გაცდენების პროგრამული ასახვა და დაარქივება;

• კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის რეგისტრაცია შემოსავლების სამსახურში;

• თანამშრომელთა სამსახურებრივი ცნობების გამზადება-გაცემა;

• მონაცემთა ბაზების წარმოება, კონტროლი, განახლება;

• თანამშრომლების ბაზის წარმოება/განახლება;

• თანამშრომლის სამსახურებრივი გადაადგილება.

• შრომითი ურთიერთობის დასრულების პროცესის მართვა და სხვა.

ფუნქციების მრავალფეროვნების მიუხედავად, საჯარო სექტორში HR პროცესებში AI-ის გამოყენება თითქმის არ ხდება. ორგანიზაციები იყენებენ სხვადასხვა HR სოფტს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მარტივად და სწრაფად უკვე გამზადებული შაბლონების გამოყენებით განახორციელონ HRM პროცესები, ციფრულად შექმნან მონაცემთა ბაზები, აღრიცხონ თანამშრომლების მიერ ნამუშევარი დროები, დაამუშაონ სხვადასხვა მოცულობის მონაცემები, ჩაატარონ შიდაორგანიზაციული კვლევები. გამოკითხულმა პირებმა მასიურად დაადასტურებს არსებული სისტემების გამართვის აუცილებლობა. პრობლემას ქმნის მოძველებული ტექნოლოგიები და ხარვეზული სისტემები. ხშირია მონაცემთა დამუშავების შეფერხება და დაკარგვაც კი, რომლის აღსადგენად საჭიროა შესაბამისი ექსპერტის ჩართულობა რაც კიდევ უფრო ართულებს პროცესს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციები არ არიან მზად AI -ის მასიურად დასანერგად, აღნიშნულის მიზეზი დაბალი ცნობიერება, შესაბამისი ტალანტების არარსებობა, ძველი ტექნოლოგიები და არასაკმარისი ფინანსური რესურსები სახელდება.

როგორც უკვე ვთქვით, ხელოვნური ინტელექტის პოტენციალი მაღალია თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ის რისკები და გამოწვევები, რაც მის საჯარო სექტორში იმპლემენტირებას ახლავს თან. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს რისკებზე საუბრისას, არის ტალანტების ნაკლებობა, იმ ადამიანების, რომლებმაც იციან ხელოვნურ ინტელექტთან სწორი მუშაობის პრინციპები. ინვესტიციების ნაკლებობა ინოვაციების და ხელოვნური ინტელექტის კვლევაში განაპირობებს მისი არასწორი ნაბიჯებით იმპლემენტირებას, სადაც არ იქნება გათვალისწინებული ეთიკური და უსაფრთხოების ნორმები, სადაც AI ვერ უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ადამიანზე ორიენტირებული ციფრული მმართველობის პრინციპების შემუშავებას.

გარდა ამისა, კერძო სექტორისგან განსხვავებით, საჯარო სექტორს არ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი, მსხვილი ინვესტიცია განახორციელოს ახალ ტექნოლოგიებში. AI-ს გამოწვევა შეიძლება იყოს ისიც, რომ სახელმწიფო სექტორის ბიუროკრატიულობა აფერხებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და AI პროექტის დროულად განხორციელების შესაძლებლობას. იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო სექტორი მკაცრი სამართლებრივი რეგულირებით ხასიათდება, შესაძლოა შეაფერხოს ახალი ტექნოლოგიის დანერგვა და საჭირო გახდეს მანქანათმცოდნეობის ალგორითმებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების შესწავლა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჯარო სექტორს შესაძლოა არ გააჩნდეს ხელოვნური ინტელექტისთვის საჭირო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს როგორც აპარატურას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას.

ხელოვნური ინტელექტი ზრდის სახელმწიფოს მმართველობით შესაძლებლობებს, რაც, განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნების შემთხვევაში, ზრდის მისი არამართზომიერად გამოყენების რისკს. ინფორმაციის ნაკლებობა გამოყენებული სისტემების შესახებ აჩენს მიკერძოების საფრთხეს და საზოგადოებას უყალიბებს უნდობლობას ცვლილებებისადმი.

გამოწვევებს ვაწყდებით ხელოვნური ინტელექტის დანერგვისას ადამიანური რესურსების მართვის პროცესებში. თუ არ მოხდება AI-ს ცოდნის მუდმივი განახლება, ისტორიულმა მეხსიერებამ შესაძლოა მას მიკერძოებული გადაწყვეტილება მიაღებინოს. ხელოვნური ინტელექტის გადაჭარბებულმა გამოყენებამ შესაძლოა ადამიანი ჩამოაშოროს რეკრუტინგის პროცესს, რაც გავლენას მოახდენს ინტერპერსონალურ ასპექტებზე და კულტურულ შესაბამისობაზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია რომ AI არ გამოგვადგება იქ, სადაც ემოციური ინტელექტი ან კრეატიული აზროვნებაა საჭირო. დიდი სიფრთხილე გვმართებს სენსიტიური, პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისას. ხელოვნურმა ინტელექტმა უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

დღეს ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის ინტელექტის სიმულაციისა და რთული ამოცანების ავტომატიზაციის შესაძლებლობით, ციფრული მმართველობის განვითარების მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება. ხელოვნურ ინტელექტს აქვს ადმინისტრაციული, განმეორებადი პროცესების ავტომატიზაციის პოტენციალი, რაც არა მხოლოდ აუმჯობესებს ადამიანური რესურ-

სების მართვის ეფექტურობას, არამედ საშუალებას აძლევს საჯარო მოხელეებს, კონცენტრირდნენ მეტად სტრატეგიულ და დამატებითი ღირებულების მომტან აქტივობებზე. ხელოვნური ინტელექტი საშუალებას აძლევს ადამიანური რესურსების მართვაში (არმ) დასაქმებულ ადამიანებს გაამარტივონ ისეთი რუტინული პროცესები, როგორებიცაა თანამშრომელთა შერჩევა, რეზიუმეების გადარჩევა, თანამშრომელთა შეფასება და სხვა. შედეგად, იზოგება ძალიან დიდი დრო და ადამიანური რესურსი. საჯარო სექტორის HR-ებს ხელოვნური ინტელექტი აძლევს შესაძლებლობას იწინასწარმეტყველონ ტენდენციები და გააუმჯობესონ სახელმწიფო რესურსების განაწილება. ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა ხელს შეუწყობს მის უსაფრთხო და ეთიკური ნორმების დაცვით დანერგვას, გაზრდის საჯარო მოხელეების ეფექტურობას, განავითარებს ციფრულ სერვისებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს არმ პროცესების ეფექტიანობას.

მოძიებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ორგანიზაციებში ეტაპობრივად მიმდინარეობს ადამიანური რესურსების გაციფრულების პროცესი, თუმცა პროცესის დაჩქარების მიზნით აუცილებელია ორგანიზაციების ცნობიერების ზრდა და ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის გამოყენება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0740624X21000320
2. https://www.researchgate.net/publication/365501030_Artificial_Intelligence_and_Human_Resources_Management_A_Bibliometric_Analysis
3. https://www.brookings.edu/articles/the-geopolitics-of-ai-and-the-rise-of-digital-sovereignty/
4. https://www.techtarget.com/searchenterpriseai/definition/AI-governance
5. https://www.bcg.com/publications/2021/unlocking-value-ai-in-government
6. https://idfi.ge/public/upload/Article/AI%20ENG%20FULL.pdf
7. file:///C:/Users/hp/Downloads/Citizen-Centric_E-Government_Services_Understandin.pdf
8. https://www.researchgate.net/publication/334470125_Impacts_of_Artificial_Intelligence_on_Public_Administration_A_Systematic_Literature_Review
9. https://dhillemann.medium.com/navigating-the-challenges-of-implementing-artificial-intelligence-in-the-public-sector-an-in-depth-cb714fe6616b
10. https://digital-strategy.ec.europa.eu/en/library/ethics-guidelines-trustworthy-ai

ბიზნესი და კანონმდებლობა
https://doi.org/10.52340/bal N2. 2024
WWW.B-K.GE WWW.OJS.B-K.GE

# მოზარდების გაძლიერება: პროფორიენტაცია და კარიერული კონსულტირება სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.11



**თამარ კაჭარავა**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი
ORCID:0009-0007-5086-7154
Tamarkacharava.org@gmail.com

**აბსტრაქტი**

თანამედროვე სამყაროში ყოველდღიურად იზრდება კარიერის დაგეგმვის საჭიროება და მნიშვნელობა. სამუშაო ბაზრის დინამიკამ, ტექნოლოგიების განვითარებამ და მუდმივად ცვალებადმა გლობალურმა ეკონომიკამ, აუცილებელი გახადა ინდივიდის აქტიური მონაწილეობა საკუთარი პროფესიული და კარიერული გზის ფორმირებაში. 21-ე საუკუნის 20-იან წლებში კარიერის მართვა თანამედროვე სამუშაო გარემოს სირთულეებთან გამკლავებაში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს, ამიტომ პროფორიენტაციის საკითხი საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსწავლეთა მომავალი კარიერული ტრაექტორიების ჩამოყალიბებაში, ხელს უწყობს უფსკრულის შემცირებას მოზარდების მისწრაფებებსა და სამუშაო ბაზრის რეალობას შორის, მხარს უჭერს მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და ღირებულებების შესატყვისი პროფესიული არჩევანის გაკეთებას.

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს კარიერის მართვის როლს, მნიშვნელობას, გამოწვევებს და ინტერვენციის ფორმატს სკოლის საშუალო საფეხურზე და ფოკუსირებულია ამ სფეროში არსებული თანამედროვე კვლევების მიმოხილვაზე, სადაც გაანალიზებულია კარიერის მართვაში გამოყენებული სხვადასხვა სტრატეგიები, ხაზგასმულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურზე პროფორიენტაციის სარგებელი და კარიერის დაგეგმვის სფეროში არსებული გამოწვევები. წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა რამდენიმე ავტორის სამეცნიერო კვლევას, ადარებს მათ პერსპექტივებსა და დასკვნებს, რათა უზრუნველყოს პროფორიენტაციისა და კარიერის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტების მიმოხილვა და ხედვის ჩამოყალიბება საქართველოს კონტექსტში.

**საკვანძო სიტყვები**: კარიერის მართვა, პროფორიენტაცია, კარიერული კონსულტირება, პროფესიული არჩევანი, თვითგამორკვევა.

# EMPOWERING ADOLESCENTS: PROFESSIONAL ORIENTATION AND CAREER COUNSELING FOR HIGH SCHOOL STUDENTS

**Tamar Kacharava**
Doctoral student in Business Administration,
Faculty of Business and Social Sciences, Sukhumi State University
ORCID:0009-0007-5086-7154
Tamarkacharava.org@gmail.com

**ABSTRACT**

In the modern world, the importance of choosing a profession and planning a career is increasing day by day. The dynamics of the labor market, technological developments, and the ever-changing global economy have made it necessary for individuals to actively participate in shaping their own professional and career paths. In the 21st century, career management has become vital in coping with the challenges of the modern work environment, so the issue of career orientation becomes especially relevant in high school, which plays a crucial role in shaping the future career trajectories of students, helping to reduce the gap between the aspirations of adolescents and the realities of the labor market, while

also supporting the making of professional choices based on students' interests, skills, and values.

This article discusses the role, importance, and format of career management at the high school level, focusing on a review of current research in this area, analyzing the different strategies used in career counselling, and highlighting the benefits of career guidance at the high school and the challenges in career planning. The article draws on the scholarly work of several authors, comparing their perspectives and conclusions to provide an overview of important aspects of career development and allowed us to create a vision for the issue in the context of Georgia.

**Key words**: career management, career guidance, career counseling, career choice, self-determination.

## შესავალი

თემის აქტუალობა. კარიერის მენეჯმენტის სფერო, გლობალიზაციისა და დიჯიტალიზაციის პირობებში, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის ობიექტი გახდა და კარიერის მართვამ, როგორც პროცესმა, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული ზრდის კრიტიკული ასპექტი შეიძინა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლისა და გლობალიზაციის პირობებში, ფუნდამენტურად შეიცვალა კარიერის ლანდშაფტი. საინფორმაციო ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ, რევოლუცია მოახდინა კომუნიკაციაში, სამუშაოს ძიების პროცესებსა და რბილი უნარების მოთხოვნებზე. გლობალიზაციამ გამოიწვია გაზრდილი კონკურენცია, კულტურათაშორისი ურთიერთქმედებები და უწყვეტი სწავლისა და ადაპტაციის საჭიროება. წრფივი კარიერის გზების ტრადიციულმა ცნებებმა ადგილი დაუთმო „საზღვრებს გარეშე" (Arthur & Rousseau, 1996) და „პროტეანული" (Hall,1976) კარიერის ცნებებს, რათა აღწერათ კარიერის ისეთი ტიპები, რომელიც ეყრდნობა ინდივიდუალურ პიროვნულ ღირებულებებს, თვითმართვას, მობილობას ორგანიზაციულ და გეოგრაფიულ საზღვრებს შორის და სხვადასხვა ეტაპზე კარიერის ხელახალ შეფასება-გადაფასებას.

პროფორიენტაცია და კარიერის მართვა, ეს არის უწყვეტი პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე, რომელიც იწყება მოზარდობის ეტაპზე, რომელიც ხასიათდება საკუთარი თავის აღმოჩენის და პროფესიული თითგამორკვევის პროცესით, ხოლო კარიერული კონსულტაცია ხელს უწყობს ინფორმირებული, გაცნობიერებული და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას, უზრუნველყოფს პიროვნების მდგრად განვითარებას, ზრდას და პროფესიულ წარმატებას, რაც გულისხმობს მუდმივ თვითშეფასებას, უნარების იდენტიფიცირებას და ცვალებად გარემოებებთან ადაპტირებას, რომელიც როგორც საგზაო რუკა, ემსახურება ადამიანის პროფესიული მისწრაფებების განხორციელებას, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების დასახვას, საჭირო უნარების გამოვლენას და განვითარებას, კომპეტენციების შეძენას და სტრატეგიების შემუშავებას პოტენციური დაბრკოლებების დასაძლევად.

თანამედროვე ეპოქაში, კარიერის ეფექტიანი მართვა გახდა პროაქტიული ღონისძიება, რომლის მეშვეობით ინდივიდმა უნდა შეძლოს შრომისუნარიანობის პერიოდისთვის ადაპტირებადი იყოს ნებისმიერ ცვლილებასთან თანამედროვე სამუშაო ბაზარზე, სადაც ტექნოლოგიურმა წინსვლამ და ეკონომიკურმა ცვლილებებმა შეიძლება გარკვეული პროფესიები განლიოს, მათ სანაცვლოდ სახეცვლილი, ან/და სრულიად ახალი პროფესია შესთავაზოს ადამიანს.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

ეს ნაშრომი განიხილავს მოზარდების კარიერის მართვის თეორიულ საფუძვლებს, პროფორიენტაციის და კარიერული კონსულტირების ინსტრუმენტების გამოყენებას და გაზომვად შედეგებს თანამედროვე მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია პროფორიენტაციის და კარიერული კონსულტირების ლიტერატურის მიმოხილვა, დარგის უპირატესობების, გამოწვევების და განვითარებადი ტენდენციების გამოვლენა და ინტერვენციის როლის შეფასება, თუ როგორ უწყობს ხელს პროფორიენტაცის და კარიერული კონსულტირების ინსტურმენტების დანერგვა საშუალო სკოლის საფეხურის მოსწავლეების აკადემიურ, ფსიქო-ემოციურ და პროფესიულ განვითარებას.

## კვლევის მეთოდოლოგია

ამ ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ლიტერატურის მიმოხილვას და მოიცავს პროფორიენტაციისა და კარიერული კონსულტირების სფეროში არსებული კვლევითი ნაშრომების და თეორიების ანალიზს და სინთეზს, აქცენტით მის როლზე კარიერული გადაწყვეტილების მიღებაში.

## ლიტერატურის მიმოხილვა

D. E., Savickas (2013) თავის „Career Construction Theory"-ში ხაზს უსვამს იდენტობის როლს კარიერულ გადაწყვეტილებებში და პერსონალიზებული კარიერული კონსულტაციის მნიშვნელობას, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ მახასიათებლებს და სამომავლო მისწრაფებებს. D. E., Savickas მსგავსად, Patton, W. & McMahon, M. (2014) გვთავაზობენ სისტემური თეორიის ჩარჩოს „Career Development and Systems Theory"-ში, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდუალური, სოციალური და გარემო ფაქტორების ურთიერთკავშირს კარიერის არჩევის დროს. M. L. Savickas (2013) ადასტურებს კარიერულ კონსულტაციას, როგორც საგანმანათლებლო რეფორმის ქვაკუთხედს, აკავშირებს მას გაუმჯობესებულ აკადემიურ მიღწევებთან, სწავლის მიტოვების დაბალ მაჩვენებელთან და ხაზს უსვამს, რომ ადრეული ინტერვენცია ეხმარება მოსწავლეებს საგანმანათლებლო მისწრაფებების შესაბამისობას გრძელვადიან

კარიერულ მიზნებთან, რაც ხელს უწყობს მოტივაციის და ჩართულობის ზრდას. პროფორიენტაციული და კარიერული კონსულტირების მნიშვნელოვან როლს აღიარებენ Hooley et al. (2019), თუმცა აკრიტიკებენ ხარისხიანი სერვისების არათანაბარ ხელმისაწვდომობას სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებში და მხარს უჭერენ პოლიტიკისა და ინტერვენციების თანასწორობის ხელშეწყობას.

ეროვნული რბილი უნარების ასოციაციის (National Soft Skills Association) მიხედვით, რბილი უნარები, როგორიცაა კომუნიკაცია, კრიტიკულ აზროვნება, პრობლემების გადაჭრა, ადაპტაციის უნარი, ემოციურ ინტელექტს და დროის მენეჯმენტს, რომლებიც მნიშვნელოვანი კონსტრუქტებია კარიერის მართვის პროცესში. Robles, M. M (2012) კვლევის თანახმად, ადამიანური რესურსების მენეჯერების 80%-ი და მეტი, რბილ უნარებს განიხილავენ, როგორც დასაქმებისა და პროფესიული წინსვლის პოტენციალის აუცილებელ კომპონენტებს, ხოლო გოლემანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ემოციური ინტელექტი მნიშვნელოვნად აძლიერებს ლიდერობის ეფექტიანობას და წარმოადგენს პროფესიული წარმატების მნიშვნელოვან პრედიქტს.

### ძირითადი ტექსტი

XX საუკუნის შუა ხანებიდან პროფესიული ორიენტაციაში კარიერის მართვის პიონერებისჰ. პარსონსის, .დ. სიუპერის, ჯ. ჰოლანდის და სხვათა გავლენით სამეცნიერო მიდგომების განვითარებამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია. დაიწყო სისტემური მიდგომების გამოყენება ინდივიდის უნარების, ინტერესების და ინდივიდუალური მახასიათებლების შესაფერის პროფესიებთან შესაბამისობისთვის. კარიერის მართვის სფეროს განვითარების და შესაფერისი კარიერული რუქის შესაქმნელად, ფსიქოლოოგის დარგის მკვლევარებმა და მეცნიერებმა კარიერის ფორმირების პროცესში ინდივიდუალური პიროვნული მახასიათებლების, უნარებისა და ინტერესების ინტეგრირებას ჩაუყარეს საფუძველი. პირად ეფექტიანობასა და პროფესიონალიზმზე ფოკუსირებამ ხელი შეუწყო პროფორიენტაციული, პიროვნების საკვლევი და უნარების შეფასების ტესტების შემუშავებას, კარიერული კონსულტანტის პროფესიის, სტრუქტურირებული კარიერული პროგრამების განვითარებას და კარიერის მართვის პოლიტიკის შექმნას.

მოზარდობიდან სრულწლოვანებაზე გადასვლა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური და სოციალური ცვლილებებით ხასიათდება, რომელსაც თან ახლავს სწრაფი ფიზიკური, ემოციური და კოგნიტური განვითარება. პროფესიული გადაწყვეტილებების მიღება განსაზღვრავს არა მხოლოდ პიროვნების პროფესიულ ტრაექტორიას და საარსებო წყაროს მოპოვების შესაძლებლობას, არამედ გადამწყვეტ როლს თამაშობს ინდივიდის იდენტობის ფორმირებაში. მოზარდებს ამ ეტაპზე უჭირთ თავიანთი ინტერესების, შესაძლებლობების, პიროვნული მახასიათებლების, მისწრაფებების შეჯერება, რაც ხშირად იწვევს შინაგან კონფლიქტებსა და ამბივალენტობას კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებით. ამას თან ერთვის გარემო ფაქტორები- ოჯახის მოლოდინები, სოციალური და კულტურული კონტექსტი, რომელშიც მოზარდები იზრდებიან, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიებისა და კარიერის შესახებ მათი ხედვების ჩამოყალიბებაში. სტერეოტიპების და სტიგმების ფონზე, მოზარდებმა შეიძლება იგრძნონ ზეწოლა, დაემორჩილონ ამ მოლოდინებს, მაშინაც კი, თუ ისინი არ შეესაბამება მათ პირად ინტერესებსა და ძლიერ მხარეებს. ამ დისონანსმა კი თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს პროფესიული საქმინობის მიმართ უკმაყოფილება და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები. პროფესიული თვითგამორკვევა, ადამიანის თვითრეალიზაციის და ბალანსირებული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რომელიც მოზარდობის ეტაპზე იწყება და მთელი ცხოვრების განმავლობაში აქტუალური რჩება.

ამიტომაც არის მნიშვნელოვანი პროფორიენტაციული და პროფკონსულტაციური სამუშაოების ჩატარება მოზარდებთან მინიმუმ დამამთავრებელ კლასებში, სადაც პროფორიენტაციული მომსახურებით ახალგაზრდებს მიეწოდებათ ცნობები პროფესიების ფსიქოლოგიური, სამედიცინო, სოციალური, კვალიფიკაციის, განათლების მიღების, ანაზღაურების, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სხვა მახასიათებლების შესახებ, ხოლო პროფდიაგნოსტიკური გამოკვლევების/ტესტირების მონაცემთა პროფესიის მოთხოვნებთან შეჯერების საფუძველზე, ახალგაზრდებს ეძლევათ რეკომენდაცია მათთვის მიზანშეწონილი შრომითი საქმიანობის შესახებ. მიღებული ინფორმაცია მოზარდს აძლევს შესაძლებლობას გაიფართოვოს ცოდნა როგორც პროფესიული სამყაროს, ასევე საკუთარი თავის, პროფესიული ინტერესებისა და ინდივიდუალური პიროვნული მახასიათებლების შესახებ, რაც ზრდის ადამიანის შესაძლებლობას მიიღოს ადექვატური კარიერული გადაწყვეტილება, და ამასთან მოსწავლეებს ხელს უწყობს სკოლის საფეხურიდან უმაღლესი ან პროფესიული განათლების საფეხურსა და შემდგომ განათლებიდან სამუშაოზე ტრაზიციაში. Hirschi, A. (2018) მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ, რომ მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ პროფორიენტაციის და კარიერული კონსულტირების სტრუქტურულ პროგრამებში, აჩვენეს პროფესიული ადაპტურობის უფრო მაღალი დონე, რაც გამოიხატა კარიერული ტრანზიციის დროს თავდაჯერებულობით, ადაპტურობით და გამძლეობით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მოსწავლეებში, რომლებიც მონაწილეობდნენ კარიერის მართვის სტრუქტურირებულ და ინტერაქტიულ პროგრამებში, როგორიცაა პერსონალიზირებული კარიერული კონსულტაცია, სტაჟირება, თემატური ტრენინგები და კარიერის ქოუჩინგის სესიები.

გარდა ამისა, Perry, J. N. & Butcher, J. N. 1999. აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი კორელაცია მოსწავლეთა კარიერულ კონსულტაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის, რაც ხაზს უსვამს თუ როგორ ამაღლებს კარიერის მიზანმიმართული დაგეგმვა სტუდენტების მოტივაციას და მიზნის განხორციელებისისკენ სწრაფვას. მათმა

კვლევამ, რომელიც დაფუძნებული იყო 1000-ზე მეტი საშუალო სკოლის მოსწავლის შეფასებაზე, დაადგინა, რომ სრულფასოვანი სერვისის მიმღებმა მოსწავლეებმა, მიაღწიეს უფრო მაღალ აკადემიურ მოსწრებას და აჩვენეს საგაკვეთილო საათების გაცდენის დაბალი მაჩვენებელი იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებსაც არ ჰქონდათ მიღებული მსგავსი მომსახურება. A.G.Watts და R.G. Sultana (2020) შრომა ხაზს უსვამს კარიერული კონსულტირების ემოციურ სარგებელსაც და იმ ფაქტს, თუ როგორ ამცირებს კარიერული გეგმების სიცხადე მოსწავლეებში შფოთვას, სტრესსა და ყოყმანს მომავალ პროფესიულ ცხოვრებასთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია მოზარდობის პერიოდში თვითგამორკვევისა და იდენტობის ძიების პროცესში. ვინაიდან კარიერული სერვისები ხელს უწყობს მოსწავლეებს თვითშემეცნებაში, საშუალებას აძლევს მათ უკეთ გაიგონ საკუთარი ინტერესები, ძლიერი მხარეები და შრომითი ღირებულებები, რაც აუცილებელია ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილებების მისაღებად, მნიშვნელოვნად ზრდის პიროვნული, აკადემიური და პროფესიული განვითარების სურვილს. (Hirschi, 2018). თანამედროვე მიდგომები, რომლებიც მოიცავს ციფრულ ინსტრუმენტებს და პერსონალიზებულ ხელმძღვანელობას, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს უფრო ღრმად გაიგონ თავიანთი შესაძლებლობები და უკეთესად მოერგონ თავიანთ გრძელვადიან მიზნებს (Sampson et al., 2020).

პროფორიენტაცია და კარიერული კონსულტირება ასევე ავითარებს რბილ უნარებს. დღევანდელ კონკურენტულ გარემოში, სადაც ტექნიკური უნარები შეიძლება სწრაფად მოძველდეს სწრაფად განვითარებადი ავტომატიზაციისა და დიჯიტალიზაციის პირობებში, ყოველდღიურად იზრდება აქცენტი ადამიანზე ორიენტირებულ ისეთ უნარებზე, როგორიცაა კომუნიკაცია, ემოციური ინტელექტი, ადაპტურობა და პრობლემების გადაჭრა, რომლებიც საშუალებას აძლევს ინდივიდებს ნავიგაცია გაუწიონ კარიერულ ტრაექტორიას, ადაპტირდნენ რთულ სოციალურ გარემოში, მოერგონ მრავალფეროვან სამუშაო გარემოს და დარჩენენ კონკურენტუნარიანები თანამედროვე შრომის ბაზარზე. კარიერის მართვის ინტერდისციპლინარული მეთოდების ინტეგრირებით, პროფორიენტაცია და კარიერული კონსულტაცია აძლევს მოსწავლეებს იმ უნარებსა და ინსტრუმენტებს, რისი მეშვეობითაც შეძლებენ განვითარებას როგორც პროფესიულ, ისე პირად ცხოვრებაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში კარიერის მართვის სერვისებს საშუალო სკოლის საგანმანათლებლო კურიკულუმის განუყოფელ კომპონენტად აქცევს.

აქტუალობის მიუხედავად, პროფორიენტაცის და კარიერული კონსულტაციის სერვისების დანერგვა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას საქართველოში. თუ პროფორიენტაცია და კარიერული კონსულტირება აშშ-ს საგანმანათლებლო სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც რეგულირდება ფედერალური კანონით და კანონმდებლობა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებს და სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა კარიერულ სერვისებზე, რომელიც დაეხმარება მათ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საფეხურზე არ ეთმობა მნიშვნელოვანი როლი პროფორიენტაციასა და კარიერულ კონსულტირებას, გარდა საერთაშორისო პროგრამების მქონე კერძო სკოლების, რაც საქართველოს სკოლების საერთო მასშტაბში, მოსწავლეთა მხოლოდ მცირე რაოდენობას მოიცავს.

კარიერული კონსულტაციის პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებში, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გავლენით. Watts, A. G., & Sultana, R. G. (2020) შრომის მიხედვით, სკანდინავიის ქვეყნები, სადაც კარიერულ კონსულტაციას, რომელიც ღრმად არის ინტეგრირებული განათლების სისტემაში, მხარს უჭერს საჯარო პოლიტიკა და ხორციელდება სკოლისა და საზოგადოებრივი სერვისების ერთობლივი ძალისხმევით. აშშ-ში არსებული კარიერის მართვის პოლიტიკის არსებობის მიუხედავად, G.J.Hooley et al (2019) მიუთითებენ სერვისების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან უთანასწორობაზე, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან სკოლებსა თუ დაბალი რესურსების მქონე გეოგრაფიულ ადგილებში. სკოლებს ხშირად აქვთ პროფესიონალი კონსულტანტის დასაქმების რესურსი, რაც იწვევს კვალიფიციური და პერსონალიზებული კონსულტირების ნაკლებობას. მაგალითისთვის შეერთებულ შტატებში, ამერიკის სკოლის მრჩეველთა ასოციაცია (ASCA) რეკომენდაციას უწევს თანაფარდობას 1:250, თუმცა რიგ შტატში ეროვნული საშუალო მაჩვენებელი ახლოსაა 1:455-თან, რის გამო, ბევრი მოსწავლე ვერ იღებს შესაბამის მომსახურებას.

კარიერის მართვის პოლიტიკის დარგში, განვითარებადი ქვეყნები ბევრი სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგანან. W.Patton და McMahon (2014) აღნიშნავენ, შეზღუდული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მქონე ადგილებში (მაგ: მაღალმთიანი სოფლები) კარიერული კონსულტაცია ხშირად განიხილება როგორც ფუფუნება და არა აუცილებლობა. მაგალითად, სოფლის სკოლებს შეიძლება არ ქონდეთ რესურსები საკონსულტაციო პროგრამების განსახორციელებლად, რაც აიძულებს მოსწავლეებს დაეყრდნონ ოჯახის ან სოციუმის არაფორმალურ ხელმძღვანელობას. ამას გარდა, R. Sharf (2020) აკრიტიკებს ტრადიციულ მიდგომებს კონსულტირების მიმართ და მიაჩნია, რომ სტანდარტიზებული შეფასებები და წინასწარ განსაზღვრული კარიერული გზები შეიძლება არ იყოს რეზონანსული სხვადასხვა კულტურული ან სოციალურ-ეკონომიკური წარმოშობის მოსწავლეებთან და ხაზს უსვამს ყველა ფაქტორის გათვალისწინებას კონსულტირების დროს, რათა სერვისი შედეგი იყოს პერსონალიზირებული, თანმიმდევრული და ეფექტიანი, რაც დიდწილად დამოკიდებულია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობაზე, როგორიცაა პედაგოგები, მშობლები და პოლიტიკის შემქმნელები. ამალოგიურად, Hirschi (2018) ხაზს უსვამს კონსულტანტებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას, რადგან ინტეგრირებული მიდგომები გრზელვადიან შედეგებზეა ორიენტირე-

ბული. სკოლები, რომლებიც აერთიანებენ კარიერულ სერვისებს სასწავლო პროგრამაში ტრენინგების, სემინარების და სტაჟირების სახით, ქმნიან გარემოს, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ აქტიურად გამოიკვლიონ თავიანთი კარიერული ინტერესები, შესაძლებლობები და პერსპექტივები. მშობლები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კარიერული კონსულტაციის შედეგების განმტკიცებაში. თუმცა, შარფი ხაზს უსვამს მშობლის გადაჭარბებულ გავლენას, როდესაც კარიერული არჩევანი ნაკარნახევია ოჯახის მოლოდინებით და არა ინდივიდუალური მისწრაფებებით.

სკოლის მოსწავლეების პროფორიენტაციის და კარიერული კონსულტირების გასაუმჯობესებლად, პოლიტიკის შემქმნელებმა სასურველია კარიერის მართვის სერვისები გახადონ სავალდებულო საშუალო სკოლაში, უმაღლეს განათლებაში და რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდებისთვის. იმისთვის, რომ მოზარდებმა შეძლონ ინფორმირებული, დამოუკიდებელი და გაცნობიერებული პროფესიული გადაწყვეტილების მიღება, საჭიროა მათი მხარდაჭერა, პროფესიული თვითგამორკვევის ინსტრუმენტებით აღჭურვა და გადაწყვეტილების მიღების მოდელის სწავლება, რომელსაც დღევანდელი მოზარდები გამოიყენებენ როგორც პროფესიის არჩევის და კარიერის დაგეგმვის, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარი პროფესიული ცხოვრების მართვისას ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.

## დასკვნა და რეკომენდაციები

შეუძლებელია კარიერული კონსულტაციისა და პროფორიენტაციის როლის გადაჭარბება ახალგაზრდების პროფესიული თვითგამორკვევის, განათლებისა და კარიერის მართვის პროცესში, რომელიც ერთის მხრივ, ემსახურება პიროვნების ინდივიდუალურ მიზნებს, ეხმარება მოზარდებს თვითცნობიერებაში და მომავალი პროფესიული საქმიანობის დაგეგმვაში, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, აძლიერებს ახალგაზრდების შესაძლებლობებს, მხარს უჭერს მათ განათლებიდან შრომის ბაზარზე წარმატებულ ტრანზიციას, სოციალურ ინტეგრაციას, აქტიური მოქალაქის პოზიციის დაკავებას და ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას.

ამდენად, საქართველოში მნიშვნელოვანია პროფორიენტაციის და კარიერული სერვისებისა და პროგრამების დანერგვა საშუალო სკოლებში, რომელშიც ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე (სკოლები, უნივერსიტეტები, პროფსასწავლებლები, ბიზნესი და დამსაქმებლები) და ყურადღება დაეთმობა მოსწავლეების კარიერული მართვის უნარების განვითარებას, არაფორმალური განათლების დარგობრივი პლატფორმების ჩართვას და მკაფიოდ გაწერილი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც მოიცავს კარიერული განვითარების სერვისების სტანდარტებს და ხარისხის კონტროლის მექანიზმებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია 2024-2030 წწ., განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2023, დანართი, გვ 12-23, https://www.mes.gov.ge/uploads/files/3532-788568-786.pdf;

2. კარიერის დაგეგმვის სახელმძღვანელო, მომზადებულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტის, პროფესორ ფუსუნ აკოკის მიერ. თბილისი, საქართველო ნოემბერი, 2015, გვ11-17 http://glcschool.ge/wp-content/uploads/2018/12/.pdf;

3. Arthur, M. B., Hall, D. T., & Lawrence, B. S. (1989). Handbook of Career Theory. Cambridge University Press. (pp. 1–24, 121–146, 25-45.);

4. Hirschi, A. (2018). Career self-management: Balancing work and learning in a changing world. Career Development Quarterly, 66(3), pp.193–208. https://doi.org/10.1002/cdq.12129;

5. Krumboltz, J. D. 1996. "A Learning Theory of Career Counseling." Pp. 55-80 in Handbook of Career Counseling Theory and Practice, edited by M. L. Savickas and W. B. Walsh. Palo Alto, CA: Consulting Psychologists Press;

6. Perry, J. N. and Butcher, J. N. 1999. "Butcher Treatment Planning Inventory (BTPI): An Objective Guide to Treat ment Planning." Pp. 1157-1171 in The Use of Psycho logical Testing for Treatment Planning and Outcomes Assessment, 2d ed., edited by M. E. Maruish. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum;

7. Robles, M. M. (2012). Executive perceptions of the top 10 soft skills needed in today's workplace. Business Communication Quarterly, 75(4), 453–465. https://doi.org/10.1177/1080569912460400;

8. Sampson, J. P., Reardon, R. C., Peterson, G. W., & Lenz, J. G. (2020). The Cognitive Information Processing Approach to Career Decision-Making: Applying the Model in High School Settings. Journal of Career Development, 47(3), 234-247;

9. Savickas, M. L. (2013). The theory and practice of career construction. Career Development Quarterly, 61(1), pp.11–22. https://doi.org/10.1002/j.2161-0045.2013.tb00968.x;

10. Savickas, M. L., & Porfeli, E. J. (2012). Career Adapt-Abilities Scale: Construction, reliability, and measurement equivalence across 13 countries. Journal of Vocational Behavior, 80(3), pp.661–673. https://doi.org/10.1016/j.jvb.2012.01.011;

11. Sharf, R. S. (2020). Applying career development theory to counseling (7th ed.). Cengage Learning;

12. Toni, A., & Vuorinen, R. (2020). Lifelong Guidance in Finland: Key Policies and Practices. In E. Hagaseth Haug, T. Hooley, J. Kettunen, & R. Thomsen (Eds.), Career and Career Guidance in the Nordic Countries (pp. 127-143). Brill. Career Development Series, 9. https://doi.org/10.1163/9789004428096_009;

13. Watts, A. G., & Sultana, R. G. (2020). Career guidance policies: Global challenges and local responses. International Journal of Educational Development, 72, 102124. https://doi.org/10.1016/j.ijedudev.2019.102124.

# EFFECTS OF SOCIAL MEDIA USE ON PSYCHOLOGICAL WELL-BEING

**DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.02.12**



**Beka Skhirtladze**
Master of Tourism Management,
Student of the Doctoral Program in Business Administration at Sukhumi State University,
https://orcid.org/0009-0009-9000-4235
E-mail: bekaskhirtladze04@gmail.com

**ABSTRACT**

The rapid proliferation of social media has raised concerns regarding its impact on psychological well-being. While social media platforms provide opportunities for connection, information sharing, and self-expression, they have also been linked to various mental health issues. This abstract explores the effects of social media use on psychological well-being, focusing on both positive and negative outcomes. On the positive side, social media can enhance feelings of social support, foster a sense of belonging, and provide platforms for individuals to share experiences, particularly for marginalized groups. However, extensive use of social media has been associated with negative effects, including increased anxiety, depression, and feelings of loneliness. These outcomes are often attributed to the constant comparison to idealized images, cyberbullying, and the pressure to maintain an idealized online persona. Furthermore, the addictive nature of social media can lead to decreased face-to-face social interactions, disrupting real-life relationships and further harming emotional health. This paper highlights the complex relationship between social media use and psychological well-being, emphasizing the need for balanced engagement and mindful use of these platforms. The study concludes with recommendations for promoting healthier social media habits, such as time management and fostering offline connections, to mitigate its detrimental psychological effects.

**Key words**: Anexiety, Cyberbullying, Depression, Social media, Social isolation, Self-esteem, Harassment.

# სოციალური მედიის გამოყენების ეფექტი ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე

**ბექა სხირტლაძე,**
ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების მიმართულების სადოქტორო პროგრამის სტუდენტი,
https://orcid.org/0009-0009-9000-4235
E-mail: bekaskhirtladze04@gmail.com

**აბსტრაქტი**

სოციალური მედიის აქტიურმა გამოყენებამ და სწრაფმა გავრცელებამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადამიანების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედია პლატფორმებს, აქვს მრავალი დადებითი მხარე: ინფორმაციის გაზიარების, სწრაფად გავრცელების, თვითგამოხატვის, უკუკავშირის მიღების და სხვ, მისი აქტიური გამოყენება, ასევე, დაკავშირებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხთან. ეს აბსტრაქტი იკვლევს სოციალური მედიის გამოყენების გავლენას ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, ფოკუსირებულია, როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგებზე. პოზიტიური კუთხით, სოციალურ მედიას შეუძლია გააძლიეროს სოციალური მხარდაჭერის გრძნობა. თუმცა, სოციალური მედიის ფართო და აქტიური გამოყენება, დაკავშირებულია უარყოფით ეფექტებთან, მათ შორის შფოთვასთან, დეპრესიასთან და მარტოობის გრძნობასთან. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ შედეგებს, ხშირად, მიაწერენ კიბერბულინგის, რაც, გააზრებულად-განზრახ, ან გაუაზრებლად ხდება. გარდა ამისა, სოციალურ მედიაზე დამოკიდებულებამ, შეიძლება გამოიწვიოს პირისპირ სოციალური ინტერაქციის შემცირება, რეალურ ცხოვრებაში ურთიერთობების დარღვევა და ემოციური ჯანმრთელობის შემდგომი ზიანის მიყენება. ეს ნაშრომი, ხაზს უსვამს ურთიერთობას სოციალური მედიის გამოყენებასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის, პლატფორმების დაბალანსებული ჩართულობისა და გონივრული გამოყენების აუცილებლობას. კვლევის ბოლოს, შემუშავებულია რეკომენდაციები სოციალური მედიის უფრო ჯანსალი გამოყენების ხელშეწყობისთვის, როგორიცაა დროის მენეჯმენტი და ოფლაინ კავშირების ხელშეწყობა, მისი მავნე ფსიქოლოგიური ეფექტების შესამცირებლად.

**საკვანძო სიტყვები:** შფოთვა, კიბერბულინგი, დეპრესია, სოციალური მედია, სოციალური იზოლაცია, თვითშეფასება, შევიწროება.

## INTRODUCTION

Social media refers to a category of digital platforms and tools that enable users to create, share, and interact with content online. These platforms facilitate communication, networking, and content sharing among users. Common examples of social media platforms include: Facebook, Twitter, Instagram, LinkedIn, TikTok, YouTube e.t.c. People use social media for a wide range of reasons, driven by personal preferences, social needs, and professional goals. Here's a detailed look at these reasons: Personal Connection and communication, Information and News, Social Interaction and Community, Self-Expression and Identity, Entertainment and Leisure, Professional Development and Networking, Validation and Feedback.

## THE MAIN PART

people use social media for its ability to facilitate communication, provide entertainment, support professional and personal development, foster community and connection, and offer convenience in accessing and sharing information. The platform's versatility and wide range of functions make it an integral part of modern life.

As we already discussed a lot of reasons of social media usage, it's important to know the connection between social media and psychological well-being, which is complex, involving both potential benefits and risks. Positive Impacts are: Social Connectivity, Self-Expression and Identity, Access to Information and Resources. Negative Impacts are: Social Comparison and Self-Esteem, Cyberbullying and Online Harassment, Addiction and Distraction, Fear of Missing Out (FOMO).

Let's start with social comparison and self-esteem. Proposed by Leon Festinger in 1954, Social Comparison Theory posits that individuals evaluate their own abilities and opinions by comparing themselves to others. Comparisons can be upward (comparing to those perceived as better) or downward (comparing to those perceived as worse). Social media platforms often feature idealized and curated portrayals of individuals' lives, including photos, achievements, and lifestyles. This idealization can lead to frequent upward social comparisons, where users compare themselves to those perceived as better off. Seeing friends post about their luxurious vacations or career achievements might make someone feel their own life lacks excitement or success or they may feel inadequate when they perceive others as having more successful, attractive, or fulfilling lives. Comparison leads people to feel jealousy. It arises when individuals covet what others have or achieve, feel-

